დავით კბილაძე

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა



გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2011

წინამდებარე წიგნი ეძღვნება ისეთ საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტის თეორიული და პრაქტიკული საკითხების განხილვას, როგორიცაა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. სტუდენტებს მოცემული ნაშრომის დაუფლებით შეეძლებათ გამოიმუშავონ ქვეყნის მაკროდონეზე ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის ჩატარების და ეკონომიკის რეგულირების განხორციელების უნარ-ჩვევები.

სახელმძღვანელოში გაშუქებული საკითხები გადმოცემულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 1993 და 2008 წლების ვერსიების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სრული პროგრამით დანერგვა დასრულებული არაა საქართველოში, ნაშრომში რიგი საკითხები განხილულია საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით. სახელმძღვანელოს თითოეულ თავში თეორიული საკითხების განხილვის შემდეგ მოტანილია სავარჯიშოები, პრაქტიკული მაგალითები, ტესტები და თვალსაჩინო მასალა, რაც უდავოდ დიდ დახმარებას აღმოუჩენს სტუდენტებს და მოცემული თემატიკის შესწავლით დაინტერესებულ სხვა მომხმარებელს.

რედაქტორი: ეკონომიკის აკადემიური დოქტორი **იოსებ არჩვაძე**

რეცენზენტები: ეკონომიკის აკადემიური დოქტორი: **ნაზი სულავა,**
ფიზიკა-მათემატიკის აკადემიური
დოქტორი: **რევაზ ნაქაძე**

განხილულია და რეკომენდირებული სახელმძღვანელოდ თეუსუ-ს ფინანსების, სტატისტიკის და ეკონომეტრიკის მიმართულების (ოქმი № 7.21.12.2010 წ.) და სდასუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს (ოქმი № 15.25.02.2011 წ.) მიერ.

© დ. ჯბილაძე, 2011

გამომცემლობა „უნივერსალი", 2011

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-227-4

შინაარსი

წინასიტყვაობა 7

თემა 1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის არსი, ფუძემდებლური კონცეფციები და პოსტულატები 9

1.1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ცნება, კვლევის ობიექტი, ამოცანები და ძირითადი პრინციპები 9

სავარჯიშოები 21

ტესტები 22

1.2. ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში გამოყენებული ძირითადი კონცეფციები და დეფინიციები 25

სავარჯიშოები 35

ტესტები 38

1.3. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ძირითადი კლასიფიკაციები და დაჯგუფებები 41

სავარჯიშოები 52

ტესტები 53

თემა 2. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შექმნისა და ჩამოყალიბების ეტაპები.....56

2.1. ეროვნული ანგარიშწარმოება მეორე მსოფლიო ომამდელ პერიოდში 56

2.2. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში 61

სავარჯიშოები 69

ტესტები 70

თემა 3. წარმოების ანგარიში და მისი ძირითადი ელემენტები.....73

3.1. წარმოების ანგარიშის ზოგადი დახასიათება..... 73

3.2. პროდუქციის მთლიანი გამოშვების შეფასების მეთოდოლოგია 75
3.3. შუალედური მოხმარების ელემენტების განსაზღვრა 79
სავარჯიშოები 82
მაგალითები 83
ტესტები 89
თემა 4. შემოსავლების ანგარიშები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში 92
4.1 შემოსავლების კონცეფცია ეას-ში და შემოსავლების ფორმირების ანგარიში....92
4.2. შემოსავლების პირველადი განაწილებისა და გადანაწილების ანგარიშები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში 100
4.3 განკარგვადი შემოსავლების ეკონომიკაში გამოყენების ანგარიში 106
სავარჯიშოები 110
მაგალითები 111
თემა 5. დაგროვების ანგარიშები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში 121
5.1 კაპიტალის ოპერაციების ანგარიშის აგების სქემები და მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგია 121
5.2 ფინანსური ანგარიშის ძირითადი მაჩვენებლების ფორმირება 129
5.3 აქტივებსა და პასივებში სხვა ცვლილებების ანგარიშის მაჩვენებელთა აგების თავისებურებანი 131
სავარჯიშოები 132
მაგალითები 133
ტესტები 139

თემა 6. მთლიანი შიდა პროდუქტი.....142
6.1 მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების მეთოდები 142
6.2 მთლიანი შიდა პროდუქტი და ეას-ის სხვა აგრეგატები 148
6.3. დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ფარგლებში 151
6.4. მთლიანი შიდა პროდუქტის შეფასება მუდმივ ფასებში 157
სავარჯიშოები 168
ტესტები 169
თემა 7. ეას-ის შედგენის თავისებურებანი შიდა ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორების მიხედვით 172
7.1. არაფინანსური კორპორაციები და კვაზი კორპორაციები 172
7.2.ფინანსური კორპორაციების სექტორი 180
7.3. შინამეურნეობების სექტორი 187
7.4. საერთო სახელმწიფოებრივი მმართველობის ორგანოების სექტორი 198
მაგალითები 200
თემა 8. დანახარჯები-გამოშვებისა და რესურსებისა და გამოყენების ცხრილები 208
სავარჯიშოები 220
მაგალითები 221
ტესტები 222
თემა 9. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის გამოყენება მაკროეკონომიკურ ანალიზსა და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში 224
სავარჯიშოები 232
ტესტები 233

თემა 10. ეროვნული სიმდიდრე ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში 237
10.1 ეროვნული სიმდიდრე, აქტივებისა და პასივების ბალანსი 237
10.2. არაფინანსური და ფინანსური აქტივები 240
10.3 მოსახლეობის ქონების ელემენტები 248
სავარჯიშოები 250
მაგალითები 250
ტესტები 256
თემა 11. საგარეო ეკონომიკური კავშირები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში..... 259
სავარჯიშოები 281
მაგალითები 282
ტესტები 288

დანართი № 1. ეას-ში გამოყენებული ძირითადი ტერმინები ქართულ და ინგლისურ ენებზე 291
დანართი № 2. გამოყენებული ლიტერატურა 298

წინასიტყვაობა

სტატისტიკა ქვეყნის ეკონომიკაში, სოციალურ, დემოგრაფიულ და ეკოლოგიურ სფეროებში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი პარამეტრების შეფასების მძლავრი იარაღია.

სტატისტიკური მეცნიერებისა და პრაქტიკული საქმიანობის წინაშე ახალი ამოცანები დაისახა ჩვენი ქვეყნის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის შემდეგ. ქვეყანაში ახალი, საბაზრო სტატისტიკის ჩამოყალიბება საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტებისა და განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით მიმდინარეობს. სწორედ ასეთი საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტის – ეროვნულ ანგარიშთა სისტემის გაშუქებას ეძღვნება წინამდებარე სახელმძღვანელო. მასში გასაგები ენითაა გადმოცემული ქვეყნის ეროვნული მეურნეობის მაკროეკონომიკური მოდელის აღწერისა და ანალიზის მსოფლიოში აპრობირებული ინფორმაციული სისტემა ეკონომიკური ბრუნვის ისეთი ფაზების მიხედვით, როგორიცაა: წარმოება, განაწილება და გამოყენება.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ცოცხალ ეკონომიკურ ორგანიზმს შეგვიძლია შევადაროთ. მასში ასახვას პოულობს ეკონომიკაში მიმდინარე ახალი მოვლენები და პროცესები. სწორედ მოცემული გარემოებითაა განპირობებული ის, რომ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი და პრაქტიკოსი სტატისტიკოსები პერიოდულად გადახედავენ ხოლმე ზემოაღნიშნული ახალი მოვლენებისა და პროცესების შეფასების და მაკრომაჩვენებლებში მათი ასახვის წესებსა და მეთოდოლოგიას. ასე მაგალითად, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის გაეროს 1993 წლის ვერსიის გათანამედროვებაზე გაეროს სტატისტი-

კური კომისიის ინიციატივით მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ 2003 წელს. ამჟამად უკვე დამტკიცებულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 2008 წლის ვერსია. წინამდებარე სახელმძღვანელოს ღირსებად მიგვაჩნია ის, რომ იგი შედგენილია სწორედ ეას-ის ბოლო სტანდარტების მოთხოვნების მიხედვით. კერძოდ, მასში გადმოცემულია სექტორალური ანგარიშების რიგი ახალი მაჩვენებლები, რომელთა შედგენა და დამუშავება თანდათანობით უნდა დაიწყოს ჩვენი ქვეყნის ეროვნულმა სტატისტიკურმა სამსახურმა.

სახელმძღვანელო ,,ეროვნულ ანგარიშთა სისტემა'' შეიცავს ქვეყნის ეკონომიკის მახასიათებელ ფაქტობრივ ინფორმაციას. ამდენად, ავტორმა შეძლო მოერგო ეს საერთაშორისოდ აღიარებული ინფორმაციული სისტემა ჩვენი ქვეყნის რეალური სიტუაციისათვის. იქ სადაც ასეთი ინფორმაციის არარსებობის გამო შეუძლებელია მოვლენებისა და პროცესების დახასიათება, მაგალითები, სავარჯიშოები და ტესტები შედგენილია პირობითი მონაცემების მიხედვით.

სახელმძღვანელოში დახასიათებულია არა მარტო თანამედროვე ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, არამედ გაშუქებულია მისი შექმნისა და ჩამოყალიბების ისტორიული გზა. ამ კონტექსტში გადმოცემულია მსოფლიოში ცნობილი ეკონომისტების წვლილი და დამსახურება.

და ბოლოს, მინდა დავასკვნა, რომ წინამდებარე სახელმძღვანელო უაღრესად დიდ დახმარებას გაუწევს არა მარტო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტ ახალგაზრდობასა და პროფესურას, არამედ ეკონომიკური თეორიით, თანამედროვე სტატისტიკითა და აღრიცხვით დაინტერესებულ პირს.

რედაქტორი

თემა 1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის არსი, ფუძემდებლური კონცეფციები და პოსტულატები

1.1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ცნება, კვლევის ობიექტი, ამოცანები და ძირითადი პრინციპები

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეას)-ეს არის საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული ეკონომიკური ინფორმაციის თანამედროვე სისტემა, რომელიც გამოიყენება მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში მაკროდონეზე საბაზრო ეკონომიკის მდგომარეობის ანალიზის და რეგულირების, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისათვის. ამ სისტემაში შემავალი მაჩვენებლები და კლასიფიკაციები ასახავენ საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურას, მისი ფუნქციონირების მექანიზმებს. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა შეიქმნა 6 ათეულზე მეტი წლის წინათ, განვითარებული საბაზრო სისტემის ქვეყნებში ეკონომიკის რეგულირებისათვის, მაკროეკონომიკური ხასიათის ინფორმაციაზე მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად. მის აღმოცენებას წინ უსწრებდა ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების სამუშაოები.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების მახასიათებელი სტატისტიკურ მაჩვენებელთა მწყობრი სისტემაა, რომელიც ახასიათებს საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში რეგულარულად განმეორებად პერიოდებს ეკონომიკური აქტივობის ციკლების შემადგენელი ისეთი ფაზების მიხედვით, როგორიცაა: აღმავლობა, პიკი, ვარდნა და ძირი. ამდენად ეას-ის ***საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური ციკლის თეორია.*** ამრიგად, ეროვნული ანგარიშები ეფუძნება საქონლისა და მომსახურების, შემოსავლებისა და ფინანსური ინსტრუ-

მენტების წრებრუნვის კონცეფციებს. ეას-ის ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანია მისი ***ყოვლისმომცველი ხასიათი,*** რაც იმაში გამოიხატება, რომ ქვეყნის (მაკრო) დონეზე შედგენილ ნაერთ ინფორმაციაში მონაწილეობას ღებულობს ეკონომიკურ პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტის (საწარმოები, კორპორაციები, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მმართველობის ორგანოები, შინამეურნეობები) მიერ განხორციელებული ნებისმიერი სახის ეკონომიკური ოპერაცია. ასეთი სახის ოპერაციები პირობითად ოთხ ნაწილად შეიძლება დავყოთ. პირველი, ესაა საქონლისა და მომსახურების მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციები. აქ იგულისხმება საქონლის წარმოება და მომსახურების გაწევა; საქონლისა და მომსახურების მოხმარება; ინვესტიციები. საქონლისა და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი. მეორე და მესამე სახის ოპერაციებში შედის შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილების პროცესი. მოცემული გულისხმობს შემოსავლების ისეთ წყაროებს, როგორიცაა: ხელფასი, პროცენტები, მოგება, ტრანსფერები, გადასახადები და სოციალური გადასახდელები. მეოთხე სახის ოპერაციები მოიცავს ფინანსურ ოპერაციებს. კერძოდ, იგულისხმება კრედიტების მიღება და მათი განაღდება, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა და სხვა ამგვარი ოპერაციები. ამრიგად, ზემოთდასახელებული ოპერაციები ახასიათებენ შესაბამისად, პროდუქციის, შრომისა და კაპიტალის ბაზრებს.

ეკონომიკურ პროცესში მონაწილე სუბიექტები ნაწილდება ხუთ ინსტიტუციურ სექტორად[1]. ესენია: ***არაფინანსუ-***

[1] ეკონომიკურ პროცესში მონაწილე სუბიექტების განაწილებას ინსტიტუციური სექტორების მიხედვით სხვადასხვაგვარად განმარტავენ სხვადასხვა მეცნიერები. ასე მაგალითად, უტც-პეტერ რაიხი და რუდოლფ იანკე წიგნში „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა", მე-7 ტომი, სერია „სტატისტიკური ნარკვევები", 1998წ.გვ.7.(გა-

რი კორპორაციები და კვაზიკორპორაციები, ფინანსური კორპორაციები და კვაზიკორპორაციები, სახელმწიფო მართვის ორგანოები, შინამეურნეობები და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები. თითოეული სექტორი შედგება მათი შესატყვისი ინსტიტუციური ერთეულებისაგან. გარდა ამისა, მსოფლიო ეკონომიკასთან კავშირების ასახვისათვის ეას-ში იყენებენ პირობით სექტორს – „დანარჩენი მსოფლიო“.

ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის ასახვა ეკონომიკური ოპერაციებისა და ინსტიტუციური სექტორის მიხედვით ეფუძნება გაეროს, ევროკომისიის სტატისტიკური სამსახურის, ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდირებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 1993 წლის ვერსიის (SNA–93) სტანდარტულ მეთოდოლოგიას და გაეროს ეას-ის 2008 წლის ვერსიებს.

ინსტიტუციური ერთეული წარმოადგენს მეურნეობრივ ერთეულს, რომელიც ფლობს გარკვეულ აქტივებს, თავის თავზე ღებულობს გარკვეულ ვალდებულებებს, დამოუკიდებლად იღებს ეკონომიკურ გადაწყვეტილებას, ეწევა სა-

---

მომცემელი გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველო) იყენებს სამ ინსტიტუციურ სექტორს და დანარჩენ მსოფლიოს. პროფესორი იური ივანოვი სახელმძღვანელოში „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, მაკროეკონომიკური ანალიზის ინსტრუმენტი“ მოსკოვი, გამომცემლობა ფინსტატინფორმი, 1996 წ.გვ 7, იყენებს ხუთ ინსტიტუციურ სექტორს და დანარჩენ მსოფლიოს. ეს უკანასკნელი ზემოთდასახელებული მეცნიერებისგან განსხვავებით საწარმოების (კორპორაციების) სექტორს გამოყოფს არაფინანსურ და ფინანსურ კორპორაციებად, ხოლო შინამეურნეობების სექტორს განიხილავს შინამეურნეობებად და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციულ ორგანიზაციებად.

მეურნეო საქმიანობას და ახორციელებს ოპერაციებს სხვა ერთეულებთან[1].

კორპორაცია იურიდიული პირია, რომელიც შექმნილია პროდუქციის ან მომსახურების ბაზარზე რეალიზაციისათვის თავისი მფლობელის (მფლობელების) მოგების ან სხვა სარგებლის მიღების მიზნით. იგი წარმოადგენს აქციონერთა კოლექტიურ საკუთრებას, რომლებიც კორპორაციის საერთო მმართველობისათვის ნიშნავენ დირექტორებს[2].

კვაზიკორპორაცია – ესაა ერთეული, რომელიც კორპორაციის მსგავსია, მაგრამ ფორმალურად არა აქვს კორპორაციის სტატუსი[3].

ამრიგად, ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის ასახვა ეკონომიკური სუბიექტების მიერ განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციებისა[4] და ინსტიტუციური სექტორების[5] მიხედვით შეიძლება გამოვსახოთ ქვემოთ მოტანილი ცხრილის მიხედვით.

---

[1] СНС 1993, Том -1 с.89

[2] СНС 1993, Том -1 с.92

[3] Ю.Н.Иванов СНС инструмент макро-экономического анализа. М.финстатинформ. 1996.с.41

[4] ***ეკონომიკური ოპერაცია*** წარმოადგენს მიმართულ ეკონომიკურ აქტს, რომლის დროსაც ერთი მხარე გადასცემს, ხოლო მეორე ღებულობს მატერიალურ, ფინანსურ ფასეულობებს ან მომსახურებას.

[5] ***სექტორი*** წარმოადგენს ინსტიტუციური ერთეულების ერთობლიობას, რომელთაც მსგავსი ეკონომიკური ქცევიდან გამომდინარე აქვთ ერთნაირი მიზნები, ფუნქციები და დაფინანსების წყაროები.

ცხრილი № 1

ეკონომიკური ოპერაციები და ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორები

ინსტიტუციური სექტორები ეკონომიკური ოპერაციები	№	სულ ეკონომიკა[1]	არაფინანსური კორპორაციები	ფინანსური კორპორაციები და ქვეყნის ეკონომიკასთან ურთიერთობა	მთავრობის სექტორი	საოჯახო მეურნეობები და კერძო არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც ემსახურებიან საოჯახო მეურნეობებს	ქვეყნის ეკონომიკასთან ურთიერთობა
		ა	ბ[2]	გ	დ	ე	ვ
		1	2	3	4	5	6
1.საქონლისა და მომსახურების მოძრაობა	1						
ა)ნედლეული	2						
ბ)მომსახურება	3						
გ)ინვესტიციები	4						
დ)ქსასორტი	5						
ე)იმპორტი	6						

ინსტიტუციური სექტორები ეკონომიკური ოპერაციები	№	სულ ეკონომიკა	არაფინანსური კორპორაციები	ფინანსური კორპორაციები	მთავრობის სექტორი	საოჯახო მეურნეობები	საოჯახო მეურნეობებს ემსახურებიან კერძო არაკომერციული ორგანიზაციები
		ზ	თ	ი	კ	ლ	მ
		7	8	9	10	11	12
1.საქონლისა და მომსახურების მოძრაობა	1						
ა)ნედლეული	2						
ბ)მომსახურება	3						
გ)ინვესტიციები	4						
დ)ქსასორტი	5						
ე)იმპორტი	6						

ინსტიტუციური სექტორები ეკონომიკური ოპერაციები	№	სულ ეკონომიკა	არაფინანსური კორპორაციები	ფინანსური კორპორაციები	მთავრობის სექტორი	საოჯახო მეურნეობები	საოჯახო მეურნეობებს ემსახურებიან კერძო არაკომერციული ორგანიზაციები
		ნ	ო	პ	ჟ	რ	ს
		13	14	15	16		
1.საქონლისა და მომსახურების მოძრაობა	1						
ა)ნედლეული	2						
ბ)მომსახურება	3						
გ)ინვესტიციები	4						
დ)ქსასორტი	5						
ე)იმპორტი	6						

[1] *რესურსები* [2] *გამოყენება*

2.შემოსავლების პირველადი გა-ნაწილება																
3.შემოსავლების გადანაწილება																
4.ფინანსური ოპერაციები																
ა) ფასიანი ქაღალდები																
ბ) დეპოზიტები																
გ) კრედიტები																
დ) სხვა																
5.სულ																

მოცემული ცხრილის ქვემდებარეში მოტანილია ოთხ ჯგუფად გამოსახული ეკონომიკური ოპერაციები, ხოლო შემასმენელში მეურნეობრივი საქმიანობით დაკავებული სუბიექტები. ცხრილში მოტანილი ჩანაწერები ახასიათებს ცალკეული მეურნეობრივი ჯგუფის სუბიექტთა შემოსავლებსა და ხარჯებს ეკონომიკურ ოპერაციებში მათი მონაწილეობის მიხედვით. ამასთან ყურადღებას იქცევს ორი გარემოება. ***პირველი*** ის, რომ ცალკეული სექტორის (მეურნეობრივი სუბიექტების ჯგუფები) ჩანაწერთა ჯამი რესურსების მიხედვით ტოლია გამოყენებაზე მოტანილი ჩანაწერების ჯამის (სტრიქონი №5) მოცემულ თავისებურებას ***ბალანსურ ტოლობას*** უწოდებენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩანაწერები რესურსებსა და გამოყენებაზე ცალკეული სექტორის ფარგლებში, როგორც წესი, არაა ტოლი და ერთმანეთს შეიძლება დაემთხვეს როგორც კერძო შემთხვევა. ***მეორე*** გარემოების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიკური ოპერაციების ცალკეული ჯგუფების მიხედვით რესურსებისა და გამოყენების ჯამობრივი მაჩვენებლები ერთმანეთს უნდა დაემთხვეს მხოლოდ მთლიანი სვეტების (მე-15 და მე-16) პოზიციების მიხედვით. როგორც ცხრილიდან ჩანს, მე-15 და მე-16 სვეტები მოიცავს ჩანაწერებს „დანარჩენ მსოფლიოსთან“ ანუ ყველა სხვა ქვეყნებთან. მოცემულ თავისებურებას ***ეკონომიკური ოპერაციების იგივეობას*** უწოდებენ. ამრიგად მოტანილი ცხრილი გვიჩვენებს, რომ ეას-ი წარმოადგენს ეკონომიკური ოპერაციებისა და მეურნეობრივი სუბიექტების მონაცემთა მოწესრიგებულ ფორმას, ხოლო მისი შედგენისას გამოყენებული ***ბალანსური ტოლობისა და ეკონომიკური ოპერაციების იგივეობის*** პრინციპები გამოიყენება ეას-ის ძირითადი პრინციპებისა და ურთიერთკავშირების გაგებისათვის.

ამრიგად, მოცემული ცხრილი ახასიათებს ქვეყანაში

განხორციელებული ყველა სახის ეკონომიკური ოპერაციების გაწერას ინსტიტუციურ სექტორებში.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ძირითად ელემენტებს წარმოადგენს ***ანგარიშები.*** სწორედ ანგარიშებში წარმოებს საწარმოების, დაწე-სებულებების, ორგანიზაციების და შინამეურნეობების მიერ განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციების რეგისტრაცია. ანგარიშებში ჩანაწერების წარმოება ხდება განზოგადებული ციფრობრივი მახასიათებლებით, რომლებიც ახასიათებენ შესაბამის ეკონომიკურ ოპერაციებს.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ანსხვავებენ შემდეგი ჯგუფის ანგარიშებს: ანგარიშები ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორებისათვის; ანგარიშები ეკონომიკის დარგებისათვის; ანგარიშები ცალკეული ეკონომიკური ოპერაციებისათვის და ანგარიშები ეკონომიკისათვის მთლიანად. ამ უკანასკნელს სხვაგვარად კონსოლიდირებულ ანგარიშებს უწოდებენ. სექტორალური ანგარიშები თავის მხრივ იყოფა:

ა) მიმდინარე ოპერაციების ანგარიშებად;

ბ)დაგროვების ანგარიშებად;

გ) აქტივებისა და პასივების ბალანსებად.

მიმდინარე ოპერაციების ანგარიშები მოიცავს წარმოების ანგარიშს; შემოსავლების წარმოქმნის ანგარიშს; შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიშს; შემოსავლების ფულად ფორმაში გადანაწილების ანგარიშს და სხვა ანგარიშებს.

დაგროვების ანგარიშებში შედის კაპიტალის ორერაციების ანგარიში; ფინანსური ანგარიში; აქტივებსა და პასივებში სხვა ცვლილებების ანგარიში. სწორედ ზემოთდასახელებული ანგარიშების სისტემა გამოიყენება ქვეყნის მაკროეკონომიკურ ანალიზში და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ***კვლევის საგანია*** ეკონომიკური სუბიექტების მიერ ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული ეკონომიკური ბრუნვა და ეკონომიური საქმიანობის შედეგები ინსტიტუციური სექტორებისა და ეკონომიკური ოპერაციების მიხედვით.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ***კურსის ობიექტია*** ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე საანგარიშო პერიოდში (წლის მანძილზე) ეკონომიკური ბრუნვის ფორმირებაში მონაწილე სუბიექტთა ერთობლიობა და მათ შორის განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციები.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის უკეთ გაგების მიზნით იგი შეიძლება შევადაროთ ნაძვის ხეს. როგორც ვიცით, ნაძვის ხეს გააჩნია ფესვები, რითაც იგი იკვებება. ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ნაძვის ხის ფესვების ფუნქციას ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში ეკონომიკური სუბიექტების მიერ განხორციელებული უამრავი ეკონომიკური ოპერაცია, რომელიც როგორც უკვე განვიხილეთ, ჯგუფდება ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორების მიხედვით. ამრიგად მოცემულ ინფორმაციულ წყაროებზე (ნაძვის ხის ფესვებზე) დაყრდნობით ხდება ეას-ის ძირითადი ანგარიშების (ნაძვის ხის დედაბოძი, ტოტები, წიწვები) აღმოცენება. თუ ნაძვის ხის ფესვები ნოყიერ ნიადაგშია განშტოებული და კარგად ამარაგებს ნაძვის ხეს, ნაძვის ხეც ნორმალურად იზრდება, გამოყოფს ბევრ ჟანგბადს და ალამაზებს გარემოს. ანალოგიურად თუ ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ეფუძნება მდიდარ, უტყუარ ინფორმაციულ რესურსს, ბუნებრივია, მასზე აგებული ანგარიშთა სისტემაც იქნება საიმედო მაკროეკონომიკური ანალიზის ჩასატარებლად და სწორი სამომავლო ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად.

მას შემდეგ რაც ჩვენ გავეცანით, რომ ეროვნულ ანგარიშთა სისტემა შეიცავს განზოგადებულ ინფორმაციას ქვეყ-

ნის ყველა ეკონომიკურ სუბიექტებსა და ეკონომიკურ ოპერაციებზე, ახლა შევეცადოთ აღვწეროთ, რა ინფორმაციულ ბლოკებს მოიცავს თანამედროვე ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. ასეთი ინფორმაციული ბლოკებია:

- მთლიანი შიდა პროდუქტი, ეროვნული შემოსავალი და მათი მნიშვნელოვანი კომპონენტები;
- ეროვნული სიმდიდრისა და ეკონომიკის სექტორების აქტივებისა და პასივების მონაცემები;
- სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შემოსავლებისა და ხარჯების მონაცემები, რომლებიც საბოლოოდ თავს იყრის სახელმწიფო ბიუჯეტში;
- ფინანსური რესურსების მოძრაობა, რაც ასახვას პოულობს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ ოპერაციებში;
- საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირების მახასიათებელი ინფორმაცია, რაც ასახვას პოულობს ქვეყნის საგარეო საგადამხდელო ბალანსი;
- ქვეყნის დარგთაშორისი კავშირების მახასიათებელი ინფორმაცია, რაც ასახვას პოულობს დანახარჯები-გამოშვების ბალანსებში.

ზემოაღნიშნული ინფორმაციული ბლოკები ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია, რაც აადვილებს ქვეყანაში საფუძვლიანი ეკონომიკური ანალიზის ჩატარებას.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მსგავსი ამოცანების გადასაწყვეტად მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკის ქვეყნებში (ყოფილი სსრკ) 70 წლის მანძილზე გამოიყენებოდა სახალხო მეურნეობის ბალანსი(სმბ). ითვლებოდა რა საქართველოს ეკონომიკა ერთიანი სახალხო სამეურნეო კომპლექსის შემადგენელ ნაწილად, სახალხო მეურნეობის ბალანსის ელემენტების ოფიციალური გაანგარიშება ჩვენს

ქვეყანაში დაიწყო გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის და სახალხო მეურნეობის ბალანსის დამუშავება განსხვავებულ მეთოდოლოგიურ პრინციპებს ემყარება.

სახალხო მეურნეობის ბალანსი სათანადო მაჩვენებელთა სისტემის მეშვეობით ასახავს მხოლოდ მატერიალური პროდუქტის მოძრაობას კვლავწარმოების სხვადასხვა სტადიაზე. ამის გამო საერთაშორისო ტერმინოლოგიაში მას იხსენიებენ „მატერიალური ბალანსების სისტემის“ სახელწოდებით. მისი მეთოდოლოგიური საფუძველია მარქსისტული წარმოების შეზღუდული კონცეფცია, რომლის თანახმად ეროვნული შემოსავალი იქმნება მხოლოდ მატერიალური წარმოების სფეროში. ეროვნულ ანგარიშთა სისტემას კი საფუძვლად უდევს წარმოების გაფართოებული კონცეფცია (უ.პეტისა და პ.ბუაგილბერის თეორია), რომლის თანახმად წარმოების ცნება მოიცავს ნებისმიერ ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც შემოსავალს იძლევა. ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში საბალანსო მაჩვენებლების მეშვეობით აისახება პროდუქციის (საქონლის, მომსახურების) შექმნის, განაწილების, გადანაწილებისა და საბოლოო გამოყენების მთლიანი პროცესი. ამასთან, ეკონომიკურ საქმიანობაში, გარდა სასაქონლო წარმოებისა, შედის სახელმწიფო ორგანოებისა და შინამეურნეობების არასასაქონლო წარმოება. ამის გამო სახალხო მეურნეობის ბალანსის ძირითადი მაჩვენებლები (მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტი, ეროვნული შემოსავალი და სხვ.) ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ძირითადი მაჩვენებლების არაიდენტურია.

საყურადღებოა ისიც, რომ სახალხო მეურნეობის ბალანსი მუშავდებოდა მატერიალური რესურსების განაწილების ცენტრალი-ზებული დაგეგმვის პრინციპზე დაფუძნებული ეკონომიკის ანალი-ზისათვის.

სახალხო მეურნეობის ბალანსი ემყარებოდა რა საზოგადოებრივი აღწარმოების მარქსისტულ კონცეფციებს, განკუთვნილი იყო ეკონომიკის ისეთი მოდელისათვის, რომელიც ეფუძნებოდა წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივ საკუთრებასა და გეგმურ მეურნეობას. ამიტომ საქართველოში და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ ქვეყნებში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისას შეიქმნა სახალხო მეურნეობის ბალანსის ეროვნულ ანგარიშთა სისტემით შეცვლის აუცილებლობა.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში გამოიყენება ბუღალტრული ანგარიშგების ზოგიერთი მნიშვნელოვანი მეთოდი, მაგ., ორმაგი ჩაწერის პრინციპი; მისი მიზნები კი უმეტესად ბუღალტრული ანგარიშგების მიზნების ანალოგიურია. ასე, მაგალითად, ავიღოთ მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხი. ბუღალტრული ანგარიშგების ინფორმაცია გამოიყენება გადაწყვეტილების მისაღებად მხოლოდ საწარმოს, ე.ი მიკრო დონეზე, ხოლო ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მონაცემები – მთლიანად ეკონომიკისათვის.

თავისი გარეგნული ფორმითა და შინაარსით ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ეკონომიკის მთლიანობაში დახასიათების მხრივ ემსგავსება ბუღალტრულ ანგარიშებს. ტერმინი „ეროვნული ანგარიშები" ეკონომიკურ ლიტერატურაში პირველად გამოიყენა ჰოლანდიელმა ეკონომისტმა ვ.კლიფმა. იგი ეროვნულ ანგარიშგებაში გულისხმობდა ცხრილების სისტემას, რომელიც ფორმით წააგავდა ბუღალტრულ ანგარიშებსა და ბალანსებს და სისტემურად ახასიათებდა ეკონომიკას მაკროდონეზე. დიდი წვლილი ეროვნულ ანგარიშთა სისტემის განვითარებაში შეიტანა ჯ.კეინსმა, რომელმაც ეროვნული ანგარიშები წარმოადგინა შემოსავლების, მოხმარების, დაგროვებისა და ა.შ. ურთიერთ-დაკავშირებულ მაჩ-

ვენებელთა სისტემად. მისი აზრით, სახელმწიფო მმართველობის ორგენოებს ეს მაჩვენებლები უნდა გამოეყენებინათ ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და საბაზრო ეკონომიკის რეგულირების სფეროში შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შედგენის ამოცანებია:

– ქვეყნის სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის ისეთი ინფორმაციის მომზადება, რომელიც მათ დაეხმარება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოკლევადიანი და ხანგრძლივი პერიოდების პროგრამების შემუშავებაში; საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის, დასაქმებისა და ინფლაციის და სხვა სფეროებში შესაბამისი მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილებების მიღებაში.

– სათანადო ინფორმაციით მეწარმეთა ინტერესების უზრუნველყოფა საინვესტიციო პროგრამებისა და საკუთარი ბიზნეს-გეგმების რეალიზაციისათვის;

– მაკრომაჩვენებლებით საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკური ორგანიზაციების უზრუნველყოფა.

სავარჯიშოები

1. რატომაა ეკონომიკური ციკლის თეორია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის საფუძველი?

2. რას წარმოადგენს ეროვნულ ანგარიშთა სისტემა და რომელი ანალოგიური სისტემა მოქმედებდა სახალხო მეურნეობის გაძღოლის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის პირობებში?

3. რატომაა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ყოვლისმომცველი?

4. რამდენ ნაწილად შეიძლება დავაჯგუფოთ (ჩამოთვა-

ლეთ) ეკონომიკური სუბიექტების მიერ განხორციელებული ოპერაციები;

5. რამდენ ინსტიტუციურ სექტორად იყოფა ეკონომიკურ პროცესში მონაწილე სუბიექტები;

6. რა განსხვავებაა კორპორაციასა და კვაზიკორპორაციას შორის;

7. განმარტეთ რას წარმოადგენს ინსტიტუციური ერთეული;

8. რას ნიშნავს ბალანსური ტოლობა ინსტიტუციურ სექტორებში;

9. განმარტეთ ეკონომიკური ოპერაციების ტოლობის არსი;

10. განმარტეთ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის კვლევის საგანი და კვლევის ობიექტი;

11. ჩამოთვალეთ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ძირითადი ინფორმაციული ბლოკები;

12. რა მსგავსება და განსხვავებაა ეროვნულ ანგარიშთა სისტემასა და ბუღალტრულ აღრიცხვას შორის?

13. ვინ შემოიღო პირველად ტერმინი ეროვნულ ანგარიშთა სისტემა?

14. ააგეთ ეკონომიკური ოპერაციებისა და ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორების მახასიათებელი ცხრილი.

ტესტები

1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ესაა:

ა) ქვეყნის მიკრო დონეზე ეკონომიკის მდგომარეობის მახასიათებელი ეკონომიკური ინფორმაციის თანამედროვე სისტემა;

ბ) ქვეყნის რეგიონულ დონეზე ეკონომიკის მდგომარეო-

ბის მახასიათებელი ეკონომიკური ინფორმაციის თანამედროვე სისტემა;

გ) ქვეყნის მაკრო დონეზე ეკონომიკის მდგომარეობის მახასიათებელი ეკონომიკური ინფორმაციის თანამედროვე სისტემა.

2. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის საფუძველია:

ა) ეკონომიკური ციკლის თეორია;

ბ) კლასიკური პოლიტიკური ეკონომია;

გ) მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია.

3. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის კვლევის საგანია:

ა) ქვეყნის ეკონომიკის სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე მონაცემთა შეგროვება;

ბ) ქვეყნის სოციალურ სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე მონაცემთა შეგროვება და განზოგადება;

გ) ეკონომიკური სუბიექტების მიერ ქვეყნის შიგნით განხორციელებული ეკონომიკური ბრუნვა და ეკონომიკური საქმიანობის შედეგები ინსტიტუციური სექტორებისა და ეკონომიკური ოპერაციების მიხედვით.

4. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის კვლევის ობიექტია:

ა) ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური ბრუნვის ფორმირებაში მონაწილე სუბიექტთა ერთობლიობა და მათ შორის განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციები;

ბ) ბიზნესში მიმდინარე მოვლენები და პროცესები;

გ) ბუნებაში მიმდინარე მოვლენები და პროცესები.

5. ეკონომიკურ პროცესში მონაწილე სუბიექტები ნაწილდება:

ა) 3 ინსტიტუციურ სექტორად;

ბ) 4 ინსტიტუციურ სექტორად;

გ) 5 ინსტიტუციურ სექტორად.

6. ეკონომიკური სუბიექტების მიერ განხორციელებული ოპერაციები ჯგუფდება:

ა) 2 დასახელების ოპერაციად;

ბ) 3 დასახელების ოპერაციად;

გ) 4 დასახელების ოპერაციად.

7. რა განსხვავებაა ბუღალტრულ აღრიცხვასა და ეროვნულ ანგარიშთა სისტემას შორის:

ა) ისინი სრულიად იდენტურია;

ბ) ბუღალტრული აღრიცხვა გამოიყენება მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილებების მისაღებად საწარმოს დონეზე, ხოლო ეროვნულ ანგარიშთა სისტემა - ქვეყნის დონეზე;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

8. რა მსგავსებაა ბუღალტრულ აღრიცხვასა და ეროვნულ ანგარიშთა სისტემას შორის:

ა) ბუღალტრულ აღრიცხვასა და ეროვნულ ანგარიშთა სისტემების ძირითადი ანგარიშების აგება ხდება საკასო ამონაგების პრინციპით;

ბ) ბუღალტრულ აღრიცხვასა და ეროვნულ ანგარიშთა სისტემების ძირითადი ანგარიშების აგება ხდება დარიცხვის მეთოდით;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

9. მსოფლიოში ცნობილი მეცნიერებიდან ტერმინი „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა“ შემოიტანა:

ა) ჯ. კეინსმა;

ბ) ვ.კლიფმა;

გ) ვ.ლეონტიევმა.

10. ეროვნულ ანგარიშთა სიატემაში აგებენ შემდეგი სახის ანგარიშებს:

ა) ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორებისათვის;

ბ) დარგებისათვის და ცალკეული ოპერაციებისათვის;

გ) ეკონომიკისათვის მთლიანად;

დ) ყველას ერთად.

1.2. ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში გამოყენებული ძირითადი კონცეფციები და დეფინიციები

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში ხორციელდება სხვადასხვა სახის ეკონომიკური ოპერაციები: საწარმოები იძენენ ნედლეულს, უშვებენ სხვადასხვა სახის პროდუქციას, ხელფასს უხდიან მუშებსა და მოსამსახურეებს, იხდიან გადასახადებს, იღებენ ბანკისგან კრედიტს და ა.შ.. საწარმოების გარდა, ეკონომიკურ პროცესში მონაწილეობს სხვადასხვა სუბიექტი: საფინანსო ორგანიზაციები (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები), სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, შინამეურნეობები, სხვადასხვა არაკომერციული ორგანიზაცია (პროფკავშირები, პოლიტიკური, რელიგიური ორგანიზაციები და ა.შ.). ისინი ახორციელებენ საქონელსა და მომსახურებაზე მრავალ ეკონომიკურ ოპერაციას. ყველა ზემოაღნიშნული სუბიექტი ახალი ღირებულების შექმნის პროცესში აქტიურად თანამშრომლობს ერთმანეთთან. იმისათ-

ვის, რომ განისაზღვროს ეკონომიკური პროცესის უმნიშვნელოვანესი შედეგები, აუცილებელია რაიმე ფორმით ინფორმაციის დაჯგუფება როგორც მეურნე სუბიექტებზე, ასევე სხვადასხვა ოპერაციაზე, რომლებსაც ისინი ახორციელებენ. სწორედ ასეთი დაჯგუფება ხდება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ფარგლებში განსაკუთრებული პროცედურებისა და წესების მეშვეობით.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა განისაზღვროს ეას-ის ისეთი ფუძემდებლური დეფინიციები, როგორიცაა: ეკონომიკური ტერიტორია, შიდაეკონომიკა, ეროვნული ეკონომიკა, ეკონომიკური წარმოება, შემოსავლები, ნაკადები და მარაგები, საბოლოო და შუალედური პროდუქცია, ფასები და ა.შ.

ეკონომიკური ტერიტორია ის ტერიტორიაა, რომელიც ადმინისტრაციულად იმართება მოცემული ქვეყნის მთავრობის მიერ და მის საზღვრებში ადამიანები, საქონელი და ფული თავისუფალად გადაადგილდება.

ეკონომიკური ტერიტორიის განმარტებისას მას ემატება:

- მოცემული ქვეყნის საჰაერო სივრცე, ტერიტორიული წყლები ქვეყანაში და ის კონტინენტალური შელფი საერთაშორისო წყლებში, რომლის გამოყენების უფლება გააჩნია მოცემულ ქვეყანას;
- ტერიტორიული ანკლავები სხვადასხვა ქვეყნებში. აქ იგულისხმება მოცემული ქვეყნის სამთავრობო დაწესებულებების მიერ სხვადასხვა ქვეყნებში დაკავებული ზონები (იჯარით ან საკუთრების უფლებით) დიპლომატიური, სამხედრო, სამეცნიერო და სხვა მიზნებით (საელჩოები, საკონსულოები და ა.შ.);
- მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაში არ

ითვლება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების და ქვეყნების მიერ დაკავებული ტერიტორიული ანკლაკები.

ეკონომიკური ტერიტორიის საზღვრების მეშვეობით შესაძლებელი ხდება ერთმანეთისაგან განვასხვაოთ შიდა ეკონომიკა და ეროვნული ეკონომიკა.

შიდა ეკონომიკა წარმოადგენს ეკონომიკური ოპერაციების ნაკადების ერთობლიობას, რომლებიც მთლიანად მოცემული ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის ფარგლებში ხორციელდება.

ეროვნული ეკონომიკა წარმოადგენს ისეთი ეკონომიკური ოპერაციების ნაკადების ერთობლიობას, რომლებიც ხორციელდება არა მარტო მოცემული ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის ფარგლებში, არამედ კვეთს მის საზღვრებს სხვადასხვა მიმართულებით.

საერთაშორისო ორგანიზაციები აგროვებენ რა ინფორმაციას ეროვნულ ანგარიშთა სისიტემის ძირითად მაჩვენებლებზე, ისინი აქტიურად მუშაობენ მისი თეორიისა და მეთოდოლოგიის სრულყოფისათვის. ამჟამად ეროვნულ ანგარიშთა სისტემის საერთაშორისო სტანდარტს წარმოადგენს გაეროს სტატისტიკური კომისიის მიერ მოწონებული ეას-ის ბოლო ვარიანტი ეას-2008.

მაკროეკონომიკური კანონზომიერების ანალიზისათვის ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში შემავალი ინფორმაციის დაჯგუფება ეფუძნება ეკონომიკური თეორიის კონცეფციებს. ერთ-ერთი ასეთი კონცეფციის თანახმად აუცილებელია „ეკონომიკური წარმოების“ საზღვრების დადგენა, ე.ი. სფეროებისა, სადაც ხორციელდება მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოება და იქმნება ეროვნული შემოსავალი.

ეკონომიკური წარმოების კონცეფცია ერთ-ერთი მთავარია ეკონომიკურ მეცნიერებაში. ეკონომიკური წარმოების

ამჟამინდელ დეფინიციას გარკვეული ისტორიული წინაპირობები აყალიბებს. ჯერ კიდევ ფიზიოკრატები და მათი მამამთავარი ფრანსუა კენე ფიქრობდნენ, რომ ეკონომიკური წარმოება გულისხმობს სოფლის მეურნეობასა და მოპოვებით მრეწველობას. ეს ის პერიოდია, როცა სოფლის მეურნეობას მიიჩნევდნენ ეკონომიკის წამყვან დარგად. კაპიტალიზმის განვითარებას თან ახლდა გადამამუშავებული მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარება, რამაც უსაფუძვლო გახადა ფიზიოკრატების თეორია, თითქოს ეკონომიკურ წარმოებას მხოლოდ სოფლის მეურნეობასა და მოპოვებით მრეწველობაში ჰქონდეს ადგილი. ამ დროისათვის ადამ სმიტმა ჩამოაყალიბა მატერიალური წარმოების კონცეფცია, რომლის თანახმადაც ეკონომიკური წარმოება მოიცავს მხოლოდ საქონლის (მატერიალური პროდუქტი) მწარმოებელ დარგს. მოცემული კონცეფციის თანახმად მომსახურების გაწევა არ შედიოდა ეკონომიკურ წარმოებაში. მოცემული თეორია აღიარა კარლ მარქსმა და ცოტა მოგვიანებით იგი საფუძვლად დაედო ოფიციალურ საბჭოთა ეკონომიკურ სტატისტიკას. კერძოდ, სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის მეთოდოლოგიას, რომელიც მაკროეკონომიკის სტატისტკურად დახასიათებისა და ანალიზის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ 300-ზე მეტი წლის წინათ გამოჩენილმა ინგლისელმა მეცნიერმა უილიამ პეტიმ იწინასწარმეტყველა, რომ ეკონომიკის განვითარების კვალობაზე მომსახურება დაიკავებდა სულ უფრო და უფრო მაღალ ხვედრით წილს. საქართველოს სინამდვილეში 2001 წლიდან მოყოლებული მომსახურება სჭარბობს საქონლის წარმოებას და შესაბამისად მისი ხვედრითი წილი შედარებით მაღალია მთლიანი შიდა პროდუქტის საერთო მოცულობაში.

ეკონომიკური წარმოების საზღვრებში თანამედროვე

ეკონომიკური თეორიის მიხედვით განიხილება საქონლის შექმნის მატერიალური და არამატერიალური მომსახურების გაწევის ყველა შესაძლო საქმიანობის სახეების (საერთო მმართველობა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, ხელოვნება და ა.შ.) გათვალისწინებით.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მიხედვით საწარმოო საქმიანობის ცნებას გააჩნია პირველხარისხოვანი მნიშვნელობა და შინაარსი. ***ეას-ის თანახმად, წარმოება განიხილება, როგორც ინსტიტუციური ერთეულის პასუხისმგებლობით, კონტროლითა და მმართველობით განხორციელებული ფიზიკური პროცესი, რომელშიც შრომა და აქტივები გამოიყენება საქონლისა და მომსახურების მისაღებად. ამასთან, იგულისხმება, რომ საქონელი და მომსახურება გამიზნულია ბაზარზე გასაყიდად ან უკიდურეს შემთხვევაში სხვა ინსტიტუციურ ერთეულზე ანაზღაურებით ან უფასოდ გადასაცემად.***

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მიხედვით ***ეკონომიკური წარმოება*** მოიცავს პრაქტიკულად ყველა სახის საქონლისა და მომსახურების წარმოებას, გარდა იმ მომსახურებისა, რომელსაც ეწევიან დიასახლისები (ბავშვის აღზრდა, საკვების მომზადება, საცხოვრისის დალაგება და ა.შ.). ეს ერთადერთი გამონაკლისი დაშვებულია იმ მოსაზრებით, რომ საოჯახო საქმიანობის შეფასება დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამდენად, ***ეროვნულ ანგარიშთა სისტემის კონცეფციების თანახმად, ეკონომიკურ წარმოებაში ჩართულია საქმიანობის შემდეგი სახეები:***

– საქონლის წარმოება, საკუთარი მოხმარებისათვის წარმოების ჩათვლით (მაგ., შინამეურნეობების მიერ პირადი მოხმარებისათვის წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტები);

– საბაზრო მომსახურების გაწევა;

– ფინანსური საშუამავლოს საქმიანობის (ბანკების, საინვესტიციო ფონდების, სადაზღვევო კომპანიების) შედეგები;

– არასაბაზრო მომსახურების გაწევა შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების (შმაკოს) მიერ;

– მომსახურების გაწევა დაქირავებული შინამოსამსახურეების მიერ (მზარეულების, მებაღეების, მძღოლების);

– ბინის მესაკუთრეების მიერ საკუთარი საცხოვრისის (მინის) გამოყენების ღირებულება.

ეას-ის თანახმად, წარმოება იყოფა საბაზრო და არასაბაზრო წარმოებად.

საბაზრო წარმოება განსაზღვრულ პერიოდში შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- გაყიდული საქონლისა და მომსახურების ღირებულება, ეკონომიკურად ნიშნად ანუ ისეთ ფასებში, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოცემული საქონლის მოთხოვნა-მიწოდებაზე;
- საქონლის და მომსახურების საერთო ღირებულება, რომელიც მომხმარებლებზე მიეწოდება ნატურალური გაცვლის (ბარტერის) სახით;
- საქონლის და მომსახურების ღირებულება, რომელსაც დამქირავებელი უხდის თავის მუშაკს შრომის ანაზღაურების ნატურის სახით;
- ერთი და იგივე საბაზრო საწარმოს ფარგლებში ერთი დაწესებულების მიერ მეორისათვის გადაცემული საქონლისა და მომსახურების ღირებულება, რომელიც გათვალის-წინებულია შუალედურ რესურსად;
- გასაყიდად გამიზნული მზა პროდუქციისა და დაუმ-

თავრებელი წარმოების მარაგების ცვლილების საერთო ღირებულება.

არასაბაზრო წარმოება შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- საანგარიშო პერიოდში წარმოებული საქონელი და გაწეული მომსახურება გამოყენებული საწარმოს საკუთარი საბოლოო მოხმარებისათვის ან ძირითადი კაპიტალის დაგროვებისათვის;
- შინამეურნეობების და არასაბაზრო მწარმოებლების მიერ საკუთარი შენობების საკუთარი მოხმარებისათვის გამოყენება;
- მოცემული პერიოდის მანძილზე წარმოებული საქონელი და მომსახურება, რომელიც სხვა ინსტიტუციურ ერთეულებს გადაეცათ უფასოდ; მთლიანად საზოგადოებისათვის შეთავაზებული კოლექტიური მომსახურების ჩათვლით.
- მწარმოებლის მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგებში მიმართული არასაბაზრო გამოყენებისათვის წარმოებული მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება.

ეას-ში წარმოების სფეროში არ შედის ცვლილება, რომელიც მიმდინარეობს გარემოში ბუნებრივი პროცესების შედეგად (მაგ., ნავთობის, ქვანახშირის და სხვა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ამოწურვა, ჰაერის და წყლის დაბინძურება და ა.შ.). ხოლო საქმიანობა, რომელიც მიმართულია გარემოს დაცვაზე და გაზომვას ექვემდებარება, მთლიან შიდა პროდუქტში აღირიცხება.

მშპ-ში არ აღირიცხება ზღვაში თევზის ბუნებრივი მატება, რადგანაც არც ზღვა და არც თევზი არ ეკუთვნის არცერთ ინსტიტუციურ ერთეულს და ამდენად არ განიხილება

არც პროდუქციის წარმოების საზღვრებში და არც მაკრო-მაჩვენებლებში. რაც შეეხება თევზის მეურნეობაში გამრავლებულ თევზს, იგი შეიტანება პროდუქციის შემადგენლობაში. ანალოგიურად შეიძლება განვიხილოთ გარეული ტყის მცენარეებისა და შინაური ნაყოფისმომცემი მცენარეების, გარეული ცხოველებისა და შინაური ცხოველების მოშენების საკითხები და ა.შ.

ეას-ის თანახმად, ეკონომიკურ წარმოებაში ალირიცხება დაუკვირვებადი ეკონომიკა, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ჩრდილოვან წარმოებას, უკანონო წარმოებას და წარმოებას არაფორმალურ სექტორში.

ეკონომიკური წარმოების მოცულობაში არ შეიტანება აქტივების უბრალოდ ფლობა, მაშინაც კი თუ, მაგალითად, ინფლაციის ხარჯზე ხდება მათი ღირებულების ზრდა.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეორე მნიშვნელოვანი კონცეფცია, რომელზედაც დაფუძნებულია შემოსავლების ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშება, ასახავს ***„შემოსავლების“*** კატეგორიის ეკონომიკურ თეორიულ შინაარსს. იგი შეიმუშავა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯ. ხიკსმა. ამ კონცეფციის თანახმად, ***შემოსავალი*** წარმოადგენს ფულის მაქსიმალურ რაოდენობას, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების შეძენაზე დაგროვების ფონდის (ძირითადი და საბრუნავი ფონდების, ფასეულობების და ა.შ.) შემცირების გარეშე.

ასე მაგალითად, ზემოაღნიშნული თვალსაზრისით, შემოსავლად არ ითვლება თანხა, რომელიც გამყიდველმა მიიღო თავისი სახლის ან ავტომობილის გაყიდვის შედეგად. მართალია, მოცემული თანხის გამოყენება მის მეპატრონეს შეუძლია სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების შესაძენად, მაგრამ ამით მცირდება მისი აქტივები. ამდენად მოცემული ეკონომიკური ოპერაციის შედეგად მატერიალუ-

რი აქტივები (ავტომობილი, სახლი) შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივებით (დეპოზიტი).

ეას-ში ზემოაღნიშნული ეკონომიკური თეორიის კონცეფციების გვერდით გამოიყენება მონაცემთა დამუშავებისა და მოწესრიგების ისეთი მნიშვნელოვანი პოსტულატები, როგორიცაა:

ნაკადები და მარაგები. ნაკადები დროის გარკვეულ პერიოდში სხვადასხვა პროცესების სიდიდის მახასიათებელი მაჩვენებელია. მას მიეკუთვნება წარმოება, საქონლის შეძენა, ხელფასის გაცემა და სხვა. ***მარაგები*** ამა თუ იმ თარიღისათვის არსებული რესურსების მახასიათებელი მაჩვენებელია. მას ეკუთვნის ძირითადი კაპიტალის მოცულობა პერიოდის დასაწყისისათვის და ა.შ. ნაკადებისა და მარაგების სიდიდეების ცვლილება ერთმანეთზეა დამოკიდებული.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ცალ-ცალკე ცხრილებსა და ანგარიშებში ასახავენ, ერთის მხრივ, ***საქონლისა და მომსახურების*** მოძრაობას და მეორეს მხრივ, ***შემოსვლების მოძრაობას.***

ეას-ში ერთმანეთისაგან ანსხვავებენ ***საბოლოო*** და ***შუალედურ*** პროდუქციას. საბოლოო პროდუქცია ეს ისეთი პროდუქციაა, რომელიც გამოიყენება საბოლოო მოხმარებაზე ან ექსპორტზე. შუალედური პროდუქცია მოიცავს წარმოებაში დახარჯულ შრომის საგნებს: ნედლეულს, მასალას, სათბობს, ენერგიას და ასევე საწარმოო ხასიათის მომსახურებას. საბოლოო პროდუქციასა და შუალედურ პროდუქციას შორის განსხვავების დადგენა აუცილებელია ეკონომიკური საქმიანობის შეფასებისას განმეორებითი აღრიცხვის თავიდან აცილების მიზნით.


ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებისას განმეორებით აღრიცხვის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია საქონლის წარმოებისა და მომსახურების გაწევიდან მიღებუ-

ლი შემოსავლებისა და გადანაწილებისგან მიღებული შემოსავლების ურთიერთგამიჯვნა.

ეას-ში ეკონომიკური ოპერაციების შეფასება ხდება ***ფასების შემდეგი*** სისტემის მეშვეობით. საქონლისა და მომსახურების გამოყენება საწარმოო და საბოლოო მოხმარებაზე და დაგროვებაზე ფასდება ***საბოლოო მოხმარების*** ფასებით, რომელიც მოიცავს დღგ-ს, პროდუქტებზე სხვა სახის გადასახადებსა და სავაჭრო და სატრანსპორტო დარიცხვებს. ამდენად, ეას-ის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტი ფასდება ***საბოლოო მყიდველის*** ფასებით. საბოლოო მმყიდველის ფასს დაკლებული დღგ და სავაჭრო-სატრანსპორტო დარიცხვა მიიღება ***მწარმოებლის ფასი.***

ქვემოთ მოტანილ სქემაზე ასახულია ფასების ურთიერთკავშირი.

სქემა №1



ეას-ში პროდუქციის მთლიანი გამოშვება იანგარიშება მწარმოებელთა ფასებით ან ძირითადი ფასებით, თუმცა უპირატესობა ეძლევა ძირითად ფასებს.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შემდეგი კონცეფციაა ღირებულების შექმნაში წარმოების სხვადასხვა ფაქტორის

როლის განსაზღვრა. მოცემული კონცეფციის თანახმად, მინა (ბუნებრივი რესურსები) სამუშაო ძალა და კაპიტალი განიხილება როგორც ფაქტორები, რომლებიც მონა წილეობენ ღირებულების შექმნაში.

სავარჯიშოები

I. გააკეთეთ შესაბამისი კომენტარები ეკონომიკურ ტერიტორიასთან, შიდა და ეროვნულ ეკონომიკასთან დაკავშირებით:

1. 2007 წლის მანძილზე აფხაზეთის ტერიტორიაზე დამზადებული თხილის ღირებულება უნდა აღირიცხოს თუ არა საქართველოს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში;

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ დაკავებული თურქული სეინერის მიერ დაჭერილი თევზის ღირებულება ჩაირთვება თუ არა საქართველოს მაკრომაჩვენებლებში;

3. საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევით 2008 წლის აგვისტოში რუსული არმიის ავიაციით საქართველოს სამოქალაქო ობიექტების დაბომბვით მიყენებული ზარალი უნდა აღირიცხოს თუ არა საქართველოს მაკრომაჩვენებლებში;

4. ითვლება თუ არა საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაში საქართველოს საელჩოს მიერ დაკავებული ზონა აზერბაიჯანში;

5. საქართველოს შიდა ეკონომიკის მაჩვენებლებში შეიტანება თუ არა უკრაინაში მდებარე საქართველოს საკუთრებაში არსებული ღვინის ქარხნის მიერ წლის მანძილზე წარმოებული პროდუქცია;

6. ითვლება თუ არა საქართველოს ეკონომიკური ტერი-

ტორიის შემადგენლობაში თბილისში განლაგებული გაეროს ოფისის მიერ დაკავებული ტერიტორია;

7. საქართველოს ეროვნული ეკონომიკის მაჩვენებლებში უნდა აღირიცხოს თუ არა გერმანიის დედაქალაქ ბერლინში მდებარე რესტორნის ბრუნვის წლიური მაჩვენებლები, რომელიც საქართველოს მოქალაქეების საკუთრებაა.

II. ქვემოჩამოთვლილი საქმიანობის სახეებიდან, რომელი მიეკუთვნება წარმოებას ეას-ის მეთოდოლოგიით:

1. დიასახლისი აკონსერვებს სხვადასხვა ხილის კომპოტს თავიანთი სოფლის საკარმიდამოში მოწეული ხილისაგან საკუთარი ოჯახის საჭიროებისათვის;

2. ოჯახის უფროსი შვილებს ასწავლის ფორტეპიანოზე დაკვრას;

3. უფროსი და, პატარა ძმას ასწავლის ესპანურ ენას;

4. პირად საკარმიდამო ნაკვეთში დაქირავებული მუშის მიერ შესრულებული საგაზაფხულო თესვის სამუშაოები;

5. ოჯახის უფროსი არემონტებს საკუთარი სახლის სახურავს და წყლის გაყვანილობის სისტემას;

6. დაქირავებული მოსამსახურე ქალის მიერ ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით შესრულებული სამუშაოები. იგივე სამუშაოები, როცა ეს ქალი ხდება ოჯახის უფროსის ცოლი;

7. ერთ-ერთი შპს უკანონოდ ახდენს ნარკოტიკული ნივთიერებების ქვეყანაში შემოტანას და რეალიზაციას;

8. რეკეტიორები აკონტროლებენ შერეული საქონლით მოვაჭრე ბაზრობის საქმიანობას;

9. პურის ცხობის საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ საკუთარ მუშებზე ყოველდღიურად დარიგებული პურის ღირებულება, ხელფასის ნაწილის დასაფარავად;

10. 2008 წლის მანძილზე TBC ბანკის მიერ მიღებული პროცენტები გაცემული კრედიტებიდან.

III. ქვემოთ ჩამოთვლილი წარმოების სახეებიდან გააკეთეთ კომენტარი რომელი მიეკუთვნება საბაზრო წარმოებას და არასაბაზრო წარმოებას.

1. სილამაზის სალონის მიერ 2007 წლის მანძილზე მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების მოცულობა;

2. შერეული საქონლით მოვაჭრე ბაზრობებზე ინდივიდუალური მეწარმეების მიერ მომხმარებლებზე ყოველდღიურად გაყიდული საქონლის ღირებულება;

3. შპს. „ყაზბეგის" მიერ ყოველთვიურად გაყიდული ლუდის ღირებულება;

4. შპს. „ყაზტრანსგაზის" მიერ გაყიდული ბუნებრივი აირის ღირებულება;

5. 2007 წლის მანძილზე საზოგადოება „ავიამშენის" მიერ აგებული გაზის ქურების მწარმოებელი დანადგარები;

6. შპს „მაგთიკომის" მიერ 2008 წლის მანძილზე საკუთარი თანამშრომლების შრომის ანაზღაურების ნაწილის დასაფარავად დარიგებული სალაპარაკო ბარათები;

7. თბილისის მეტროპოლიტენის მიერ საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს-პარლამენტის არჩევნების დღეს უფასოდ გადაყვანილი მგზავრების ღირებულება;

8. დაქირავებული, ანაზღაურებადი, ძიძის მიერ, შინამეურნეობაში ბავშვის აღზრდისათვის გაწეული მომსახურება;

9. დაქირავებული მწყემსის მიერ შინამეურნეობის ფარგლებში პირუტყვის მოვლისათვის გაწეული მომსახურება;

10. პურის საცხობ საწარმოსა და წისქვილკომბინატს

შორის 2008 წლის მანძილზე პურის, ფქვილზე, ბარტერით გაცვლის ღირებულება;

11. დაქირავებული მუშების მიერ რთველის პერიოდში ყურძნის კრეფისა და ღვინის დამზადებისათვის შინამეურნეობების ფარგლებში გაწეული სამუშაოების ღირებულება;

12. შინამეურნეობის საკუთრებაში არსებული სახერხით 2008 წლის მანძილზე მოსახლეობის დაკვეთით შესრულებული ხის დამუშავების სამუშაოების ღირებულება;

13. შინამეურნეობის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის ნაწილის უცხოელ მოქალაქეებზე 2007 წლის მანძილზე მიქირავებით მიღებული შემოსავლის ღირებულება;

14. შინამეურნეობის საკუთრებაში არსებული ზეთის სახდელი მცირე საწარმოს მიერ 2008 წლის მანძილზე დამზადებული პროდუქციის რეალიზებით მიღებული შემოსავალი;

15. თევზის დაჭერა საკუთარი საჭიროებისათვის შინამეურნეობის ფარგლებში.

ტესტები

1. საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიად ითვლება:

ა) – ტერიტორია, რომელიც ადმინისტრაციულად იმართება საქართველოს მთავრობის მიერ;

ბ) – აგრეთვე ჩვენი ქვეყნის საჰაერო სივრცე, ტერიტორიული წყლები და საერთაშორისო წყლები, რომელთა გამოყენების უფლება აქვს საქართველოს;

გ) – აგრეთვე ტერიტორიული ანკლავები სხვადასხვა ქვეყნებში;

დ) – აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნების მიერ დაკავებული ტერიტორიული ანკლავები.

2. შიდა ეკონომიკა წარმოადგენს:

ა) – ისეთი ეკონომიკური ოპერაციების ნაკადებს, რომლებიც ხორციელდება არა მარტო მოცემული ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის შიგნით, არმედ მის გარეთაც;

ბ) – ისეთი ეკონომიკური ოპერაციების ნაკადებს, რომლებიც ხორციელდება მთლიანად მოცემული ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის ფარგლებში;

გ) – არც ერთი პასუხი არაა სწორი.

3.ეროვნული ეკონომიკა.

ა) – იდენტურია შიდა ეკონომიკის;

ბ) – მოიცავს შიდა ეკონომიკას;

გ) – არ მოიცავს შიდა ეკონომიკას.

4. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის თანახმად ეკონომიკური წარმოება მოიცავს:

ა) – საბაზრო წარმოებას;

ბ) – არასაბაზრო წარმოებას;

გ) – ორივეს ერთად.

5. ეას-ის თანახმად წარმოების სფეროში:

ა) – არ შედის ცვლილება, რომელიც მიმდინარეობს ბუნებრივი პროცესების შედეგად;

ბ) – შედის ცვლილებები, რომლებიც მიმდინარეობს ბუნებრივი პროცესების შედეგად;

გ) – არც ერთი პასუხი არაა სწორი.

6. ეას-ის თანახმად ეკონომიკურ წარმოებაში:

ა) აღირიცხება დაუკვირვებადი ეკონომიკა;

ბ) არ აღირიცხება დაუკვირვებადი ეკონომიკა;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

7. შემოსავლების კონცეფციის თანახმად:

ა) შემოსავლად არ ითვლება თანხა, რომელიც გამყიდველმა მიიღო თავისი სახლის ან ავტომობილის გაყიდვის შედეგად;

ბ) შემოსავლად ითვლება თანხა, რომელიც გამყიდველმა მიიღო თავისი სახლის ან ავტომობილის გაყიდვის შედეგად;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

8. ითვლება თუ არა ეკონომიკურ წარმოებაში დაქირავებული მოსამსახურე ქალის მიერ ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით შესრულებული სამუშაოები:

ა) ითვლება;

ბ) არ ითვლება;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

9. 2008 წლის მანძილზე კომერციული ბანკის მიერ მიღებული პროცენტები გაცემული კრედიტებიდან:

ა) არ ითვლება ეკონომიკურ წარმოებაში;

ბ) ითვლება ეკონომიკურ წარმოებაში;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

10. 2008 წლის მანძილზე ტყიბულის ქვანახშირის შახტის და ახალციხის მეკარტოფილეობის მეურნეობას შორის ქვანახშირის კარტოფილზე ბარტერით გაცვლის ღირებულება ითვლება:

ა) საბაზრო წარმოებაში;

ბ) არასაბაზრო წარმოებაში;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

1.3. ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში გამოყენებული ძირითადი კლასიფიკაციები და დაჯგუფებები

ეას-ის ერთ-ერთი იდეა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკური პროცესის საერთო სურათის დახასიათებისათვის ინფორმაციის მოწესრიგებაა, რისთვისაც გამოიყენება ეკონომიკური აგენტების კლასიფიკაციები და დაჯგუფებები.

ტერიტორიული ნიშნების მიხედვით ეკონომიკური აგენტების დაყოფა ხდება რეზიდენტებად და არარეზიდენტებად.

რეზიდენტები წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც ერთი წლით და მეტი ვადით არიან ეკონომიკური საქმიანობით დაკავებული მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე. რეზიდენტების განმარტებისას არა აქვს მნიშვნელობა ეკონომიკური აგენტები ვისი კაპიტალით (უცხოური თუ მოცემული ქვეყნის) კონტროლდება. რეზიდენტებად ითვლებიან აგრეთვე უცხოეთში მოღვაწე მოცემული ქვეყნის დიპლომატები, სტუდენტები, სამხედრო მოსამსახურეები, მათი იქ ყოფნის ვადების ხანგრძლივობის მიუხედვად.

არარეზიდენტები სხვადასხვაგვაროვანი ეკონომიკური აგენტების ჯგუფებია, რომლებიც თავს იყრიან ეკონომიკის განსაკუთრებულ სექტორში „დანარჩენი მსოფლიო". მათი საქმიანობა წარმოების ფაქტორების გამო ეას-ის მიხედვით აღიწერება მხოლოდ რეზიდენტებთან ურთიერთდამოკიდებულებაში.

რეზიდენტებისაგან ერთგვაროვანი ჯგუფების გამოყოფის მიზნით გამოვიყენოთ ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში მიღებული ეკონომიკური აგენტების ინსტიტუციურ სექტორებზე მიკუთვნების ცენტრალური კლასიფიკაცია. იგი აგებულია საქართველოში მოქმედი სამოქალაქო კოდექსისა და „მეწარმეთა შესახებ" კანონის გათვალისწინებით.

სქემა № 1

საკონსტიტუციო
ორგანოები
მწარმოებელი სუბიექტები
ქვედა სასამართლოს
(სააპელაციო)
ფინანსური
ადმინისტრაციული
ეკონომიკური
არაფინანსური
ქ. ბათუმი
ქ. ქობულეთი
ქ. ხელვაჩაური
ქ. ოზურგეთი
ქ. ჩოხატაური
ქ. ლანჩხუთი
საჯარო სამართლის
(არასამთავრო)
ადმინისტრაციული ორგანოების
ინფორმაციის მიმღები პირების
ნუსხა
ადმინისტრაციული ორგანოების
ინფორმაციის მიმღები პირების
ნუსხა
მოქმედი ფილიალები
წარმომადგენლობები

როგორც მოტანილი სქემიდან ჩანს, სექტორალური კლასიფიკაცია იწყება ეკონომიკური აგენტების დაყოფით მწარმოებელ და მომხმარებელ რეზიდენტებად.

მწარმოებელი რეზიდენტები შემდეგ იყოფა საბაზრო (კერძო სამართლის) და არასაბაზრო (საჯარო სამართლის) ეკონომიკურ აგენტებად. ფინანსური სუბიექტები მოიცავს ბანკებს, სადაზღვევო კომპანიებს, საინვესტიციო ფონდებს და სხვ. არაფინანსური კომერციული ეკონომიკური აგენტები შედგება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მიერ განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოებისაგან. ესენია: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება; კომანდიტური საზოგადოება; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი.

საჯარო სამართლის არასაბაზრო ეკონომიკური აგენტები იყოფა საჯარო სამართლებრივ და მათ მსგავს დაწესებულებებად. ასევე სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებად, რელიგიურ დაწესებულებებად, კავშირებად და ფონდებად.

ზემომოტანილი სქემა აყალიბებს ქვეყნის ეკონომიკური სუბიექტების განაწილებას 5 ინსტიტუციურ სექტორად. ესენია: შინამეურნეობები, სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები, საფინანსო კორპორაციები და კვაზიკორპორაციები და არასაფინანსო კორპორაციები და კვაზიკორპორაციები. განვიხილოთ თითოეული სექტორი ცალ-ცალკე.

შინამეურნეობების სექტორი მოიცავს რეზიდენტ შინამეურნეობებს. ყველა მათგანი ეას-ში მომხმარებლის სტატუსით განიხილება, მაგრამ ზოგიერთი მათგანი არაკორპორირებული საწარმოების სახით (ზეთსახდელები, სახერხები, წისქვილები და სხვა ტიპის მცირე საწარმოები.) ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. შინამეურნეობის უმეტესი ნაწილი სა-

ქართველოში დაკავებულია ღვინის და სხვა სახის ალკოჰოლური სასმელების ჩამოსხმით. მესაქონლეობითა და რძის პროდუქტების გადამუშავებით და ა.შ. ზემოაღნიშნული საქმიანობის სახეებით უპირველეს ყოვლისა ხდება შინამეურნეობების წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ჭარბი პროდუქტების ბაზარზე გაყიდვა.

ეას-ის 2008 წლის ვერსიის თანახმად, შინამეურნეობების თითოეული წევრი არ ითვლება დამოუკიდებელ ინსტიტუციურ ერთეულად, რადგანაც შინამეურნეობის აქტივების დიდი ნაწილი ამავე შინამეურნეობის კოლექტიური საკუთრებაა და მათი განკარგვა ხდება არა ინდივიდუალურად, არამედ კოლექტიურად. ამდენად, ინსტიტუციურ რგოლს წარმოადგენს შინამეურნეობა მთლიანად და არა მისი თითოეული წევრი ცალ-ცალკე.

სტატისტიკური ინფორმაციის ძირითადი წყარო შინამეურნეობების შემოსავლებსა და დანახარჯებზე ასახულია შინამეურნეობების ბიუჯეტებზე განხორციელებული სპეციალურად ორგანიზებული შერჩევითი სტატისტიკური დაკვირვების მასალებში. საქართველოში ასეთი სახის დაკვირვებით მოცულია 3351 შინამეურნეობა და მიღებული მასალები ყოველკვარტალურად ვრცელდება ქვეყნის შინამეურნეობების საერთო რაოდენობაზე.

სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორი დაკავშირებულია ქვეყნის მოსახლეობის არასაბაზრო ინდივიდუალური მომსახურების გაწევით ისეთ სფეროებში როგორიცაა: ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სოციალური უზრუნველყოფა, ხელოვნება. კოლექტიური ხასიათის არასაბაზრო მომსახურებით: სახელმწიფო მმართველობის, სახელმწიფო უშიშროების, თავდაცვისა და მართლწესრიგის და რიგ სხვა სფეროებში. მოცემულ სექტორში შემავალი სამინისტროების, უწყებების და სხვადასხვა აგენტების დაფი-

ნანსება ძირითადად ხორციელდება საბიუჯეტო სახსრებიდან. მოცემული სექტორის ძირითადი ფუნქციაა შემოსავლების გადანაწილება, არასაბაზრო წარმოება და არასაბაზრო წარმოების შეთავაზება.

სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორი ცენტრალური მთავრობის გარდა მოიცავს რეგიონალურ და ადგილობრივ მმართველობას. მოცემული სექტორის ინფორმაციული უზრუნველყოფის ძირითადი წყაროა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ბიუჯეტების სტატისტიკა.

შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების აგენტები არაკომერციულ მომსახურებას უწევენ შინამეურნეობებს უფასოდ და შეღავათიან ფასებში. შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები თავიანთ ხარჯებს აფინანსებენ შენატანების (საწევროების), შემოწირულობების და საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე.

შინამეურნეობის მომსახურე არაკომერციულ ორგანიზაციებს მიეკუთვნება პროფკავშირული, საზოგადოებრივი, პოლიტიკური, რელიგიური ორგანიზაციები და ა.შ.

„არაფინანსური კორპორაციების“ სექტორი მოიცავს ყველა სახის საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის რეზიდენტ არაფინანსურ ერთეულებს, რომლებიც დაკავებული არიან საბაზრო წარმოებისათვის საჭირო საქონლის გამოშვებითა და არაფინანსური მომსახურებით. ამ სექტორის ერთეულების რესურსები ყალიბდება საქონლისა და მომსახურების ბაზარზე გაყიდვით მიღებული სახსრებით. ცალკეულ შემთხვევაში, მათ თავიანთი დანახარჯების ნაწილის დაფარვა შეუძლიათ ქვეყნის ბიუჯეტიდან მიღებული სუბსიდიებით.

ამრიგად, მოცემულ სექტორში შედის: საქართველოს “მეწარმეთა შესახებ” კანონით განსაზღვრული ყველა ორგა-

ნიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, სახელმწიფო კორპორაციები და კვაზიკორპორაციები, საწარმოები, რომლებიც მთლიანად არიან უცხოური კაპიტალის კონტროლის ქვეშ, აწარმოებენ საქონელს და ეწევიან მომსახურებას მათი ბაზარზე გაყიდვის მიზნით, იმ ფასებში, რომლითაც ნაზღაურდება წარმოების ხარჯები და მიიღება მოგება.

ევროსტატის (ევროკავშირის სტატისტიკური სამსახური) განმარტებით ***საწარმო*** წარმოადგენს ყველაზე უფრო მცირე დამოუკიდებელ იურიდიულ ერთეულს, რომლის ფარგლებში პროდუქციის წარმოების მიზნით ხდება შრომისა და კაპიტალის ავანსირებული რესურსების გამოყენება, იგი ფლობს განსაზღვრულ ავტონომიას მიმდინარე საქმეების წარმართვაში, კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებაში, სტატისტიკური ანგარიშების წარდგენაში და ა.შ.

ეროვნულ ანგარიშთა ევროპული სისტემის (ევროკავშირის საბჭოს 1995 წ. დადგენილება) თანახმად, საწარმოთა სტატისტიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ***საწარმოს*** და ***საქმიანობის სახის ერთეულს***. აგრეთვე მათ ანალოგებს რეგიონალურ დონეზე: ***ადგილობრივ ერთეულს*** და ***საქმიანობის სახის ადგილობრივ ერთეულს***. სამომავლოდ სწორედ მოცემულ ჭრილში უნდა წარიმართოს სტატისტიკური აღრიცხვა ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოში ამჟამად ევროპული გაგებით სამართლებრივი ერთეული „იურიდიული პირი" შეიძლება განვიხილოთ, როგორც სტატისტიკური ერთეული-საწარმო. სწორედ, საწარმოთა მიხედვით მიმდინარეობს მეწარმეობაზე სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარება. თუმცა, სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2005 წლის შედეგებიდან მოყოლებული ინფორმაციას თხოულობს აგრეთვე ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულების მიხედვითაც.

ფინანსური კორპორაციების სექტორი შედგება კორ-

პორაციებისა და კვაზიკორპორაციებისაგან, რომლებიც ბაზარზე ფინანსური საშუამავლო მომსახურების გაწევით აღწევენ მოგების მიღებას. მოცემული სექტორი შედგება ისეთი სახის ინსტიტუციური ერთეულებისაგან, როგორიცაა: ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები, საინვესტიციო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები და ა.შ.

ამრიგად, ეკონომიკური აგენტები იყოფა ხუთ ინსტიტუციურ სექტორად, რაც აუცილებელია ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურის ანალიზისათვის. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სტანდარტის შესაბამისად ძირითადი ანგარიშების აგება გათვალისწინებულია ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორების მიხედვით, რაც ეხმარება მმართველობის შესაბამის ორგანოებს სათანადო გადაწყვეტილებების მიღებაში.

საქართველოში საწარმოთა დაჯგუფება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 1997 წლიდან ხორციელდება ***ეკონომიკური საქმიანობის სახეობათა ეროვნული კლასიფიკატორით,*** რომელიც მომზადებულია ევროპული სტანდარტების (NACE) ბაზაზე. ამჟამად საქართველოში მოქმედებს 2004 წლის დეკემბერში დამტკიცებული ეკონომიკურ საქმიანობათა სახეობების კლასიფიქატორის მეორე შესწორებული ვარიანტი. მოცემული კლასიფიკატორით ხდება საწარმოების ეკონომიკური საქმიანობის ნიშნის მიხედვით ინფორმაციული ნაკადების მოწესრიგება, ეროვნულ ანგარიშთა სისტემით გათვალისწინებული ქვეყნის მაკრომაჩვენებლების ფორმირება, აგრეთვე საწარმოთა რეგისტრაცია, სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარება, საგადასახადო რეგულირება, ლიცენზირება და ა.შ.

კლასიფიკატორი სტატისტიკაში – ობიექტების სისტემატიზი-რებული ჩამონათვალია, რომელთაგანაც თითოეულს მინიჭებული აქვს კოდი. მოცემული კოდი ცვლის ობი-

ექტის დასახელებას და მისი ამოცნობის საშუალებას წარმოადგენს. მოცემული ნიშნის ან ნიშნების მიხედვით ხდება საკლასიფიკაციო ჯგუფების ჩამოყალიბება და მათში ობიექტების გაერთიანება.

კლასიფიკატორებში მოვლენები და ობიექტები სისტემატურად ნაწილდება სექციებად, ქვესექციებად, ჯგუფებად, კლასებად და ა.შ. ასე მაგალითად, საქართველოს ეკონომიკურ საქმიანობათა ეროვნული კლასიფიკატორით სექცია D აღნიშნავს გადამამუშავებელ მრეწველობას, ქვესექცია DA – საკვებში პროდუქტების, სასმელებისა და თამბაქოს წარმოებას; 15.1 – ხორცის, წარმოების, გადამუშავების ჯგუფია; ხოლო 15.11–ხორცის წარმოების და კონსერვირების კლასია. მოცემულ კლასში ერთიანდება ისეთი სახის საქმიანობები, როგორიცაა: ახალი, გაცივებული ან გაყინული ხორცის წარმოება დაუნაწევრებლად ან დანაწევრებული სახით. საკვები ცხოველური ცხიმების გამოდნობა ან გასუფთავება და ა.შ.

კლასიფიკატორში მოცემული საკლასიფიკაციო ნიშნების მიხედვით ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების წარმოებას ის დანიშნულება გააჩნია, რომ იგივე ნიშნებით ხდება მაჩვენებლების წარმოება ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში, რაც საქართველოს ეკონომიკურ პარამეტრებს მათთან შესადარისს ხდის.

ამჟამად, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 2008 წლის ვერსიის მოთხოვნათა შესაბამისად გაეროს და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მიმდინარეობს ეკონომიკურ საქმიანობათა, პროდუქციის, მომსახურების და რიგი სხვა კლასიფიკატორების გადახედვა.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შემდეგი მნიშვნელოვანი კლასიფიკაციაა-***ეკონომიკური ოპერაციების კლასიფიკაცია.***

როგორც უკვე პირველ თავში აღვნიშნეთ ეკონომიკური ოპერაციები ეას-ში იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

- საქონლისა და მომსახურების მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციები (საქონლისა და მომსახურების სხვადასხვა მიზნებით წარმოება და გამოყენება);

- შემოსავლების მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციები (შემოსავლების განაწილება და გადანაწილება);

- ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ოპერაციები (ფინანსური აქტივების შეძენა, ფინანსური ვალდებულებების აღება. მაგალითად: კრედიტების აღება, მათი განაწილება და ა.შ).

ეას-ში დიდი მნიშვნელობა აქვს აქტივების ცვლილებების ანგარიშებში ასახვას.

მარაგები – ამა თუ იმ თარიღისათვის სახეზე მყოფი აქტივებია.

ეას-ში ასახულია ***აქტივების შემდეგი კლასიფიკაცია.***

I არაფინანსური აქტივები

1. წარმოებული აქტივები

1.1 მატერიალური აქტივები;

1.1.2 ძირითადი ფონდები;

1.1.3 მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგები;

1.2. არამატერიალური აქტივები (ძირითადი ფონდები)

1.2.1 სასარგებლო წიაღისეულის დაზვერვის ხარჯები.

1.2.2. კომპიუტერული ტექნიკის პროგრამული უზრუნველყოფა;

1.2.3. ლიტერატურისა და ხელოვნების, გასართობი ჟანრის ორიგინალური ნაწარმოებები;

1.2.4. სხვა არამატერიალური აქტივები.

2. არაწარმოებული აქტივები

2.1. მატერიალური აქტივები;

2.1.1 მიწა;

2.1.2 წიაღისეული;

2.1.3 გამოუყვანელი ბიოლოგიური რესურსები;

2.1.4 წყლის რესურსები;

2.2 არამატერიალური აქტივები;

2.2.1 პატენტები, საავტორო უფლებები, ლიცენზიები;

2.2.2 ხელშეკრულებები იჯარაზე;

2.2.3 გუდვილი;

2.2.4 სხვა არამატერიალური აქტივები.

II. ფინანსური აქტივები

1. მონეტარული ოქრო და სესხების სპეციალური უფლებები;
2. ნაღდი ფული და დეპოზიტები;
3. ფასიანი ქაღალდები (აქციების გარდა);
4. სესხები;
5. აქციები და სააქციონერო კაპიტალის სხვა ფორმები;
6. სადაზღვევო კომპანიების ტექნიკური რეზერვები;
7. დებიტორებისა და კრედიტორების სხვა ანგარიშები;
8. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

ყველა აქტივები (I+II)

აქტივების ღირებულების შეფასება ეას-ში ხდება დროის არა თუ იმ პერიოდში მოქმედ საბაზრო აღდგენით ფასებში ხოლო მათი რეგისტრაცია წარმოებს აქტივებისა და პასივების ბალანსებში.

ეას-ში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკლასიფიკაციო სისტემაა სახელმწიფო მართვის ორგანოების ***ხარჯების კლასიფიკაცია*** მათი დანიშნულების სახეების მიხედვით. განცალკევებულია ისეთი მუხლები როგორიცაა: საერთო მმართველობა, თავდაცვა, განათლება, ჯანდაცვა, რაც საშუალებას იძლევა სახელმწიფო მართვის ორგანოების მოხმარება დაიყოს კოლექტიურ და ინდივიდუალურ მოხმარებად.

შემდეგი კლასიფიკაცია ეას-ში მოიცავს **გადასახადებს,**

რომლებიც იყოფა მიმდინარე და კაპიტალური გადასახადებად. მათგან წარმოებასთან და იმპორტთან დაკავშირებული გადასახადები და შემოსავლებთან და საკუთრებასთან დაკავშირებული გადასახადებად. წარმოებასთან და იმპორტთან დაკავშირებული გადასახადები თავის მხრივ იყოფა ორ ჯგუფად: პროდუქტებზე გადასახადები და წარმოებასთან დაკავშირებული სხვა გადასახადები. ასეთი დაყოფა აუცილებელია პროდუქციის მთლიანი გამოშვების შეფასებისათვის. პროდუქტებზე გადასახადები (დამატებული ღირებულების გადასახადისა და იმპორტის გადასახადის გარდა) შედის დამატებული ღირებულების შემადგენლობაში. წარმოებასთან დაკავშირებული სხვა გადასახადები წარმოადგენენ დამატებული ღირებულების ელემენტს, განსაზღვრულს როგორც მწარმოებელთა ფასებში, ისე ძირითად ფასებში.

ამრიგად, მიმდინარე გადასახადები შედგება წარმოებასა და იმპორტზე გადასახადებისაგან და საკუთრებასა და შემოსავლებზე გადასახადებისაგან.

თავისთავად წარმოებასა და იმპორტზე გადასახადები კი შედგება პროდუქტებზე გადასახადების (დღგ, აქციზი და სხვა) და წარმოებაზე სხვა სახის გადასახადებისაგან (გადასახადები მიწაზე, შენობაზე, შრომის ანაზღაურებაზე, სატრანსპორტო საშუალებებზე და ა.შ).

საკუთრებასა და შემოსავალზე გადასახადები მოიცავს: მოგების გადასახადს, საშემოსავლო გადასახადს, წარმოებაში გამოუყენებელი საკუთრების გადასახადს.

კაპიტალურ გადასახადებს მიეკუთვნება გადასახადები შთამომავლობით, ჩუქებით მიღებულ საკუთრებაზე და კაპიტალის ოპერაციებთან დაკავშირებული სხვა გადასახადები.

ასეთია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის უმნიშვნელოვანესი კლასიფიკაციები და დაჯგუფებები.

სავარჯიშოები

1. განმარტეთ რას წარმოადგენს რეზიდენტების დეფინიცია და რითი განსხვავდება იგი არარეზიდენტებისაგან?

2. ააგეთ ეას-ში მიღებული ეკონომიკური აგენტების ინსტიტუციურ სექტორებზე მიკუთვნების ცენტრალური კლასიფიკაცია. განმარტეთ რა არსებითი განსხვავებაა კერძო სამართლის და საჯარო სამართლის სუბიექტებს შორის;

3. რა თავისებურებებით ხასიათდება შინამეურნეობების ინსტიტუციური სექტორი სხვა სექტორებთან შედარებით;

4. რა ძირითადი ფუნქციები გააჩნია სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორს. ჩამოთვალეთ მომსახურების ინდივიდუალური და კოლექტიური ხასიათის მომსახურების სფეროები, რომლებშიც ხდება მოცემული სექტორის ფარგლებში მოსახლეობის მომსახურების გაწევა;

5. დაასახელეთ შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების დაფინანსების წყაროები;

6. საფინანსო შედეგების მიღების თვალსაზრისით რა მსგავსებაა არასაფინანსო კორპორაციებსა და ფინანსურ კორპორაციებს შორის?

7. რა დანიშნულება აქვს ეას-ში საქართველოს ეკონომიკური საქმიანობის სახეობათა ეროვნულ კლასიფიკატორს?

8. ჩამოთვალეთ რამდენი და რა და რა სახის საწარმოო ერთეულები არსებობს ევროკავშირის 1995 წლის დადგენილების თანახმად;

9. დაახასიათეთ აქტივების კლასიფიკაცია ეას-ის მიხედვით;

10. დაახასიათეთ გადასახადების კლასიფიკაცია ეას-ის მიხედვით.

ტესტები

1. რეზიდენტის ცნებაში შედის:

ა) მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე ერთ წლამდე, ეკონომიკური საქმიანობით დაკავებული ეკონომიკური აგენტი;

ბ) მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე ერთი წლით, ეკონომიკური საქმიანობით დაკავებული ეკონომიკური აგენტი;

გ) მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე ერთი წლით და მეტი ვადით, ეკონომიკური საქმიანობით დაკავებული ეკონომიკური აგენტი.

2. საქართველოს კანონმდებლობით ფინანსური და არაფინანსური სანარმოების დაფინანსება ძირითადად ხდება:

ა) ქვეყნის ბიუჯეტიდან;

ბ) ქვეყნის ბიუჯეტიდან, მმართველობის ტერიტორიული ორგანოების ბიუჯეტიდან;

გ) საკუთარი პროდუქციის წარმოებითა და მომსახურების ბაზარზე გაყიდვით მიღებული შემოსავლებით.

3. ეას-ის 2008 წლის ვერსიის თანახმად შინამეურნეობის თითოეული წევრი:

ა) ითვლება დამოუკიდებელ ინსტიტუციურ ერთეულად;

ბ) არ ითვლება დამოუკიდებელ ინსტიტუციურ ერთეულად;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

4. სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორი დაკავებულია:

ა) კოლექტიური ხასიათის არასაბაზრო მომსახურებით;

ბ) ინდივიდუალური ხასიათის არასაბაზრო მომსახურებით;

გ) როგორც კოლექტიური ისე ინდივიდუალური ხასიათის საბაზრო მომსახურებით.

5. საქართველოში ამჟამად არაფინანსური კორპორაციების სექტორში სტატისტიკური აღრიცხვა მიმდინარეობს:

ა) იურიდიული პირი საწარმოების მიხედვით;

ბ) ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულების მიხედვით;

გ) როგორც იურიდიული პირი საწარმოების, ისე ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულების მიხედვით.

6. ეკონომიკური საქმიანობის სახეობათა ეროვნული კლასიფიკატორით ხდება:

ა) ეას-ით გათვალისწინებული ქვეყნის მაკრომაჩვენებლების ფორმირება;

ბ) საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის მახასიათებელი პარამეტრების შედარება საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების ანალოგებთან;

გ) ორივე პასუხი ერთად.

7. საქონლისა და მომსახურების მოძრაობის ოპერაციები მოიცავს:

ა) წარმოებასა და მოხმარებას;

ბ) ინვესტიციებს, ექსპორტსა და იმპორტს;

გ) ორივეს ერთად.

8. ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ოპერაციები მოიცავს:

ა) ფინანსური აქტივების შეძენას;

ბ) ფინანსური ვალდებულებების აღებას;

გ) ორივეს ერთად და სხვა ოპერაციებსაც.

9. ეას-ის ანგარიშებში ასახულია:

ა) არაფინანსური აქტივები;

ბ) ფინანსური აქტივები;

გ) ორივე ერთად დეტალური კლასიფიკაციით.

10. ეას-ის მიხედვით გადასახადები ჯგუფდება:

ა) გადასახადებად წარმოებასა და იმპორტზე;

ბ) გადასახადებად შემოსავლებსა და საკუთრებაზე;

გ) კაპიტალურ გადასახადებად;

დ) ყველა ჩამოთვლილ გადასახადებად.

თემა 2. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შექმნისა და ჩამოყალიბების ეტაპები

2.1. ეროვნული ანგარიშწარმოება მეორე მსოფლიო ომამდელ პერიოდში

როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეას) შეიქმნა 60-ზე მეტი წლის წინათ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკის რეგულირებისათვის. თუმცა ეკონომიკის სფეროში მოღვაწე მსოფლიოს ცნობილი მეცნიერები მაკროეკონომიკური მიმართულების პრობლემატიკის მეცნიერული კვლევებით დაკავებული იყვნენ ჯერ კიდევ 300 წლის წინათ. ამ მხრივ განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსნი არიან ინგლისელი მეცნიერები უ.პეტი და გ.კინგი. მათ პირველებმა გაიანგარიშეს ინგლისისა და საფრანგეთის ეროვნული შემოსავალი და ასეთი გათვლები საფუძვლად დაედო ეროვნული შემოსავლის სტატისტიკის ისტორიას, რომელიც მომავალში თანდათანობით ჩამოყალიბდა ეროვნულ ანგარიშთა სისტემად. უილიამ პეტიმ გამოიკვლია, თუ როგორი გავლენის მოხდენა შეეძლო ინგლისის ეკონომიკასა და შემოსავლების განაწილებაზე საგადასახადო სისტემის სრულყოფას.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ისტორიასთან დაკავშირებით საჭიროა გავიხსენოთ ფრანგი ეკონომისტი ფრანსუა კენე, რომელიც ფიზიოკრატების მეთაური იყო მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში. ფ.კენე თავის ნაშრომში „ეკონომიკური ცხრილი" შეეცადა წარმოედგინა საქონლისა და მომსახურების წრებრუნვის მახასიათებელი მდგომარეობა და ამით ცდილობდა დაეხასიათებინა მთლიანად ეკონომიკა. მოცემულმა ნაშრომმა კარლ მარქსის დადებითი შეფასება დაიმსახურა. ფ.კენეს შეხედულებებით მხოლოდ სოფლის მე-

ურნეობასა და მოპოვებით მრეწველობაში ხდებოდა ღირებულებების შექმნა რაც, რა თქმა უნდა, არ იყო სწორი.

მაკროეკონომიკური ანალიზის განხორციელებაში დიდი წვლილი შეიტანა კარლ მარქსმა, რომელმაც შეიმუშავა მარტივი და გაფართოებული კვლავწარმოების სქემები, რაც წარმოადგენდა მაკროეკონომიკური მოდელის შექმნის მცდელობას.

მეორე მსოფლიო ომამდელ პერიოდში მეცნიერების და სახელმწიფო მართვის ორგანოების დიდი ინტერესი ეროვნული შემოსავლის სტატისტიკის საკითხებისადმი გამოიწვია 1929-1933 წლების დიდმა ეკონომიკურმა დეპრესიამ და მის შედეგად წარმოშობილი არასასურველი მოვლენების (ინფლაცია, უმუშევრობა) წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო აუცილებელი ინფორმაციის არსებობამ. ჯ. კეინსი გახლდათ ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერი რომელმაც დაასაბუთა, რომ სახელმწიფო რეგულირებით შესაძლებელია საბაზრო ეკონომიკის დაბრუნება საწყისი თანაბარი განვითარების მდგომარეობაში. 1936 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი „პროცენტის, დასაქმებისა და ფულის ზოგადი თეორია", რომელშიც ჩამოაყალიბა ინფორმაციის ფორმირების ზოგიერთი პრინციპი, რომელიც საჭიროა მმართველობის ორგანოებისათვის მაკროეკონომიკური ანალიზისა და ეკონომიკის რეგულირებისათვის.

მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებით კეინსმა გამოაქვეყნა სტატია „როგორ დავაფინანსოთ ომი". მოცემულ სტატიაში მან ჩამოაყალიბა ეროვნული ანგარიშწარმოების მნიშვნელოვანი თეორიულ-მეთოდოლოგიური დებულებები. სტატიას თან დაურთო ინგლისის ეკონომიკის მახასიათებელი მნიშვნელოვანი ანგარიშები, რომლებიც ახასიათებდნენ მოცემული ქვეყნის ეკონომიკას 1938-1939 წლების მდგომარეობის მიხედვით.

შემდეგი ცნობილი ეკონომისტი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ჩამოაყალიბა ეროვნული ანგარიშწარმოების მნიშვნელოვანი პრინციპი, იყო ა. მარშალი. 1925 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი „ეკონომიკის პრინციპები", რომელშიც ასახული ეროვნული შემოსავლის განმარტების იმდროინდელი სქემა უმნიშვნელოდაა შეცვლილი ამჟამად.

მოგვიანებით ეროვნული ანგარიშწარმოების სისტემისა და ეროვნული შემოსავლის სტატისტიკის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ინგლისელმა მეცნიერმა კ.კლარკმა. კერძოდ, მან ჩამოაყალიბა ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებისათვის საჭირო ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორიცაა:

- საკუთარ საცხოვრისში მოქალაქეთა ცხოვრების შედეგად მიღებული მომსახურების პირობითი მოცულობის შეტანა ეროვნული შემოსავლის მოცულობაში;
- ეროვნული შემოსავლის მოცულობიდან ინფლაციის შედეგად მიღებული აქტივების ღირებულების მატების გამოთიშვა;
- ეროვნული ანგარიშების საბაზრო ფასებში გაანგარიშების უპირატესობის დასაბუთება ფაქტორულ ღირებულებასთან შედარებით;
- პირველმა მოახდინა ეროვნული პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის გამიჯვნა;
- დაასაბუთა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის კვარტალური პერიოდულობით წარმოების მიზანშეწონილობა.

ს. კუზნეცმა დააზუსტა რა არსებითი განსხვავებაა ეროვნულ სიმდიდრესა და ეროვნულ შემოსავალს შორის; განმარტება საბოლოო და შუალედური მოხმარების კონცეფციები. მას მიაჩნდა, რომ ეროვნულ შემოსავალში შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მხოლოდ ისეთი სა-

ხის მომსახურება, რომელსაც სარგებელი მოაქვს საზოგადოების წევრებისათვის, როგორც მათი საბოლოო მომხმარებლებისათვის. იგი ასეთი სახის მომსახურებად მიიჩნევდა: ჯანდაცვის, განათლების, კულტურის სფეროებში გაწეულ მომსახურებას. ისეთი სახის მომსახურება როგორიცაა: ქვეყნის თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და მმართველობა, ს. კუზნეცს მიაჩნდა შუალედური მოხმარების მომსახურებად და მისი აზრით ეს უკანასკნელი არ უნდა შესულიყო ეროვნული პროდუქტის (შემოსავლის) ღირებულებაში. ს. კუზნეცის მოცემული შეხედულება არ იქნა გათვალისწინებული ოფიციალური სტატისტიკისა და კერძოდ, ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების მეთოდიკაში და მიზანშეწონილად ჩაითვალა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ყველა სახის მომსახურება შეეტანათ ეროვნული შემოსავლის შემადგენლობაში.

ს. კუზნეცს დიდი დამსახურება მიუძღვის ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე ეროვნული შემოსავლის სამი მეთოდით გაანგარიშების პრინციპების შემუშავებაში. იგულისხმება წარმოების, განაწილებისა და გამოყენების მეთოდები. ყოველივე აღნიშნული მან გააშუქა სტატიაში: „სოციალურ მეცნიერებათა ენციკლოპედიისათვის“. მოცემულ სტატიაში იგი ასაბუთებდა, რომ ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების მეთოდი უნდა დაექვემდებაროს ეკონომიკური ანალიზის ინტერესებს. თუ ასეთის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი, უნდა გამოიყენონ წარმოების მეთოდით დათვლილი ეროვნული შემოსავალი.

ს. კუზნეცის განსაკუთრებულ დამსახურებად მიიჩნევენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ეროვნული შემოსავლის საბოლოო გამოყენების მეთოდის მიხედვით გაანგარიშების პრაქტიკის დანერგვას. ს. კუზნეცს ასეთი სახის წარმატებე-

ბისათვის ნობელის პრემია მიენიჭა.

ეროვნული შემოსავლის თეორიული და პრაქტიკული საკითხების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკელ სტატისტიკოსს მ.ჯილბერტს. 1941 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ეროვნული შემოსავლის გაზომვა ომთან დაკავშირებით", მას ჩამოყალიბებული აქვს რიგი დებულება, რომლის მიხედვითაც ერთმანეთისგან განსხვავდება ეროვნული შემოსავალი ფაქტორული ღირებულებით და საბაზრო ღირებულებით.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში აშშ-ში ეროვნულ ანგარიშთა სისტემის თეორიული და პრაქტიკული საკითხების პრობლემატიკით დაკავებულნი იყვნენ მ.ჯილბერტი, ე. დენისონი, და დ. იასსი.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის რუსული წარმომავლობის გამოჩენილ ამერიკელ მეცნიერს ვ.ლეონტიევს. მის სახელთანაა დაკავშირებული დანახარჯება-გამოშვების ბალანსის მეთოდის გამოგონება, რომლის საშუალებითაც იკვლევენ ეკონომიკის დარგებს შორის კავშირებს. იგივე მეცნიერს დიდი წვლილი მიუძღვის ისეთი მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებაში, როგორიცაა: მთლიანი გამოშვება, შუალედური მოხმარება და საბოლოო მოთხოვნა. ვ. ლეონტიევმა, რომელიც გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან ემიგრირებული იყო რუსეთიდან ამერიკაში, გამოიყენა საბჭოთა სტატისტიკაში არსებული გამოცდილება სახალხო მეურნეობის ბალანსის და ეკონომიკის დარგებს შორის არსებულ კავშირებთან მიმართებაში. მისი განსაკუთრებული დამსახურება გამოიხატა იმაში, რომ მან დარგთაშორისი კავშირების შესწავლას საფუძვლად დაუდო მათემატიკური მეთოდები და ამით შეისწავლა არა მარტო ფაქტობრივი, რეალური სიტუაცია, არამედ ასეთი მეთოდებით გააკეთა პროგნოზული გაანგარიშებები. გარდა ამისა,

მის მიერ შემუშავებული განტოლებები საფუძვლად დაედო მაკროეკონომიკურ გაანგარიშებებს ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენებით. დარგთაშორისი ბალანსის სფეროში განხორციელებული კვლევებისათვის ვ.ლეონტიევს მიენიჭა ნობელის პრემია ეკონომიკაში.

2.2. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ჩამოყალიბების მეორე ეტაპი დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. ეას-ის მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ სიახლედ უნდა განვიხილოთ ამ პერიოდისათვის ეას-თან ეკონომიკური სტატისტიკის რიგი ახალი ბლოკების ინტეგრაციის საკითხი. კერძოდ, ისეთი ინფორმაციული ბლოკებისა, როგორიცაა:

– ეროვნული სიმდიდრე;
– ფინანსური რესურსების მოძრაობა;
– დანახარჯები-გამოშვების ბალანსი;
– საგარეო ეკონომიკური კავშირები და ა.შ.

მეორე არსებითი სიახლე რაც ახლდა ეას-ის განვითარების მეორე ეტაპს ეს გახლდათ საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების (გაერო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) დაინტერესება ეას-ის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხებით. ამ დროიდან მოყოლებული საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები ამუშავებენ საერთაშორისო სტატისტიკურ სტანდარტებს, რომლებშიც აღწერილია უმნიშვნელოვანესი მაკრო-ეკონომიკური მაჩვენებ-

ლების საერთაშორისო დონეზე შეგროვებისა და შესადარისობის პრინციპები[1].

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის საერთაშორისო სტანდარტების შემოღება დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. კერძოდ, 1947 წელს ერთა ლიგის სტატისტიკოსი ექსპერტების სახელით რიჩარდ სტოუნის მოხსენებამ „ეროვნული შემოსავლისა და მომიჯნავე ნაერთი მაჩვენებლის განმარტება და გაანგარიშება“ განსაზღვრა ეროვნული შემოსავლისა და მთლიანი ეროვნული პროდუქტის გაანგარიშების წესი, აგრეთვე ეკონომიკური სისტემის ელემენტარული ოპერაციების დაჯგუფების შედეგად ანგარიშთა აგების მეთოდი, რომელიც გამოიყენებოდა სოციალური პროცესების ანალიზისათვის. რიჩარდ სტოუნის მიერ რეკომენდირებული 9 ცხრილი და მისი დანართები სულ შეადგენდა 24 ანგარიშს, ეფუძნებოდა მიმდინარე ოპერაციების ანგარიშთა საბაზო სტრუქტურას და კაპიტალის ოპერაციების ანგარიშებს. მოცემული ანგარიშები გათვალისწინებული იყო შემდეგი სექტორებისათვის: არაფინანსური საწარმოებისათვის, ფინანსური შუამავლებისათვის, სოციალური უზრუნველყოფისა და სადაზღვევო დაწესებულებებისათვის, საბოლოო მოხმარების სექტორი და დანარჩენი სამყარო.

1950 წელს გაეროს სტატისტიკურმა განყოფილებამ მოახერხა 41 ქვეყნისაგან მიეღო რამდენიმე წელზე შედგენილი ეას-ის შეფარდებითი მაჩვენებლები პუბლიკაციაში „ეროვნული შემოსავლის სტატისტიკა 1938-1948 წლებში“ შესატანად.

---

[1] ასეთი სახის დაინტერესება ჯერ კიდევ 1944-1945 წლებში გამოიჩინეს ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს და ჩრდილო ირლანდიის წარმომადგენლებმა, რომლებიც მსჯელობდნენ მონაცემთა საერთაშორისო შესადარისობის პრობლემებზე. CHC 93 TOM –1 XXXVII

ევროპაში ომისშემდგომ პერიოდში დიდ ინტერესს იჩენდნენ ევროპული სახელმწიფოების ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ და 1950 წელს ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ნაერთი მონაცემები თანამშრომლობაში შემავალი ქვეყნების მიხედვით. ასეთი პუბლიკაციის ერთ-ერთი მიზანი ეას-ის მონაცემთა შესადარისობის უზრუნველყოფა იყო.

1951 წელს ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის თხონით სტოუნმა მოამზადა მოხსენება „ეროვნულ ანგარიშთა გამარტივებული სისტემა".

1952 წელს „ეას-ის გამარტივებული სისტემა" შეიცვალა „ეას-ის სტანდარტული სისტემით".

1953 წელს სტოუნის ხელმძღვანელობით მომზადდა დოკუმენტი „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა და დამხმარე ცხრილები", რომელიც ითვლება გაეროს ეას-ის პირველ სტანდარტად.

1947 წლის სისტემისაგან განსხვავებით, 1953 წლის სისტემა ითვალისწინებდა განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებს. მოხსენებაში იყო მცდელობა ჩამოეყალიბებინათ საწარმოო ოპერაციების საზღვრების განმარტების წესები. გარდა ამისა, სტანდარტული 12 ცხრილიდან ერთ-ერთი ითვალისწინებდა განვითარებადი ქვეყნებისათვის არაფულადი ოპერაციების აღრიცხვას ეკონომიკის იმ სექტორში, რომელშიაც ასეთი სახის ოპერაციებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ეას-ის 1953 წლის ვერსიაში ყურადღებას იქცევს სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტთა მსჯელობა რიგი მეთოდოლოგიური საკითხების გარშემო. კერძოდ, პირველ თავში აღნიშნულია, რომ ეროვნული შემოსავლის და ეროვნული პროდუქტის საკითხების განხილვისას აუცილებელია სამომავლოდ სტატისტიკის ისეთი სფეროების დაკავშირება, როგორიცაა: გამოშვება-დანახარჯების, ფინანსური ნაკადების, აქტივები-

სა და პასივების ბალანსი, ფასების სტატისტიკა და სხვა. 1953 წლის მოხსენებაში განსაკუთრებულად იყო აღნიშნული, რომ ანგარიშები გამოითვლება მიმდინარე ფასებში და ჩაითვლება აუცილებლად მათი წარმოება სამომავლოდ მუდმივ ფასებში.

ეას-ის 1953 წლის ვერსია შეიცავდა მთლიანი ეკონომიკის მიხედვით შედარებით შეზღუდულ ანგარიშთა რაოდენობას, რომელთა ფარგლებში იანგარიშებოდა ისეთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, როგორიცაა: მთლიანი შიდა პროდუქტი, ეროვნული შემოსავალი, ეროვნული ინვესტიციები და ა.შ. ეას-ის 1953 წლის ვერსია არ ითვალისწინებდა ანგარიშებს ეკონომიკის ცალკეული სექტორების მიხედვით.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეორე სტანდარტი გაეროს ეკონომიკურმა კომისიამ მოიწონა 1968 წელს. მის მიღებამდე, 1965 წლიდან მოყოლებული დიდი ძალისხმევა ხორციელდებოდა ეროვნულ ანგრიშთა სისტემისა და სახალხო მეურნეობის ბალანსის ურთიერთშესაბამისობაში მოსაყვანად. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნებისათვის სახალხო მეურნეობის ბალანსის სტანდარტად გამოყენების მიზნით, გაეროს სტატისტიკურმა კომისიამ წინადადება წამოაყენა, რომ სახალხო მეურნეობის ბალანსის აღწერილობა გამოქვეყნებულიყო და გავრცელებულიყო.

ეას-ის 1968 წლის ვერსია 1953 წლის სტანდარტთან შედარებით პროგრესულად ითვლებოდა, რადგანაც ტრადიციულ საკითხებთან ერთად მასში გაშუქებული იყო მაკროეკონომიკური ინფორმაციის ისეთი ბლოკები, როგორიცაა: დარგთაშორისი კავშირების ბალანსი, ფინანსური რესურსების მოძრაობის მაჩვენებლები, ეროვნული შემოსავლის ბალანსი და სხვა. მოცემულ საერთაშორისო სტანდარტში მის წინა-

მორბედთან შედარებით ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ძირითადი ანგარიშები მოტანილი იყო არა მარტო ეკონომიკისათვის მთლიანად, არამედ მისი ხუთი ინსტიტუციური სექტორის მიხედვით. ეას-ის 1968 წლის სტანდარტი ითვალისწინებდა განვითარებადი ქვეყნებისათვის ეას-ის წარმოების მეთოდოლოგიურ მითითებებს, სადაც ასახული იყო ასეთი კატეგორიის ქვეყნების ეკონომიკის განვითარების სპეციფიკა.

ეას-ის 1968 წლის სტანდარტის ერთ-ერთი მოდიფიცირებული სისტემა ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიშების ევროპული სისტემა, რომელიც გაეროს სტანდარტთან შედარებით უფრო დეტალურად ახასიათებდა წარმოებისა და ფინანსების მაჩვენებლებს, შემოსავლების განაწილებასა და გადანაწილებას.

გაეროს ეკონომიკურმა კომისიამ 1993 წელს მოიწონა ეროვნულ ანგარიშთა ახალი სისტემა. მისი გადახედვის ძირითადი არსი მდგომარეობდა მოცემული სისტემის ეკონომიკური სტატისტიკის მომიჯნავე მიმართულებებთან შემდგომი დაახლოება და ჰარმონიზება. ასეთი მიმართულებებია: სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის სტატისტიკა, საგადამხდელო ბალანსი და სხვა. ეას-ის 1993 წლის ვერსიით გაფართოვდა მთლიანი შიდა პროდუქტის განმარტება. კერძოდ, ძირითადი ფონდების დაგროვებაში შეტანილი იქნა: გეოლოგიური საძიებო დანახარჯები, პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებათა შეძენა, ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ორიგინალური შეძენა. გარდა ამისა, დაგროვების ხარჯებში გაჩნდა ახალი სტატია „ფასეულობების წმინდა შეძენა“. აქ იგულისხმება ისეთი საგნები, რომლებიც ღირებულებას ინარჩუნებენ დიდი ხნის მანძილზე. ასეთი საგნებია: საიუველირო ნაწარმი, ანტიკვარიატი, ხელოვნების ნაწარმოებები და ა.შ.. ჩამოთვლილი ფასეულობები ისეთი თვისებების მა-

ტარებელია, რომელთა წყალობითაც ისინი დაცულია ინფლაციისაგან. ეას-93 წლის ვერსიაში დაზუსტდა მაღალი ინფლაციის პირობებში პროდუქციის გამოშვების შეფასების საკითხები, აგრეთვე სამხედრო ხარჯებისა და ფინანსური შუამავლების განმარტება.

ეას-93 წლის მიღებიდან თითქმის 15 წელი გავიდა და ეს დრო დასჭირდა ეას-93 წლის ვერსიის დანერგვას. ამასთან ერთად, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა თხოულობს მუდმივ განახლებასა და გაუმჯობესებას, რაც მომდინარეობს მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკაში მიმდინარე ახალი მოვლენებისა და პროცესების მოცემულ სისტემაში ასახვითა და ძველი მოვლენებისა და პროცესების შეფასების გათანამედროვებით. გაეროს წევრი ქვეყნების ევროპელ სტატისტიკოსთა ჟენევაში გამართულ კონფერენციაზე (2006 წლის 25-28 აპრილი) განისაზღვრა წინასწარი რეკომენდაციების სრული ჩამონათვალი, რომელიც კონფერენციას წარუდგინა ე. ჰარისონმა[1]. იგი წარმოადგენს ეას-ის განახლებული ვარიანტის ერთ-ერთ რედაქტორს. გარკვეული სახეცვლილებითაა შეტანილი ისეთი სახის საკითხები, როგორიცაა:

- არაფინანსური აქტივები;
- ფინანსური მომსახურება;
- ფინანსური ინსტრუმენტები;
- მთავრობა და სახელმწიფო სექტორი;
- დანარჩენი მსოფლიო;
- უკანონო და არაოფიციალური საქმიანობა;
- სხვა საკითხები.

---

[1] ე.ჰარისონი. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მუშაკებს ეხმარებოდა ეას-ის დანერგვის სამუშაოების შესრულებაში საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში

ეას-2008 წლის ახალი ვარიანტი მიღებულია 2009 წლის მარტში.

ასეთია ეას-ის აღმოცენებისა და ჩამოყალიბების მოკლე ისტორიული მიმოხილვა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მე-20 საუკუნის ოციან წლებში საბჭოთა კავშირში ცენტრალიზებული გეგმური მეურნეობის დახასიათებისა და ანალიზისათვის გამოიყენებოდა სახალხო მეურნეობის ბალანსის სისტემა. მას მეორენაირად მატერიალური ბალანსების სისტემას უწოდებდნენ, რადგანაც მის საფუძველზე გაანგარიშებული ეროვნული შემოსავალი არ მოიცავდა არამატერიალური მომსახურების (მმართველობა, მეცნიერება, ფინანსები, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, ხელოვნება და სხვა) სფეროებს. მიუხედავად ამისა, სახალხო მეურნეობის ბალანსის სისტემამ გარკვეული გავლენა მოახდინა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის განვითარებაზე. სახალხო მეურნეობის ბალანსის თეორიისა და პრაქტიკის საკითხების დამუშავებაში გარკვეული წვლილი მიუძღვით ისეთ ცნობილ მეცნიერ-ეკონომისტებს როგორიც იყვნენ: ა.პეტროვი, ვ.სობოლი, მ.ეიდელმანი და სხვები. ეას-ის და სახალხო მეურნეობის ბალანსის თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხების ურთიერთდაკავშირებით დაკავებული იყო პროფესორი იური ივანოვი.

საქართველოში ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლის გაანგარიშების პირველი შედეგები მოიპოვება „ამიერკავკასიის ეკონომიკური მოამბის“ 1924-1925 წლების ნომრებში. ასეთი სახის გაანგარიშებები ჩატარებულია 1922-1923 წლებზე. უფრო ადრეული პერიოდის, კერძოდ, 1913 წლის შედეგებზე პროფესორმა ვალერიან მელქაძემ გასული საუკუნის შუახანებში მოახდინა საქართველოს ეროვნული შემოსავლის გაანგარიშება. საქართველოს 1929-1932 წლების ეროვნული შემოსავლის დინამიკისა და სტრუქტურის ანალიზი

გადმოცემულია პროფ. ა. კაკაბაძის ნაშრომში „საქართველოს სახალხო შემოსავლის შესწავლისათვის"[1].

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო სახალხო მეურნეობის ბალანსის ელემენტების გაანგარიშება. კერძოდ, 1958 წლიდან ყოველწლიურად ანგარიშობდნენ მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის მოცულობას; 1960 წლიდან სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების ბალანსს; 1966 წლიდან, ხუთწლინადში ერთხელ დარგთაშორის ბალანსს; 1989 წლიდან დაიწყო ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშება.

ეროვნული ანგარიშწარმოებისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. 1992-1993 წლებში ჩატარდა ეას-ის კრებსითი ანგარიშების შედგენის პირველი საცდელი გაანგარიშებები ქვეყნის 1990-1992 წლების მონაცემების მიხედვით. 1990 წლიდან მოყოლებული ჩვენს ქვეყანაში უკვე სისტემატურად სრულდება ეას-ში შემავალი ძირითადი ანგარიშების დამუშავება. მათ შორის აღსანიშნავია: საქონლისა და მომსახურების გამოშვებისა და გამოყენების, წარმოების, შემოსავლების წარმოქმნის, მათი პირველადი განაწილებისა და გადანაწილების, შემოსავლების გამოყენებისა და კაპიტალის ანგარიშები. სწორედ მოცემული ანგარიშები უდევს საფუძვლად ქვეყანაში ეას-ის ისეთი ძირითადი აგრეგატების გაანგარიშებას, როგორიცაა: მთლიანი შიდა პროდუქტი, მთლიანი ეროვნული შემოსავალი, საბოლოო მოხმარება, ეროვნული დანაზოგები, მთლიანი დაგროვება, წმინდა დაკრედიტება, საქონლისა და მომსახურების საგარეო ვაჭრობის სალდო, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მიმდინარე ოპერაციების

[1] ნ. სულავა. ეროვნული ანგარიშწარმოების განვითარება საქართველოში. რესპ. კონფერენციის კრებული. თბ. 2006

სალდო და სხვა. ახლო მომავალში ეას-ში დასანერგია სრული პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები.

სახალხო მეურნეობის ბალანსისა და ეროვნული შემოსავლის საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული სამუშაოების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ხასიათის სამუშაოების შესრულებაში დიდი წვლილი მიუძღვით ოფიციალური სტატისტიკური ორგანოების ღვაწლმოსილ მუშაკებს: იოსებ არჩვაძეს, ნაზი სულავას, ნინო წერეთელს, ნანა ასლამაზაშვილს, რევაზ წაქაძეს. ეროვნული ანგარიშის სისტემის საქართველოში დანერგვის პროცესს მის საწყის ეტაპზე საერთო ხელმძღვანელობას უწევდა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თავჯდომარე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ ბასარია.

სავარჯიშოები

1. როდის და რა მიზნით შეიქმნა ეას-ი?

2. ჩამოთვალეთ მეცნიერები, ვინც ჯერ კიდევ 300 წლის წინათ იყვნენ დაკავებული მაკროეკონომიკური მიმართულების პრობლემატიკის მეცნიერული კვლევებით;

3. ფრანსუა კენეს შეხედულებების მიხედვით ეკონომიკის რომელ დარგებში ხდებოდა ღირებულების შექმნა და რამდენად სწორი იყო მისი ასეთი შეხედულება;

4. როგორია კარლ მარქსის დამსახურება მაკროეკონომიკური ანალიზის განხორციელებაში;

5. როგორია ჯონ კეინსის ხედვა მაკროეკონომიკური ანალიზისა და ეკონომიკის რეგულირების სფეროში;

6. ჩამოთვალეთ ა. მარშალის, კ. კლარკის და ს. კუზნეცის შეხედულებები ეროვნული შემოსავლისა და ეროვნული სიმდიდრის მაჩვენებლების გაანგარიშებებში;

7. რა დამსახურებისათვის მიანიჭეს ნობელის პრემია ვასილი ლეონტიევს?

8. როდის მიიღეს ეას-ის პირველი სტანდარტი და რა სახელწოდება ჰქონდა მას?

9. რა სახის განსხვავებები აღინიშნა ეას-ის 1968 წლის ვერსიაში, 1953 წლის ვერსიასთან შედარებით?

10. დაახასიათეთ ეას-ი 1993 წლის ვერსიის სიახლეები 1968 წლის ვერსიასთან მიმართებაში;

11. ჩამოთვალეთ ეას-ი 2008 წლის ვერსიით გათვალისწინებული ახალი საკითხები;

12. დაახასიათეთ ეროვნული ანგარიშწარმოების (სისტემის) განვითარება საქართველოში.

ტესტები

1. ეროვნული ანგარიშწარმოება (სისტემა) შეიქმნა:

ა) 300 წლის წინათ;

ბ) 60 და მეტი წლის წინათ;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

2. რომელმა მეცნიერმა გამოიკვლია ინგლისის საგადასახადო სისტემის სრულყოფის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე და შემოსავლების განაწილებაზე:

ა) ფრანსუა კენემ;

ბ) უილიამ პეტიმ;

გ) გ. კინგმა.

3. ფრანსუა კენეს მიხედვით საქონლის ღირებულების შექმნა ხდებოდა:

ა) გადამამუშავებელ მრეწველობასა და ვაჭრობაში;

ბ) სოფლის მეურნეობასა და მოპოვებით მრეწველობაში;

გ) ენერგეტიკასა და კავშირგაბმულობაში.

4. კ. მარქსის მიხედვით მაკროეკონომიკური მოდელის შექმნის მცდელობას წარმოადგენდა:

ა) მარტივი კვლავწარმოების სქემები;

ბ) გაფართოებული კვლავწარმოების სქემები;

გ) ორივე ერთად.

5. ჯ. კეინსმა ეროვნული ანგარიშების წარმოების მნიშვნელოვანი თეორიულ-მეთოდოლოგიური დებულებები ჩამოაყალიბა ნაშრომში:

ა) „პროცენტის, დასაქმებისა და ფულის ზოგადი თეორია“;

ბ) „როგორ დავაფინანსოთ ომი“;

გ) „ეკონომიკური ცხრილი“.

6. ა. მარშალის რომელი ნაშრომის მიხედვითაა გაშუქებული ეროვნული ანგარიშების გაანგარიშების პრინციპები, რომლის მიხედვითაც ეროვნული შემოსავლის განმარტების სქემა უმნიშვნელოდაა შეცვლილი ამჟამად:

ა)„სოციალურ მეცნიერებათა ენციკლობედიისათვის“;

ბ) „ეროვნული შემოსავლის გაზომვა ომთან დაკავშირებით“;

გ) „ეკონომიკის პრინციპები“.

7. ვასილი ლეონტიევს ნობელის პრემია მიანიჭეს:

ა)ეროვნული შემოსავლის და ეროვნული სიმდიდრის ცნებების განმარტებისათვის;

ბ)დარგთაშორისი ბალანსის სფეროში განხორციელებული კვლევებისათვის;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

8. გაეროს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის პირველი სტანდარტი მიიღეს:

ა) 1997 წელს;

ბ) 1952 წელს;

გ) 1953 წელს.

9. გაეროს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეორე სტანდარტი მიიღეს:

ა) 1960 წელს;

ბ) 1968 წელს;

გ) 1970 წელს.

10. გაეროს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ბოლო სტანდარტს წარმოადგენს:

ა) ეას-ის 1993 წლის ვერსია;

ბ) ეას-ის 2008 წლის ვერსია;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

თემა 3. წარმოების ანგარიში და მისი ძირითადი ელემენტები

3.1. წარმოების ანგარიშის ზოგადი დახასიათება

წარმოების ანგარიში ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ერთ-ერთი საწყისი და პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ანგარიშია.

როგორც უკვე პირველ თემაში აღინიშნა ეას-ის მიხედვით წარმოება განიხილება, როგორც ინსტიტუციური ერთეულის პასუხისმგებლობით, კონტროლით და მმართველობით განხორციელებული ფიზიკური პროცესი, რომელშიც შრომა და აქტივები გამოიყენება საქონლისა და მომსახურების მისაღებად.

წარმოების ანგარიშის რესურსების ნაწილში (მარჯვენა მხარეს) ნაჩვენებია პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელი. იგი სასურველია დაიყოს არასაბაზრო და საბაზრო წარმოებად, რაც ეკონომიური ანალიზის უკეთ განხორციელების საშუალებას იძლევა.

ანგარიშის მარცხენა მხარეს (რესურსების გამოყენება) ასახულია შუალედური მოხმარება და ძირითადი კაპიტალის მოხმარება.

დამატებული ღირებულება, რომელიც წარმოადგენს მოცემული ანგარიშის მაბალანსებელ მუხლს, იანგარიშება, როგორც ***მთლიანი*** დამატებული ღირებულების სახით (პროდუქციის გამოშვებას აკლდება შუალედური მოხმარება), ისე, ***წმინდა*** დამატებული ღირებულების სახით (პროდუქციის გამოშვებას აკლდება შუალედური მოხმარება და ძირითადი კაპიტალის მოხმარება). წარმოების ანგარიშის სქემა ასეთნაირად გამოიყურება:

წარმოების ანგარიში

სქემა № 3

გამოყენება	რესურსები
2. შუალედური მოხმარება 3. მთლიანი დამატებული ღირებულება (1-2)	1. პროდუქციის მთლიანი გამოშვება
გამოყენება სულ	**რესურსები სულ**

წარმოების ანგარიშის სქემა საქართველოში 2002-2007 წლებში წარმოდგენილია ქვემოთ მოტანილ ცხრილში:

ცხრილი№2

წარმოების ანგარიში[1] (მიმდინარე ფასებში მლნ. ლარი)

	2003	2004	2005	2006	2007	2008
რესურსები						
გამოშვება საბაზო ფა-სებში	13484,0	15033,7	17443,5	20525,7	25236,9	28318,8
გადასახადები პროდუქციასა და იმპორტზე	578,3	892,1	1397,3	1800,6	2454,3	2639,3
სუბსიდიები პროდუქციასა და იმპორტზე(-)	56,1	57,3	60,8	57,6	71,6	86,3
სულ	14006,2	15868,4	18780,0	22268,8	27619,6	30871,8
გამოყენება						
შუალედური მოხმარება	5442,1	6044,1	7159,0	8478,9	10625,8	11796,9
მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში	8564,1	9824,3	11620,9	13789,9	16993,8	19074,9
სულ	14006,2	15868,4	18780,0	22268,8	27619,6	30871,8

1. სტატისტიკური კრებული „საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2008". ინტერნეტი www.statistics.ge

პროდუქციის გამოშვებისა და სხვა მაკრომაჩვენებლებში ეას-ი 1993 წლის ვერსიის თანახმად, იანგარიშება დაუკვირებადი ეკონომიკა. რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ე.წ. ჩრდილოვან წარმოებას, უკანონო წარმოებას და წარმოებას არაფორმალურ სექტორში. ბუნებრივია, ასეთი სახის საქმიანობა აკრძალულია კანონით, მაგრამ თუ მაინც ადგილი აქვს ასეთი ანომალური სახის ქმედებას, როცა მაგალითად, აწარმოებენ ან ყიდიან ნარკოტიკებს, აწარმოებენ ჩვეულებრივ პროდუქციას. ფარულად ეწევიან მომსახურებას, მაგრამ მის ნაწილს აჩვენებენ ოფიციალურ ანგარიშგებაში. ე.ი ადგილი აქვს ფარულ დასაქმებას, დამატებული ღირებულების შექმნას და ა.შ.. ბუნებრივია, საჭიროა ასეთი ანომალური სახის საქმიანობის გამოვლენა სტატისტიკური დაკვირვების სპეციალური მეთოდებით შეფასება და მათი აღრიცხვა ქვეყნის მაკრომაჩვენებლებში.

3.2. პროდუქციის მთლიანი გამოშვების შეფასების მეთოდოლოგია

მთლიანი გამოშვების შეფასება ხორციელდება საწარმოთა სტატისტიკის საფუძველზე. „საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის" კითხვარის თანახმად პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელში შედის:

- რეალიზებული პროდუქციის მოცულობა დარიცხული ღირებულებით, მიმდინარე ფასებში, დღგ-სა და აქციზის გარეშე.

ვაჭრობაში, საშუამავლო საქმიანობაში, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის მიწოდებაში პროდუქციის გამოშვება განისაზღვრება საწარმოს მიერ რეალიზებული საქონლის (მომსახურების) და მისი ნასყიდობის (შეძენის) ღი-

რებულებებს შორის სხვაობით;

- ბარტერით გაცვლილი პროდუქცია;

- შრომის ნატურალური ანაზღაურების სახით გაცემული პროდუქცია;

- უსასყიდლოდ გაცემული პროდუქცია;

- სხვა გაცემები ნატურალური ფორმით;

საკუთარ ძირითად კაპიტალში შესული საკუთარი წარმოების პროდუქცია;

- მზა პროდუქციის მარაგების ცვლილება (მატება+) კლება(–);

- დაუმთავრებელი წარმოების მოცულობის ცვლილება (მატება+) კლება(–);

- შემოსავლები ქონების იჯარით გაცემიდან, დღგ-ს გარეშე;

- სხვა საოპერაციო შემოსავლები.

საქართველოში მთლიანი გამოშვებისა და მის შემადგენლობაში შემავალი ზემოაღნიშნული კომპონენტების გაანგარიშება 1990 წლიდან მოყოლებული, როდესაც სტატისტიკის დეპარტამენტმა „ტასისის" პროექტის ფინანსური მხარდაჭერით ჩაატარა ფართომასშტაბიანი, საცდელი სტატისტიკური გამოკვლევა, წარმოებს ***დარიცხვის მეთოდის გამოყენებით***[1].

მთლიანი გამოშვება არის საანგარიშო პერიოდში გამოშვებული ყველა საქონლისა და მომსახურების ღირებულება.

მთლიანი გამოშვების გაანგარიშების მეთოდები შესამჩნევად განსხვავებულია ეკონომიკის სხვადასხვა სექტორისა

[1] დარიცხვის მეთოდის შესაბამისად ეკონომიკური ოპერაციების ანგარიშებში ასახვა წარმოებს მათი მოხდენის მომენტის მიხედვით. CHC-93. T-1

და დარგებისათვის. ასე მაგალითად, ჩვენს მიერ ზემოთ შემოთავაზებული პროდუქციის გამოშვების კომპონენტები გათვალისწინებულია ***არასაფინანსო კორპორაციებისა და კვაზიკორპორაციების*** სექტორისათვის. მთლიანი გამოშვება მოცემული სექტორისათვის შეიძლება გამოვსახოთ ფორმულით

$$P = R + S \qquad (1).$$

P – მთლიანი გამოშვებაა;

R – რეალიზებული საქონლის და მომსახურების ღირებულებაა;

S – არარეალიზებული მზა პროდუქციის მარაგების, დაუმთავრებელი წარმოების მოცულობის ცვლილებაა.

არარეალიზებული მზა პროდუქციის მარაგების ცვლილება კი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$S = S_1 - S_0,$$

სადაც

S_1 – მარაგების ღირებულებაა პერიოდის ბოლოსათვის;

S_0 – მარაგების ღირებულება პერიოდის დასაწყისისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში, მიღებული წესის თანახმად, მთლიანი გამოშვება უნდა შეფასდეს წარმოების მომენტში არსებული ფასით და არა პროდუქციის რეალიზაციის მომენტისათვის არსებული ფასებით. ინფლაციის მაღალი ტემპების დროს ამ ფასებს შორის სხვაობა შეიძლება დიდი იყოს. იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ გამოშვების შეფასება წარმოების მომენტში არსებული ფასებით, ეას-ში რეკომენდირებულია მზა პროდუქციის მარაგების ცვლილება გამოითვალოს შემდეგი ფორმუ-

ლით:

$$S_1 = L - M \qquad (2),$$

სადაც, L - მარაგებში გადასული პროდუქციის ღირებულებაა მარაგებში შესვლის მომენტში, არსებულ ფასებში;

M – მარაგებიდან გამოსული საქონლის ღირებულებაა, საქონლის მარაგიდან ამოღების მომენტისათვის არსებულ ფასებში.

(1) ფორმულა არ გამოიყენება სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების მიერ გაწეული არასაბაზრო მომსახურების მთლიანი გამოშვების შეფასებისას. საქმე ისაა, რომ ამ სექტორებისათვის ***მთლიანი გამოშვება განისაზღვრება*** როგორც წარმოებაზე ხარჯების (შუალედური მოხმარებისათვის საქონლისა და მომსახურების შეძენის, შრომის ანაზღაურების, წარმოებაზე სხვა გადასახადების, ძირითადი ფონდების მოხმარების) ჯამი.

(1) ფორმულა არ გამოიყენება აგრეთვე ***ფინანსური კორპორაციების*** მთლიანი გამოშვების გასაანგარიშებლად. ***ბანკების*** პროდუქციის მთლიანი გამოშვება განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$P = T_1 - T_0 \qquad (3),$$

სადაც,

P - ბანკების მთლიანი გამოშვებაა;

T_1 – ბანკების მიერ მიღებული პროცენტებია მოზიდული რესურსების განთავსებიდან;

T_0 – ბანკების მიერ თავისუფალი ფინასური რესურსების მოზიდვისათვის გადახდილი პროცენტებია.

სადაზღვევო კომპანიების მთლიანი გამოშვება გამო-

ითვლება ფორმულით:

$$P = R - K + Q - N \qquad (4),$$

სადაც,

P – სადაზღვევო კომპანიის მთლიანი გამოშვებაა;

R – სადაზღვევო კომპანიების მიერ მიღებული სადაზღვევო პრემიებია;

K – სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემული სადაზღვევო ანაზღაურებაა;

Q – სადაზღვევო კომპანიების მიერ ინვესტირებული სადაზღვევო ტექნიკური რეზერვებიდან მიღებული პროცენტებია;

N – სადაზღვევო ტექნიკური რეზერვების მატებაა.

ასეთია მთლიანი გამოშვების გაანგარიშების ძირითადი წესები ეკონომიკის სხვადასხვა დარგისა და სექტორისათვის.

3.3. შუალედური მოხმარების ელემენტების განსაზღვრა

შუალედური მოხმარება შედგება იმ საქონლისა და მომსახურების ღირებულებისაგან, რომელიც მთლიანად მოიხმარება წარმოების პროცესში.

ისე, როგორც მთლიანი გამოშვების, შუალედური მოხმარების ოპერაციებიც აღირიცხება დარიცხვის წესით. შუალედურ მოხმარებაზე მონაცემები განისაზღვრება საწარმოების და სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემებით (სახელმწიფო მართვის ორგანოებისათვის.)

შუალედურ მოხმარებაში შედის:

1 რეალიზებული საქონლის (მომსახურების) ნასყიდობის ღირებულება;

2 ნედლეული და მასალა, ნაყიდი მაკომპლექტებელი ნაწარმი და ნახევარფაბრიკატები;
3 სათბობი, საწვავი;
4 ელექტრო და თბოენერგია;
5 გარე ორგანიზაციების ან ფიზიკური პირების მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება;
6 საიჯარო ქირა;
7 წარმომადგენლობითი ხარჯები (სტუმრების მიღება, მიღების ორგანიზება და ა.შ.);
8 მივლინების ხარჯები.

შინამეურნეობების, სახელმწიფო მართვის ორგანოების, ფინანსური დაწესებულებების და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციებისათვის შუალედური მოხმარება განისაზღვრება დანახარჯების წილის მიხედვით (ან მთლიან გამოშვებაში) ექსპერტული შეფასების გზით.

შუალედური მოხმარების შეფასება იანგარიშება ***მყიდელის ფასების მიხედვით,*** დანახარჯების ელემენტების ფაქტობრივად შეძენის მომენტისათვის, რადგანაც შუალედური მოხმარების ელემენტები სწორედ ასეთი შეფასებით აისახება მთლიან გამოშვებაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ მთლიანი დამატებული ღირებულება ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ამსახველი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია. იგი წარმოების ანგარიშის მაბალანსებელი მუხლია. თუ მთლიანი გამოშვება შეფასებულია ძირითად ფასებში, (როცა ღირებულებას აკლდება პროდუქტებზე გადასახადი, მაგრამ მოიცავს სუბსიდიებს) ითვლება, რომ მთლიანი დამატებული ღირებულებაც ასევე შეფასებულია ძირითად ფასებში. როცა მთლიანი გამოშვება შეფასებულია საწარმოს ფასებში (პროდუქტებზე გადასახადის ჩათვლით და დამატებული ღირებულების გარეშე) პრო-

დუქტებზე სუბსიდიის გარეშე, მაშინ მთლიანი დამატებული ღირებულებაც შეფასებული იქნება საწარმოს ფასებში.

თუ ყველა ინსტიტუციური სექტორის მიხედვით მთლიან გამოშვებას დავუმატებთ პროდუქტებზე ყველა გადასახადების ჯამს და გამოვაკლებთ პროდუქტებზე სუბსიდიებს, მივიღებთ მთლიან შიდა პროდუქტს ძირითად ფასებში.

პროდუქტებზე გადასახადები როგორც წესი, რეზიდენტების მიერ წარმოებული ან გაყიდული პროდუქციისა და მომსახურების რაოდენობის პროპორციულად ამოიღება. იგივე წესი ვრცელდება პროდუქციის იმპორტზე. ამდენად, წარმოების ანგარიშში ისინი ერთად აისახებიან.

პროდუქტებზე სუბსიდიები ორი სახის არსებობს. პირველი, ესაა ცალკეული სახის პროდუქციაზე (ქვანახშირი, ყურძენი, საქალაქო ტრანსპორტით გადაყვანილი მგზავრობის საფასური და ა.შ.) ფასების განსხვავების ანაზღაურება ქვეყნის ბიუჯეტიდან და მეორე სახის სუბსიდია უკავშირდება საწარმოების მიმდინარე ზარალის დაფარვას.

იმ შემთხვევაში თუ მთლიანი დამატებული ღირებულება შეფასებულია მწარმოებლის ფასებში მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება ასეთ სახეს მიიღებს:

ყველა ინსტიტუციური სექტორის მიხედვით მთლიანი დამატებული ღირებულების ჯამს თუ დავუმატებთ დამატებული ღირებულების გადასახადს და ასევე დავუმატებთ იმპორტზე გადასახადის ჯამს, იმპორტზე სუბსიდიის გამოკლებით, მივიღებთ მთლიან შიდა პროდუქტს.

როგორც ცნობილია, მთლიანი დამატებული ღირებულებიდან ძირითადი ფონდების მოხმარების გამოთიშვა გარკვეულ პრობლემასთან არის დაკავშირებული. ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებით ძირითადი ფონდების მოხმარება იანგარიშება ე.წ პირვანდელი ღირებულებით და არა აღ-

დგენითი ღირებულებით, როგორც ამას მოითხოვს ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. თუ სტატისტიკოსები ამ პრობლემის გადაწყვეტას შეძლებენ სხვადასხვა ხერხებით მათ შორის „უწყვეტი ინვენტარიზაციის'' მეთოდის გამოყენებით, მაშინ შესაძლებელი გახდება გაანგარიშებული იქნეს ეკონომიკური საქმიანობის ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლები, როგორიცაა წმინდა დამატებული ღირებულება და წმინდა შიდა პროდუქტი.

სავარჯიშოები

1. რას წარმოადგენს წარმოება ეას-ის მიხედვით;

2. ააგეთ წარმოების ანგარიშის სქემა, დაახასიათეთ რესურსებისა და გამოყენების ყველა შესაძლო ვარიანტები;

3. რა არსებითი განსხვავებაა დარიცხვის მეთოდსა და საკასო მეთოდს შორის;

4. ჩამოთვალეთ მთლიანი გამოშვების ელემენტები არასაფინანსო კორპორაციებისა და კვაზიკორპორაციებისათვის;

5. რა თავისებურებებით ხასიათდება პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები ვაჭრობაში, საშუამავლო საქმიანობაში, ელ.ენერგიისა და ბუნებრივი აირის მიწოდებაში;

6. რა სპეციფიკით ხასიათდება სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და შინა მეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების გამოშვების მაჩვენებელი;

7. რა თავისებურებები ახასიათებს ფინანსური კორპორაციების მთლიანი გამოშვების მაჩვენებლებს;

8. რით განსხვავდება სადაზღვევო კომპანიების მთლიანი გამოშვების მაჩვენებელი სხვა ინსტიტუციური სექტორების ანალოგიური მაჩვენებლებისაგან;

9. რას წარმოადგენს შუალედური მოხმარების დეფინი-

ცია და რა ელემენტებისაგან შედგება იგი არაფინანსური კორპორაციებისათვის;

10. როგორ ფასებში აღირიცხება შუალედური მოხმარება;

11. ააგეთ მშპ-ს გაანგარიშების სქემა მაშინ, როცა მთლიანი გამოშვება შეფასებულია საწარმოს ფასებში;

12. ააგეთ მშპ-ს გაანგარიშების სქემა ძირითად ფასებში.

მაგალითი 3.1

ვთქვათ, მოცემულია ეკონომიკის სექტორებზე შემდეგი მონაცემები (მლნ.ლარი):

	მთლიანი გამოშვება	შუალედური მოხმარება
1. არაფინანსური კორპორაციები საქონელმწარმოებელი სფერო	1505,1	802,1
არამატერიალური მომსახურების სფერო	136,3	46,2
2. ფინანსური კორპორაციები	5,2	0,5
3. სახელმწიფო დაწესებულებები საქონელმწარმოებელი სფერო	8,8	2,1
არამატერიალური მომსახურების სფერო	171,8	87,2
4. შინამეურნეობების მომსახურე საზოგადოებრივი ორგანიზაციები	6,2	3,1
5. შინამეურნეობები საქონელმწარმოებელი სფერო	87,7	34,4
არამატერიალური მომსახურების სფერო	9,4	2,2
6. ფინანსური შუამავლობის პირობით გაანგარიშებული ანაზღაურება	–	3,1

შენიშვნა: პროდუქტებზე წმინდა გადასახადები შეადგენს - 3,1 მლნ. ლარს; წმინდა გადასახადები იმპორტზე შეადგენს -62,2 მლნ. ლარს.

განსაზღვრეთ:

1. მთლიანი დამატებული ღირებულება ეკონომიკის სექტორების მიხედვით;

2. მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.

ამოხსნა:

1. მთლიანი დამატებული ღირებულება=1505,1+136,3+5,2+8,8+171,8+6,2+87,7+9,4–802,1– –46,2–0,5–2,1–87,2–3,1–34,4–2,2–3,1=949,6;

2. მშპ საბაზრო ფასებში=949,6–3,1+62,2=1008,7 მლნ. ლარი

მაგალითი 3.2. მოტანილ მონაცემების საფუძველზე განსაზღვრეთ არასაფინანსო კორპორაციებისათვის მთლიანი გამოშვების მაჩვენებელი

მაჩვენებლები	მლნ. ლარი
რეალიზებული პროდუქციის მოცულობა დღგ-სა და აქციზის გარეშე	3,0
ბარტერით გაცვლილი პროდუქცია	0,5
შრომის ნატურალური სახით გაცემული პროდუქცია	0,3
უსასყიდლოდ გაცემული პროდუქცია	0,1
საკუთარ ძირითად კაპიტალში შესული საკუთარი წარმოების პროდუქცია	0,8
მზა პროდუქციის მარაგების ცვლილება	0.2
დაუმთავრებელი წარმოების მოცულობის ცვლილება	0,3
შემოსავლები ქონების იჯარით გაცემიდან დღგ-ს გარეშე	1,0
ხვა საოპერაციო შემოსავლები	1,1

ამოხსნა:

მთლიანი გამოშვება=3,0+0,5+0,3+0,1+0,8+0,2+0,3+1.0+1.1= =7,3 მლნ. ლარი

მაგალითი 3.3.

მოტანილი მონაცემების საფუძველზე განსაზღვრეთ არასაფინანსო კორპორაციებისათვის შუალედური მოხმარების მაჩვენებელი.

მაჩვენებელი	მლნ. ლარი
რეალიზებულიო საქონლის ნასყიდობის ღირებულება	1,5
ნედლეული და მასალა, ნაყიდი მაკომპლექტებელი ნაწარმი, ნახევარფაბრიკატები	1,0
სათბობი, საწვავი	0,1
ელექტრო და თბოენერგია	0,5
გარე ორგანიზაციების ან ფიზიკური პირების მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება	0,1
დარიცხული ხელფასი და გასამრჯელო	0,7
სოციალური ანარიცხები	0,1
მიმდინარე წარმოებაში გამოყენებული ძირითად კაპიტალზე დარიცხული ცვეთა	0,1
წარმოების ხარჯებში შესული გადასახადები და მოსაკრებლები	0,8

ამოხსნა:

შუალედური მოხმარება=1,5+1,0+0,1+0,5+0,1+0,7+ +0,1+0,1+0,8=4,9 მლნ.ლარი

მაგალითი 3.4.

ქვანახშირის მომპოვებელი საწარმოების საქმიანობის მახასიათებელი მონაცემების საფუძველზე განსაზღვრეთ მთლიანი გამოშვების მაჩვენებელი

(მონაცემები პირობითია)

მაჩვენებლები	ათასი ლარი
რეალიზებული პროდუქციის მოცულობა დღგ-სა და აქციზის გარეშე	100
ბარტერით გაცვლილი პროდუქცია	10
საკუთარი ძალებით მიწისქვეშა ძირითადი კაპიტალის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები	5
ნახშირის მარაგები წლის დასაწყისისთვის	30
ნახშირის მარაგები წლის ბოლოსთვის	39
კომერციულ ბანკზე იჯარით გადაცემული შენობიდან მიღებული შემოსავალი	12

მაგალითი 3.5.

ღვინის ჩამოსხმით დაკავებული საწარმოების საქმიანობის მახასიათებელი მონაცემების საფუძველზე განსაზღვრეთ გამოშვების მაჩვენებლები

(მონაცემები პირობითია)

მაჩვენებლები	მლნ. ლარი
რეალიზებული პროდუქციის მოცულობა დღგ-სა და აქციზის გარეშე	550
საკუთარ თანამშრომლებზე ხელფასის სანაცვლოდ მიცემული ღვინის ღირებულება	0,5
ბარტერით გაცვლილი პროდუქცია	1,5
მზა პროდუქციის მარაგები წლის დასაწყისისათვის	1,7
მზა პროდუქციის მარაგები წლის ბოლოსათვის	2,0
დაუმთავრებელი წარმოების მოცულობა წლის დასაწყისისათვის	3,0
დაუმთავრებელი წარმოების მოცულობა წლის ბოლოსათვის	3,7
ღვინის უსასყიდლოდ გაცემა უცხოელ სტუმრებზე	0,5

მაგალითი 3.6.

სილამაზის სალონების მიერ მოსახლეობაზე გაწეული მომსახურების მახასიათებელი მონაცემების საფუძველზე განსაზღვრეთ გამოშვების მაჩვენებლები

(მონაცემები პირობითია)

მაჩვენებლები	მლნ. ლარი
მამაკაცის თმის შეჭრით მიღებული ბრუნვა	10
ქალის თმის დახვევით მიღებული ბრუნვა	3
ქალის თმის შეჭრით მიღებული ბრუნვა	12
ბავშვის თმის შეჭრით მიღებული ბრუნვა	2
ქალის თმის შელებვით მიღებული ბრუნვა	4
ქალის მანიკურითა და პედიკიურით მიღებული ბრუნვა	2
აღურიცხავი მომსახურების ბრუნვის მოცულობა სილამაზის სალონების სექტორში	60

მაგალითი 3.7.

მოტანილი მაჩვენებლების საფუძველზე გამოთვალეთ მშენებლობის გამოშვება

(მონაცემები პირობითია)

მაჩვენებლები	მლნ. ლარი
მოიჯარადე ორგანიზაციების მზა პროდუქციის ღირებულება	500
დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება წლის დასაწყისისთვის	50
წლის ბოლოსათვის	58
წარმოებული კაპიტალური რემონტის ღირებულება	300
ინსტიტუციური ერთეულების მიერ სამეურნეო წესით შესრულებული ახალი მშენებლობა სარეალიზაციოდ	56
მოსახლეობის მიერ განხორციელებული ინდივიდუალური ბინათმშენებლონის ღირებულება	400

მაგალითი 3.8.

განსაზღვრეთ ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიების გამოშვების მაჩვენებელი მოტანილი მონაცემების მიხედვით

(მონაცემები პირობითია)

მაჩვენებლები	მლნ. ლარი
ელექტროენერგიის რეალიზაციის მაჩვენებელი	120
ელექტროენერგიის ნასყიდობის ღირებულება	100
ლტოლვილებზე უსასყიდლოდ გაცემული ელექტრო ენერგიის ღირებულება	1
ბარტერის წესით გაცვლილი პროდუქცია	5
ელექტროსადენების დამზადება საკუთარი ძალებით ძირითად საშუალებებში შესატანად	30
მოსახლეობისა და ინსტიტუციური ერთეულების მიერ მოხმარებული აღურიცხავი ელექტროენერგია	20

მაგალითი 3.9.

განსაზღვრეთ საბიუჯეტო სახელმწიფო დაწესებულების საქმიანობის მახასიათებელი მაჩვენებლების მიხედვით გამოშვების მაჩვენებელი

(მონაცემები პირობითია)

მაჩვენებლები	მლნ. ლარი
დაქირავებული მუშების შრომის ანაზღა-ურება	15
საშემოსავლო გადასახადი	3
საოფისე ტექნიკის შეძენა	2
კავშირგაბმულობის ხარჯების ანაზღაურება	1
სატრანსპორტო მომსახურების ანაზღა-ურება	0,8
კომუნალური მომსახურების ანაზღაურება	1,2

მაგალითი 3.10.

განსაზღვრეთ სადაზღვევო კომპანიების გამოშვების მაჩვენებელი მათი საქმიანობის შემდეგი მახასიათებლების მიხედვით

(მონაცემები პირობითია)

მაჩვენებლები	მლნ. ლარი
სადაზღვევო პრემიები	20,0
სადაზღვევო აღდგენები	17,0
სადაზღვევო კომპანიების ტექნიკური რეზერვების ცვლილება	8,0
პროცენტები რეზერვების მიხედვით	2,0
გადასახადები პროდუქტებზე	1,0
შუალედური მოხმარება	0,8

ტესტები

1. წარმოების ანგარიშის „რესურსების“ ნაწილში მოთავსებულია:

ა) შუალედური მოხმარება;

ბ) ძირითადი კაპიტალის მოხმარება;

გ) პროდუქციის გამოშვება.

2. წარმოების ანგარიშის რესურსების „გამოყენების“ ნაწილში ასახულია:

ა) პროდუქციის გამოშვება;

ბ) საბაზრო და არასაბაზრო პროდუქცია;

გ) შუალედური მოხმარება.

3. წარმოების ანგარიშის მაბალანსებელი მუხლია:

ა) პროდუქციის გამოშვება;

ბ) შუალედური მოხმარება;

გ) დამატებული ღირებულება.

4. ვაჭრობაში, საშუამავლო საქმიანობაში, ელ.ენერგიისა და ბუნებრივი აირის მიწოდებაში პროდუქციის გამოშვება იანგარიშება:

ა) რეალიზებული საქონლის (მომსახურების) მოცულობით;

ბ) ნასყიდობის (შეძენის) ღირებულების მოცულობით;

გ) მათ შორის სხვაობით.

5. ეას-ის წესის თანახმად, მთლიანი გამოშვება უნდა შეფასდეს:

ა) წარმოების მომენტში არსებული ფასით;

ბ) პროდუქციის რეალიზაციის მომენტში არსებული ფასით;

გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

6. ფინანსური კორპორაციების მთლიანი გამოშვების გასაანგარიშებელი ფორმულაა:

ა) $P = R + S$;

ბ) $P = T_1 - T_0$;

გ) $P = R - K + Q - N$

7. შინამეურნეობების, სახელმწიფო მართვის ორგანოებისათვის, ფინანსური კორპორაციების და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციებისათვის შუალედური მოხმარება გაიანგარიშება:

ა) თითოეული სექტორისათვის განსხვავებული სპეციფიკით;

ბ) თითოეული სექტორისათვის დანახარჯების წილის მიხედვით, ექსპერტული შეფასებით;

გ) ორივე ვარიანტით ერთად.

8. სუბსიდიები პროდუქტებზე გაიცემა:

ა) როცა ცალკეული სახის პროდუქციაზე ან მომსახურებაზე ფასების განსხვავების ანაზღაურება ხდება ქვეყნის ბიუჯეტიდან;

ბ) როცა მიმდინარე ზარალის დაფარვა ხდება ქვეყნის ბიუჯეტიდან;

გ) როცა საქმე გვაქვს, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევასთან.

9. მთლიანი შიდა პროდუქტი შეფასებული მწარმოებლის ფასებში იანგარიშება როგორც:

ა) ყველა ინსტიტუციური სექტორის მიხედვით მთლიანი დამატებული ღირებულების ჯამი;

ბ) ყველა ინსტიტუციური სექტორის მიხედვით მთლიანი დამატებული ღირებულების ჯამს დამატებული დღგ და იმპორტზე გადასახადის ჯამი;

გ) ყველა ინსტიტუციური სექტორის მიხედვით მთლიანი დამატებული ღირებულების ჯამს დამატებული დღგ და იმპორტზე გადასახადის ჯამი და გამოკლებული იმპორტზე სუბსიდიები.

10. წმინდა დამატებული ღირებულებისა და წმინდა შიდა პროდუქტის გაანგარიშებისას საჭიროა:

ა) მთლიანი დამატებული ღირებულებიდან ძირითადი ფონდების მოხმარების გამოთიშვა პირვანდელი ღირებულებით;

ბ) მთლიანი დამატებული ღირებულებიდან ძირითადი ფონდების მოხმარების გამოთიშვა აღდგენითი ღირებულებით;

გ) დასაშვებია ორივე მეთოდის გამოყენება.

თემა 4. შემოსავლების ანგარიშები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში

4.1 შემოსავლების კონცეფცია ეას-ში და შემოსავლების ფორმირების ანგარიში

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ეკონომიკის შემოსავლები კვლევის ძირითადი საგანია. ამასთან შემოსავლების რაოდენობრივი პარამეტრების დახასიათებამდე საჭიროა გავერკვეთ შემოსავლის დეფინიციაში. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკური სუბიექტის ფულადი აქტივების ნებისმიერი მატება არ წარმოადგენს შემოსავალს, იმდენად, რამდენაც, რეალურად შეიძლება ადგილი ჰქონდეს აქტივების ფორმის ცვლილებას.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში შემოსავლების დეფინიცია ეფუძნება **ჯ. ხიკსის** მიერ დასაბუთებულ კონცეფციას. მოცემული კონცეფციის თანახმად, ***შემოსავალი წარმოადგენს ინსტიტუციური ერთეულის ფულადი რესურსების მაქსიმალურ თანხას, რომელიც ეკონომიკურმა სუბიექტმა შეიძლება გამოიყენოს საბოლოო მოხმარების საჭიროებისათვის. ამასთან, მთავარ მოთხოვნად ითვლება ის, რომ არ შემცირდეს მის საკუთრებაში არსებული კაპიტალის პირვანდელი ღირებულება და არ გაჩნდეს ფინანსური ვალდებულებები.***

ახლა გავეცნოთ ***შემოსავლების ფორმირების ანგარიშს,*** რომლის შემოკლებული სქემა ასეთნაირად გამოიყურება:

სქემა № 4

შემოსავლების ფორმირების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
2. შრომის ანაზღაურება 3. გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე 4. სუბსიდიები პროდუქციასა და იმპორტზე (–) **5. მთლიანი მოგება /მთლიანი შერეული შემოსავალი (1-2-3+4)/**	1. მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში მიღებული წესის თანახმად, ყოველი წინა ანგარიშის „გამოყენების“ მაბალანსებელი მუხლი გადადის შემდეგი ანგარიშის „რესურსების“ პირველ მუხლად. ამრიგად, წარმოების ანგარიშის გამოყენების მაბალანსებელი მუხლი-მთლიანი შიდა პროდუქტი შემოსავლების ფორმირების ანგარიშში გვევლინება „რესურსების“ ნაწილის პირველ მუხლად.

შემოსავლების ფორმირების ანგარიშის შედგენის მიზანია, ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის ფარგლებში წარმოების პროცესში წარმოშობილი რეზიდენტების და არარეზიდენტების მიერ განაწილებული შემოსავლების ნაერთი მაჩვენებლების ანალიზი.

როგორც შემოსავლების ფორმირების ანგარიშის „გამოყენების“ ნაწილიდან ჩანს, აქ მოტანილია მისი ძირითადი ელემენტები. განვიხილოთ ამ ელემენტების მოკლე შინაარსი.

შრომის ანაზღაურება შედგება ორი კომპონენტისაგან ა) ხელფასი, ბ) სოციალური დაზღვევის ანარიცხები. შრომის ანაზღაურება მოიცავს გასაცემლებს, როგორც რეზიდენტებისათვის, ისე არარეზიდენტებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნაში.

ხელფასი ფულადი გამოსახულებით მოიცავს:

- თანამშრომლების მიერ ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად, ან სხვა ინტერვალებით შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად სათანადო განაკვეთების მიხედვით, რეგულარულად გადახდილ ხელფასს. აქვე იანგარიშება გაცემები და სპეციალური დანამატები ზესაგანაკვეთო, ღამით მუშაობისათვის, გამოსასვლელ და სადღესასწაულო დღეებში განსაკუთრებით მძიმე სამუშაოების შესრულებისათვის, საზღვარგარეთ საქმიანობისათვის და ა.შ.;
- რეგულარულ დანამატებს, რომლებიც თანამშრომლებს ეძლევა მაგალითად, საცხოვრისიდან სამუშაოზე გადაადგილების ანაზღაურებისათვის;
- თანამშრომლებზე გადახდილ თანხას დროებით უმუშევრობი-სათვის, რაც დაკავშირებულია შვებულებასთან, წარმოების დროებით შეჩერებასთან და ა.შ.;
- პრემიებსა და სხვა სახის ჯილდოებს, რომლებიც გაიცემა საწარმოო მიღწევებისათვის.

ხელფასი ნატურალური სახით მოიცავს:

- კვების პროდუქტებსა და სასმელებს;
- ბინას ან საბინაო მომსახურებას;
- უნიფორმას ან სპეცტანსაცმელს;
- სატრანსპორტო საშუალებებს ან ხანგრძლივი სარგებლობის სხვა საქონელს;
- სპორტული დაწესებულებებისა და დასასვენებელი სახლების მიერ მომუშავეებზე შეთავაზებულ მომსახურებას;
- სახლიდან სამუშაოზე და სამუშაოდან სახლში თანამშრომელთა გადაყვანას, ავტომანქანის სადგომზე გა-

ჩერების შეთავაზებას;

- საბავშვო ბაღების მომსახურებას თანამშრომელთა შვილე-ბისათვის.

ნატურალური ფორმით თანამშრომლების შრომის ანაზღაურება ნაკლებად ხელსაყრელია ვიდრე ფულით, რადგანაც დაქირავებული მუშაკი მას ვერ დახარჯავს თავისი სურვილის მიხედვით.

როდესაც ზემოაღნიშნული სამუშაოების შეთავაზება დამქირავებლის მიერ ხდება დაქირავებულ მუშაკებზე, მათი შეფასება ხდება ჩვეულებრივი წესით. თუ ჩამოთვლილი საქონლისა და მომსახურების შეძენა ხორციელდება დამქირავებლის მიერ, მათი შეფასება ხდება მყიდველის ფასებით. მაშინ, როდესაც საქონლის წარმოება და მომსახურების გაწევა ხდება დამქირავებლის მიერ, მათი შეფასებისათვის გამოიყენება მწარმოებელთა ფასები. თანამშრომლებზე საქონლისა და მომსახურების უფასოდ შეთავაზებისას ხელფასის ნატურალური ფორმით შესაფასებლად ანგარიშობენ მოცემული საქონლისა და მომსახურების სრულ ღირებულებას. თუ საქონლისა და მომსახურების შეთავაზება ხდება შემცირებული ფასებით, მაშინ ხელფასი იანგარიშება, როგორც სხვაობა საქონლისა და მომსახურების სრულ ღირებულებასა და მომუშავის მიერ გადახდილ თანხას შორის.

სოციალური დაზღვევის ანარიცხები წარმოადგენს სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის ფონდებში შენატანებს. ასეთი გადასახდელები ირიცხება საწარმოების მიერ შესაბამის სოციალური დაზღვევის ფონდებში, თუმცა ეას-ში თავდაპირველად აისახება, როგორც დაქირავებული მუშაკების ხელფასის ნაწილი, ხოლო შემდგომში როგორც პირობითად გაანგარიშებული ტრანსფერები, რომელიც შინამეურნეობების სექტორის მიერ გადაე-

ცემა სოციალური დაზღვევის სისტემას.

ზოგიერთი დამქირავებელი თავად სთავაზობს სოციალურ დახმარებას თავიანთ მუშაკებს, საკუთარი სახსრებიდან. ასეთ შემთხვევებში, სოციალური ანარიცხების თანხის პირობითად გაანგარიშებისას, პრინციპში საფუძვლად იღებენ იგივე გაანგარიშებებს, რომლებიც გამოიყენება სადაზღვევო კომპანიების მიერ სადაზღვევო თანხების განსაზღვრისას.

შემოსავლების ფორმირების ანგარიშის შემდეგი მუხლია:

გადასახადები პროდუქციასა და იმპორტზე

გადასახადი – ბიუჯეტში სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანია, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაექვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე. სახელმწიფო ორგანოები გადასახადის სახით მიღებულ სახსრებს იყენებენ საზოგადოებისათვის ან სხვა ინსტიტუციური ერთეულებისათვის საქონლის ან მომსახურების შესათავაზებლად.

პროდუქციაზე გადასახადი განისაზღვრება რეზიდენტების მიერ წარმოებული ან გაყიდული საქონლისა და მომსახურების მოცულობის შესაბამისად. პროდუქციაზე გადასახადს მიეკუთვნება დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი და სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი ზოგიერთი სახის ანარიცხი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 225-ე მუხლის თანახმად დღგ-ით დაბეგვრის ობიექტია: დასაბეგრი ოპერაცია და დასაბეგრი იმპორტი.

იმპორტზე გადასახადი, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით, ტოლია საბაჟო ღირებულებისა და საქართველოში საქონლის იმპორტისას გადასახდელი გადასახადებისა და მოსაკრებლების თანხების ჯამის, საქართველოში გადა-

სახდელი დღგ-ის ჩაუთვლელად. გარდა ამისა, მომსახურების ღირებულება, რომელიც განიხილება, როგორც საქონლის იმპორტის ნაწილი, შეიტანება დასაბეგრი იმპორტის თანხაში, დღგ-ის გარეშე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, ***აქციზის გადამხდელია*** პირი, რომელიც: აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში. ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში. ახორციელებს შავი ან/და ფერადი ლითონების ექსპორტს. დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება: საქართველოში წარმოებული საქონლისათვის იმ თანხის მიხედვით, რომელიც უნდა მიეღო ან მიიღო გადასახადის გადამხდელმა დამკვეთისაგან ან სხვა პირისაგან, აქციზისა და დღგ-ის გარეშე, მაგრამ არანაკლებ საქონლის საბითუმო საბაზრო ფასის, აქციზისა და დღგ-ის გარეშე.

საქართველოში საქონლის იმპორტის განხორციელებისას აქციზით დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულებით და საქართველოში იმპორტირებული გადასახდელი მოსაკრებლისა და გადასახადების თანხის ჯამით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართისათვის - ჯართის წონით. ალკოჰოლური სასმელებისათვის - მათი მოცულობით. თამბაქოს ნაწარმისათვის - მათი რაოდენობით. ნავთობპროდუქტებისათვის - მათი წონით. მსუბუქი ავტომობილებისა-თვის - მათი ძრავის მოცულობით.

წარმოებასთან დაკავშირებული სხვა სახის გადასახადები. ამ კატეგორიის გადასახადებს მიეკუთვნება წარმოების პროცესში გამოყენებული მიწის, ძირითადი ფონდების და სამუშაო ძალის გადასახადები. ასევე გადასახადები დაკავშირებული გარემოს დაბინძურებასთან, საზღვარგარეთ მოგზაურობასთან, საზღვარგარეთ ფულის გაგზავნასთან ან პირიქით.

შემოსავლების ფორმირების ანგარიშის სტრუქტურაში შემდეგ ელემენტს წარმოადგენს ***სუბსიდიები პროდუქტებსა და იმპორტზე.***

სუბსიდია[1] სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, მათ შორის, არარეზიდენტების მიერ საწარმოებისათვის განხორციელებული მიმდინარე, დაუბრუნებელი გაცემებია საწარმოების საწარმოო საქმიანობის მოცულობის ან საქონლისა და მომსახურების ღირებულების და რაოდენობის მიხედვით, რომელსაც ისინი აწარმოებენ, ყიდიან ან იმპორტით შემოაქვთ. სუბსიდიების მიმღებია მწარმოებელი სუბიექტები ან იმპორტიორი რეზიდენტები. სუბსიდიები წარმოებაზე უარყოფითი გადასახადების ექვივალენტურია, რამდენადაც მათი გავლენა მოგებაზე ან მასთან გათანაბრებულ შემოსავალზე, წარმოებაზე გადასახადების საპირისპირო ზეგავლენისაა.


პროდუქტებზე სუბსიდიებს მიაკუთვნებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან განხორციელებულ გაცემებს, რომელიც ფარავს სხვადასხვაგვაროვანი პროდუქციის წარმოებისა და გასაყიდ ფასებს შორის სხვაობას (ღვინო და ღვინის ნაწარმი, ქვანახშირი, საქალაქო ტრანსპორტით მომსახურება და ა.შ.).

იმპორტზე სუბსიდიები გაიცემა იმპორტიორ რეზიდენტებზე მათ მიერ შემოტანილი საქონლისა და მომსახურების მიმდინრე ზარალის დასაფარავად. ამის მაგალითია, იმპორტიორ რეზიდენტებზე სუბსიდიების გაცემა ელექტროენერგიის და გაზის იმპორტის მიმდინარე ზარალის დასაფარავად.

შემოსავლების ფორმირების ანგარიშის მაბალანსებელი მუხლია ***მოგება და მასთან გათანაბრებული შემოსავლები ან შერეული შემოსავალი.*** იგი იანგარეშება შემდეგნაირად:

---

[1] CHC-93 გვ. 177



შერეული შემოსავალი შემოსავლების ფორმირების ანგარიშის მაბალანსებელი მუხლია, რომელიც გამოიყენება შინამეურნეობების მიერ არაკორპორირებული საწარმოებიდან შემოსავლის განსაზღვრისათვის.

შემოსავლების ფორმირების ანგარიში საქართველოს მიხედვით 2003-2008 წლებში წარმოდგენილია ქვემომოტანილ ცხრილში:

ცხრილი № 3

შემოსავლების ფორმირების ანგარიში[1] მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი

მაჩვენებლები	2003	2004	2005	2006	2007	2008
რესურსები						
მთლიანი შიდა პროდუქტი	8564,1	9824,3	11620,9	13789,9	16993,8	19074,9
გამოყენება						
შრომის ანაზღაურება	1484,8	1641,1	1977,4	2293,2	3252,3	4422,7
გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე	706,4	1026,2	1481,7	1919,5	2587,6	2864,2
სუბსიდიები პროდუქციაზე (-)	56,1	57,3	60,8	57,6	71,6	86,3
მთლიანი საოპერაციო მოგება	3517,6	4397,1	5263,2	6747,6	8264,2	8780,2
მთლიანი შერეული შემოსავა-ლი	2911,3	2817,3	2959,5	2887,2	2961,3	3094,0

[1] სტატისტიკური კრებული „საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2008“. ინტერნეტი www.statistics.ge

4.2. შემოსავლების პირველადი განაწილებისა და გადანაწილების ანგარიშები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში შემოსავლების წრებრუნვის პროცესი ერთ-ერთი მთავარია. ამდენად, მისი დონისა და დინამიკის განსაზღვრა მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

ჯ. ხიკსის კონცეფციამ ეას-ის მიხედვით შემდეგი მაჩვენებლების სახით ჰპოვა გამოსახულება:

1 პირველადი შემოსავლები;
2 მიმდინარე ტრანსფერები ფულად გამოსახულებაში (მეორადი შემოსავლები);
3 მიმდინარე სოციალური ტრანსფერები ნატურალურ გამოსახულებაში;
4 კორექტირებული განკარგვადი შემოსავალი;
5 ეროვნული შემოსავალი;
6 ეროვნული განკარგვადი შემოსავალი.

შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიშს შემდეგი სახე აქვს:

სქემა № 5

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
6. შემოსავლები საკუთრებიდან გადაცემული „დანარჩენი მსოფლიოსათვის" 7. მთლიანი ეროვნული შემოსავალი (ეკონომიკის სექტორებისათვის პირველადი შემოსავლების სალდო.) (1+2+3–4+5–6)	1. მთლიანი მოგება/მთლიანი შერეული შემოსავალი; 2. შრომის ანაზღაურება,მათ შორის შრომისანაზღაურების სალდო, საზღვარგარეთიდან მიღებულ და არარეზიდენტებზე გაცემებს შორის; 3. გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე; 4. სუბსიდიები პროდუქციაზე (–) 5. შემოსავლები საკუთრებიდან, მიღებული „დანარჩენი მსოფლიოდან"

მოცემული ანგარიშის დანიშნულებაა პირველადი შემოსავლების ფორმაში უჩვენოს დამატებული ღირებულების მწარმოებელ სექტორში ფორმირებული შემოსავლების განაწილება შემოსავლების მიმღებ სექტორებზე.

ანგარიშის მარჯვენა მხარეს (რესურსების ნაწილი) მოცემულია მიღებული პირველადი შემოსავლების ძირითადი სახეები, მარცხნივ (გამოყენება) – შემოსავლები საკუთრებიდან გადაცემული საზღვარგარეთზე. მოცემული ანგარიშის მაბალანსებელი მუხლია ეროვნული შემოსავალი.

მთლიანი მოგება/მთლიანი შერეული შემოსავალი – არის კორპორაციების (საფინანსო და არასაფინანსო), ასევე მცირე არაკორპორირებული საწარმოების პირველადი შემოსავალი.

შრომის ანაზღაურება – ეს არის მოცემული ქვეყნის რეზიდენტების შრომის ანაზღაურება, რომლებიც მონაწილეობას იღებენ მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოებაში როგორც ქვეყანაში, ისე მის საზღვრებს გარეთ. ამდენად, ამ ანგარიშში მოცემული შრომის ანაზღაურება არ ემთხვევა შემოსავლების ფორმირების ანგარიშში მოცემულ შრომის ანაზღაურებას, სადაც იგი მიეკუთვნება გადახდებს, რომელსაც აწარმოებენ ქვეყნის მშპ-ის წარმოებაში მონაწილე რეზიდენტები და არარეზიდენტები.

გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე – სახელმწიფო მმართველობის ორგანოების პირველადი შემოსავლებია. აქვე შევნიშნავთ, რომ გადასახადები შემოსავალსა და საკუთრებაზე არ განიხილება როგორც პირველადი შემოსავალი, არამედ განიხილება, როგორც გადასანაწილებელი გადასახდელები.


სუბსიდიები პროდუქტებსა და იმპორტზე – სახელმწიფოს მიერ უსასყიდლო, დაუბრუნებადი გაცემებია.

შემოსავლები საკუთრებიდან – ეკონომიკის ყველა

სექტორში საკუთრებიდან მიღებული შემოსავლებია. მასში შედის პროცენტები, დივიდენდები, რენტა, საინვესტიციო შემოსავლები პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან. მაგრამ იჯარის გადასახადი საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ ნაგებობებზე არ წარმოადგენს შემოსავლებს საკუთრებიდან, არამედ განიხილება როგორც მომსახურებაზე გადასახდელი.

ეროვნული შემოსავალი არის მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ მიღებული პირველადი შემოსავლების ჯამი. შეიძლება გავიანგარიშოთ როგორც მთლიანი ეროვნული შემოსავალი, (ე.ი ძირითადი კაპიტალის მოხმარებამდე) და წმინდა ეროვნული შემოსავალი ეროვნული შემოსავალი, გათვლილი წმინდა საფუძველზე (ე.ი ძირითადი კაპიტალის მოხმარების ღირებულების გამოკლებით).

ამრიგად, მოცემული ანგარიშის მაბალანსებელი მუხლია პირველადი შემოსავლების სალდო, ანუ ***მთლიანი ეროვნული შემოსავალი***. იგი იანგარიშება შემდეგნაირად:



პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში საქართველოს მაგალითზე 2003-2008 წლებში წარმოდგენილია ქვემომოტანილ ცხრილში:

ცხრილი № 4

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში[1]

მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი

მაჩვენებლები	2003	2004	2005	2006	2007	2008
რესურსები						
მთლიანი მოგება და მთლიანი შერეული შემოსავალი	6429,0	7214,4	8222,7	9634,8	11225,5	11874,3
შრომის ანაზღაურება	1484,8	1641,1	1977,4	2293,2	3252,3	4422,7
გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე	706,4	1026,2	1481,7	1919,5	2587,6	2864,2
სუბსიდიები პროდუქციაზე	56,1	57,3	60,8	57,6	71,6	86,3
შემოსავლები საკუთრებიდან მიღებული „დანარჩენი მსოფლიოდან“	380,5	478,2	477,6	598,5	803,4	760,1
რესურსები, სულ	8944,6	10302,5	12098,6	14388,5	17797,2	19835,0
გამოყენება						
შემოსავლები საკუთრებიდან გადაცემული „დანარჩენი მსო-ფლიოსათვის“	313,3	297,7	306,8	286,0	736,8	1016,9
მთლიანი ეროვნული შემოსა-ვალი	8631,3	10004,9	11791,7	14102,5	17060,5	18818,0
გამოყენება, სულ	8944,6	10302,5	12098,6	14388,5	17797,2	19835,0

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში შემოსავლების გადანაწილების პროცესის დახასიათება შესაძლებელია შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშის აგებით.

შემოსავლების მეორადი განაწილების კონსოლიდირებული ანგარიშს შემდეგი სახე აქვს:


[1] საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2008, სტატისტიკური კრებული, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2009.

სქემა № 6

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი

გამოყენება	რესურსები
3. მიმდინარე ტრანსფერები, გადაცემული „დანარჩენი მსოფლიოსათვის“ მთლიანი განკარგვადი შემოსავალი (1+2–3)	1. მთლიანი ეროვნული შემოსავალი 2. მიმდინარე ტრანსფერები, მიღებული „დანარჩენი მსოფლიოდან“

როგორც მოტანილი სქემიდან ჩანს, მოცემული ანგარიშის მაბალანსებელი მუხლია ***მთლიანი განკარვადი შემოსავალი.*** ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მიხედვით იგი წარმოადგენს შემოსავლის სიდიდეს, რომელიც წარმოიშვება წლის მანძილზე ეკონომიკის სუბიექტების ეკონომიკური საქმიანობის შედეგად და მისი დახარჯვა შესაძლებელია საბოლოო მოხმარებისათვის. მოცემული მაჩვენებლის გაანგარიშება ხდება შემდეგი სქემის მიხედვით:



შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში საქართველოს მიხედვით 2003-2008 წლებში წარმოდგენილია ქვემომოტანილ ცხრილში:

ცხრილი № 5

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში[1]
მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი

მაჩვენებლები	2003	2004	2005	2006	2007	2008
რესურსები						
მთლიანი ეროვნული შემოსავალი	8631,3	10004,9	11791,7	14102,5	17060,5	18818,0
შემოსავლები საკუთრებიდან მიღებული „დანარჩენი მსოფლიოდან"	466,3	881,4	747,9	1029,1	1280,2	1718,3
რესურსები, სულ	9097,6	10886,2	12539,7	15131,5	18340,7	20536,3
გამოყენება						
მიმდინარე ტრანსფერები გადა-ცემული „დანარჩენი მსო-ფლიოსათვის"	77,9	97,9	98,5	111,7	133,7	121,7
მთლიანი განკარგვადი შემოსა-ვალი	9019,7	10788,3	12441,2	15019,8	18206,9	20414,6
გამოყენება, სულ	9097,6	10886,2	12539,7	15131,5	18340,7	20536,3

ტრანსფერი[2] წარმოადგენს ოპერაციას, რომლის დროსაც ერთი ინსტიტუციური ერთეული მეორე ინსტიტუციურ

[1] საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2008, სტატისტიკური კრებული, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2009.

[2] CNC 93. том I, გვ. 194..

ერთეულს გადასცემს საქონელს, მომსახურებას ან აქტივს, მისგან ნებისმიერი საქონლის, მომსახურების ან აქტივის მიღების გარეშე. ***ფულადი ტრანსფერი*** წარმოადგენს ერთი ინსტიტუციური ერთეულის მიერ მეორე ინსტიტუციური ერთეულისადმი ვალუტის ან ლიკვიდური აქტივის გადაცემას, სანაცვლოდ, ანალოგიური ფასეულობების მიღების გარეშე. ***ტრანსფერი*** ნატურალური ფორმით საქონელზე ან აქტივზე (ფულადი საშუალებების გარეშე) საკუთრების უფლების გადაცემა ან მომსახურების გაწევაა, ასევე ყოველგვარი ექვივალენტის სანაცვლოდ ფასეულობების მიღების გარეშე.

მიმდინარე ტრანსფერები ფულად გამოსახულებაში წარმოადგენს გადამანიწელებელ გადასახდელებს და მიმდინარე ხასიათის შემოსულობებს, რომელიც ხორციელდება: საკუთრებასა და შემოსავლებზე მიმდინარე გადასახადების სახით, სადაზღვევო პრემიებისა და სადაზღვევო ანაზღაურების ფორმით, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალურ საჭიროებებზე სახსრების გადახდის სახით და ა.შ.

4.3 განკარგვადი შემოსავლების გამოყენების ანგარიში ეკონომიკაში

ეკონომიკური ციკლის ბოლო ფაზაა – საბოლოო გამოყენება, რისთვისაც ეროვნულ ანგარიშთა სისტემა იყენებს ისეთ ანგარიშებს, როგორიცაა: განკარგვადი შემოსავლის ფულად ფორმაში გამოყენების ანგარიში და მასთან დაკავშირებული და შემავსებელი ანგარიშები – შემოსავლების ნატურალური ფორმით გადანაწილების ანგარიში და კორექტირებული განკარგვადი შემოსავლების გამოყენების ანგარიში.

განკარგვადი შემოსავლების ეკონომიკაში გამოყენების ანგარიშების დახასიათება დავიწყოთ განკარგვადი შემოსავლის ფულად ფორმაში გამოყენების ანგარიშით, რომელიც შე-

მოკლებული სახით შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:

სქემა № 7

განკარგვადი შემოსავლის ფულად ფორმაში გამოყენების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
2. ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე 3. მთლიანი დანაზოგი (1-2)	1. მთლიანი განკარგვადი შემოსავალი

ეს ანგარიში განკუთვნილია ოპერაციების რეგისტრაციისათვის, რომელიც დაკავშირებულია განკარგვადი შემოსავლების ფულად ფორმაში გამოყენებასთან.

საბოლოო მოხმარებაზე ხარჯები მოიცავს სამ ელემენტს:

ა) შინამეურნეობების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე;

ბ) სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე;

გ) შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე.

როგორც მოტანილი სქემიდან ჩანს დანაზოგები ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია. ეკონომიკის ყველა დარგის დანაზოგების დაჯამებით მიიღება ეას-ის კიდევ ერთი აგრეგატი - ***ეროვნული დანაზოგების მაჩვენებელი.***

განკარგვადი შემოსავლის ფულად ფორმაში გამოყენების ანგარიშს ჩვენი ქვეყნის მიხედვით 2003-2008 წლებში შემდეგი სახე აქვს:

ცხრილი № 6

განკარგვადი შემოსავლის ფულად ფორმაში გამოყენების ანგარიში[1] (მიმდინარე ფასებში, მლნ.ლარი)

მაჩვენებლები	2003	2004	2005	2006	2007	2008
რესურსები						
მთლიანი განკარგვადი შემოსა-ვალი	9019,7	10788,3	12441,2	15019,8	18206,9	20414,6
რესურსები, სულ	9019,7	10788,3	12441,2	15019,8	18206,9	20414,6
გამოყენება						
ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	7028,8	8573,8	9794,1	12972,0	15731,9	19595,8
მათ შორის:						
შინამეურნეობები	6129,8	7148,5	7719,7	10803,5	11952,7	14582,3
შმაკო	62,8	46,2	60,5	52,4	61,3	77,2
სახელმწიფო მართვის ორგა-ნოები	836,2	1379,1	2014,0	2116,0	3717,9	4936,3
მთლიანი დანაზოგი	1990,9	2214,5	2647,0	2047,8	2475,0	818,8
გამოყენება, სულ	9019,7	10788,3	12441,2	15019,8	18206,9	20414,6

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მიხედვით განაწილება ხორციელდება არა მარტო ტრანსფერების ფულადი ფორმით, არამედ ტრანსფერების ნატურალური ფორმითაც, ე.ი სოციალურ-კულტურული ხასიათის უფასო მომსახურების გაწევით ან უფასოდ საქონლის გადაცემით (მაგ., ინვალიდე-

[1] საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2008, სტატისტიკური კრებული, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2009.

ბისათვის წამლების, საკვების და ა.შ უფასოდ გაცემა)

ნატურალური ფორმით გადანაწილების პროცესი აისახება ეას-ის შემდეგ სპეციალურ ანგარიშში, რომლის შემოკლებული სქემა მოცემულია ქვემოთ:

სქემა № 8

შემოსავლების ნატურალური ფორმით გადანაწილების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
3. სოციალური ტრანსფერები ნატურალური ფორმით (გადახდილი) 4. კორექტირებული განკარგვადი შემოსავალი (1+2-3)	1.განკარგვადი შემოსავალი 2.სოციალური ტრანსფერები ნატურალური ფორმით (მიღებული)

ეკონომიკის ყველა სექტორი არ წარმოადგენს სოციალური ტრანსფერების ნატურალური ფორმით მიმღებს ან გადამხდელს. მიმღებად გვევლინება შინამეურნეობების სექტორი, გადამხდელად-სახელმწიფო მმართველობის ორგანოები და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი. სოციალური ტრანსფერტები ნატურალური ფორმით მთელი ეკონომიკისათვის იანგარიშება სახელმწიფო მმართველობისა და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების მიხედვით, თუ შინამეურნეობების განკარგვად შემოსავალს დავუმატებთ მათ მიერ ნატურალური ფორმით მიღებულ ტრანსფერებს, მაშინ ეს მოგვცემს ეას-ის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს – ***კორექტირებულ განკარგვად შემოსავალს.*** კორექტირებული განკარგვადი შემოსავალი მნიშვნელოვანია ცხოვრების დონის ცვლილებების ანალიზისათვის.

სავარჯიშოები

1. რას წარმოადგენს შემოსავლების კონცეფცია ეას-ის მიხედვით.

2. ააგეთ შემოსავლების ფორმირების ანგარიშის სქემა და ჩამოთვალეთ რესურსებისა და გამოყენების მუხლები.

3. განმარტეთ შემოსავლების ფორმირების ანგარიშის შედგენის მიზანი.

4. ჩამოთვალეთ ფულად გამოსახულებაში ხელფასის შემადგენელი ელემენტები.

5. ჩამოთვალეთ ნატურალური სახით ხელფასის შემადგენელი ელემენტები.

6. განმარტეთ რას წარმოადგენს სოციალური დაზღვევის ანარიცხები.

7. განმარტეთ გადასახადის დეფინიცია.

8. ჩამოთვალეთ პროდუქტებზე გადასახადები.

9. განმარტეთ იმპორტზე გადასახადის განსაზღვრის წესი.

10. რა კრიტერიუმებით ფასდება აქციზის გადასახადი საქართველოში წარმოებულ პროდუქციაზე და იმპორტირებულ საქონელზე.

11. ჩამოთვალეთ წარმოებასთან დაკავშირებული „სხვა სახის გადასახადები".

12. განმარტეთ სუბსიდიის დეფინიცია ეას-ის მიხედვით.

13. როგორ იანგარიშება სუბსიდიები სამამულო წარმოების პროდუქტებზე და იმპორტზე.

14. ააგეთ მოგებისა და შერეული შემოსავლის გაანგარიშების სქემა.

15. შეადგინეთ ჯ. ხიკსის კონცეფცია ეასი-2008 წლის მიხედვით.

16. ააგეთ შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიში.

17. განმარტეთ შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიშის რესურსებისა და გამოყენების ცალკეული მუხლები.

18. განმარტეთ მთლიანი ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების სქემა.

19.ააგეთ შემოსავლების მეორედი განაწილების კონსოლიდირებული ანგარიშის სქემა.

20. განმარტეთ მოცემული ანგარიშის მაბალანსებელი მუხლის-მთლიანი განკარგვადი შემოსავლის გაანგარიშების სქემა.

21. განმარტეთ ტრანსფერის დეფინიცია და ჩამოთვალეთ მისი სახეები.

22. განკარგვადი შემოსავლების ეკონომიკაში გამოყენების ზოგადი დახასიათება.

23. ააგეთ განკარგვადი შემოსავლის ფულად ფორმაში გამოყენების ანგარიში და დაახასიათეთ მისი რესურსებისა და გამოყენების მუხლები.

24. ააგეთ შემოსავლების ნატურალური ფორმით გადანაწილების ანგარიში და განმარტეთ მისი რესურსებისა და გამოყენების თითოეული მუხლი.

მაგალითი 4.1.

გაიანგარიშეთ შრომის ანაზღაურების ფონდი მოტანილი მონაცემების მიხედვით (მლნ. ლარი):

დარიცხული ხელფასი – 1300;

დანამატები სადღესასწაულო და გამოსასვლელ დღეებში მუშაობისათვის – 200;

ყოველწლიური შვებულებების ანაზღაურება – 400;

სამივლინებო ხარჯები – 100;

მათ შორის სადღეღამისო ანაზღაურება – 30;

პრემიები საწარმოო საქმიანობაში მიღწევებისათვის – 150;

კვების პროდუქტების ღირებულება გაცემული ხელფასის სახით – 20;

ბავშვთა ბაღის მომსახურება თანამშრომელთა ბავშვებისათვის – 3;

დაქირავებული შინამოსამსახურის ხელფასი – 1;

საწარმოების მიერ გადახდილი სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის ანარიცხები – 130.

ამოხსნა:

შრომის ანაზღაურების ფონდი =

=1300+200+400+30+150+20+3+1+130=2234

პასუხი: შრომის ანაზღაურების ფონდი შეადგენს 2234.

მაგალითი 4.2.

ქვეყნის მთლიანმა შიდა პროდუქტმა 2007 წლის მიხედვით შეადგინა 17 მილიარდი ლარი. მან მთლიან ეროვნულ განკარგვად შემოსავალს გადააჭარბა 4 პროცენტით. შეავადგინოთ განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიში, თუ ცნობილია, რომ მთლიანი ეროვნული დანაზოგი და სახელმწიფო დაწესებულებებისა და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზციების საბოლოო მოხმარების დანახარჯები შეადგენენ, შესაბამისად, მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავლის 25, 15 და 3 პროცენტს.

ამოხსნა:

თავდაპირველად გავიანგარიშოთ მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი. იგი ტოლი იქნება 16,3 მილიარდი ლარის და სწორედ ამ მაჩვენებლით ხდება საბოლოო მოხმარებისა და მთლიანი დანაზოგის დაფინანსება. ამრიგად, ან-

გარიშს შემდეგი სახე ექნება:

გამოყენება	რესურსები
დანახარჯები საბოლოო მოხმარებაზე – 6,9 მათ შორის: შინამეურნეობების – 4, სახელმწიფო დაწესებულებების – 2,4, შმაკო-სი – 0,5	მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი 16,3
მთლიანი ეროვნული დანაზოგი– 9,4	

მაგალითი 4.3.

ქვემოთ მოტანილი მონაცემების მიხედვით განსაზღვრეთ პროდუქტებზე გადასახადის ჯამობრივი მაჩვენებელი და სუბსიდიები(მლნ. ლარი)

დამატებული ღირებულების გადასახადი – 987;

აქციზი – 508;

სადაზღვევო გადასახადების ანარიცხები – 21;

ბიუჯეტიდან ანაზღაურება სასოფლო სამეურნეო და სხვა სახის პროდუქციის ფასებზე საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმდინარე ზარალის დაფარვა:

სოფლის მეურნეობაში გაწეული მომსახურებისათვის – 202;

საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტზე გაწეული მომსახურებისათვის – 101;

ჯანდაცვის სფეროში გაწეული მომსახურებისათვის – 305.

ამოხსნა:

პროდუქტებზე გადასახადები=987+508+21=1516

სუბსიდიები=202+101+305=608

მაგალითი 4.4

შეადგინეთ შემოსავლების ფორმირების ანგარიში "ში-

ნამეურნეობის" სექტორისათვის მოტანილი მონაცემების მიხედვით(მლნ. ლარი).

სექტორში დასაქმებულმა მოსახლეობამ აწარმოვა საქონელი საკუთარი მოხმარებისათვის – 8110;

ჭარბი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გაყიდა – 670;

წარმოებული და გაყიდული პროდუქციისათვის შეიძინა სათესლე მასალა, სასუქი, შინაური ცხოველების საკვები, რომელიც დამზადებული იყო წინა პერიოდებში – 240;

წარმოებული და გაყიდული პროდუქციისათვის შეიძინა ელექტრო ენერგია – 11;

საკუთარი წარმოების ბიოსაწვავი გაყიდა სხვა შინამეურნეობებზე – 2;

დაქირავებული შინამოსამსახურის შრომის ანაზღაურებამ შეადგინა – 3;

მოსახლეობის სხვა სახის შემოსავლებმა შეადგინა:

შრომის ანაზღაურება – 4100;

პენსიები – 300;

სტიპენდიები და სხვა დახმარებები – 101;

დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტები – 30;

მიღებული დივიდენდები – 35;

მოსახლეობამ სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების შეძენაზე დახარჯა – 2180;

ახალი ბინების შეძენაზე – 550;

მათ შორის კრედიტები სახლების შეძენაზე – 220;

საკუთარ საცხოვრებელში ცხოვრებისათვის პირობით გაანგარიშებული მომსახურების ღირებულება – 780;

კომუნალური მომსახურების გადახდა – 510;

ავტომანქანების შეძენა – 35;

ავტომობილების შეკეთების ღირებულება – 4;

საცხოვრებელი შენობების კაპიტალური რემონტი – 1;

სახელმწიფო მართვის სექტორმა აღმოუჩინა უფასო ინდივიდუალური მომსახურება შინამეურნეობებს – 4.

ამოხსნა:

ანგარიშის აგებისათვის თავდაპირველად საჭიროა გავიანგარიშოთ მთლიანი დამატებული ღირებულება შინამეურნეობის სექტორისათვის. იგი იანგარიშება როგორც მთლიან გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებას შორის სხვაობა.

მთლიანი გამოშვება = 8110+670+3+780=9563.

შუალედური მოხმარება=240.

მთლიანი დამატებული ღირებულება=9563-240=9323.

შემდეგ უნდა გავიანგარიშოთ მოცემული ანგარიშის გამოყენების ისეთი ელემენტები, როგორიცაა:შრომის ანაზღაურება, გადასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე, სუბსიდიები პროდუქტებსა და იმპორტზე და ბოლოს მთლიანი შერეული შემოსავალი.

შრომის ანაზღაურება=3

გდასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე=0

სუბსიდიები პროდუქტებსა და იმპორტზე=0

მთლიანი შერეული შემოსავალი=9323–3=9320

ამრიგად, შინამეურნეობებისათვის შემოსავლების ფორმირების ანგარიშს შემდეგი სახე ექნება:

გამოყენება	რესურსები
შრომის ანაზღაურება 3 გადასახადები 0 სუბსიდიები 0 მთლიანი შერეული შემოსავალი 9320	მთლიანი დამატებული ღირებულება 9563

მაგალითი 4.5

კომერციულმა ბანკებმა თავიანთ თანამშრომლებზე გასცეს ხელფასი 1 750 000 ლარის ოდენობით. მათ შორის სოციალურ დაზღვევაზე სავალდებულო ანარიცხებმა შეადგინა 30 ათასი ლარი. მოცემული ოპერაცია ავსახოთ ეას-ის ანგარიშებში.

ამოხსნა

ხელფასი ანგარიშებში ორჯერ აისახება. კერძოდ, შემოსავლების ფორმირების ანგარიშში, როგორც ბანკის (ფინანსური საწარმო) გამოყენების ნაწილში და შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიშში, როგორც რესურსი. სოციალური დაზღვევის ანარიცხები ანგარიშებში აისახება სამჯერ. თავდაპირველად, ხელფასთან ერთად „შრომის ანაზღაურებაში", შემდეგ მეორადი განაწილების ანგარიშში შინამეურნეობის სექტორში, როგორც გამოყენების ელემენტი და ბოლოს, განიხილება როგორც სახელმწიფო მმართველობის სექტორის მიღებული გადანაწილებული შემოსავლის ნაწილი.

მაგალითი 4.6

ქვემოთ მოტანილი მონაცემებით განსაზღვრეთ ***ნატურალური სახით ხელფასის ჯამობრივი მაჩვენებლები:***

1. დარიცხული ხელფასი – 1250;
2. ხელფასის სახით დაქირავებულ მუშაკებზე დარიგებული სასმელები და კვების პროდუქტები – 250;
3. დაქირავებული მუშაკების საბინაო მომსახურების ხარჯები გაცემული სისტემატურად დამქირავებლის მიერ – 50;
4. სპორტული დაწესებულებების მიერ მომუშავეებზე შეთავაზებული მომსახურება – 20;
5. დასასვენებელი სახლების მიერ მომუშავეებზე

შეთავაზებული მომსახურება – 10;

6. საწარმოს ავტოსადგომზე თანამშრომლებზე შეთავაზებული ღამის თევის მომსახურება – 5;

7. ბავშვთა ბაღების მომსახურება თანამშრომელთა ბავშვებისათვის – 3.

მაგალითი 4.7

გაიანგარიშეთ შრომის ანაზღაურების ფონდი მოტანილი მონაცემების მიხედვით (მლნ. ლარი)

დარიცხული ხელფასი – 1250;

დანამატები უქმე დღეებში მუშაობისათვის – 201;

ყოველწლიური შვებულებების ანაზღაურება – 390;

ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი – 130;

სამიელინებო ხარჯები – 120;

მათ შორის სადღეღამისო ანაზღაურება – 21;

ხელფასის სახით გაცემული კვების პროდუქტების ღირებულება – 19;

საწარმოების მიერ გადახდილი სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის ანარიცხები – 105.

მაგალითი 4.8.

ქვემოთ მოტანილი მონაცემების საფუძველზე განსაზღვრეთ: პროდუქტებზე და წარმოებაზე გადასახადები. ცალ-ცალკე (მლნ. ლარი).

დამატებული ღირებულების გადასახადი – 1230;

სააქციზო გადასახადი – 387;

ქონების გადასახადი – 90;

მოგების გადასახადი – 287.

მაგალითი 4.9

ქვემოთ ჩამოთვლილი პოზიციებიდან დააჯგუფეთ ცალ-ცალკე, რომელი მიეკუთვნება პროდუქტებზე და იმპორტზე სუბსიდიებს:

– ქვეყნის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია ქვანახშირის წარმოებისა და გასაყიდ ფასებს შორის სხვაობის დასაფარავად.

– ქვეყნის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია საქალაქო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის თვითღირებულებასა და მომსახურების ტარიფს შორის არსებული სხვაობის დასაფარავად.

– ქვეყნის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია ელექტროკავშირის მიერ იმპორტირებულ ელექტრო ენერგიის ფასსა და საქართველოს ელექტროენერგიის მომხმარებლებზე მიწოდებულ ფასთა შორის სხვაობის დასაფარავად.

– ქვეყნის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია გაზის შემომტანი კორპორაციის მიერ საქართველოში შემოტანილი გაზის ფასსა და გაზის მომხმარებლებზე მიწოდებულ ფასთა შორის არსებული სხვაობის დასაფარავად.

მაგალითი 4.10

საწარმოთა საქმიანობის მონაცემთა საფუძველზე შეადგინეთ შემოსავლების ფორმირების ანგარიში „არაფინანსური საწრმოების“ ინსტიტუციური სექტორისათვის: არაფინანსური საწარმოების მიერ წარმოებულია და რეალიზებული 365 მლნ. ლარის პროდუქცია. მათი გამოშვებისათვის შეძენილი იყო 12 მლნ. ლარის ნედლეული, მასალა, ნახევარფაბრიკატი, შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა - 10 მლნ. ლარი. დამატებული ღირებულების გადასახადმა და აქციზმა შეადგინა შესაბამისად, 5 მლნ. ლარი. და 4 მლნ. ლარი. სახელმწიფოს მიერ მოცემული სექტორის სასოფლო სამეურ-

ნეო საწარმოების ზარალიანობის დასაფარავად გამოიყო 2 მლნ. ლარი.

მაგალითი 4.11

ქვემოთ მოტანილი მონაცემების მიხედვით ააგეთ ***შემოსავლების ფორმირების ანგარიში.*** (მლნ. ლარი)

მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში – 17761,0;

შრომის ანაზღაურება – 2122,0;

გადასახადები პროდუქტებსა და იმპორტზე – 905,8;

გადასახადები პროდუქციაზე – 670,7;

დღგ-სა და აქციზის გადასახადები – 590,1;

გადასახადები იმპორტზე დღგ-სა და აქციზის გარეშე – 235,1;

სხვა გადასხადები წარმოებაზე – 180,2;

სუბსიდიები პროდუქტებსა და იმპორტზე – 150,2;

მთლიანი მოგება და მთლიანი შერეული შემოსავალი – 14883,4.

მაგალითი 4.12

განსაზღვრეთ ქვემოთ ჩამოთვლილი ელემენტებიდან, რომელი მიეკუთვნება „მიმდინარე ტრანსფერების" კატეგორიას:

1 საწარმოს მოგებიდან ანარიცხები სოციალურ-კულტურული ობიექტების შესანახავად;
2 სოცდაზღვევის ანარიცხები;
3 მომუშავეებზე გაცემული პრემიები;
4 წარმოებაზე გადასახადები;
5 საგზურების ანაზღაურება თანამშრომელთა დასასვენებლად;
6 გაცემული კრედიტებზე გადასახდელი პროცენტი.

მაგალითი 4.13

შეადგინეთ შესაბამისი ანგარიში და შეაფასეთ ქვეყნის მთლიანი ეროვნული შემოსავალი და მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი მოტანილი მონაცემების მიხედვით (მლნ. ლარი).

მთლიანი შიდა პროდუქტი 17.

მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთიდან მიღებული პირველადი შემოსავლები:

შემოსავლები საკუთრებიდან – 3;

შრომის ანაზღაურება – 2;

პირველადი შემოსავლები გადახდილი საზღვარგარეთ:

შემოსავლები საკუთრებიდან – 1;

შრომის ანაზღაურება – 0,5;

მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთიდან მიღებული ტრანსფერების სალდო:

ჰუმანიტარული დახმარება – 4;

საჩუქრები – 5.

თემა 5. დაგროვების ანგარიშები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში

5.1 კაპიტალის ოპერაციების ანგარიშის აგების სქემები და მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგია

მიმდინარე ანგარიშების განხილვის შემდეგ საჭიროა გადავიდეთ ***დაგროვების ანგარიშების*** განხილვაზე.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დაგროვების ანგარიშების სისტემა ახასიათებს ეკონომიკაში მოთხოვნათა ნაკადების კავშირს დაგროვებული აქტივების მარაგებთან. ***ეას-ის მიხედვით კაპიტალის დაგროვება განიხილება, როგორც ქვეყნის საწარმოო პოტენციალის კლავნარმოების, განახლებისა და გაფართოებისათვის გაწეული ხარჯები.*** დაგროვების ანგარიშებს მიეკუთვნება შემდეგი: კაპიტალის ოპერაციების ანგარიში, ფინანსური ანგრიში და აქტივებსა და პასივებში სხვა ცვლილებების ანგარიში.

სქემა № 9

კაპიტალის ოპერაციების ანგარიშს შემდეგი სახე აქვს

გამოყენება	რესურსები
4. ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება 5. მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება 6. ფასეულობების წმინდა შეძენა 7. მიწის და სხვა არამწარმოებლური აქტივების შეძენა 8. წმინდა დაკრედიტება(+) წმინდა სესხება (-)	1. მთლიანი დანაზოგი 2. საზღვარგარეთიდან მიღებული კაპიტალური ტრანსფერები (+) 3. საზგვარგარეთზე გადაცემული კაპიტალური ტრანსფერები (-)

ამ ანგარიშის მიზანია აჩვენოს კაპიტალური დანახარჯების დაფინანსების წყაროები და მათი გამოყენება კაპიტალური ხარჯების სახეების მიხედვით.

ქვემოთ მოტანილია კაპიტალის ოპერაციების ანგარიში ქვეყნის მიხედვით საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე.

კაპიტალის ოპერაციების ანგარიში 2003-2008 წლებში.

საქართველოს მიხედვით ასახულია ქვემომოტანილ ცხრილში:

ცხრილი № 9

კაპიტალის ოპერაციების ანგარიში[1]

მაჩვენებლები	2003	2004	2005	2006	2007	2008
ცვლილებები ვალდებულებებსა და კაპიტალის წმინდა ღირებულებებში						
მთლიანი დანაზოგი	1990,9	2214,5	2647,0	2047,8	2475,0	818,8
კაპიტალური ტრანსფერების მიღება „დანარჩენი მსოფლიოდან"	59,9	83,7	113,4	301,3	213,3	157,5
კაპიტალური ტრანსფერების გაცემა „დანარჩენი მსოფლიოსათვის"	17,2	6,7	5,4	1,9	0,5	0,2
სულ	2033,5	2291,6	2755,0	2347,3	2687,8	976,1
ცვლილებები აქტივებში						
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	2283,6	2697,3	3261,4	3524,2	4370,5	4098,5
მარაგების ცვლილება	398,7	437,5	630,1	731,1	1077,0	853,1
(=) წმინდა დაკრედიტება (+)/წმინდა სესხები (–) და სტატისტიკური განსხვავება	-648,8	-843,2	-1136,6	-1908,1	-2759,7	-3975,5
სულ	2033,5	2291,6	2755,0	2347,8	2687,8	976,1

[1] საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2008. სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი 2009.

აგრეგატი-***მთლიანი დანაზოგი*** ახასიათებს საანგარიშო პერიოდში ქვეყნის საწარმოო საქმიანობის შედეგად შექმნილ ეკონომიკის რესურსს, რომელიც წარმოების მიზნებით გამოყენებული იქნება შემდგომ პერიოდებში. ამრიგად, შინაარსობრივად მთლიანი დანაზოგი წარმოადგენს პროდუქტის მოცულობის ნარჩენ სიდიდეს, რომელიც არ იქნა გამოყენებული საანგარიშო პერიოდში შუალედურ ან საბოლოო მოხმარებაზე.

კაპიტალწარმომქმნელი რესურსების შემდეგი მუხლია ***კაპიტალური*** ტრანსფერების მიღება „დანარჩენი მსოფლიოსაგან". კაპიტალური ტრანსფერები აქტივების ნაკადების ერთდროული გადანაწილებაა. მასში იგულისხმება პრივატიზაციის პროცესში კაპიტალის გადაცემა, გასული წლების დავალიანების პატიება, დანაკარგების აღდგენა და ა.შ..

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრანსფერი წარმოადგენს ისეთი სახის ოპერაციას, როდესაც ერთი ინსტიტუციური ერთეული მეორე ინსტიტუციურ ერთეულს უკან დაუბრუნებლად გადასცემს საქონელს, მომსახურებას ან აქტივებს. ტრანსფერები ხორციელდება ნატურალური ან ფულადი სახით. კაპიტალური ტრანსფერები ნატურალური ფორმით გულისხმობს აქტივებზე საკუთრების უფლების გადაცემას, ხოლო ფულადი ფორმით-აქტივების შეძენას ან გასხვისებას. როგორც პირველ ისე მეორე შემთხვევაში არ იგულისხმება მატერიალური საბრუნავი საშუალებები.

კაპიტალური ტრანსფერები არსებობს სამი სახის. ესენია: კაპიტალზე გადასახადები, საინვესტიციო სუბსიდიები და სხვა კაპიტალური ტრანსფერები.

კაპიტალზე გადასახადები შინამეურნეობების ან საწარმოების მიერ გადაიხდება არალეგალურად, იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება აქტივების ფასეულების გადიდება, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო მიწის ღირებულების გაზრდისას,

მაშინ, როცა მისი გამოყენება დაშვებულია კომერციული მიზნებით ან საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის.

კაპიტალზე გადასახადს მიეკუთვნება ისეთი შემთხვევები, როდესაც ინსტიტუციური ერთეულების მიერ ერთმანეთზე აქტივების ღირებულების გადაცემა ხდება მემკვიდრეობით, ჩუქებით და ა.შ..

ეას-ის მიხედვით საინვესტიციო სუბსიდიები შედგება სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ სხვა სექტორებისათვის გამოყოფილი კაპიტალური ტრასფერებისაგან ფულადი ან ნატურალური ფორმით, მათ მიერ შეძენილი ძირითადი კაპიტალის ხარჯების მთლიანი ან ნაწილობრივი დაფარვისათვის.

საინვესტიციო სუბსიდიები ასახულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში. მათ მიეკუთვნება დანახარჯების შემდეგი სახეები:

- მოწყობილობისა და ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის შეძენა;
- კაპიტალური რემონტი;
- მოქალაქეებზე სხვადასხვა სახის დახმარებების გაწევა და სხვ.

ახლა გადავიდეთ კაპიტალის ოპერაციების ანგარიშის „გამოყენების“ ძირითადი მუხლების განხილვაზე.

ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება განისაზღვრება საანგარიშო პერიოდში მწარმოებლების მიერ შეძენილი ძირითადი ფონდების ღირებულებით (რეალიზებული ძირითადი ფონდების გამოკლებით), აგრეთვე ინსტიტუციური ერთეულების მიერ საწარმოო საქმიანობის შედეგად არამწარმოებლური აქტივების ზოგიერთი სახის მატებით. ძირითადი ფონდები წარმოადგენს მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც შექმნილია წარმოების

პროცესში და შემდეგ მრავალჯერადად ან მუდმივად გამოიყენება სხვა სახის პროდუქციის შექმნისათვის ერთ წელზე მეტი დროის ხანგრძლივობით.

ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმის, მაგალითად, 1) ისეთი სახის ძირითადი კაპიტალი, როგორიცაა: საცხოვრებელი სახლები, სხვა სახის შენობები და ნაგებობები, მანქანები და მოწყობილობა, მრავალწლიანი ნაყოფის მომცემი ნარგავები, პროდუქტიული პირუტყვი და ა.შ. იანგარიშება ისეთი ფორმით, როგორიცაა: ***მატერიალური ძირითადი ფონდების შეძენას გამოკლებული მოქმედებიდან გასული ახალი ან არსებული ძირითადი ფონდები.***

2) ისეთი სახის აქტივები, როგორიცაა სასარგებლო წიაღისეულის დაზვერვაზე გაწეული დანახარჯები, პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები, გასართობი პროგრამები, ლიტერატურულ-მხატვრული ჟანრის ნაწარმოებების ორიგინალები და ა.შ. იანგარიშება ისეთი ფორმით, როგორიცაა: ***არამატერიალური აქტივების შეძენას გამოკლებული მოქმედებიდან გასული ახალი ან არსებული არამატერიალური აქტივები.***

ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვების მაჩვენებლის ფორმირებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ძირითადი ფონდების შეძენისა და ღირებულების რეგისტრაციის დროის განსაზღვრა. ძირითადი კაპიტალის მთლიან დაგროვებაში ***დროის დაფიქსირებად*** ითვლება ერთი ინსტიტუციური ერთეულიდან მეორე ინსტიტუციური ერთეულისადმი ძირითად ფონდებზე საკუთრების უფლების გადაცემის მომენტი.

ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვების მაჩვენებლის განსაზღვრის ასევე მნიშვნელოვანი საკითხია მისი ღირებულების განსაზღვრა. ასე მაგალითად, შეძენილი ახალი

აქტივების ღირებულება განისაზღვრება მყიდველის ფასებში. რაც გულისხმობს არა მხოლოდ ახალი აქტივების შეძენის ღირებულებას, არამედ მისი ტრანსპორტირების, მონტაჟის და საკუთრების უფლების გადაცემის ყველა ხარჯს. აქ იგულისხმება გადასახადები ადვოკატებზე, ინჟინრებზე, არქიტექტორებზე, უძრავი ქონების გაყიდვის აგენტებზე და ა.შ. ახალი ძირითადი ფონდების ღირებულება შეძენილი ბარტერული გაცვლის გზით იანგარიშება ზემომოტანილის ანალოგიურად ე.ი. გაანგარიშებითი საბაზისო ფასებით, გადასახადების, სატრანსპორტო და სამონტაჟო დანახარჯების გათვალისწინებით, აგრეთვე ისეთი ხარჯებით, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი ფონდების საკუთრების უფლების გადაცემასთან. ძირითადი ფონდების დაგროვების გაზრდა, დაკავშირებული საკუთარი წარმოების ხარჯზე, იანგარიშება საბაზისო ფასების საფუძველზე.

კაპიტალის ოპერაციების ანგარიშის გამოყენების ნაწილის შემდეგი მუხლია ***მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება.*** მოცემული მუხლი მოიცავს ისეთი სახის საბრუნავი საშუალებების ცვლილებას, როგორიცაა:

– საწარმოო მარაგები (სათბობი, მასალა, ნედლეული, ნახევარფაბრიკატები და ა.შ.);

– დაუმთავრებელი წარმოება (მშენებლობაში, სამშენებლო წარმოებაში, მემცენარეობაში და ა.შ.);

– სასაქონლო მარაგები;

– სახელმწიფო მატერიალური რეზერვები.

მატერიალური საბრუნავი საშუალებების შეფასება სოფლის მეურნეობაში წარმოებს თვითღირებულებით, შინამეურნეობის სექტორში-მყიდველების საშუალო სასაქონლო ფასებით, დანარჩენ შემთხვევებში საწარმოთა ბალანსური ანგარიშების მიხედვით. ამასთან, ყურადსაღებია ერთი მნიშ-

ვნელოვანი გარემოება. მაღალი ინფლაციის პირობებში ეასი ითვალისწინებს საბრუნავი საშუალებების ღირებულების ცვლილებიდან ინფლაციის გამოთიშვას იმ დროის მანძილზე რა ვადითაც მარაგები ინახება საწყობში, ანუ, ჰოლდინგური მოგების გამოთიშვას.

მოცემული ანგარიშის შემდეგი მუხლია ***ფასეულობების წმინდა შეძენა.*** იგი განისაზღვრება როგორც იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული შენაძენების აგრეგირებული ღირებულება, არა ასეთი ფასეულობების წარმოებისა და მოხმარებისათვის. მოცემული ფასეულობები დროის მსვლელობასთან ერთად კი არ ამცირებენ, არამედ ზრდიან თავიანთ ღირებულებას, ამდენად შესწევთ უნარი დაიცვან აქტივების მფლობელები ინფლაციისაგან. აქ იგულისხმება საიუველირო ნაწარმი, ანტიკვარიატი და ა.შ.

ფასეულობათა წმინდა შეძენა განისაძღვრება, როგორც მათ შეძენასა და მოქმედებიდან გასვლას შორის სხვაობა. შეძენა იანგარიშება მყიდველის ფასების მიხედვით, საკუთრების უფლების გადაცემის დანახარჯების გათვალისწინებით. ფასეულობათა მოქმედებიდან გასვლა იანგარიშება გამყიდველის ფაქტობრივი ან გაანგარიშებითი ფასების მიხედვით.

ეას-ის მიხედვით უკვე არსებული ფასეულობების წმინდა შეძენა მთელი ეკონომიკის მიხედვით ყოველთვის ნულის ტოლია, როცა ოპერაციები ხორციელდება ერთი და იგივე ქვეყნის რეზიდენტებს შორის. თუ ერთ-ერთი ოპერაციის მონაწილე არარეზიდენტია, მაშინ საქმე გვაქვს „დანარჩენ მსოფლიოსთან“. ამ შემთხვევაში უნდა ვისარგებლოთ საგადამხდელო ბალანსში შესაბამისი საქონლის ექსპორტ-იმპორტის მონაცემებით.

მოცემული ანგარიშის შემდეგი მუხლია ***მიწის და სხვა არაწარმოებადი აქტივების შეძენა.*** იგი ახასიათებს ძირი-

თადი საშუალებების არაწარმოებად ელემენტებზე (მიწა, ტყის ნაწილი, სასარგებლო წიაღისეული) და არაფინანსურ, არამწარმოებლურ, არამატერიალურ აქტივებზე (პატენტები, ლიცენზიები, კონცესიები) საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებულ ოპერაციებს.

ეას-ის მიხედვით მიწის ყიდვა-გაყიდვას ადგილი აქვს მხოლოდ რეზიდენტებს შორის. თუ ასეთი სახის პროცესებში მონაწილეობენ არარეზიდენტები, ისინი განიხილებიან პირობით რეზიდენტებად. როგორც უკვე აღვნიშნეთ წინა თავებში, მიწის ყიდვასთან ან მოქმედებიდან გასვლასთან დაკავშირებით საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებული დანახარჯები არ შედის მიწის ფასში, არამედ შეიტანება ძირითადი კაპიტალის მთლიან დაგროვებაში, ამდენად, ფასი, რომლის მიხედვითაც იყიდება მიწა ერთნაირი იქნება მყიდველისა და გამყიდველისათვის. ამრიგად, მიწის წმინდა შეძენა მთელი ეკონომიკის მიხედვით ნულის ტოლი იქნება. თუმცა, ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს გადახრებს.

სხვა სახის არაწარმოებადი მატერიალური აქტივების (სასარგებლო წიაღისეული მარაგები, სხვა ბუნებრივი რესურსები) მესაკუთრე არის სახელმწიფო. მათი შეძენა და რეალიზება ხდება მიწის ოპერაციების მსგავსად. სახელმწიფო გარკვეული დროით კონცესიის ან იჯარის სახით საშუალებას აძლევს ინსტიტუციურ ერთეულებს ისარგებლონ სასარგებლო წიაღისეულით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით. გადასახდელები ასეთი სახის სარგებლობისათვის წარმოადგენს შემოსავლებს საკუთრებიდნ. მათი რეგისტრაცია ხდება პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშში.

არაწარმოებადი, მატერიალური აქტივების (პატენტები, ლიცენზიები, კონცესიები) ოპერაციებში ასახვისას, დანახარჯები საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავში-

რებით აისახება ცალკე აქტივების ღირებულებისაგან და შედის ძირითადი კაპიტალის მთლიან დაგროვებაში.

წმინდა შეძენის თანხა ნულის ტოლია მთელი ეკონომიკის მიხედვით, თუ ოპერაცია ხორციელდება ორ რეზიდენტს შორის. თუ ოპერაციის მონაწილე რომელიმე მხარე არარეზიდენტია, მაშინ საქმე გვაქვს "დანარჩენი მსოფლიოს" ოპერაციასთან და უნდა გამოვიყენოთ საგადასახდელო ბალანსის ინფორმაცია.

კაპიტალის ოპერაციების ანგარიშის მაბალანსებელი მუხლის წმინდა დაკრედიტება (+) წმინდა დავალიანება (–) ***ფინანსირების სალდო.*** მოცემული მაჩვენებელი ახასიათებს რეალური სამეწარმეო პროცესებისა და ნაკადების შედეგად გამოწვეული ფინანსური აქტივების ცვლილებას საანგარიშო პერიოდის მანძილზე. ფინანსური აქტივების დადებითი ცვლილება ***(წმინდა დაკრედიტება)*** აღნიშნავს დაფინანსების რესურსების მეტობას ყველა სახის აღრიცხულ აქტივებში განხორციელებულ ინვესტიციებზე და სხვა ინსტიტუციური ერთეულების დაკრედიტების შესაძლებლობას. ფინანსური აქტივების უარყოფითი ცვლილება ***(წმინდა დავალიანება),*** ახასიათებს ყველა სახის აღრიცხულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების მეტობას დაფინანსების რესურსებთან მიმართებაში. ასევე სხვა ინსტიტუციური ერთეულებიდან კრედიტების მიღების რეალობას.

5.2 ფინანსური ანგარიშის ძირითადი მაჩვენებლების ფორმირება

ფინანსური ანგარიში დაგროვების მახასიათებელ ანგარიშებში რიგით მეორეა. მოცემული ანგარიში ახასიათებს ფინანსური აქტივების ღირებულების ცვლილებას, რაც გამოწვეულია ეკონომიკის სექტორებს შორის საკრედიტო ურთიერ-

თკავშირით, რაც თავისთავად ყალიბდება მატერიალურ-ნივთობრივი და ფინანსური აქტივების დაგროვების შედეგად. მოცემული ანგარიშის მარჯვენა მხარეს მოცემულია ფინანსური ვალდებულებების აღებასთან დაკავშირებული ოპერაციები, ხოლო მარცხენა მხარეს ფინანსური აქტივების შეძენასთან დაკავშირებული ოპერაციები. ფინანსურ ნაკადებს აქვს კაპიტალის ოპერაციების ანგარიშში ასახული რეალური სამეურნეო ნაკადების საპირისპირო სახე, ამდენად ფინანსირების სალდოს ჩამოყალიბება ხდება ფინანსური ანგარიშის მარჯვენა მხარეს. ფინანსური ანგარიში ახასიათებს არა მარტო ფინანსური მოთხოვნისა და ფინანსური ვალდებულებების საერთო ცვლილებას, არამედ ეკონომიკის ცალკეული სექტორის მიხედვით აშუქებს ფინანსური ვალდებულებებისა და მოთხოვნის ურთიერთ-თანაფარდობას.

ფინანსური ანგარიშის სქემა შემდეგი სახისაა:

სქემა № 10

გამოყენება	რესურსები
ფინანსური აქტივების შეძენა (ფინანსური ინსტრუმენტების სახეების მიხედვით)	ფინანსური ვალდებულებების აღება (ფინანსური ინსტრუმენტების სახეების მიხედვით)
	ფინანსირების სალდო (წმინდა დაკრედიტება (+)\წმინდა სესხება (-))

როგორც უკვე მაღლა აღვნიშნეთ, დაჯგუფება ფინანსური ინსტრუმენტების სახეების მიხედვით შეესაბამება ეასის ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას.

ფინანსურ ანგარიშს ცხრილის სახე აქვს, რომელშიც სვეტები ეკონომიკის სექტორებს ახასიათებს, ხოლო სტრიქონები – ფინანსური ინსტრუმენტების სახეებს. უმეტეს შემთხვევაში აქტივების ერთი პოზიციის ფინანსური ვალდებუ-

ლებების შემოსულობის მიხედვით იწვევს ვალდებულებების შესაბამის შემოსულობას საპირისპირო პოზიციის მიხედვით. ასე მაგალითად, უძრავი ქონების შეძენა შეიძლება მოხდეს თანხების შემცირებით უვადო დეპოზიტზე. რაც შეეხება ოპერაციის შეფასებას ღირებულებით გამოსახულებაში (ფასიანი ქაღალდების ოპერაციების გარდა), იგი წარმოებს ფაქტობრივად გადახდილი ღირებულების მიხედვით. ფასიანი ქაღალდების შეფასებისას გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები.

ფინანსური ოპერაციების ფინანსურ ანგარიშში ასახვამ ჯამში უნდა მოახდინოს იგივე დაფინანსების სალდოს მიღება (დაკრედიტება ან დავალიანება), რასაც ადგილი ჰქონდა კაპიტალის ოპერაციებთან ანგარიშის აგებისას.

5.3 აქტივებსა და პასივებში სხვა ცვლილებების ანგარიშის მაჩვენებელთა აგების თავისებურებანი

ეას-ის დაგროვების ანგარიშების ბოლო ანგარიშს წარმოადგენს აქტივებსა და პასივებში სხვა ცვლილებების ანგარიში. მას სქემატურად შემდეგი სახე აქვს:

სქემა № 11

გამოყენება	რესურსები
ექსტრაორდინალური ხასიათის მიზეზებით გამოწვეული პასივების ღირებულების ცვლილება	ექსტრაორდინალური ხასიათის მიზეზებით გამოწვეული აქტივების ღირებულების ცვლილება
გამოყენება სულ	რესურსები სულ

მოცემულ ანგარიშში აისახება აქტივებისა და პასივების ნაკადების ღირებულება, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ ოპერაციებთან. ასე მაგალითად, ომების, ხანძრების, წყალდიდობებისა და სხვა სტიქიური უბედურებებით გამოწვეული შედეგების ასახვა ხდება სწორედ მოცემულ ანგარიშში.

ეას-ის დაგროვების ანგარიშების სტრუქტურისა და დინამიკის მაჩვენებლები გამოიყენება ქვეყნის საწარმოო პოტენციალის ანალიზისა და მაკროეკონომიკური პროგნოზირებისათვის.

სავარჯიშოები

1. ჩამოთვალეთ დაგროვების ანგარიშები ეას-ის მიხედვით;

2. განმარტეთ ეროვნული სიმდიდრის ცნება;

3. რა შედის კაპიტალის დაგროვებაში ეას-ის მიხედვით;

4. რა მიზანს ემსახურება დაგროვების ანგარიშების წარმოება ეას-ის მიხედვით;

5. ჩამოთვალეთ კაპიტალის ოპერაციების ანგრიშის „რესურსებისა" და „გამოყენების" მუხლები;

6. დაახასიათეთ მოცემული ანგარიშის მაბალანსებელი მუხლი;

7. განმარტეთ კაპიტალის ოპერაციების ანგარიშის აგების მიზანი;

8. განმარტეთ მთლიანი დანაზოგის დეფინიცია;

9. გააკეთეთ კაპიტალის ოპერაციების ანგარიშის სტატისტიკური ანალიზი საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე;

10. განმარტეთ მთლიანი დანაზოგისა და კაპიტალური ტრანსფერების დეფინიციები;

11. განმარტეთ რას წარმოადგენს საინვესტიციო სუბსიდია;

12. განმარტეთ ძირითადი კაპიტალისა და ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვების დეფინიციები;

13. როგორ განისაზღვრება ძირითადი კაპიტალის შეძენისა და ღირებულების რეგისტრაციის დრო;

14. როგორ განისაზღვრება ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვების ღირებულება;

15. რა და რა ელემენტებისაგან შედგება მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება;

16. როგორ ხდება მატერიალური საბრუნავი საშუალებების შეფასება სოფლის მეურნეობაში, შინამეურნეობების სექტორში, სამეწარმეო სექტორში

17. როგორ იანგარიშება ფასეულობების წმინდა შეძენა და რისი ტოლია ეს მაჩვენებელი მთელი ეკონომიკის მიხედვით;

18. რა თავისებურებებით ხასიათდება მიწის და სხვა არამწარმოებლური აქტივების შეძენა;

19. დაახასიათეთ კაპიტალის ოპერაციების ანგარიშის მაბალანსებელი მაჩვენებელი „ფინანსირების სალდო";

20. განმარტეთ ფინანსური ანგარიში. მისი რესურსებისა და გამოყენების მუხლები;

21. რა მსგავსება და განსხვავებაა ფინანსური და კაპიტალის ოპერაციების ანგარიშების აგებისას;

22. რა თავისებურებებით ხასიათდება აქტივებსა და პასივებში სხვა ცვლილებების ანგარიში დაგროვების სხვა ანგარიშებისაგან.

მაგალითი 5.1

არაფინანსურმა ორგანიზაციებმა 2008 წლის შედეგებით აწარმოეს 25 მლნ. ლარის მოცულობის პროდუქცია. აქედან წლის მანძილზე გაყიდეს 21 მლნ. ლარის, ფასებში, რომელიც ითვალისწინებს დღგ-ს 18 პროცენტიან განაკვეთს. 3 მილიონი ლარის პროდუქციის გატანა მოხდა ექსპორტზე. მოცემული ინსტიტუციური სექტორის საწარმოებმა წარმოებულ პროდუქციაზე დახარჯეს 8 მლნ. ლარის მასალა, ნედლეული, სათბობი და სხვა საბრუნავი საშუალებები. შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 6 მლნ. ლარი. (აქედან სოც. დაზ-

ღვევის ფონდში ანარიცხებმა შეადგინა 1,1 მლნ. ლარი), ძირითადი კაპიტალის მოხმარებამ შეადგინა 0,5 მლნ. ლარი.

მოცემული სექტორის მიერ გადახდილი იქნა გადასახადები: შენობაზე და მიწაზე – 3 მლნ. ლარი, ხელფასის ფონდიდან 0,6 მლნ. ლარი; ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის 0,3 მლნ. ლარი; მოგებაზე – 3,1 მლნ. ლარი; საბანკო კრედიტზე გადახდილმა პროცენტებმა შეადგინა – 5 მლნ. ლარი; არაკომერციულ ორგანიზაციებს გადაერიცხა – სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების შენახვაზე – 0,4 მლნ. ლარი; საწარმოების დეპოზიტებზე მიღებულმა პროცენტებმა შეადგინა – 6,5 მლნ. ლარი; აქციონერებზე გადარიცხულმა დივიდენდებმა შეადგინა – 1 მლნ. ლარი; ბიუჯეტიდან მიიღეს საინვესტიციო სუბსიდიები – 0,7 მლნ. ლარი. საწარმოების ზარალის ასანაზღაურებლად მიღებულმა სუბსიდიებმა – 0,8 მლნ. ლარი; მათ შორის მიმდინარე პერიოდის ზარალის ასანაზღაურებლად – 0,2. საანგარიშო პერიოდში შეიძინეს 1,2 მლნ. ლარის ღირებულების ავტომობილები; ამავე პერიოდში ძირითადი საამქროების საჭიროებისათვის შეიძინეს 0,8 მლნ. ლარის მოწყობილობა. (აქედან, საზღვარგარეთის წილად მოდიოდა 0,2 მლნ. ლარი). საწარმოებმა საკუთარი მოწყობილობის კაპიტალური რემონტისათვის დახარჯეს 0,5 მლნ. ლარი. საწარმოებმა შინამეურნეობებს გადასცეს მედიკამენტების შესაძენად 0,1 მლნ. ლარი; საკუთარი თანამშრომლების სამკურნალოდ და დასასვენებლად გადაიხადეს 0,9 მლნ. ლარი.

საწამოთა საქმიანობის მოტანილი მონაცემების საფუძველზე განსაზღვროთ:

1. მთლიანი დაგროვება; ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება; მატერიალური საბრუნავი საშუალებების ცვლილება; მოცემული ინსტიტუციური სექტორის ფინანსირების სალდო; დამატებულ ღირებულებაში დაგროვების წილი.

2. შევადგინოთ კაპიტალის ოპერაციების ანგარიში.

ამოხსნა:

ინვესტიციის დეფინიციის შინაარსიდან გამომდინარე სექტორისათვის განვსაზღვროთ ეკონომიკური აქტივების ცალკეული ჯგუფების მიხედვით დაგროვების მოცულობა:

ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება=1,2+0,8+1,1=3,1

მატერიალური საბრუნავი საშუალებების ცვლილება=25-(21-0,18X21000)-3=4,8

ფასეულობები=0

მიწა=0

შევაფასოთ დაფინანსების წყაროები:

სუბსიდიები=კაპიტალური ტრანსფერები(+)-კაპიტალური ტრანსფერები(–)=0,7+(0,8-0,2)=1,3

მთლიანი დაგროვების მაჩვენებლის გაანგარიშებისთვის საჭიროა განვსაზღვროთ მიმდინარე ანგარიშების აგრეგატების სიდიდეები მიმდინარე ფასებში:

მთლიანი გამოშვება=25 მლნ. ლარი

შუალედური მოხმარება=8+5=13 მლნ. ლარი

წმინდა დაგროვება სხვა წარმოებაზე=(3+0,6+0,3)-0,2=3,7 მლნ. ლარი

მთლიანი დამატებული ღირებულება=25-13=12 მლნ. ლარი

დამატებულ ღირებულებაში დაგროვების წილი=6,5-1=5,5 მლნ. ლარი

დაგროვება=0-(3,1+0,4+0,1+0,9)=-4,5 მლნ. ლარი

შემოსავლების ჩამოყალიბების ანგარიშის სქემის მიხედვით პირველადი შემოსავლების მთლიანი დაგროვება=12-6-3,7+5,5=7,8 მლნ. ლარი.

მთლიანი განკარგვადი შემოსავალი=7,8+(-4,5)=3,3 მლნ. ლარი

ამრიგად, არასაფინანსო საწარმოების სექტორს არ გა-

ნუხორციელებია საბოლოო მოხმარება. ამიტომ,

მთლიანი დანაზოგი=მთლიან განკარგვად შემოსავალს= =3,3 მლნ. ლარი.

ფინანსური სალდო გავიანგარიშოთ კაპიტალის ოპერაციების ანგარიშის სქემის მიხედვით:

ფინანსირების სალდო=მთლიან დანაზოგს+Δ ტრანსფ. -ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება-Δ მატერიალური საბრუნავი საშუალებების-Δ ფასეულობების-Δ მიწის= =3,3+1,3-3,1-4,8-0-0=-3,3

მიღებული შედეგი მეტყველებს, რომ არაფინანსური საწარმოების სექტორს არ გააჩნია ფინანსირების რესურსი.

ახლა ავაგოთ კაპიტალის ოპერაციების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება 3,1 მატერიალური საბრუნავი საშუალებების ცვლილება 4,8 ფასეულობების წმინდა შეძენა 0 დანახარჯები მიწის და არამატერიალური არამწარმოებითი არაფინანსური აქტივების შეძენაზე 0	მთლიანი დანაზოგი 3,3 კაპიტალური ტრანსფერების სალდო 1,3
წმინდა დავალიანება – 3,3	

მაგალითი 5.2.

ეკონომიკის არაფინანსურ სექტორზე გვაქვს შემდეგი მონაცემები (მლნ. ლარი)

საწარმოთა დანახარჯები სათბობის, ელ. ენერგიის, ნახევარფაბრიკატების, ნედლეულის და ა.შ. შეძენაზე – 321;

საწარმოების მიერ მომსახურების ხარჯების გადახდა:

რეკლამაზე – 22;

ტრანსპორტზე – 23;

კავშირგაბმულობაზე – 24;

ბანკის ანგარიშებიდან მიღებული პროცენტები – 10;

კომერციული კრედიტის სარგებლობისათვის საფინანსო ორგანიზაციებისადმი გადახდილი პროცენტები – 9;

საწარმოებისადმი გაწეული იურიდიული კონსულტაციები – 3;

საწარმოების მიერ კომუნალური მომსახურების გადახდა – 2;

საკუთარი თანამშრომლების სამივლინებო ხარჯები – 4;

მათ შორის სადღეღამისო ხარჯები – 0,5;

საწარმოების მიერ საკუთარი თანამშრომლების სოციალურ-კულტურული მომსახურების მიზნით გაწეული ხარჯები – 8;

მათ შორის:

ბინისა და სამგზავრო ბილეთების ღირებულება – 5;

საწარმოს ბალანსზე რიცხული ჯანდაცვის, საბავშვო, გამაჯანსაღებელი დანიშნულების ობიექტების შენახვის ხარჯები – 2,1;

საიჯარო ქირის გადახდასთან დაკავშირებული დანახარჯები – 31;

მიწის სარგებლობისათვის გადახდილი თანხა – 19;

ძირითადი ფონდების კაპიტალური რემონტის ხარჯები – 17;

დანახარჯები თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე – 158;

მოწყობილობის შეძენა – 35;

სოც. დაზღვევაზე აუცილებელი ანარიცხები – 5,2;

საწარმოში დასაქმებულთა ოჯახების დახმარებები სხვადასხვა მიზნებით – 1;

მოტანილი მონაცემებით განვსაზღვროთ კაპიტალური ტრანსფერების სალდო და ძირითადი კაპიტალის დაგროვება.

მაგალითი 5.3

საქართველოს მიხედვით არსებული შემდეგი მონაცემების საფუძველზე (მიმდინარე ფასებში მლნ. ლარი)

მაჩვენებლები	1998	1999	2000	2001	2002	2003
მთლიანი დანაზოგი	795,8	1156,6	567,8	983,6	1058,6	1099,7
კაპიტალური ტრანსფერების მიღება „დანარჩენი მსოფლიოსაგან"	0	0	0	0	59,4	59,9
კაპიტალური ტრანსფერების გაცემა „დანარჩენ მსოფლიოზე"	8,4	14,2	9,4	10,7	19,0	17,2
ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება	972,2	1238,2	1234,7	1388,6	1585,5	2013,5
მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება	81,2	13,9	68,5	69,1	70,2	84,4

ავაგოთ კაპიტალის ოპერაციების ანგარიში თითოეული წლისათვის, შევაფასოთ ფინანსირების სალდო და დავახასიათოთ მაჩვენებლები დინამიკაში.

მაგალითი 5.4

საქართველოს მიხედვით მოტანილი მონაცემების საფუძველზე (მიმდინარე ფასებში მლნ. ლარი)

მაჩვენებლები	1999	2000	2001	2002	2003
ინვესტიციების მოცულობა ძირითად კაპიტალში	1222,7	1214,8	1378,2	1576,8	2005,0
ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მოცულობის ფიზიკური მოცულობის ინდექსი (პროცენტებით წინა წელთან)	107,9	107,8	108,9	109,1	109,7

შევაფასოთ ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მოცულობის დინამიკა 1998–2003 წლებში (შესადარის ფასებში). განვსაზღვროთ ინდექს-დეფლატორი ინვესტიციების მოცულობის მიხედვით.

ტესტები

1. ეას-ის მეთოდოლოგიით მატერიალურ საბრუნავ საშუალებებში არ აღირიცხება:

ა) მწარმოებელთან არსებული მზა პროდუქცია;

ბ) დაუმთავრებელი წარმოება;

გ) დაუმთავრებელი მშენებლობა;

დ) სათბობის ნაშთი წლის ბოლოსათვის.

2. კაპიტალურ ტრანსფერებს არ მიეკუთვნება:

ა) კაპიტალური დაბანდებები;

ბ) ჯარიმები და საურავები;

გ) მოწყობილობის შეძენა საავადმყოფოებში;

დ) კაპიტალური რემონტი.

3. კაპიტალის ოპერაციების ანგარიშის სალდო დადებითია (ადგილი აქვს წმინდა დაკრედიტებას)

ა) როცა ფინანსური აქტივების ცვლილება ახასიათებს დაფინანსების რესურსების სიჭარბეს ყველა სახის აქტივებში განხორციელებულ ინვესტიციებზე;

ბ) როცა ა) ვარიანტს ემატება სხვა ინსტიტუციური ერთეულების დაკრედიტების შესაძლებლობა;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

4. კაპიტალის ოპერაციების ანგარიშის სალდო უარყოფითია (ადგილი აქვს წმინდა დავალიანებას):

ა) როცა ყველა სახის აქტივებში განხორციელებული

ინვესტიციები სჭარბობს დაფინანსების რესურსებს;

ბ) როცა ა) ვარიანტთან ერთად ადგილი აქვს სხვა ინსტიტუციური ერთეულებიდან კრედიტების მიღებას;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

5. ფინანსური ანგარიშის აგებისას სალდო წარმოიქმნება:

ა) ფინანსური ანგარიშის მარჯვენა მხარეს;

ბ) ფინანსური ანგარიშის მარცხენა მხარეს;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

6. ეას-ის მიხედვით დაგროვების ანგარიშებს მიეკუთვნება:

ა) კაპიტალის ოპერაციების ანგარიში;

ბ) ფინანსური ანგარიში;

გ) აქტივებსა და პასივებში სხვა ცვლილებების ანგარიში;

დ) ყველა ჩამოთვლილი ერთად.

7. ძირითადი კაპიტალის მთლიან დაგროვებას ადგილი აქვს მაშინ როდესაც:

ა) მატერიალური ძირითადი ფონდების შეძენას აკლდება ახალი და არსებული მატერიალური ძირითადი ფონდები;

ბ) ძირითად ფონდებს მიკუთვნებული ახალი არამატერიალური აქტივების შეძენას აკლდება ახალი და არსებული არამატერიალური აქტივები;

გ) როდესაც ადგილი აქვს პირველ და მეორე შემთხვევას ერთად.

8. ძირითადი ფონდების შეძენისა და ღირებულებითი შეფასების მომენტად ითვლება:

ა) ორ ინსტიტუციურ ერთეულს შორის ძირითადი ფონ-

დების შეძენაზე შეთანხმების მიღწევა;

ბ) ერთი ინსტიტუციური ერთეულიდან მეორეზე ძირითადი ფონდების საკუთრების უფლების გადაცემა;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

9.აქტივებში სხვა ცვლილებების ანგარიში ახასიათებს:

ა) ისეთ ცვლილებებს, რომლებიც უკავშირდება სასარგებლო წიაღისეულის საბადოების გახსნას ან მათ ამოწურვას;

ბ) აქტივების დაშლას საომარი მოქმედებებით, სტიქიური უბედურებებით და სხვა მსგავსი მიზეზებით;

გ) აქტივების, პასივების და კაპიტალის წმინდა ღირებულებების ცვლილებას ფასების დონისა და სტრუქტურის შეცვლის შედეგად, რომელსაც მივყავართ ჰოლდინგურ მოგებამდე ან ზარალამდე;

დ) ყველა ზემოჩამოთვლილს ერთად.

10. ფინანსურ ანგარიშში ინსტიტუციურ ერთეულებსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის ფინანსურ აქტივებთან და პასივებთან დაკავშირებული ოპერაციები იყოფა:

ა) 5 სახედ;

ბ) 7 სახედ;

გ) 10 სახედ.

თემა 6. მთლიანი შიდა პროდუქტი

6.1 მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების მეთოდები

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) – ეას-ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია, რომელიც ახასიათებს დროის გარკვეული პერიოდის მანძილზე რეზიდენტ-ერთეულების ეკონომიკური საქმიანობის საბოლოო შედეგს და ზომავს მათ მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებას მათი საბოლოო მოხმარებისათვის.

მოცემული მაჩვენებელი ხასიათდება რამდენიმე თავისებურებით. კერძოდ:

– იგი წარმოებული საქონლისა და მომსახურების საბოლოო ღირებულებაა. განმეორებითი აღრიცხვის თავიდან აცილების მიზნით მასში არ აისახება წარმოების პროცესში გამოყენებული შუალედური მოხმარების საქონლისა და მომსახურების (სათბობი, ნედლეული, მასალა, ენერგია და ა.შ) ღირებულება.

– მშპ ეს არის შიდა პროდუქტი, იმიტომ რომ წარმოებულია რეზიდენტების მიერ;

– მშპ მთლიანი პროდუქტია, იმიტომ, რომ იგი იანგარიშება ძირითადი კაპიტალის გამორიცხვამდე.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება წარმოადგენს მისი ღირებულების შემცირებას საანგარიშო პერიოდის მანძილზე მისი ფიზიკური და მორალური ცვეთის ხარჯზე.

მთლიანი შიდა პროდუქტი გაიანგარიშება სამი მეთოდით:


ა) წარმოებითი მეთოდით;

ბ) შემოსავლების განაწილების მეთოდით;

გ) საბოლოო გამოყენების მეთოდით.

მთლიანი შიდა პროდუქტი - ***წარმოების მეთოდით*** იანგარიშება, როგორც ეკონომიკური საქმიანობის, სახეების მიხედვით დაჯგუფებული რეზიდენტი ერთეულების დამატებული ღირებულების ჯამი. ***დამატებული ღირებულება*** წარმოადგენს წარმოებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ***(მთლიანი გამოშვება)*** ღირებულებათა და წარმოების პროცესში გამოყენებული საქონლისა და მომსახურების შექმნაზე დახარჯული მასალების, სათბობის, ნახევარფაბრიკატების, ენერგიის და ა.შ(შუალედური მოხმარება) ღირებულებას შორის სხვაობას. მთლიანი გამოშვების, შუალედური მოხმარებისა და დამატებული ღირებულების შეფასების მეთოდოლოგია დაწვრილებით არის განხილული მესამე თავში.

წარმოების მეთოდით გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის სქემა ასეთნაირად გამოიყურება:



წარმოების მეთოდით გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტი საქართველოში 2003-2008 წლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში:

ცხრილი № 10

მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოების მიხედვით[1]
(მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)


მთლიანი შიდა პროდუქტის აგრეგატები	2003	2004	2005	2006	2007	2008
მთლიანი გამოშვება საბაზრო ფასებში	13484,0	15033,7	17443,5	20525,7	25236,9	28318,8
შუალედური მოხმარება	5442,1	6044,1	7159,0	8478,9	10625,8	11796,9
დამატებული ღირებულება სა-ბაზისო ფასებში	8041,9	8989,6	10284,5	12046,9	14611,1	16521,8
გადასახადები პროდუქციაზე	578,3	892,1	1397,3	1800,6	2454,3	2639,3
სუბსიდიები პროდუქციაზე	56,1	57,3	60,8	57,6	71,6	86,3
წმინდა გადასახადები პროდუქ-ციაზე	522,2	834,7	1336,5	1743,1	2382,7	2553,0
მშპ საბაზრო ფასებში	8564,1	9824,3	11620,9	13789,9	16993,8	19074,9

შემოსავლების განაწილების მეთოდით მთლიანი შიდა პროდუქტი მიიღება, როგორც ეკონომიკური საქმიანობის დარგებში შექმნილი რეზიდენტ-ერთეულებზე განაწილებული შემოსავლების ჯამი. მისი გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად: იკრიბება შემოსავალი დასაქმებიდან დარიცხული ხელფასისა და დანამატების, ხელფასზე დარიცხული გადასახადების ჩათვლით, თვითდასაქმებიდან მიღებული შერეული შემოსავალი, კომპანიების საქმიანობიდან მიღებუ-

[1] საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2008. სტატისტიკური კრებული. სტატისტიკის დეპარტამენტი. 2009.

ლი მთლიანი მოგება, ქონების გაქირავებიდან მიღებული რენტა და წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე. მიღებული ჯამი წარმოადგენს ***მთლიან შიდა პროდუქტს*** საბაზრო ფასებში.

შემოსავლების განაწილების მეთოდით გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის სქემას ასეთი სახე აქვს:



შემოსავლების განაწილების მეთოდით გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის აგრეგატები: შრომის ანაზღაურება, ხელფასი, სოციალური ანარიცხები, გადასახადები, სუბსიდიები და ა.შ. ჩვენს მიერ განხილულია მეოთხე თემაში და ამჟამად დაწვრილებით მათზე აღარ შევჩერდებით.

შემოსავლების განაწილების მეთოდით გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტი საქართველოში 2003-2008 წლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში:

ცხრილი № 11


მშპ შემოსავლების კატეგორიების მიხედვით[1]
(მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

მთლიანი შიდა პროდუქტის აგრეგატები	2003	2004	2005	2006	2007	2008
შრომის ანაზღაურება	1484,8	1641,1	1977,4	2293,2	3252,3	4422,7
ხელფასები	1257,2	1269,8	1530,1	1790,3	2530,3	3317,0
სოციალური ანარიცხები	227,6	371,2	447,3	502,8	722,0	1105,7
გადასახადები ნარმოებასა და იმპორტზე	706,4	1026,2	1481,7	1919,5	2587,6	2864,2
სუბსიდიები პროდუქციაზე	56,1	57,3	60,8	57,6	71,6	86,3
მთლიანი საოპერაციო მოგება	3517,6	4397,1	5263,2	6747,6	8264,2	8780,2
მთლიანი მერეული შემოსა-ვალი	2911,3	2817,3	2959,5	2887,2	2961,3	3094,0
მშპ საბაზრო ფასებში	8564,1	9824,3	11620,9	13789,9	16993,8	19074,9

საბოლოო გამოყენების მეთოდით მთლიანი შიდა პროდუქტი გაიანგარიშება როგორც საქონლისა და მომსახურების საბოლოო მოხმარების ხარჯების, კაპიტალური დაბანდებების, მატერიალური საბრუნავი საშუალებების მატებისა და საგარეო ეკონომიკური ოპერაციების სალდოს სიდიდეთა ჯამი. მისი გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად: მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯებს ემატება შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურება, ემატება სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ გაწეული კოლექტიური (სახელმწიფო მართვა, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფ-

[1] საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2008. სტატისტიკური კრებული. სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი 2009.

რთხოების დაცვა) და პერსონალური (განათლება, ჯანდაცვა, სოციალური დაზღვევა) მომსახურება, ემატება ძირითადი კაპიტალის ფორმირების ხარჯები, ემატება მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება და ამით მიიღება მთლიანი შიდა ხარჯები საბაზრო ფასებში. მოცემულ მაჩვენებელს ემატება საქონლისა და მომსახურების ექსპორტი, აკლდება საქონლისა და მომსახურების იმპორტი და მიიღება ***მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.*** *სქემატურად ზემოალნიშნული ასეთნაირად გამოიყურება:*



საბოლოო გამოყენების მიხედვით მიმდინარე ფასებში გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტი საქართველოში 2003-2008 წლებში ასახულია ქვემომოტანილ ცხრილში:

ცხრილი № 12

მთლიანი შიდა პროდუქტი საბოლოო გამოყენების მიხედვით[1] (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

მთლიანი შიდა პროდუქტის აგრეგატები	2003	2004	2005	2006	2007	2008
ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	7028,8	8573,8	9794,1	12972,0	15731,9	19595,8
მთლიანი კაპიტალის ფორმირება	2682,3	3134,8	3891,5	4255,3	5447,5	4951,6
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	2726,6	3100,1	3921,9	4532,1	5303,0	5459,2
საქონლისა და მომსახურების იმპორტი	3975,6	4733,6	5992,7	7862,6	9848,0	11140,4
სტატისტიკური განსხვავება	101,9	-250,8	6,0	-106,9	359,3	208,6
მშპ საბაზრო ფასებში	8564,1	9824,3	11620,9	13789,9	16993,8	19074,9

6.2 მთლიანი შიდა პროდუქტი და ეას-ის სხვა აგრეგატები

„დახურულ" ეკონომიკაში მთლიანი შიდა პროდუქტი რეზიდენტების მიერ მიღებული შემოსავლის ტოლია, მაგრამ, ფაქტობრივად, ეროვნულ სახელმწიფოებში „ღია" ეკონომიკაა: ყველა ქვეყანა ამა თუ იმ ფორმით სხვა ქვეყნებიდან ღე-

[1] საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2008. სტატისტიკური კრებული. სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი 2009.

ბულობს შემოსავლებს და უხდის არარეზიდენტებს მის ტერიტორიაზე შექმნილი შემოსავლების ნაწილს. შემოსავლების ასეთი ნაკადების გათვალისწინებით განისაზღვრება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეორე უმთავრესი მაჩვენებელი – მთლიანი ეროვნული შემოსავალი. იგი წარმოადგენს მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ პირველადი და საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების ჯამს. რაოდენობრივი თვალსაზრისით მთლიანი ეროვნული შემოსავალი განსხვავდება მთლიანი შიდა პროდუქტისაგან საზღვარგარეთიდან მიღებული პირველადი შემოსავლების სალდოს სიდიდით.

მთლიანი ეროვნული შემოსავალის საერთო მოცულობის, მისი პირველადი და მეორადი განაწილების და გამოყენების მაჩვენებლები გაიანგარიშება ეროვნულ ანგარიშთა სისტემა-93-ის მეორე უმთავრეს ანგარიშთა ჯგუფის – შემოსავლების განაწილებისა და გამოყენების ანგარიშების შემადგენლობაში.

წარმოებული მთლიანი ეროვნული შემოსავლის მოცულობა განისაზღვრება ეკონომიკის ყველა სექტორის მიხედვით შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიშიდან პირველადი და საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების ცვლილების გათვალისწინებით.

მთლიანი ეროვნული შემოსავლის გადანაწილების შედეგები გამოისახება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის III ძირითად – ***ეროვნული მთლიანი განკარგვადი შემოსავლის (ემგშ)*** – მაჩვენებლებში. იგი განსხვავდება მთლიანი ეროვნული შემოსავლისაგან საზღვარგარეთიდან მიღებული (ან საზღვარგარეთზე გადაცემული) მიმდინარე გადანაწილებითი გადასახდელების, ანუ მიმდინარე ტრანსფერების (ჰუმანიტარული დახმარების, გადასახადების, ჯარიმების, საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრები ნათესავებიდან საჩუქრების და სხვ.) სალდოს სიდიდით.

ეროვნული მთლიანი განკარგვადი შემოსავალის გამოყენების შედეგები გამოისახება ეროვნული საბოლოო მოხმარების ხარჯებისა და მთლიანი დანაზოგების მაჩვენებლებში.

ეროვნული საბოლოო მოხმარების ხარჯები მოიცავს: შინამეურნეობების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების მიერ საბოლოო საქონლისა და მომსახურების შეძენის ხარჯებს. შემდგომ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე უფასოდ მიღებული საქონლისა და მომსახურების გათვალისწინებით, ყალიბდება შესაბამისი სექტორებისათვის ფაქტობრივი საბოლოო მოხმარების მაჩვენებლები.

მთლიანი ეროვნული დანაზოგები ემგშ-ის ის ნაწილია, რომელიც რჩება საბოლოო მოხმარების ხარჯების შემდეგ და წარიმართება უპირატესად მთლიანი დაგროვების (ინვესტიციების) დაფინანსებისათვის. ინვესტიციების დაფინანსების მეორე წყაროა გადანაწილებითი ხასიათის ერთდროული შემოსულობა საზღვარგარეთიდან ე.წ. წმინდა კაპიტალური ტრანსფერები. მთლიანად ქვეყნის დონეზე დანაზოგებისა და კაპიტალური ტრანსფერების სალდოს საერთო თანხასა და მთლიანი დაგროვების ელემენტების ღირებულების მატებას შორის სხვაობას გამოსახავს წმინდა დაკრედიტების (ან წმინდა დავალიანების) მაჩვენებელი, იგი წარმოადგენს შესაბამისი ოპერაციების შედეგად მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაში (ან ინსტიტუციურ სექტორში) დარჩენილ თანხას, რომლის გამოყენება შესაძლებელია დაკრედიტების მიზნით (როცა ანგარიშებში ეს მაჩვენებელი „+“ ნიშნითაა), ან თანხას, რომლის სესხად აღება ქვეყნისათვის აუცილებელია (როცა ეს მაჩვენებელი „-“ ნიშნითაა).

ქვემოთ მოყვანილ სქემა № 3-ში სისტემატიზებულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ძირითადი მაჩვენებლები და მოცემულია მათ შორის ურთიერთკავშირი.

ა	მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასში
ბ	ძირითადი კაპიტალის მოხმარება
გ	წმინდა შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში (ა-ბ)
დ	პირველადი შემოსავლების სალდო, მიღებული საზღვარგარეთიდან
ე	წმინდა ეროვნული შემოსავალი (გ-დ)
ვ	მიმდინარე ტრანსფერების სალდო, მიღებული საზღვარგარეთიდან
ზ	წმინდა ეროვნული განკარგვადი შემოსავლები (ე+ვ)
თ	ეროვნული საბოლოო მოხმარება
ი	ეროვნული დანაზოგი (ზ-თ)
კ	კაპიტალური ტრანსფერები
ლ	ინვესტიციების ფინანსირების საერთო წყაროები (ი+კ)
მ	მთლიანი დაგროვება, როგორც მშპ-ის გამოყენების ელემენტი
ნ	არანარმოებული არაფინანსური აქტივების წმინდა შეძენა
ო	წმინდა კრედიტები / წმინდა დავალიანება (ლ-მ-ნ)

6.3. დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ფარგლებში

მსოფლიოს როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების სტატისტიკის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) შეფასების მონაცემთა სისრულისა და საიმედოობის უზრუნველყოფა. მოცემული ამოცანის შესასრულებლად სტატისტიკური სამსახურები და ის უწყებები, ვინც დაკავებულია ოფიციალური სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარებით, აწყობენ სპეციალურად ორგანიზებულ შერჩევით სტატისტიკურ გამოკვლევებს, გაანგარიშებებსა და შეფასებებს ეკონომიკის იმ სფეროებზე, რომლებიც ყველაზე მეტად „მგრძნობიარეა" დაუკვირვებადი ეკონომიკის მი-

მართ. სპეციალურ ლიტერატურაში ***დაუკვირვებადი ეკონომიკის*** ქვეშ მოისაზრება კრიმინალური, ჩრდილოვანი და არაფორმალური ეკონომიკა.

დაუკვირვებადი ეკონომიკის მშპ-ში ასახვის საკითხები პირველად ჩამოყალიბდა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 1993 წლის ვერსიაში. ამჟამად საერთაშორისო სტანდარტს ამ სფეროში წარმოადგენს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის და დსთ-ის სტატკომიტეტის სახელმძღვანელო „დაუკვირვებადი ეკონომიკის გაზომვა“ (2002 წ.).

მოცემული სახელმძღვანელოთი განმარტებულია დაუკვირვებადი ეკონომიკის ძირითადი ცნებები, ტერმინოლოგია, კლასიფიკაცია. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

დაუკვირვებადი სახის საქმიანობა იყოფა შემდეგ ტიპებად:

ჩრდილოვანი წარმოება. მის ქვეშ მოიაზრება ისეთი სახის საქმიანობა, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით კანონიერია, მაგრამ განზრახულია დაიმალოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისაგან გადასახადების გადახდის და სოციალური დაზღვევის შენატანების თავის არიდების მიზნით.

უკანონო წარმოება განისაზღვრება როგორც საქონლისა და მომსახურების აკრძალული წარმოება და ისეთი სახის საქმიანობანი, რომელთა განხორციელება მართალია, ნებადართულია, მაგრამ მათ განმახორციელებელ სუბიექტებს არა აქვთ შესაბამისი ნებართვა.

წარმოება არაფორმალურ სექტორში განისაზღვრება როგორც საწარმოო საქმიანობის სახე, რომელიც ხორციელდება ისეთი არაკორპორირებული საწარმოების მიერ შინამეურნეობის სექტორში, რომლებიც არაა რეგისტრირებული ან

რომელთა ზომა და დასაქმებულთა რიცხვი ნაკლებია დადგენილი ზღურბლის მნიშვნელობაზე და გააჩნიათ რაიმე სახის საბაზრო წარმოება.

შინამეურნეობების წარმოება საკუთარი საბოლოო გამოყენებისათვის განისაზღვრება როგორც ისეთი სახის საქმიანობა, რომელთა შედეგადაც შინამეურნეობები მოიხმარენ ან კაპიტალიზირებას უწევენ მათ მიერვე წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას.

ამჟამად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოიყენება დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასების სხვადასხვა მეთოდები. მათი გაერთიანება შეიძლება 3 მსხვილ ჯგუფად. ესენია: ***ინტეგრალური მეთოდები, ირიბი მეთოდები და დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასების მაკრომოდელური მეთოდები.***

ინტეგრალური მეთოდები თავის მხრივ იყოფა:

• ***სასაქონლო ნაკადების მეთოდი*** გულისხმობს საქონელსა და მომსახურებაზე თვალყურის დევნებას მწარმოებლიდან მომხმარებლამდე და საქონლისა და მომსახურების რესურსების შედარებას მათ გამოყენებასთან. მოცემული პროცედურების ჩასატარებლად გამოიყენება დანახარჯები-გამოშვების ცხრილები და ცალკეული სახის პროდუქტების ბალანსები ნატურალურ გამოსახულებაში.

• ***დარგების დამატებული ღირებულების ალტერნატიული შეფასებები*** (მაგალითად, მშენებლობაში ცემენტის ხარჯვისა და მშენებლობის პროდუქციის ურთიერთშედარება; პურის წარმოებაში - პურის ფქვილის ხარჯისა და პურფუნთუშეულის პროდუქციის ურთიერთშედარება და ა.შ.).

• ***შინამეურნეობების შემოსავლების ალტერნატიული გაანგარიშებები*** (მაგალითად, ცალკეულ საქონელსა და მომსახურებაზე შემოსავლებისა და ხარჯების შედარებით, მოთხოვნა დამოკიდებულია შემოსავლების დონეზე).

დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასების ირიბი მე-

თოდები ეფუძნება მონაცემთა სხვადასხვა წყაროებს. მათ მიეკუთვნება:

• ***დასაქმებისა და სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემები,*** რომელთა დახმარებითაც ვლინდება ოფიციალურად დარეგისტრირებული უმუშევრები, რომლებიც იღებენ შემწეობას, მაგრამ აქვთ მუდმივი ან დროებითი სამუშაო. აქვე შედის ოფიციალურად დაურეგისტრირებული უცხოელები, ლტოლვილები და ა.შ.

• ***ადმინისტრაციული წყაროების მონაცემები*** (საწარმოების, საცხოვრისების, მიწის აღწერის მასალები და ა.შ.).

• ***დასაქმებულთა რიცხოვნობის მონაცემები*** - ვინც შრომობს და იღებს დამატებით რეგულარულ შემოსავალს (ადვოკატები, პარიკმახერები, ტაქსის მძღოლები, გაზეთის გამყიდველები და ა.შ.).

• ***სხვადასხვა ტიპის საწარმოებში გამოშვება-დანახარჯების მონაცემთა შედარებითი ანალიზი.***

• ***საგადასახადო ორგანოების, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და საჯარო რეგისტრის სამსახურის მონაცემები.***

მაკრომოდელური მეთოდებიდან *გამოვყოთ* ***გლობალური ინდიკატორების მეთოდი.*** მისი არსი მდგომარეობს ეკონომიკური ზრდის პარამეტრებისა და ელექტროენერგიის მოხმარების ზრდის მაჩვენებელთა ურთიერთშედარებაში. ამავე მეთოდს მიეკუთვნება ***მონეტარული მოდელი,*** რომელშიც მოიაზრება მაგალითად, ის, რომ ნაღდი ფულის მოთხოვნაში ცვლილება შეიძლება გამოწვეული იყოს ეკონომიკური საქმიანობის აღურიცხავი სახეებით.

საქართველოს ეკონომიკაში დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი მაღალი იყო ვარდების რევოლუციამდე. თუმცა მის შემდეგაც საკმაოდ მაღალია. განსაკუთრებით, სამეწარმეო სექტორში, რაზეც ქვემოთ მოტანილი მონაცემები მეტყველებენ.

ცხრილი №13

დაუკირვებადი გამოშვების წილი საქართველოს ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში[1] (პროცენტობით)

	2003	2004	2005	2006	2007	2008
დაუკვირვებადი გამოშვება მთლიან გამოშვებაში	36,8	32,0	30,3	26,1	25,0	24,9

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი ეკონომიკური სუბიექტების რეგულარული სტატისტიკური გამოკვლევებით არასრულად მოცვის გამო დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასებისათვის იყენებს სამუშაო ძალის გამოკვლევებიდან მიღებულ დასაქმების სტატისტიკის მონაცემებს. მოცემული მეთოდის არსი მდგომარეობს შემდეგში. ხდება რეგულარული სტატისტიკური კვლევების მიხედვით დასაქმებულების მაჩვენებლის შედარება სამუშაო ძალის გამოკვლევებიდან შესაბამის პერიოდში დასაქმების მონაცემებთან. სამუშაო ძალის გამოკვლევებიდან მიღებული მონაცემებით (იგი უფრო ფართომასშტაბიანი და დასაქმების სრულად მახასიათებელი გამოკვლევაა) ხდება რეგულარული სტატისტიკური გამოკვლევებით მიღებული მაჩვენებლების კორექტირება და მათი შევსება. ასეთი სახის შედარებებით ჩრდილოვანი ეკონომიკა შეისწავლება ეკონომიკურ სუბიექტთა სტატისტიკურ აღრიცხვაში სრულად მოცვის მხრივ. თუმცა დაუკვირვებადი ეკონომიკის მეორე ნაწილს - ეკონომიკური სუბიექტების მიერ ოფიციალურ ორგანოებში დამახინჯებით წარდგენილ მონაცემებს მოცემული შედარებები არ იძლევა. ამ უკანასკნელი პრობლემის გადასაწყვე-

[1] საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2008. სტატისტიკური კრებული. სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი 2009.

ტად საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტში სარგებლობენ ***საქონლისა და მომსახურების მიწოდებისა და გამოყენების ბალანსის მეთოდით.*** მოცემული მეთოდის გამოყენებით ხდება სამეწარმეო სექტორიდან, შინამეურნეობების კვლევებიდან და საგარეო ვაჭრობიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე კონკრეტული პროდუქტების მიწოდებისა და მოხმარების მაჩვენებლების ურთიერთშედარება და მაჩვენებელთა კორექტირება. მაგალითისათვის ავიღოთ პურის ცხობის (სხვადასხვა ინსტიტუციურ სექტორებში) და მისი მოხმარების (შინამეურნეობების და სხვა მომხმარებლების მიერ) მაჩვენებლები. როგორც უკანასკნელი წლების მაჩვენებელთა ანალიზი გვიჩვენებს, მოხმარების მაჩვენებელი საშუალოდ 3,5-ჯერ ჭარბობს წარმოების მაჩვენებელს.

სტატისტიკის დეპარტამენტში ძირითად წყაროს, რომელზე დაყრდნობითაც სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების დაუკვირვებადი გამოშვების შეფასება ხდება, წარმოადგენს შინამეურნეობების გამოკვევის მასალები მოსახლეობის საბოლოო მოხმარების ხარჯებზე.

დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა საქართველოში სპეციალურად ორგანიზებული შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარება უმეტეს შემთხვევაში ფარული ქრონომეტრაჟის გამოყენებით. ასეთი სახის სპეციალური კვლევები ვარდების რევოლუციამდე ჩატარდა ისეთ სფეროებში, რომლებიც ყველაზე მეტად იყო დაზიანებული ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი მასშტაბებით არსებობის თვალსაზრისით. ასეთი სფეროებია: ბაზრები და ბაზრობები, ბენზინგასამართი საწარმოები, საქალაქო მიკროავტობუსები, სატვირთო ტრანსპორტი, მშენებლობა, რესტორნები, სილამაზის სალონები, პურის ცხობით დაკავებული საწარმოები, ჯანდაცვისა და განათლების მომსახურებით დაკავებული სუბიექტები. ასე-

თი სახის გამოკვლევებით გამოვლენილია ჯერადობითი განსხვავებები პროდუქციის (მომსახურების) დეკლარირებულ მაჩვენებლებსა და მათ რეალურ მონაცემებს შორის.

ზემოჩამოთვლილი მეთოდების გამოყენებით ხდება საქართველოში დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბების შეფასება და დარგებისა და ეკონომიკის მაკრომაჩვენებლების კორექტირება.

6.4. მთლიანი შიდა პროდუქტის შეფასება მუდმივ ფასებში

მთლიანი შიდა პროდუქტის ფიზიკური მოცულობის დინამიკის მაჩვენებელი მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში აღიარებულია ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებლად. მთლიანი შიდა პროდუქტის ფიზიკური მოცულობის ინდექსის გასაანგარიშებლად ხდება მისი გაანგარიშება ***მუდმივ ფასებში***. მუდმივ ფასებად შეიძლება გამოვიყენოთ საბაზისო პერიოდის რომელიმე წლის ფასები. ასეთი მეთოდით შედგენილი მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკური მწკრივი გამოიყენება პროგნოზირებასა და ეკონომიკურ მოდელირებაში.

მუდმივ ფასებში მთლიანი შიდა პროდუქტის საბოლოო მოხმარების, დაგროვების, ექსპორტის, გამოშვების, იმპორტის, შუალედური მოხმარების, დამატებითი ღირებულების, მოგებისა და შრომის ანაზღაურების მაჩვენებლების გაანგარიშებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ორი ელემენტი. პირველი, ესაა რაოდენობა, და მეორე, ფასი.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 1993 წლის ვერსიით გამოკვეთილია განსხვავება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ***ფიზიკური მოცულობის მაჩვენებელსა და რეალურ მაჩვენებელს*** შორის.

მთლიანი შიდა პროდუქტის ფიზიკური მოცულობისა

და ფასების დინამიკის განსაზღვრისათვის გამოიყენება მთლიანი შიდა პროდუქტის ფიზიკური მოცულობის ინდექსი და მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი. ***მთლიანი შიდა პროდუქტის ფიზიკური მოცულობის ინდექსი*** გაიანგარიშება, როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის საანგარიშო პერიოდის ღირებულების საბაზისო პერიოდის ფასებში, გაყოფით მის ღირებულებაზე საბაზისო პერიოდთან შედარებით, შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$I_q^{მშპ} = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0}, \qquad (5)$$

სადაც

$I_q^{მშპ}$ - მთლიანი შიდა პროდუქტის ფიზიკური მოცულობის ინდექსია;

$\sum q_1 p_0$ - მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებაა საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდის ფასებით;

$\sum q_0 p_0$ - მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებაა საბაზისო პერიოდში.

მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი ახასიათებს ეკონომიკაში განსაზღვრული პერიოდის მანძილზე ფასების საშუალო ცვლილებას. იგი მიიღება მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების (მიმდინარე ფასებში) ინდექსის შეფარდებით მთლიანი შიდა პროდუქტის ფიზიკური მოცულობის ინდექსთან. ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$I_p^{მშპ} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0} : \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0}, \qquad (6)$$

სადაც

$I_p^{მშპ}$ - მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორია;

$\Sigma q_1 p_1$ - მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებაა საანგარიშო პერიოდში;

$\Sigma q_1 p_1 / \Sigma q_0 p_0$ - მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების ინდექსია.

თეორიული თვალსაზრისით მთლიანი შიდა პროდუქტის კომპონენტების მუდმივ ფასებში გადაფასების საუკეთესი საშუალებაა ***პააშეს ფასების ინდექსის*** ფორმულა, რომელსაც ასეთი სახე აქვს:

$$I_p^{\text{პაშ.}} = \frac{\Sigma q_1 p_1}{\Sigma q_1 p_0}, \qquad (7)$$

პააშეს ფორმულა გვიჩვენებს, რამდენად გაძვირდა ან გაიაფდა საქონლისა და მომსახურების განსაზღვრული რაოდენობის ნაკრები საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით. მოცემული ფორმულით სარგებლობისას, გაანგარიშებებში გამოიყენება საქონლისა და მომსახურების სტრუქტურა (წონები), რომლებიც ჩამოყალიბდა საანგარიშო პერიოდში. ღირებულების ინდექსის გაყოფით პააშეს ფასების ინდექსზე ვღებულობთ ლასპეირესის ფიზიკური მოცულობის ინდექსს. ამრიგად, პააშეს ფასების ინდექსის გამოყენებით შესაძლებელია ერთმანეთს დავაკავშიროთ ღირებულების, ფიზიკური მოცულობისა და ფასების ინდექსები, რასაც შემდეგი სახე აქვს:

$$\frac{\Sigma q_1 p_1}{\Sigma q_0 p_0} = \frac{\Sigma q_1 p_0}{\Sigma q_0 p_0} \times \frac{\Sigma q_1 p_1}{\Sigma q_1 p_0}, \qquad (8)$$

პააშეს ფასების ინდექსის მიხედვით დაცულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ღირებულებითი აგრეგატების დეფლირების პრინციპი, იმდენად, რამდენადაც მისი გამოყენებით გაანგარიშებული ფიზიკური მოცულობის ინდექსი აკმაყოფილებს ისეთ მოთხოვნებს როგორიცაა:

ა) იგი წარმოადგენს მუდმივი წონებით აღებული ფიზიკური მოცულობის ინდივიდუალური ინდექსების საშუალო მაჩვენებელს;

ბ) მანამ, სანამ საბაზისო პერიოდი არ იცვლება, საბაზისო შედარების შემდგომ პერიოდებში ფასების ცვლილება არ ახდენს გავლენას ფიზიკური მოცულობის ინდექსზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმეტეს ქვეყნებში მაკროეკონომიკურ გაანგარიშებებში (დეფლირების მიზნით) იყენებენ პააშეს ინდექსს, თუმცა მათი არარსებობის შემთხვევაში იყენებენ ფასების ლასპეირესის ინდექსს. ლასპეირესის ინდექსი ამახინჯებს ფასების თეორიული ინდექსის ცვლილებას მატების მხრივ, ხოლო პააშეს ინდექსი - იგივეს, კლების მხრივ. ამიტომ ეროვნულ ანგარიშთა სისტემა 1993 წლის ვერსიის რეკომენდაციებით მთლიანი შიდა პროდუქტის კომპონენტების დეფლირებისას გამოიყენება ***ფიშერის ფასების ინდექსის ფორმულა,*** რომელიც წარმოადგენს პააშესა და ლასპეირესის ინდექსების საშუალო გეომეტრიულს. მოცემულ ფორმულას ასეთი სახე აქვს:

$$I_p^{\text{ფ}} = \sqrt{\frac{\sum q_0 p_1}{\sum q_0 p_0} \times \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0}} \qquad (9)$$

ფიშერის ინდექსი განსაზღვრულ პირობებში უახლოვდება „ჭეშმარიტ" თეორიული ფასების ინდექსს.

მთლიანი შიდა პროდუქტისა და მისი კომპონენტების შეფასებისათვის გამოიყენება ***საბაზისო პერიოდად შერჩეული წლის საშუალო მიმდინარე ფასები.*** ეროვნულ ანგარიშთა სისტემის კონცეფციის თანახმად საბაზისო წელი საჭიროა შეიცვალოს ყოველ ხუთ წელიწადში ერთჯერ. ასეთი ცვლილების აუცილებლობა გამოწვეულია მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში ჩამოყალიბებული მნიშვნელოვანი ცვლილებებით. საბაზისო პერიოდის ცვლილებისას

მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკური მწკრივების უწყვეტობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია მთლიანი შიდა პროდუქტის მწკრივების მიჯრის უზრუნველყოფა, რაც მიიღწევა ახალი საბაზისო პერიოდის მუდმივ ფასებში წინა საბაზისო პერიოდის ფასებით შედგენილი დინამიკური მწკრივის მაჩვენებლების გადაანგარიშებით. ასეთი პროცედურების ჩატარების ორი ხერხი არსებობს.

პირველი მეთოდის თანახმად, მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკური მწკრივების ახალ მუდმივ ფასებში შეფასებისათვის ხდება ფასების ინდექსების შეკავშირება (ახალი და ძველი მუდმივი ფასების ინდექსები) და შეკავშირებული ინდექსი გამოიყენება მთლიანი შიდა პროდუქტის და მისი კომპონენტების დინამიკური მწკრივების დეფლირებისათვის.

ზემოაღნიშნული განვიხილოთ ქვემოთ მოტანილ პირობით მაგალითზე.

ცხრილი № 14

წელი	ფასების ინდექსი წინანდელ საბაზისო პერიოდთან (1995=100)	ფასების ინდექსი ახალ საბაზისო პერიოდთან (2000=100)	ფასების ინდექსი, გადაანგარიშებული ახალ საბაზისო პერიოდთან, კოეფიციენტის დახმარებით (2000=100)	ახალ საბაზისო პერიოდთან დაკავშირებული ინდექსები (2000=100)
1	2	3	4	5
1985	65.0	-	56.6	56.6
1995	100.0	-	87.0	87.0
2000	115.0	100.0	100.0	100.0
2005	120.0	100.0	-	100.0

მოტანილი ცხრილიდან ჩანს, რომ პირველ გრაფაში ასახულია ფასების ინდექსების მწკვრივი წინა საბაზისო წელთან (1995) მიმართებაში. ხოლო მეორე გრაფაში - ფასე-

ბის ინდექსები ახალ საბაზისო წელთან (2000) მიმართებაში. ძველი ინდექსების ახალ ინდექსებთან დაკავშირების მიზნით წინა ინდექსების ყველა მნიშვნელობა მოყოლებული 1985 წლიდან, მრავლდება კოეფიციენტზე, რომელიც ახასიათებს ფასების დამოკიდებულებას ძველ და ახალ საბაზისო პერიოდებს შორის (100/115) = 87.0 (გრაფა 3).

მოცემული კოეფიციენტის გამოყენებით ვღებულობთ ფასების ინდექსების ახალ მწკრივს ახალ საბაზისო პერიოდთან (2000) შედარებით.

ფასების მოცემული ინდექსები გამოიყენება დეფლატორებად მთლიანი შიდა პროდუქტის და მისი კომპონენტების ახალ მუდმივ ფასებში გადაფასებისათვის. ასეთი სახის პროცედურით მთლიანი შიდა პროდუქტის ფიზიკური მოცულობის ინდექსი ინარჩუნებს იგივე შინაარსს, როგორიც იყო წინა მუდმივი ფასების პირობებში.

მეორე მეთოდის გამოყენებისას, კერძოდ, მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკური მწკრივის აგებისას, ახალი შესადარი ფასებით, გამოიყენება მთლიანი შიდა პროდუქტის ფიზიკური მოცულობის ჯაჭვური ინდექსები. დავუშვათ, რომ გვჭირდება მივიღოთ მთლიანი შიდა პროდუქტი 2000 წლისათვის 2005 წლის ახალი საბაზისო ფასებით. ამ შემთხვევაში 2005 წლის მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში იყოფა მთლიანი შიდა პროდუქტის 2005 წლის 2000 წელთან მიმართებაში გათვლილ ფიზიკური მოცულობის ინდექსზე, რომელიც აღებულია 2000 წლის ფასებით.

ფორმულას ასეთი სახე აქვს:

$$\Sigma q_{2000} p_{2005} = \Sigma q_{2005} p_{2005} : \left(\Sigma q_{2005} p_{2000} / \Sigma q_{2000} p_{2000} \right),$$

სადაც

$\Sigma q_{2000} p_{2005}$ – არის 2000 წლის აბსოლუტური მონაცე-

მები 2005 წლის ფასებით

$\sum q_{2005} p_{2005}$ - არის 2005 წლის აბსოლუტური მონაცემები მიმდინარე წლის ფასებით

$\sum q_{2005} p_{2000} / \sum q_{2000} p_{2000}$ - არის ფიზიკური მოცულობის ინდექსი (2005 წ 2005 წელთან წინა (2000 წ.) მუდმივ ფასებში)

ზემოაღნიშნული ორივე მეთოდის გამოყენებით, როგორც წესი, მიღებული უნდა იქნეს ერთი და იგივე შედეგი.

ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებებისა და მაღალი ინფლაციის პირობებში ***მუდმივ ფასებად გამოიყენება წინა წლის ფასები*** და ამის საფუძველზე იანგარიშება მთლიანი შიდა პროდუქტის ფიზიკური მოცულობის ინდექსები წინა წელთან მიმართებაში. ასეთი მეთოდის გამოყენებისას გარკვეული პერიოდისათვის მთლიანი შიდა პროდუქტის ფიზიკური მოცულობის ინდექსი იანგარიშება წლიური ჯაჭვური ინდექსების ერთმანეთზე გადამრავლებით. მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკური მწკრივის აგებისათვის საბაზისო წლის ფასებში, მისი მოცულობა საბაზისო წელს მიმდინარე ფასებში მრავლდება ფიზიკური მოცულობის საბაზისო ინდექსზე. ფორმულების მეშვეობით ზემოაღნიშნული ასეთნაირად გამოიყურება:

$$\sum q_{2000} p_{2000} \times I^{\text{მჯ}}_{2005/2000} = \sum q_{2005} p_{2000},$$

ამასთან,

$$I^{\text{მჯ}}_{2005/2000} = I^{\text{მჯ}}_{2005/2004} \times I^{\text{მჯ}}_{2004/2003} \times I^{\text{მჯ}}_{2003/2002} \times I^{\text{მჯ}}_{2002/2001} \times I^{\text{მჯ}}_{2001/2000},$$

მაკრომაჩვენებლების ანალიზის ინტერესებიდან გამომდინარე ჯაჭვურ ან საბაზისო ინდექსებზე არჩევანის გაკეთება ხორციელდება შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც ანალიზის ძირითად ამოცა-

ნას წარმოადგენს ზუსტი გაანგარიშებების წარმოება თითოეული წლის მიხედვით, უპირატესობა ეძლევა ***ჯაჭვურ ინდექსებს*** (ცვალებადი ბაზისის ინდექსებს).

თუ ანალიზის ძირითად ამოცანას წარმოადგენს შესადარისი ინდექსების უზრუნველყოფა შედარებით ხანგრძლივი პერიოდისათვის, უპირატესობა ეძლევა ***საბაზისო ინდექსების გამოყენებას*** (ინდექსები მუდმივი ფასებით).

მთლიანი შიდა პროდუქტის მუდმივ ფასებში შეფასების ძირითად მეთოდებს წარმოადგენს შემდეგი:

1 ***დეფლირების მეთოდი;***
2 ***ექსტრაპოლაციის მეთოდი;***
3 ***პირდაპირი გადაფასების მეთოდი;***
4 ***დანახარჯების ელემენტების მიხედვით გადაფასების მეთოდი.***

დეფლირების მეთოდის არსი მდგომარეობს საანგარიშო პერიოდში საქონლისა და მომსახურებს ღირებულების შეფარდებაში ამ საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ცვლილების ინდექსზე სააგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდის ფასებთან შედარებით. მოცემული მეთოდი ფორმულის სახით ასეთნაირად გამოიყურება:

$$\Sigma q_1 p_0 = \frac{\Sigma q_1 p_0}{I_{p_{1/0}}} \qquad (10)$$

სადაც,

$\Sigma q_1 p_1$ – არის საქონლისა და მომსახურების ღირებულება საანგარიშო პერიოდში მიმდინარე ფასებში;

$I_{p_{1/0}}$ – არის ფასების ინდექსი საანგარიში პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით.

ორმაგი დეფლირების მეთოდი გამოიყენება მუდმივ

ფასებში დამატებული ღირებულების გამოთვლისათვის. მოცემული მეთოდის გამოყენებისას ხორციელდება გამოშვებისა და შუალედური მოხმარების თანმიმდევრული დეფლირება. დამატებული ღირებულება მუდმივ ფასებში იანგარიშება როგორც მუდმივ ფასებში გაანგარიშებული მთლიანი გამოშვებისა და შუალედური მოხმარების სხვაობა. ეფრო-კავშირისა და დსთ-ის ქვეყნების სტატისტიკური სამსახურების მიერ დამატებული ღირებულება მუდმივ ფასებში იანგარიშება დამატებული ღირებულების დეფლირებით მიმდინარე ფასებში, გამოშვების ფასების ინდექსის გამოყენებით, ე.ი. ერთჯერადი დეფლირების გამოყენებით.

ექსტრაპოლაციის მეთოდის არსი გამოიხატება საბაზისო პერიოდის საქონლისა და მომსახურების ღირებულების გამრავლებით მოცემული საქონლისა და მომსახურების ერთობლიობის ფიზიკური მოცულობის ცვლილებების ინდექსზე საანგარიშო პერიოდში საბაზისოსთან შედარებით. ფორმულის მიხედვით ექსტრაპოლაციის მეთოდი ასეთნაირად გამოიყურება:

$$\Sigma q_1 p_0 = \Sigma q_0 p_0 \times I_{q_{1/0}}, \qquad (11)$$

სადაც,

$\Sigma q_0 p_0$ – საქონლისა და მომსახურების ღირებულებაა საბაზისო პერიოდში;

$I_{q_{1/0}}$ – საქონლისა და მომსახურების ფიზიკური მოცულობის ინდექსია საანგარიშო პერიოდში საბაზისოსთან შედარებით.

პირდაპირი გადაფასების მეთოდის გამოყენებისას მაჩვენებლები მუდმივ ფასებში იანგარიშება საანგარიშო პერიოდში წარმოებული (ან მოხმარებული) პროდუქციის გამ-

რავლებით საბაზისო წლის შესაბამის ფასებზე. მოცემული მეთოდით სარგებლობენ მოპოვებითი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების მაჩვენებლების გაანგარიშებისას, რადგანაც მოცემულ დარგებში იწარმოება ძირითადად ერთგვაროვანი საქონელი და სტატისტიკურ ორგანოებს გააჩნიათ როგორც უმნიშვნელოვანესი პროდუქციის, ისე მათზე ფასების მონაცემები.

დანახარჯების ელემენტების მიხედვით გადაფასების მეთოდი ითვალისწინებს მაჩვენებლის მუდმივ ფასებში გაანგარიშებას დანახარჯების ელემენტების დეფლირების გზით. მოცემული მეთოდი გამოიყენება ძირითადად არასაბაზრო მომსახურების ღირებულების მაჩვენებლების მუდმივ ფასებში შეფასებისას. იმის გამო, რომ ამ სახის მომსახურების გაწევა ხდება უფასოდ, მოცემული მეთოდის გამოყენებისას ხდება ისეთი დაშვება, როცა დანახარჯების დინამიკა მომსახურების გაწევაზე (მუდმივ ფასებში) პროპორციულია ფიზიკური მომსახურების მოცულობის.

მთლიანი შიდა პროდუქტის შეფასება მუდმივ ფასებში ხორციელდება როგორც ***წარმოებითი მეთოდით,*** ისე ***საბოლოო გამოყენების მეთოდით.*** ძირითადი ინფორმაციული წყაროები მთლიან შიდა პროდუქტსა და მის კომპონენტებზე მიმდინარე ფასებში, მათი მუდმივ ფასებში გადაფასებისათვის ასახულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სხვადასხვა დანაყოფებში. გაცილებით სრული ინფორმაცია მოტანილია დარგთაშორისი ბალანსის რესურსებისა და გამოყენების ცხრილებში.

მთლიანი შიდა პროდუქტის კომპონენტების მუდმივ ფასებში შეფასების მიზნით აუცილებელია ვფლობდეთ ფასების ინდექსების (დეფლატორების) სისტემას, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება მწარმოებელთა ფასების ინდექსებისა და საქონელსა და მომსახურებაზე სამომხმარებლო

ფასების ინდექსების სახით.

გამოშვების შეფასების მიზნით აუცილებელია შემდეგი ინდექსები:

• მწარმოებელთა ფასების ინდექსები (სამრეწველო პროდუქციის; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის; მშენებლობის, სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების; დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების; კავშირგაბმულობის მომსახურების; ფასები ისეთ ფასიან მომსახურებაზე როგორიცაა: განათლება, ჯანდაცვა, იურიდიული მომსახურება და სხვა);

• წარმოებისა და იმპორტის საგადასახადო განაკვეთების ინდექსები გადასახადების სახეების მიდვით;

• მომსახურების დარგების მიხედვით საშუალო ხელფასის განაკვეთების ინდექსები. მათ შორის, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიხედვით.

საქონლისა და მომსახურების გამოყენების შეფასებისათვის საჭიროა შემდეგი ინდექსები:

1) შუალედური მოხმარების შეფასებისათვის – მწარმოებლების მიერ საქონლისა და მომსახურების შეძენის ფასების ინდექსი;

2) საბოლო მოხმარების შეფასებისათვის – სამომხმარებლო ფასების ინდექსი საქონელსა და მომსახურებაზე;

3) მთლიანი დაგროვების შეფასებისათვის - ფასების ინდექსები კაპდაბანდებებზე (მათ შორის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე, მანქანა-დანადგარებზე და სხვა);

4) ექსპორტ-იმპორტის სალდოს შეფასებისათვის - ფასების ინდექსი საექსპორტო და საიმპორტო პროდუქციაზე.

მთლიანი შიდა პროდუქტის შეფასებისათვის მუდმივ ფასებად აიღება ფასები არა რომელიმე თარიღისათვის, არამედ **საბაზისო წლის საშუალო ფასები**.

მაგალითი №1

2007 წლის შედეგებით საქართველოს მაკრომაჩვენებლების მიხედვით ააგეთ ეას-ის ძირითადი აგრეგატები

მშპ=16998,6 მლნ.ლარს;

დანარჩენი მსოფლიოსაგან პირველადი შემოსავლების მიღება= 809,2 მლნ.ლ.

დანარჩენი მსოფლიოსაგან პირველადი შემოსავლების გადახდა=435,1 მლნ.ლ.

განვსაზღვროთ, რისი ტოლია მთლიანი ეროვნული შემოსავალი

მაგალითი №2

მთლიანი ეროვნული შემოსავალი შეადგენს 17372,2 მლნ.ლარს

ძირითადი კაპიტალის მოხმარება = 1617,0 მლნ.ლარს

განვსაზღვროთ რისი ტოლია წმინდა ეროვნული შემოსავალი

მაგალითი №3

წმინდა ეროვნული შემოსავალი ტოლია 15755,7 მლნ.ლარის

საზღვარგარეთიდან მიღებული ტრანსფერები- 1163,4 მლნ.ლარის

საზღვარგარეთზე გაცემული ტრანსფერები – 129,1 მლნ.ლარის

განვსაზღვროთ წმინდა ეროვნული განკარგვადი შემოსავალი

მაგალითი №4

წმინდა ეროვნული განკარგვადი შემოსავალი= 16790,0 მლნ.ლ

საბოლოო მოხმარება= 15731,9 მლნ.ლარს

რისი ტოლია წმინდა დანაზოგები?

მაგალითი №5

წმინდა დანაზოგი= 1058,1 მლნ.ლარს

კაპიტალური ტრანსფერების მიღება საზგვარგარეთიდან 200,8 მლნ.ლარის

კაპიტალური ტრანსფერების გაცემა საზღვარგარეთ 0,5 მლნ.ლარის

რისი ტოლია კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილება?

ტესტები

1. მთლიანი შიდა პროდუქტი იანგარიშება:

ა) – წარმოების მეთოდით;

ბ) – შემოსავლების განაწილების მეთოდით;

გ) – საბოლოო მოხმარების მეთოდი

დ) – ყველა მეთოდი ერთად.

2. 1996-2004 წლებში მშპ მიმდინარე ფასებში:

ა) – ერთი და იგივე დონეზე დარჩა;

ბ) – გაორმაგდა;

გ) – გასამმაგდა.

3. მთლიანი შიდა პროდუქტი გაანგარიშებული სამი მეთოდით:

ა) – როგორც წესი, უნდა დაემთხვეს ერთმანეთს;

ბ) – არ უნდა დაემთხვეს ერთმანეთს;

გ) – არც ერთი პასუხი არაა სწორი.

4. წარმოების მეთოდით დათვლილი მშპ-ი აგრეგატებიდან ყველაზე დიდი წილითაა წარმოდგენილი:

ა) – მთლიანი გამოშვება;

ბ) – შუალედური მოხმარება;

გ) – დამატებული ღირებულება.

5. წმინდა შიდა პროდუქტი იანგარიშება:

ა) – მთლიან შიდა პროდუქტს დამატებული ძირითადი კაპიტალის მოხმარება;

ბ) – მთლიან შიდა პროდუქტს გამოკლებული ძირითადი კაპიტალის მოხმარება;

გ) – არც ერთი პასუხი არაა სწორი.

6. წმინდა ეროვნული შემოსავალი იანგარიშება:

ა) – წმინდა შიდა პროდუქტს დამატებული პირველადი შემოსავლების სალდო;

ბ) – წმინდა შიდა პროდუქტს გამოკლებული პირველადი შემოსავლების სალდო;

გ) – არც ერთი პასუხი არაა სწორი.

7. მთლიანი შიდა პროდუქტის ფიზიკური მოცულობის ინდექსია:

ა) – $I_q^{პა} = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0}$;

ბ) – $I_q^{პა} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0}$;

გ) – არც ერთი პასუხი არაა სწორი.

8. მშპ-დეფლატორი იანგარიშება ფორმულით:

ა) – $I_p^{მშპ} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0}$;

ბ) – $I_p^{მშპ} = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_1 p_0}$;

გ) – არც ერთი პასუხი არაა სწორი.

9. დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობა:

ა) – არ შეიტანება მშპ-ს მოცულობაში;

ბ) – შეიტანება მშპ-ს მოცულობაში;

გ) – არც ერთი პასუხი არაა სწორი.

10. მშპ-ს მუდმივ ფასებში შეფასების დეფლირების ფორმულაა:

ა) – $\sum q_1 p_0 = \frac{\sum q_1 p_1}{I_{p_{1/0}}}$;

ბ) – $\sum q_1 p_0 = \frac{\sum q_1 p_0}{I_{p_{1/0}}}$;

გ) – არც ერთი პასუხი არაა სწორი.

თემა 7. ეას-ის შედგენის თავისებურებანი შიდა ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორების მიხედვით

7.1. არაფინანსური კორპორაციები და კვაზი კორპორაციები

როგორც უკვე აღვნიშნეთ წინა თავებში, ეას-ში გამოყოფენ შიდა ეკონომიკის 5 სექტორს. ესენია: არაფინანსური კორპორაციები, ფინანსური კორპორაციები, სახელმწიფო მმართველობა, შინამეურნეობები, შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ეკონომიკის ყველა სექტორისათვის გათვალისწინებულია ანგარიშთა აგება, თუმცა საქართველოში ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება ეას-ის სექტორალური ანგარიშების შედგენა. მიუხედავად ამისა გაეროს სტატისტიკის კომიტეტის მეთოდოლოგიის შესაბამისად ჩვენ გავაშუქებთ თითოეული სექტორის მიხედვით ანგარიშთა აგების საფუძვლებს.

არაფინანსური კორპორაციების სექტორში შედის ისეთი საწარმოები, რომელთა საქმიანობის ძირითადი სახეა საბაზრო საქონლის წარმოება და არაფინანსური მომსახურების გაწევა. მოცემულ სექტორში შედის საქართველოს „მეწარმეთა შესახებ კანონით“ გათვალისწინებული ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო. გარდა ამისა, ამავე სექტორს მიეკუთვნება: – ყველა არაფინანსური რეზიდენტი – კორპორაცია, განურჩევლად იმისა, რომელი ქვეყნის რეზიდენტები ითვლებიან მათ აქციონერებად; – ყველა არაფინანსური რეზიდენტი – კვაზიკორპორაცია, მათ შორის, უცხოური არაფინანსური საწარმოს განყოფილება ან

დანაყოფი, რომელიც დაკავებულია საბაზრო საქონლის წარმოებით და მომსახურების გაწევით.

არანაკლებ მნიშვნელოვანია არაფინანსური საწარმოების დაყოფა საკუთრების ფორმების მიხედვით. ამ ნიშნის მიხედვით გამოყოფენ შემდეგ ქვესექტორებს:

– სახელმწიფო არაფინანსური კორპორაციები;

– ეროვნული კერძო არაფინანსური კორპორაციები;

– არაფინანსური კორპორაციები, რომლებიც იმყოფებიან უცხოური კონტროლის ქვეშ.

საკუთრების ნიშნის მიხედვით კორპორაციების განხილვისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ რამდენიმე სახის საკუთრების მქონე საწარმოებს. კერძოდ, რომელი სახის საკუთრების ფორმას უნდა მივაკუთვნოთ რამდენიმე სახის საკუთრების მქონე საწარმო. ასეთ შემთხვევაში საჭიროა განისაზღვროს ვის საკუთრებაშია აქციების (ან საკონტროლო პაკეტის) 50 პროცენტზე მეტი.

იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული სექტორის ინსტიტუციური ერთეულების თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ ისინი არ ეწევიან დანახარჯებს საბოლოო მოხმარებისათვის, არამედ გაწეული დანახარჯები მიმართულია მიმდინარე საჭიროებისათვის, ან შუალედური მოხმარებისათვის ან მიმდინარე ტრანსფერებზე, მოცემულ ინსტიტუციურ სექტორზე გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი ანგარიშების აგება:

- წარმოების ანგარიში;
- შემოსავლების წარმოქმნის ანგარიში;
- პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში;
- მეორადი შემოსავლების განაწილების ანგარიში;
- დაგროვების ანგარიშები (კაპიტალის ოპერაციებთან დაკავშირებული, ფინანსური, აქტივების მო-

ცულობებში სხვა ცვლილებების, გადაფასების ანგარიშები და ა.შ.).

არაფინანსური კორპორაციების სექტორი შეიცავს ისეთ ინსტიტუციურ ერთეულებს, რომელთა მიზანია საქონლის წარმოება და არაფინანსური ხასიათის მომსახურების გაწევა, მათი ბაზარზე რეალიზაციით მოგების მიღების მიზნით.

მოცემული სექტორის მიხედვით გამოშვების მაჩვენებელი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- წარმოებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურებით მიღებული ამონაგები;
- ბარტერის წესით გაცვლილი საქონლისა და მომსახურების ღირებულება;
- საკუთარ თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურების სანაცვლოდ საქონლისა და მომსახურების მიწოდების ღირებულება;
- მზა პროდუქციისა და საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის.

არაფინანსური კორპორაციების მთლიანი გამოშვების გაერთიანება ხდება ფასების მეშვეობით. კერძოდ, მწარმოებლის ფასებით, რომელიც არ შეიცავს გადასახადებს პროდუქტებსა და იმპორტზე, მაგრამ ითვალისწინებს კორპორაციების მიერ ფაქტობრივად მიღებულ სუბსიდიებს. მთლიანი გამოშვების აგრეგირება შესაძლებელია ფაქტორული ღირებულებითაც, რომელიც გულისხმობს ფასების სტრუქტურიდან ყველა სახის სალდირებული გადასახადების გამოთიშვას. მოცემული სექტორის შუალედური მოხმარება იანგარიშება მიმდინარე წარმოებაზე ან მომსახურებაზე გაწეული დანახარჯებით. დანახარჯების სტრუქტურა, რა თქმა უნდა, უკავშირდება მოცემულ სექტორში ფუნქციონირებადი ინ-

სტიტუციური ერთეულების საქმიანობის სახეს. ბუნებრივია, მოცემული სექტორის სპეციფიკიდან გამომდინარე, შუალედური მოხმარების საერთო მაჩვენებლებში დიდი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი ისეთი სახის დანახარჯები, როგორიცაა: ნედლეული, მასალა, ელ. ენერგია, სათბობი და ა.შ.

არაფინანსური კორპორაციების სექტორის წარმოების ანგარიშის სქემას ასეთი სახე აქვს:

სქემა № 13

გამოყენება	რესურსები
შუალედური მოხმარება მთლიანი დამატებული ღირებულება	მთლიანი გამოშვება (ძირითად ფასებში)
სულ	სულ

მოცემული სექტორალური ანგარიშისათვის, ისევე, როგორც კონსოლიდირებული ანგარიშისათვის, ბალანსური ტოლობა შემდეგნაირად ყალიბდება.

მთლიანი დამატებული ღირებულება = **მთლიან გამოშვებას** − **შუალედური მოხმარება**

არაფინანსური კორპორაციების მიხედვით შემოსავლების ფორმირების ძირითადი მაჩვენებელია მთლიანი დამატებული ღირებულება. ამდენად, წარმოების ანგარიშის მაბალანსებელი მაჩვენებელი მთლიანი დამატებული ღირებულება შემოსავლების ფორმირების ანგარიშში გადადის რესურსების მაჩვენებლად. თავად შემოსავლების ფორმირების ანგარიშს ასეთი სახე აქვს:

სქემა № 14


გამოყენება	რესურსები
დაქირავებული მუშაკების შრომის ანაზღაურება წარმოებასთან დაკავშირებული სხვა გადასახადები; წარმოებასთან დაკავშირებული სხვა სუბსიდიები (–); მთლიანი მოგება და მთლიანი შერეული შემოსავლები	მთლიანი დამატებული ღირებულება
სულ	სულ

შემოსავლების ფორმირების ანგარიშის თავისებურება და განსხვავება კონსოლიდირებულ ანგარიშთან მიმართებაში მდგომარეობს იმაში, რომ მოცემულ სექტორალურ ანგარიშში აღწერილია ქვეყნის შიდა ეკონომიკა. კერძოდ, შრომის ანაზღაურება ასახავს მის გადაცემას მწარმოებელი რეზიდენტებისაგან მომუშავე-რეზიდენტებზე ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის მიხედვით.

დაქირავებული მუშების შრომის ანაზღაურება შედგება მთლიანი ხელფასისაგან, სოციალური დაზღვევის ფაქტობრივი ანარიცხებისაგან და მოიცავს შრომასთან დაკავშირებულ ყველა სახის გადახდებს, როგორც ნატურალური, ისე ფულადი ფორმის სახით.

რაც შეეხება წარმოებასთან დაკავშირებულ გადასახადებს, აქ მხედველობაში მიიღება მხოლოდ წარმოებასთან დაკავშირებული წმინდა გადასახადები, იმდენად, რამდენადაც ეას-ის აგების კონცეფციის თანახმად, პროდუქტებზე და იმპორტზე გადასახადების მხედველობაში მიიღება მთლიანად ეკონომიკაზე შედგენილი კონსოლიდირებული ანგარიშის აგებისას.

შემოსავლების ფორმირების სექტორალური ანგარიშის მაბალანსებელი მუხლია მოგება და შერეული შემოსავალი. მას ანგარიშობენ როგორც მთლიან, ისე წმინდა საფუძველზე. პირველ შემთხვევაში გათვალისწინებულია ძირითადი კაპიტალის მოხმარება ღირებულება, ხოლო მეორე შემთხვევაში არაა გათვალისწინებული. მოგებისა და შერეული შემოსავლის მაჩვენებელი ასეთნაირად იანგარიშება:




არაფინანსური სექტორისათვის პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშის სქემას შემდეგი სახე აქვს:

სქემა № 15

გამოყენება	რესურსები
საკუთრებიდან შემოსავლები გადაცემული პირველადი შემოავლების სალდო	მთლიანი მოგება საკუთრებიდან შემოსავლები მიღებული
სულ	სულ

როგორც მოტანილი სქემიდან ჩანს, საწარმოებისათვის გამოყოფილია ორი სახის შემოსავალი. ესენია: მთლიანი მო-

გება (საწარმოო საქმიანობიდან) და შემოსავლები საკუთრებიდან. კონსოლიდირებული ანალოგიური ანგარიშისაგან განსხვავებით სექტორალურ ანგარიშში მიღებული და გადაცემული შემოსავლები ასახავენ შიდა ეკონომიკის სექტორების საწარმოებს შორის არსებულ ნაკადებს. როგორც მოტანილი სქემიდან ჩანს, მოცემული ანგარიშის მაბალანსებელი მუხლია – პირველადი შემოსავლების სალდო. იგი იანგარიშება საერთო და წმინდა საფუძველზე (ძირითადი ფონდების შეტანით ან არშეტანით). მოცემული მაჩვენებლის გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად:




არაფინანსური საწარმოების შემდეგი სექტორალური ანგარიშია შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში. მას შემდეგი სახე აქვს

სქემა № 16

გამოყენება	რესურსები
მიმდინარე ტრანსფერები გა-და-ცემული მთლიანი განკარგვადი შემო-სა-ვალი	პირველადი შემოსავლების მთლიანი სალდო მიმდინარე ტრანსფერები მი-ღე-ბული
სულ	სულ

მოცემული ანგარიში გვიჩვენებს პირველადი შემოსავლების სალდო როგორ ცვლილებას განიცდის სექტორში მიღებული და გადაცემული ტრანსფერების შედეგად. ანგარიშის მაბალანსებელი მუხლია მთლიანი განკარგვადი შემოსა-

ვალი. იგი შემდეგნაირად გაიანგარიშება.



არაფინანსური საწარმოების სექტორი არ ითვალისწინებს განკარგვადი შემოსავლის ანგარიშის აგებას, ამდენად მის განკარგვად შემოსავლად შეიძლება მივიჩნიოთ მოცემული სექტორის დანაზოგი. თუ იგი დადებითია შესაძლებელი იქნება აქტივების შეძენა და პასივების შემცირება. თუ დანაზოგი უარყოფითია, მაშინ უნდა მოხდეს რაღაც ფინანსური ან არაფინანსური აქტივების ლიკვიდაცია და გაიზარდოს რაღაც პასივები.

არაფინანსური სექტორის კაპიტალის ოპერაციების ანგარიშის სქემა ასეთნაირად გამოიყურება:


სქემა № 17

გამოყენება	რესურსები
ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება; ფასეულობების წმინდა შეძენა; მიწის და არაფინანსური, არაწარმოებითი, არამატერიალური აქ-ტივების შეძენის ხარჯები ფინანსირების სალდო (წმინდა დაკრედიტება (+)/ წმინდა დავალიანება (–)	მთლიანი დანაზოგი კაპიტალური ტრანსფერები, (მიღებული) კაპიტალური ტრანსფერები, გადაცემული (–).
სულ	სულ

მოცემული ანგარიშის გამოყენების ნაწილში ასახულია არაფინანსური აქტივების შეძენის და მარაგების ცვლილებების ოპერაციები, ხოლო რესურსების ნაწილში – ამ ოპერაციების დაფინანსების წყაროები.

როგორც მოცემული სექტორალური ანგარიშის, ისე დანარჩენი ანგარიშების ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი შესაბამისი კონსოლიდირებული ანგარიშისაგან გახლავთ ის, რომ სექტორალური ანგარიშები ახასიათებენ შიდა ეკონომიკის სექტორებს შორის ნაკადების მოძრაობას.

კაპიტალის ოპერაციების ანგარიშის მაბალანსებელი მუხლია წმინდა კრედიტები ან ვალები. ფორმულის სახით ზემოთქმული ასეთნაირად გამოიყურება:



ფინანსური ანგარიში არაფინანსური საწარმოების სექტორისათვის არ განსხვავდება კონსოლიდირებული ანგარიშისაგან და, ამდენად, ხელმეორედ არ მოვახდენთ მის განხილვას.

7.2. ფინანსური კორპორაციების სექტორი

განვიხილოთ როგორ გამოიყურება ფინანსური კორპორაციების სექტორი და კერძოდ, საფინანსო საშუამავლო კორპორაციები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში.

ფინანსური შუამავლობა გულისხმობს საშუამავლო მომსახურების გაწევას, რაც გამოიხატება გამსესხებელსა და მსესხებლებს შორის ფულადი სახსრების მოძრაობაში.

ფინანსური საშუამავლო კორპორაციების ძირითადი ტიპებია:

- ფულადი სადეპოზიტო კორპორაციები (კომერციული ბანკები);
- სადაზღვევო კორპორაციები და საფინანსო ფონდები.

ფინანსური კორპორაციებისათვის გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი ანგარიშების აგება:

- წარმოების ანგარიში;
- შემოსავლების ფორმირების ანგარიში;
- პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში;
- შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში;
- დაგროვების ანგარიში;
- გადაფასების ანგარიში.

ფინანსური კორპორაციების წარმოების ანგარიშში ასახულია სამი მაჩვენებელი. ესენია: გამოშვება, შუალედური მოხმარება და დამატებული ღირებულება. ეს უკანასკნელი წარმოების ანგარიშის მაბალანსებელი მუხლია.

სქემა № 18

წარმოების ანგარიშის სქემას შემდეგი სახე აქვს:

გამოყენება	რესურსები
შუალედური მოხმარება მთლიანი დამატებული ღირებულება	მთლიანი გამოშვება (ძირითად ფასებში)
სულ	სულ

კომერციული ბანკების მთლიანი გამოშვება განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$P = T_1 - T_0 \qquad (12)$$

სადაც,

P – ბანკების მთლიანი გამოშვებაა;

T_1 – ბანკების მიერ მიღებული პროცენტებია მოზიდული რესურსების განთავსებიდან;

T_0 – ბანკების მიერ თავისუფალი ფინანსური რესურსების მოზიდვისათვის გადახდილი პროცენტებია.

ზემოთმოტანილ ფორმულაში არ არის გათვალისწინებული საკუთარი რესურსებიდან ბანკების მიერ გაცემული სესხებით მიღებული პროცენტები, იმდენად, რამდენადაც ბანკების მთლიან გამოშვებაში აღირიცხება ბანკების საშუამავლო საქმიანობა. ამრიგად, ბანკები გამოდიან შუამავლებად მათ შორის, ვინც აგროვებს ფინანსურ რესურსებს და ვინც მათ ინვესტიციებად იყენებს. ბანკების მთლიან გამოშვებაში ასევე შეიტანება ისეთი დამხმარე სახის ფინანსური მომსახურება, როგორიცაა: ვალუტის გაცვლა, სხვადასხვა სახის კონსულტაციები საბანკო სფეროზე, ვალუტისა და სხვა ფასეულობათა შენახვა და სხვა.

სადაზღვევო კომპანიების მთლიანი გამოშვება გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$P = R - K + Q - N \quad (13)$$

სადაც,

P – სადაზღვევო კომპანიების მთლიანი გამოშვებაა;

R – სადაზღვევო კომპანიების მიერ მიღებული სადაზღვევო პრემიებია;

K – სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემული სადაზღვევო ანაზღაურებაა;

Q – სადაზღვევო კომპანიების მიერ სადაზღვევო ტექნიკური რეზერვებიდან ფასიან ქაღალდებში ან სხვა ლიკვიდურ ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტიციებით მიღებული პროცენტებია;

N – სადაზღვევო ტექნიკური რეზერვების მატებაა.

საპენსიო ფონდების გამოშვების მაჩვენებელი – ესაა ფონდების მმართველობისას ხელმძღვანელების ან სხვა პერსონალის მიერ განხორციელებული მომსახურება. მისი ღირებულება განისაზღვრება მმართველობის პროცესში განხორციელებული საერთო ადმინისტრაციული დანახარჯებით. მოცემულ მაჩვენებელში შეიტანება შუალედური მოხმარების ხარჯები, პერსონალის შრომის ანაზღაურება და ძირითადი კაპიტალის მოხმარება.


შუალედური მოხმარება მოიცავს ყველა დანახარჯს, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური შუამავლობით მომსახურების გაწევასთან.

მოცემული სექტორის ინსტიტუციური ერთეულების მიერ გაწეული საწარმოო საქმიანობით მიღებული პირველადი შემოსავლების ჩამოყალიბება შემოსავლების წარმოქმნის ანგარიშად ასახულია ქვემოთ მოტანილ სქემაზე:

სქემა № 19

გამოყენება	რესურსები
შრომის ანაზღაურება წარმოებასთან დაკავშირებული სხვადასხვა გადასახადები წარმოებასთან დაკავშირებული სხვა სუბსიდიები მთლიანი მოგება და მთლიანი შერეული შემოსავლები	მთლიანი დამატებული ღირებუ-ლება
სულ	სულ

მოცემული ანგარიშის მაბალანსირებელი მუხლია მთლიანი მოგება და მთლიანი შერეული შემოსავლები, რომლებიც იანგარიშება მთლიან და წმინდა საფუძველზე (ძირითადი კაპიტალის ჩართვით ან არჩართვით).




საფინანსო შუამავლების სექტორის პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშში ინსტიტუციური ერთეულების საწარმოო საქმიანობით მიღებულ მოგებასთან ერთად მონაწილეობას ღებულობს საკუთარი კაპიტალიდან მიღებული შემოსავლები. სწორედ მოცემული შემოსავლები აყალიბებენ პირველადი შემოსავლების საერთო სიდიდეს, რომელიც მოცემულ ანგარიშში აისახება, როგორც მაბალანსირებელი მუხლი. საფინანსო შუამავლების სექტორის პირველადი შემოსავლების სქემა მოტანილია ქვემოთ:

სქემა № 20

გამოყენება	რესურსები
გადაცემული შემოსავლები სა-კუთრებიდან პირველადი შემოსავლების მთლიანი სალდო	მთლიანი მოგება მიღებული შემოსავლები სა-კუთრებიდან
სულ	სულ

მოცემული ანგარიშის ურთიერთკავშირი შეიძლება ჩავწეროთ შემდეგი ტოლობის სახით:



საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ მოცემულ ანგარიშში აისახება ინსტიტუციური ერთეულების საკუთარი სახსრების ინვესტირებით მიღებული შემოსავლები. რაც შეეხება მოზიდული სახსრების ინვესტირებას, ეს უკანასკნელი განიხილება როგორც საწარმოო საქმიანობა და აისახება წარმოების ანგარიშის გამოშვების მაჩვენებელში.


პირველადი შემოსავლების სალდო წარმოადგენს მეორადი შემოსავლების განაწილების ანგარიშის რესურსების ფორმირების მაჩვენებელს, ხოლო მისი კორექტირება მიღებული და გადაცემული მიმდინარე ტრანსფერების სიდიდით საშუალებას იძლევა მივიღოთ საფინანსო შუამავლების სექტორის განკარგვადი შემოსავლების მაჩვენებელი. საფინანსო შუამავლების მეორადი განაწილების შემოსავლების ანგარიშის სქემას ასეთი სახე აქვს:

სქემა № 21

გამოყენება	რესურსები
გადაცემული მიმდინარე ტრან-სფერები	პირველადი შემოსავლების მთლიანი სალდო
მთლიანი განკარგვადი შე-მოსა-ვალი	მიმდინარე ტრანსფერები მიღე-ბული
სულ	სულ

როგორც მოტანილი სქემიდან ჩანს მოცემული ანგარიშის მაბალანსებელი მუხლია მთლიანი განკარგვადი შემოსავალი. ეს უკანასკნელი პირველადი შემოსავლების სალდოსაგან განსხვავდება მიმდინარე ტრანსფერების სალდოს სიდიდით.

ამრიგად,




კაპიტალის ოპერაციებთან დაკავშირებული ანგარიში საფინანსო შუამავლების სექტორისათვის ასეთნაირად გამოიყურება:

სქემა № 22

გამოყენება	რესურსები
ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება ფასეულობების წმინდა შეძენა დანახარჯები მიწის და არაფინანსური, არაწარმოებითი, არამატე-რიალური აქტივების შეძენაზე ფინანსირების სალდო (წმინდა დაკრედიტება (+)/ წმინ-და სესხება (–)	მთლიანი სახსრები მიღებული კაპიტალური ტრან-სფერები გადაცემული კაპიტალური ტრანსფერები (–)
სულ	სულ

კაპიტალის ოპერაციებთან დაკავშირებული ანგარიშის საბალანსო მუხლია წმინდა კრედიტები ან ვალები. იგი გვიჩვენებს სახსრების უკმარისობას ან ზედმეტობას, რომელსაც იღებენ დაფინანსების ყველა წყაროებიდან არაფინანსური აქტივების ხარჯებთან მიმართებაში.



ფინანსური ანგარიში გვიჩვენებს, რომელი ფინანსური აქტივები და პასივები შეიცვალა განსახილველ პერიოდში და როგორი სახით მოხდა ფინანსური რესურსების გადანაწილება ეკონომიკურ აგენტებს შორის.

7.3. შინამეურნეობების სექტორი

მოცემული სექტორი აერთიანებს ყველა რეზიდენტ შინამეურნეობას. შინამეურნეობა წარმოადგენს ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც ცხოვრობენ ერთად, ნაწილობრივ ან მთლიანად აერთიანებენ თავიანთ ქონებას და შემოსავლებს და ერთობლივად მოიხმარენ საქონელს და მომსახურებას, ძირითად კვების პროდუქტებსა და საცხოვრისს. ინსტიტუციური ერთეულები – შინამეურნეობები მოიცავენ არაკორ-

პორირებულ საწარმოებს. არაკორპორირებული საწარმოებისათვის დამოუკიდებლობის სტატუსის არქონა გამოიხატება შემდეგში:

- მოცემული ტიპის საწარმოების (სახერხები, ზეთსახდელები, კვებისა და ვაჭრობის ობიექტები და ა.შ.) აქტივები მიეკუთვნება უშუალოდ მათ მფლობელებს – შინამეურნეობებს;
- არაკორპორირებულ საწარმოებს არ შეუძლიათ საკუთარი სახელით ხელშეკრულების დადება სხვა საწარმოებთან, შესაბამისი ოპერაციების შესრულება საკუთარი სახელით და ა.შ.

შინამეურნეობები შემოსავლების ძირითადი წყაროების მიხედვით შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგნაირად:

– დამქირავებლები;

– დამოუკიდებლად მომუშავეები;

– დაქირავებულები;

– ისინი ვინც შემოსავლებს იღებენ საკუთრებიდან და ტრანსფერებიდან.

მათ შორის: ვინც შემოსავლებს ღებულობს საკუთრებიდან;

პენსიონერები;

ვინც შემოსავლებს ღებულობს სხვა სახის ტრანსფერებიდან.

ეას-ში ეკონომიკური ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე შინამეურნეობებში გამოყოფენ ***არაფორმალურ სექტორს.*** მოცემული ტერმინის განმარტებას შეეცადნენ შრომის სტატისტიკის სპეციალისტების მე-15 საერთაშორისო კონფერენციაზე 1993 წელს. ამ ტერმინის ქვეშ მოიაზრება ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც დაკავებულია საქონლის წარმოებითა და მომსახურების გაწევით, რომელთა ძი-

რითადი ამოცანაა მოცემული ადამიანების დასაქმება და შემოსავლების მიღება. მათ შორის შრომითი ურთიერთობა ეფუძნება ნათესაურ, პირად და პარტნიორულ დამოკიდებულებებს.

არაფორმალურ სექტორში არ შედის ისეთი ერთეულები, რომლებიც დაკავებული არიან მხოლოდ სოფლის მეურნეობით, სხვა საქონლის წარმოებითა და მომსახურების გაწევით საკუთარი საბოლოო მოხმარებისათვის.

იურიდიული სტატუსის მიხედვით არაფორმალური სექტორის ეკონომიკური ერთეულები იყოფა დარეგისტრირებულ და დაურეგისტრირებელ ერთეულებად.

დარეგისტრირებულ ეკონომიკურ ერთეულებს მიეკუთვნება შინამეურნეობის ყველა იდენტიფიცირებული საწარმო, რომელიც გატარებულია ოფიციალურ რეგისტრში მათი ადგილმდებარეობის, საქმიანობის სახისა და ეკონომიკური საქმიანობის მოცულობების ჩვენებით.

შინამეურნეობების სექტორში გამოიყოფა 4 ქვესექტორი. ესენია:

- დამქირავებლები;
- საკუთარი საჭიროებისათვის მომუშავენი;
- დაქირავებული მუშაკები;
- მომუშავეები ვინც შემოსავლებს იღებს საკუთრებიდან ან ტრანსფერიდან;

შინამეურნეობის სექტორზე გაითვალისწინება შემდეგი ანგარიშების აგება:

- წარმოების ანგარიში;
- შემოსავლების ფორმირების ანგარიში;
- შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიში;
- შემოსავლების მეორადი განწილების ანგარიში;

- განკარგვადი შემოსავლის განაწილების ანგარიში;
- დაგროვების ანგარიშები.

წარმოების ანგარიშში ასახვას პოულობს ისეთი საქმიანობის შედეგი, რომელიც გამიზნულია საკუთარი საბოლოო მოხმარებისათვის. თუ მოცემული სექტორის ფარგლებში საქმიანობს ისეთი ერთეული, რომლის საქონლის წარმოება ან მომსახურების გაწევა ნავარაუდევია ბაზარზე სარეალიზაციოდ, მოგების მიღების მიზნით, ასეთი შინამეურნეობის საქმიანობა უნდა აისახოს საწარმოთა სექტორში.

წარმოების ანგარიშის სქემა მოცემული სექტორისათვის არაა განსხვავებული ჩვენს მიერ ადრე განხილული სქემისაგან. ამდენად, აქაც განიხილება ისეთი სამი მაჩვენებელი, როგორიცაა: გამოშვება, შუალედური მოხმარება, დამატებული ღირებულება.

შინამეურნეობების გამოშვებაში ასახვას პოულობს ორი სახის მომსახურება. ესენია: დაქირავებული ანაზღაურებადი შინამოსამსახურის მიერ გაწეული მომსახურება და მომსახურების ის პირობითი მოცულობა, რაც დაკავშირებულია საკუთარ საცხორისში ცხოვრებასთან. წარმოების ანგარიშის სქემა შემდეგნაირად გამოიყურება:

სქემა № 23

გამოყენება	რესურსები
შუალედური მოხმარება ძირითად ფასებში მთლიანი დამატებული ღირებუ-ლება ძირითად ფასებში	მთლიანი გამოშვება ძირითად ფასებში
სულ	სულ

შინამეურნეობათა საქმიანობის პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც საკუთარი საჭიროების ზემოთ წარმოებულ პროდუქციას აქვს ადგილი. ასეთ შემთხვევაში პრო-

დუქციის რეალიზაციას ახდენენ ბაზარზე. თუ ასეთ შემთხვევებს არა აქვს რეგულარული ხასიათი მოცემული საქმიანობა შეიძლება განხილულ იქნას შინამეურნეობების სექტორის ფარგლებში.


შემოსავლების წარმოქმნის ანგარიშს შინამეურნეობებისათვის არა აქვს ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც სხვა ინსტიტუციური სექტორისათვის იმიტომ, რომ მოცემულ სექტორში წარმოებულ პროდუქციაზე გათვალისწინებული გადასახადები მცირეა, ხოლო რაც შეეხება შინამურნეობაში დასაქმებულ ანაზღაურებად შინამოსამსახურის ხელფასს, მისი ოდენობის დადგენა რთულია და მიღებული წესის თანახმად, მისი შეფასება ხდება მისი კვების და საცხოვრისში ყოფასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების მიხედვით.

კონსოლიდირებული ანგარიშისაგან განსხვავებით მოცემული სექტორალური ანგარიშის მაბალანსებელი მუხლი იწოდება შერეულ შემოსავლად. ანგარიშის სქემას აქვს შემდეგი სახე:

სქემა № 24

გამოყენება	რესურსები
შრომის ანაზღაურება გადასახადები წარმოებაზე სუბსიდიები წარმოებაზე(–) მთლიანი შერეული შემოსავალი	მთლიანი დამატებული ღირებულება ძირითად ფასებში
სულ	**სულ**

პირველადი შემოსავლების განაწილების ანაგრიშს შემდეგი სახე აქვს:



სქემა № 25

გამოყენება	რესურსები
შემოსავლები საკუთრებიდან გადაცემული (–) პირველადი შემოსავლების მთლიანი სალდო	მთლიანი შერეული შემოსავლები შრომის ანაზღაურება შემოსავლები საკუთრებიდან მიღებული(+)
სულ	სულ

მოცემული ანგარიშის ბალანსური ტოლობა ასეთნაირად გამოიყურება:

შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიშში ყურადღებას იქცევს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. რესურსების ნაწილში ასახულია საწარმოო საქმიანობიდან მიღებული ორი სახის შემოსავალი. მეწარმეთა შერეული შემოსავალი და დაქირავებული მუშაკების შრომის ანაზღაურება. დაქირავებული მუშაკების ანაზღაურებაში ითვლება არა მარტო მოცემულ სექტორში დასაქმებულები, არამედ ყველა სექტორში დაქირავებული შრომის საფასურად მიღებული შრომის ანაზღაურება. ე.ი. შეიძლება საწარმოო საქმიანობას პიროვნება ეწეოდეს ეკონომიკის ნებისიმიერ სექტორში,


მაგრამ მოხმარება ხდება შინამეურნეობების სექტორში. ბუნებრივია, შემდეგი ანგარიშის – შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშში შრომის ანაზღაურებიდან ანარიცხები ასახვას პოულობს სოციალური დაზღვევის ანარიცხების სახით.

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშში აისახება განკარგვადი შემოსავლების ფორმირება მიმდინარე ტრანსფერების მიღებისა და გადახდის შემდეგ. მოცემული ანგარიშის სქემას ასეთი სახე აქვს:

სქემა № 26

გამოყენება	რესურსები
მიმდინარე ტრანსფერები გადაცემული მთლიანი განკარგვადი შემოსავალი	პირველადი შემოსავლის მთლიანი სალდო მიმდინარე ტრანსფერები მიღებული
სულ	**სულ**

ამრიგად, მოცემული ანგარიშის მაბალანსებელი მუხლი არის მთლიანი განკარგვადი შემოსავალი. მისი გაანგარიშების ტოლობა სქემატურად ასეთნაირად გამოიყურება:



მიმდინარე ტრანსფერების სიდიდეში (შინამეურნეობების მიერ მიღებული) შეიტანება ისეთ მუხლებში, როგორიცაა:

- სოციალური დახმარების ფონდებიდან მიღებული დახმარებები (ავადმყოფობა, ინვალიდობა, უმუშევრობა, მოხუცებულობის პენსია და ა.შ.);
- სოციალური დაზღვევის დახმარება, რომელიც ერიცხება დაქირავებულ მუშაკს სპეციალური ფონდების შექმნის გარეშე (ავადმყოფობის გამო სამსახურში არგამოცხადების მიზეზით ხელფასის ანაზღაურება; იგივე დაკავშირებული უბედურ შემთხვევასთან და ა.შ.);
- სადაზღვევო ანაზღაურება (ქონების);
- მიმდინარე ტრანსფერები ჰუმანიტარული დახმარების სახით. მათ შორის საზღვარგარეთიდან და ა.შ..

შინამეურნეობების მეორადი განაწილების ანგარიშის მიმდინარე გადაცემულ ტრანსფერებს მიეკუთვნება:

- საშემოსავლო გადასახადი, გადასახადები საკუთრებაზე. სხვადასხვა ლიცენზიები და სხვა სახელმწიფო მართვის ორგანოებისადმი გადახდილი სხვა გადასახდელები;
- სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდებში განხორციელებული გადარიცხვები;
- სოციალური დაზღვევის არასახელმწიფო ფონდებში განხორციელებული გადარიცხვები და ა.შ.

მოცემული ინსტიტუციური სექტორის მორიგი ანგარიში, რომელშიც ასახვას პოულობს შინამეურნეობების მიერ გაწეული ხარჯები საქონლისა და მომსახურების საბოლოო მოხმარებაზე წარმოადგენს განკარგვადი შემოსავლების გამოყენების ანგარიში. მას შემდეგი სახე აქვს:

სქემა № 27

გამოყენება	რესურსები
შინამეურნეობის სექტორის საბო-ლოო დანახარჯები მთლიანი დანაზოგი	მთლიანი განკარგვადი შე-მო-სავალი
სულ	სულ

ამრიგად, მთლიანი დანაზოგი იანგარიშება, როგორც მთლიან განკარგვად შემოსავალსა და შინამეურნეობის სექტორის საბოლოო დანახარჯებს შორის სხვაობა.

საბოლოო მოხმარების ხარჯები ხორციელდება როგორც შინამეურნეობის წევრთა ინდივიდუალური ბიუჯეტებიდან, ისე შინამეურნეობის საერთო წყაროებიდან. მოცემული ხარჯები შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

- სამომხმარებლო ბაზარზე სამომხმარებლო საქონლის შეძენა;
- სამომხმარებლო ბაზარზე სამომხმარებლო მომსახურების შეძენა;
- იმ საქონლისა და მომსახურების მოხმარება, რომელიც წარმოებულია მოცემულ შინამეურნეობაში;
- შრომის ანაზღაურების სახით, ნატურალური ფორმით, შინამეურნეობების მიერ მიღებული პროდუქტები და მომსახურება.

ამრიგად, გამოდის, რომ ყველა სახის საქონელი და მომსახურება, რომელიც შინამეურნეობების მიერ შეტანილია გამოშვებაში, უკვე მეორეჯერ აისახება საბოლოო მოხმარების მოცულობაში განკარგვადი შემოსავლის ანგარიშში. ე.ი. შინამეურნეობები თავად აწარმოებენ და თავადვე მოიხმარენ. თუმცა მხედველობაში მისაღებია ერთი გარემოება. კერძოდ, შინამეურნეობების მოხმარების მოცულობა აჭარბებს მათ საბოლოო მოხმარებაზე ხარჯებს. ეს კი გამოწვეუ-

ლია იმით, რომ მოხმარების ნაწილის დაფინანსება ხდება სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორებიდან. იმისათვის, რომ მოცემულ სექტორში სახეზე გვქონდეს საბოლოო მოხმარების სრული სურათი, ადგენენ ტრანსფერების ნატურალურ ფორმაში გადანაწილების კორექტირებული განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიშებს.

ტრანსფერების ნატურალურ ფორმაში გადანაწილების ანგარიშის სქემა შემდეგნაირად გამოიყურება:

სქემა № 28

გამოყენება	რესურსები
მიმდინარე ტრანსფერები ნა-ტურა-ლური ფორმით (გადაცე-მული) კორექტირებული მთლიანი გან-კარგვადი შემოსავალი	მთლიანი განკარგვადი შე-მოსა-ვალი მიმდინარე ტრანსფერები ნა-ტურალური ფორმით (მიღე-ბული)
სულ	სულ

ნატურალური ფორმით მიღებული მიმდინარე ტრანსფერები მოიცავს სახელმწიფო მართვის ორგანოებიდან და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორებიდან შინამეურნეობების სექტორზე გადაცემულ ნატურალური ფორმის ტრანსფერებს. ამრიგად, ეს ტრანსფერები ტოლია ზემოაღნიშნული სექტორებიდან შინამეურნეობების, სექტორისადმი უფასოდ გადაცემული საქონლისა და მომსახურების. რაც შეეხება შინამეურნეობებისგან ნატურალური ფორმით გადაცემულ ტრანსფერებს, იგი ყოელთვის ნულის ტოლია.

შინამეურნეობების სექტორის შემდეგი ანგარიშია კორექტირებული განკარგვადი შემოსავლის ანგარიში. მისი სქემა შემდეგნაირად გამოიყურება:

სქემა № 29

გამოყენება	რესურსები
შინამეურნეობების სექტორის ფაქტობრივი საბოლოო ხარჯები მთლიანი დანაზოგი	კორექტირებული მთლიანი გან-კარგვადი შემოსავალი
სულ	სულ

მოცემული ანგარიშისათვის ბალანსურ ტოლობას შემდეგი სახე აქვს:


მთლიანი დანაზოგი	=	კორექტირებული განკარგვადი შემოსავალი	–	შინამეურნეობების ფაქტობრივი საბოლოო ხარჯები

დაბოლოს, კაპიტალის ოპერაციების ანგარიშს შინამეურნეობების სექტორისათვის ასეთი სახე აქვს:

სქემა № 30

გამოყენება	რესურსები
ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება ფასეულობების წმინდა შეძენა დანახარჯები მიწის და არაფინანსური და არამწარმოებ-ლური არამატერიალური აქტივების შეძენაზე წმინდა დაკრედიტება(+) წმინდა დავალიანება(–)	მთლიანი დანაზოგი კაპიტალური ტრანსფერები (მიღებული) კაპიტალური ტრანსფერები (გადაცემული)

მოცემული ანგარიშის მაბალანსებელი მუხლია წმინდა კრედიტები ან ვალები.



7.4. საერთო სახელმწიფოებრივი მმართველობის ორგანოების სექტორი

მოცემული სექტორი წარმოდგენილია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და იურიდიულ სფეროებში მოღვაწე იურიდიული პირი სახელმწიფო დაწესებულებების სახით. მოცემული ინსტიტუციური სექტორის ფუნქცია გახლავთ საზოგადოებისათვის ან ცალკეული შინამეურნეობებისათვის პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზება და ასეთი სახის ოპერაციების დაფინანსება გადასახადებისა და სხვა სახის შემოსავლების შედეგად; შემოსავლებისა და ეროვნული სიმდიდრის განაწილება ტრანსფერების სახით; არასაბაზრო წარმოებაში მონაწილეობის მიღება.

სახელმწიფო მართვის ორგანოები უწევენ საზოგადოებას ისეთი სახის კოლექტიურ მომსახურებას როგორიცაა: თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ა.შ. გარდა ამისა, ცალკეულ შინამეურნეობებს უზრუნველყოფენ პროდუქტებით ან მომსახურებით ინდივიდუალური მოხმარებისათვის. ასევე ეწევიან დანახარჯებს სხვა ინსტიტუციური ერთეულებისადმი (ძირითადად შინამეურნეობები) ტრანსფერების შეთავაზებას შემოსავლების ან ეროვნული სიმდიდრის გადანაწილებისათვის.

მოცემული ინსტიტუციური სექტორი ახორციელებს სოციალური დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებს.

სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორი შედგება შემდეგი სახის რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულებისაგან:

– ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები;

– სოციალური უზრუნველყოფის ფონდებისაგან;

– სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი და დაფინანსებული არასაბაზრო, არაკომერციული ორგანიზაციებისაგან.

სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორისათვის ეას-ის მიხედვით გათვალისწინებულია ყველა სახის ანგარიშის შედგენა რასაც ითვალისწინებს კონსოლიდირებული ანგარიშები, თუმცა მოცემულ სექტორალურ ანგარიშებს გარკვეული სპეციფიკაც ახასიათებს.

სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორის მთლიანი გამოშვების გაანგარიშება ფასდება ძირითად საქმიანობაზე გაწეული ფაქტობრივი მიმდინარე დანახარჯების სიდიდით.

მოცემული სექტორის მთლიანი დამატებული ღირებულება განისაზღვრება შემოსავლების ფორმირების ანგარიშის სქემის მიხედვით, როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში დასაქმებულების შრომის ანაზღაურება, ზოგიერთი გადასახადი წარმოებაზე და ძირითადი კაპიტალის მოხმარება.

ეას-ის მიხედვით, პირველადი განაწილების სქემის თანახმად, პირველადი შემოსავლების სალდო უნდა გავიანგარიშოთ მთლიანი დამატებული ღირებულებიდან მუშაკების შრომის ანაზღაურების გამოთიშვით. ასევე კაპიტალისა და სამეწარმეო საქმიანობის შემოსავლებისა და საგადასახდელო პროცენტების სალდოს გამოკლებით. პირველადი შემოსავლების უარყოფითი სალდო საკმაოდ ხშირად ფიქსირდება მოცემულ სექტორში, თუმცა ეს გარემოება სწორდება შემოსავლების განაწილების პროცესში, როდესაც მოცემული

სექტორის მთლიანი განკარგვადი შემოსავალი არსებითად აჭარბებს პირველადი შემოსავლების სალდოს. მოცემული გარემოება აიხსნება სხვადასხვა სექტორებიდან სხვადასხვა სახის მიმდინარე ტრანსფერების მიღებით.

სახელმწიფო მართვის ორგანოების სექტორის ფაქტობრივი საბოლოო მოხმარება მოიცავს მხოლოდ საერთო (კოლექტიური ხასიათის) მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

სპეციფიურია მოცემული სექტორის კაპიტალის ოპერაციების ანგარიშიც. მოცემული სექტორის მთლიანი დაგროვება ფასდება, როგორც მიმდინარე ანგარიშების რესურსებისა და გამოყენების მუხლების სალდო.

მოცემული სექტორის დაფინანსების სალდო მიიღება, როგორც მთლიანი დაგროვებისა და სხვა სექტორებისაგან მიღებული წმინდა კაპიტალური ტრანსფერებისა და წმინდა ინვესტიციებს შორის სხვაობა.

მაგალითი.

ვთქვათ, წლის მიხედვით საფინანსო საშუამავლო კორპორაციების შემოსავლებზე და ხარჯებზე გვაქვს შემდეგი მონაცემები (საბაზრო ფასებში, მლნ. ლარი):

1. შემოსავლები მუხლების მიხედვით:

გაცემული კრედიტებიდან მიღებული პროცენტები – 888,1;

საკონსულტაციო მომსახურების გაწევა – 56,5;

კორპორაციების საკუთარი სახსრების ინვესტირება – 35;

2. ხარჯები:

გადახდილი პროცენტები – 341;

მთლიანი ხელფასი – 113;

სოცდაზღვევის აუცილებელი ანარიცხები – 31;

თანამშრომელთა სწავლება წარმოებისგან მოწყვეტით – 3;

სამივლინებო ხარჯები – 30;

მათ შორის სადღეღამისო – 8;

ფინანსური აქტივების გადატანა (ოქროს გარდა) – 5;

მათ შორის, საინკასაციო მომსახურება – 0,4;

მათ შორის, დაცვა – 0,1;

შენობის კაპიტალური რემონტი – 15;

შენობების მფლობელების გადასახადი – 8;

შენობების იჯარა – 6;

შენობების დაცვა –1;

შემოსავლებზე გადასახადი – 50;

ძირითადი კაპიტალის მოხმარება – 60;

თანამშრომელთა დასასვენებელი საგზურების ანაზღაურება – 1,1;

კაპიტალური მშენებლობა – 40;

სატრანსპორტო საშუალებების და მოწყობილობების შეძენა – 72;

ოქროს შეძენა კომერციული ბანკების მიერ – 20;

მათ შორის ოქროს გადატანის ხარჯები – 0,5;

აქედან, დაცვის – 0,2;

ხელშეკრულებები დაზღვევაზე – 2,1;

მათ შორის სადაზღვევო ორგანიზაციის მომსახურების ანაზღაურება – 0,6;

შენანირი საქველმოქმედო ორგანიზაციებზე – 2;

სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების შენახვა – 1,2;

კომპიუტერული ტექნიკის გადაცემა სკოლებზე – 0,3;

მოცემული მონაცემების მიხედვით შევადგინოთ საფინანსო საშუამავლო კორპორაციების ანგარიშთა სრული სისტემა. განვსაზღვროთ მოცემული სექტორის მთლიანი და წმინდა დაგროვება.

ამოხსნა

1. წარმოების ანგარიშის შესადგენად განვსაზღვროთ გამოშვების, შუალედური მოხმარების და დამატებული ღირებულების მაჩვენებლები. ეს უკანასკნელი, როგორც უკვე ვიცით წარმოადგენს მოცემული ანგარიშის მაბალანსებელ მუხლს.

გამოშვების მაჩვენებელი გაიანგარიშება საბაზრო ფასებში, წარმოების ყველა გადასახადის ჩათვლით.

მთლიანი გამოშვება საბ. ფასებით = 888,1 – 341 – 56,5 = = 603,6

შუალედური მოხმარება გამოიანგარიშება საბოლოო მოხმარების ფასებით, წარმოების ყველა გადასახადის ჩათვლით, რომელსაც გადაიხდის მყიდველი.

შუალედური მოხმარება საბ.მოხმ.ფასებით = 3 + 30– – 8 + 5 + 6 + 1 + 06 = 37,6

დამატებული ღირებულება განისაზღვრება როგორც სხვაობა გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებას შორის.

ამრიგად,

დამატებული ღირებულება = 603,6–37,6=566,0

წარმოების ანგარიში (მლნ. ლარი)

გამოყენება	რესურსები
შუალედური მოხმარება 37,6 მთლიანი დამატებული ღირებულება 566,0 მათ შორის, წმინდა დამატებული ღირებულება 508,3 შემასწორებელი კოეფიციენტი 57,7	გამოშვება 603,6 (საბაზრო ფასებში)
603,6	603,6

2. შემოსავლების წარმოქმნის ანგარიშის ასაგებად განვსაზღვროთ წარმოების პროცესში მონაწილეთა შორის როგორ ნაწილდება საწარმოო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.

შრომის ანაზღაურება = 113+31+8+1,1=153,1

წმინდა გადასახადები (სხვა სახის წარმოებაზე) = 8

მაბალანსებელი მუხლი – მთლიანი მოგება და მთლიანი შერეული შემოსავალი = მთლიან დამატებულ ღირებულებას – შრომის ანაზღაურება – წმინდა გადასახადები (სხვა სახის წარმოებაზე)

ამრიგად, მთლიანი მოგება და მთლიანი შერეული შემოსავალი= 566 –153,1–8=404,9

შემოსავლების წარმოქმნის ანგარიში (მლნ.ლარი) შემდეგნაირად გამოიყურება:

გამოყენება	რესურსები
მუშაკთა შრომის ანაზღაურება 83,6 წმინდა გადასახადები ნარმოებაზე 8 მთლიანი მოგება და მთლიანი შერეული შემოსავალი 404,9 მათ შორის, წმინდა მოგება და წმინდა შერეული შემოსავალი 320,9	მთლიანი დამატებული ღირებულება 566,0
566,0	566,0

3. პირველადი შემოსავლების ყველა სახე ასახვას პოულობს პირველადი განაწილების ანგარიშში. მისი შედგენისათვის ანგარიშობენ საკუთრებიდან შემოსავლების მაჩვენებლებს (როგორც მიღებულს, ისე გადაცემულს)

შემოსავლები, მიღებული (+)= 35

შემოსავლები, გადაცემული (–)=0

მოცემული ანგარიშის მაბალანსებელი მუხლია პირველადი შემოსავლების მთლიანი სალდოს მაჩვენებელი.

პირველადი შემოსავლების მთლიანი სალდო = 404,9 + 35 –0 = 439,9

ამრიგად, პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშს შემდეგი სახე აქვს:

გამოყენება	რესურსები
საკუთრებიდან გადაცემული შემოსავლები -0 პირველადი შემოსავლების მთლი-ანი სალდო –439,9 მათ, შორის, პირველადი შემოსავლების წმინდა სალდო 382,2 შემასწორებელი კოეფიციენტი 57,7	მთლიანი მოგება და მთლიანი შერეული შემოსავალი 404,9 საკუთრებიდან მიღებული შემოსავლები 35
439,9	439,9

4. მეორადი განაწილების ანგარიშში პირველადი შემოსავლების სალდო კორექტირდება მიღებული და გადაცემული მიმდინარე ტრანსფერების სიდიდით.

მიმდინარე ტრანსფერები მიღებული (+) =0

მიმდინარე ტრანსფერები გადაცემული (–)= 50 +(2,1–0,6)+2+1,2=54,7

მაბალანსებელი მუხლი – მთლიანი განკარგვადი შემოსავალი = 439,9 +0–54,7 = 385,2

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში ასეთნაირად გამოიყუება:

გამოყენება	რესურსები
მიმდინარე ტრანსფერები, გადაცე-მული 54,7 მთლიანი განკარგვადი შემოსავალი 385,2 მათ შორის, წმინდა განკარგვადი შემოსავალი 327,5 შემასწორებელი კოეფიციენტი 57,7	პირველადი შემოსავლების მთლიანი სალდო 439,9 მიმდინარე ტრანსფერები, მიღებული 0
439,9	439,0

5. კორპორაციები არ ეწევიან ხარჯებს საბოლოო მოხმარებაზე, ამიტომ მთლიანი განკარგვადი შემოსავალი = მთლიან სალდოს= 385, 2

6. კაპიტალთან დაკავშირებული ანგარიში ასრულებს ანგარიშთა სისტემას. მისი აგებისათვის აუცილებელია გავიანგარიშოთ:

კაპიტალური ტრანსფერების სიდიდე:

კაპიტალური ტრანსფერები, მიღებული (+)=0

კაპიტალური ტრანსფერები, გადაცემული (–)=0,3

ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება = 15–60+4,0+72+20=51

მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება= 0

მაბალანსებელი სტატია – სექტორის წმინდა ვალები ან წმინდა დაკრედიტება. ჩვენს შემთხვევაში წმინდა დაკრედიტება = 385,2 – 0,3 -51= 333,9

გამოყენება	რესურსები
ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება – 51 მატერიალური საბრუნავი საშუა-ლებების მარაგების ცვლილება – 0 ფასეულობათა წმინდა შეძენა-მინის და სხვა არამატერიალური აქტივების შეძენა – 0 წმინდა დაკრედიტება – 333,9	მთლიანი დანაზოგი 385,2 კაპიტალური ტრანსფერები, მიღებული – 0 კაპიტალური ტრანსფერები, გადაცემული – 0,3
385,5	385,5

მაგალითი 2.

ვთქვათ გვაქვს არაფინანსური საწარმოების სექტორზე შემდეგი მონაცემები (მლნ.ლარი):

საწარმოს დანახარჯები სათბობის, მასალების, ნედლეულის და ა.შ შეძენაზე – 620

საწარმოების მომსახურების ანაზღაურება:

კავშირგაბმულობის – 15

ტრანსპორტის – 30

რეკლამის – 7

ბანკის ანგარიშებზე მიღებული პროცენტები – 8

საფინანსო ორგანოებისათვის გადახდილი პროცენტები კომერციული კრედიტის სარგებლობისათვის – 18

საწარმოებისათვის გაწეული იურიდიული კონსულტაცია – 2

საწარმოების მიერ კომუნალური მომსახურების გადახდა – 3

საკუთარი თანამშრომლების სამივლინებო ხარჯები – 17

მათ შორის სადღეღამისო ხარჯები – 9

საწარმოების ხარჯები საკუთარი თანამშრომლების სოციალურ-კულტურულ მომსახურებაზე – 23

მათ შორის სამგზავრო ბილეთების და ბინის მომსახურების ანაზღაურება – 13

საწარმოს ბალანსზე რიცხული ბაგა-ბაღის, საცურაო აუზის, სპორტული სტადიონის შენახვის ანაზღაურება – 6

საიჯარო ქირის დანახარჯები – 11

მიწის რენტა გადახდილი – 10

ძირითადი ფონდების მიმდინარე რემონტის დანახარჯები – 12

მუშაკთა ხელფასის დანახარჯები – 180

მოწყობილობების შეძენა – 45

მუშაკთა ხელფასიდან სოციალური დაზღვევის ფონდებში სავალდებულო ანარიცხები – 3,8

მოტანილი მონაცემებით შევაფასოთ არასაფინანსო საწარმოების ინსტიტუციური სექტორის ძირითადი აგრეგატები

მაგალითი 3. განსაზღვრეთ შინამეურნეობების სექტორისათვის ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის მიხედვით დანახარჯები საბოლოო მოხმარებისათვის

მაჩვენებლები	დანახარჯები		ინდექსები
	საბაზისო პერიოდის	საანგარიშო პერიოდის	
1.შინამეურნეობე-ბის ხარჯები სა-მომხმა-რებლო საქონლის შე-ძე-ნაზე და მომსახუ-რება პირადი ბიუ-ჯე-ტიდან	2000	2200	
2. საკუთარ საც-ხოვ-რისში ცხოვ-რების მომსახურე-ბა	1200	1300	
3. შინამეურნეო-ბებში ნატურალუ-რი ფორ-მით შემო-ვიდა: პირად დამ-ხმარე მეურნეობა-ში წარმოებული საქო-ნელი	300	450	ფიზიკური მოცულო-ბის ინდექ-სი: 1,16

თემა 8. დანახარჯები-გამოშვებისა და რესურსებისა და გამოყენების ცხრილები

დანახარჯები-გამოშვება (უცხოურ ლიტერატურაში input-output) წარმოადგენს წინასწარ მოცემული ნომენკლატურის მიხედვით პროდუქციის წარმოებაზე და გამოყენებაზე (განაწილებაზე) გაწეული დანახარჯების ერთდროული აღწერის პროცესს. მოცემული მეთოდი პირველად გამოიყენეს 1923-24 წლებში საბჭოთა კავშირში დარგთაშორისი ბალანსის შედგენისას. საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში და კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი გამოყენება დაიწყო 1930-იანი წლებიდან აშშ ეკონომიკის სტრუქტურის დახასიათებისათვის. დანახარჯები-გამოშვების ცხრილებს ჭადრაკისებური ფორმა აქვს, რომლის მიხედვითაც პროდუქციის ნომანკლატურაში შემევალ თითოეული სახის პროდუქციას შეესაბამება შესაბამისი სტრიქონი და სვეტი. სვეტების ელემენტები ახასიათებს მოცემული სახის პროდუქციაზე გაწეულ დანახარჯებს, ხოლო შესაბამისი პროდუქციის სტრიქონების ელემენტები ამ პროდუქციის გამოყენებას.

„დანახარჯები-გამოშვების" ცხრილების სისტემა ასრულებს ორ ფუნქციას. ესენია: სტატისტიკური და ანალიზური.

სტატისტიკური ფუნქციის მეშვეობით ეას-ი უზრუნველყოფს საქონლისა და მომსახურების ნაკადებზე სხვადასხვა ინფორმაციული წყაროების (საწარმოთა კვლევები, შინამეურნეობების კვლევები, საგადასახდელო ბალანსი, ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, საბაჟო ინფორმაცია) შეთანხმებულობას. გარდა ამისა სტატისტიკური ფუნქციის მეშვეობით ხორციელდება ეას-ში გამოყენებული საკლასიფიკაციო

სისტემების, მეთოდოლოგიისა და ძირითად განმარტებათა კოორდინირება.

ანალიზური ფუნქცია გამოიყენება ეკონომიკის საერთო მდგომარეობის დახასიათებისათვის და ეკონომიკის განვითარების საპროგნოზო მოდელების შედგენისათვის. სწორედ ასეთი მიზნებისათვის გამოიყენა ვასილი ლეონტიევმა პირველადი დანახარჯების პროდუქციის ცალკეული დარგების მიხედვით გამოშვების, და საბოლოო მოთხოვნის ურთიერთკავშირის ანალიზი. მოცემული ანალიზის საფუძველს წარმოადგენს შემდეგი დაშვება. დროის გარკვეული პერიოდის მიხედვით პროდუქციის წარმოებისათვის გაწეული დანახარჯები წარმოადგენს მუდმივ სიდიდეს. ამასთან, ერთი სახის პროდუქტების დანახარჯების დამოკიდებულება სხვა სახის პროდუქტების ერთეულის წარმოებასთან მიმართებაში შეიძლება გამოისახოს როგორც $\frac{A_{ij}}{x_j}$. ასეთი ელემენტარული დაშვების შედეგად დანახარჯების ურთიერთკავშირი საბოლოო პროდუქტის გამოშვებასთან შეიძლება გამოვხატოთ წრფივი ტოლობით: $\frac{A_{ij}}{x_j} + Y = X_j$, სადაც: A_{ij} - i პროდუქტის დანახარჯია j პროდუქტის წარმოებაზე;

x_j – j პროდუქტის გამოშვებაა;

Y – j პროდუქტზე საბოლოო მოთხოვნაა.

მატრიცული სახით განტოლება იძენს შემდეგ სახეს:

$$\begin{bmatrix} a_{11} & a_{12} & \dots & a_{1n} \\ a_{21} & a_{22} & & a_{2n} \\ & & & \\ & & & \\ a_{n1} & a_{n2} & & a_{nn} \end{bmatrix} \times \begin{bmatrix} x_1 \\ x_2 \\ \\ \\ x_n \end{bmatrix} + \begin{bmatrix} y_1 \\ y_2 \\ \\ \\ y_n \end{bmatrix} = \begin{bmatrix} x_1 \\ x_2 \\ \\ \\ x_n \end{bmatrix}$$

„დანახარჯები-გამოშვების“ საერთო სქემას ასეთი გამოსახულება აქვს:

სქემა № 31

დარგები / პროდუქტები	შუალედური მოთხოვნა	საბოლოო მოთხოვნა	გამოშვება
შუალედური მოხმრება	I	II	
დამატებული ღირებულება	III		
გამოშვება			

როგორც ვხედავთ მოცემულ სქემაში გამოსახულია სამი ბლოკი, ეგრეთწოდებული კვადრანტი. I და II კვადრანტში ასახულია რესურსებზე შუალედური და საბოლოო მოთხოვნა, ხოლო III კვადრანტში დამატებული ღირებულება წარმოების დარგების მიხედვით.

სქემის შემასმენელში მოტანილია პროდუქციის მომხმარებელი-დარგები, ხოლო ქვემდებარეში მიმწოდებელი დარგები. I და III კვადრანტის სვეტები-შუალედური მოხმარებისა და დამატებული ღირებულების ჯამი წარმოადგენს წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებს, ხოლო I და II კვადრანტების ჯამი (შუალედური და საბოლოო მოთხოვნის ჯამი) ახასიათებს რესურსების გამოყენებას.

ინფორმაციული რესურსების შესაძლებლობებისა და კონკრეტული ამოცანებიდან გამომდინარე „დანახარჯები-გამოშვების“ ცხრილები შეიძლება აიგოს სხვადასხვა ტიპების მიხედვით „დარგი-პროდუქტი“, „დარგი-დარგი“ და „პროდუქტი-პროდუქტი“.

„დანახარჯები-გამოშვების ცხრილების აგებისას ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია სტატისტიკური ერთეულების არჩევა, როგორც ვიცით ინსტიტუციურ ერთეულს შეუძლია ერთდროულად დაკავებული იყოს რამოდენიმე სახის ეკონომიკური საქმიანობით. წარმოების ანალიზის ინტერესებიდან გამომდინარე ასეთი სახის ინსტიტუციური ერთეულები საჭიროა დაიყოს ცალკეულ წამოწყებებად, იმ პირობით, რომ თითოეული მათგანი დაკავებული იქნება ერთი სახის ეკონომიკური საქმიანობით ერთ ადგილზე. ბუნებრივია ასეთ შემთხვევაში დარგის ჩამოყალიბება მოხდება ერთგვაროვანი წამოწყებებით, რომლებიც დაკავებული იქნებიან ერთი და იგივე ეკონომიკური საქმიანობით.

თუ წამოწყება დაკავებულია რამდენიმე სახის ეკონომიკური საქმიანობით, საჭიროა ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ძირითადი და არაძირითადი სახის საქმიანობები.

ძირითად სახის საქმიანობად ითვლება ისეთი სახის საქმიანობა, რომლის მიხედვითაც შექმნილი დამატებული ღირებულება აჭარბებს ყველა სხვა სახის საქმიანობის დამატებულ ღირებულებას მოცემული ინსტიტუციური ერთეულის ფარგლებში.

დარგებისა და პროდუქტების კლასიფიკაცია უნდა განხორციელდეს ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და პროდუქციის მოქმედი საკვალიფიკაციო სისტემების მიხედვით.

„დანახარჯები-გამოშვების“ ცხრილების აგებისას, ბაზარზე პროდუქციის შეფასებისას უპირატესობა ეძლევა ძირითად ფასს. ეას-ის მოთხოვნათა მიხედვით ქვეყნის რესურ-

სების ფორმირებისა და მის გამოყენების მიმართულება, დამატებული ღირებულების ჩამოყალიბება ხდება ძირითადი ფასებიდან მყიდველის ფასებში მათი ტრანსფორმაციის დახასიათებით. მოცემული მიზნის შესრულებას ემსახურება ისეთი ცხრილების აგება, როგორიცაა:

- რესურსებისა და გამოყენების ცხრილები;
- დანახარჯები-გამოშვდების სიმეტრიული ცხრილები;
- სავაჭრო-სატრანსპორტო დარიცხვების ცხრილები;
- პროდუქტებზე გადასახადებისა და სუბსიდიების ცხრილები;
- საიმპორტო პროდუქციის გამოყენების ცხრილები.

„რესურსების" და „გამოყენების" ცხრილები

„საქონლისა და მომსახურების რესურსების" ცხრილი ასეთნაირად გამოიყურება:

ცხრილი № 15

დარგები / პროდუქტები	წარმოება	იმპორტი	გადასახადები (+) სუბსიდი-ები (–)	სავაჭრო სა-ტრანსპორტო დ რიცხვა	რესურსები (მყიდველის ფასებში)
საქონელი და მომსახურება					
სულ	დარგების გამოშვება (ძირითად ფასებში)				

მოცემული ცხრილი ახასიათებს საქონლისა და მომსახურების ფორმირების პროცესს ქვეყანაში, რაც გამოიხატება ქვეყნის ეკონომიკაში განხორციელებული წარმოებისა და იმპორტის სახით. მოცემული ცხრილის სვეტებში ასახულია საქონლის წარმოება დარგების თანმიმდევრობით ცალკეული პროდუქტების ჭრილში, ინსტიტუციური ერთეულების როგორც ძირითადი სახის, ისე დამხმარე საქმიანობების მიხედვით. ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და გაწეული მომსახურების გაზომვა ხდება ძირითად ფასებში, ხოლო ომპორტირებული საქონლისა – სიფ ფასებში.

როგორც წინა თავებიდან ვიცით „სიფ" ფასები განიხილება იმპორტირებული საქონლის ძირითად ფასად და მომწოდებული ქვეყნის მიერ დაწესებული ფასია საზღვარზე. „საქონლისა და მომსახურების ცხრილის შემასმენელის მეორე ნაწილში ასახულია მყიდველთა ძირითადი ფასების ისეთი კომპონენტები, როგორიცაა: გადასახადები, სუბსიდიები და სავაჭრო სატრანსპორტო დარიცხვები. ამრიგად რესურსების ცხრილის შემაჯამებელი სვეტი „რესურსები მყიდველის ფასებში" შეიცავს პროდუქციის (საქონელი, მომსახურება) წარმოებას ძირითად ფასებში, იმპორტის საერთო მოცულობასა და მონაცემებს გადასახადებზე, სუბსიდიებზე, სავაჭრო და სატრანსპორტო დარიცხვებზე.

„საქონლისა და მომსახურების გამოყენების" ცხრილი რესურსების ცხრილის ლოგიკური გაგრძელებაა და მას შემდეგი სახე აქვს:

„საქონლისა და მომსახურების გამოყენების“ ცხრილი

ცხრილი № 16

	შუალედური მოთხოვნა დარგების მიხედვით							მოხმარება		დაგროვება			
	1	2	3	4	5	6		მთავრობები	სახელ. დაწესებულებები და არაკომერციული ორგანიზაციები	ძირი-თადი ფონდები	საბრუ-ნავი საშუალებები		
1													
2													
3													
4													
5													
დამატებული ღირებულება													
გამოშვება													

მოცემული ცხრილის I კვადრანტში შუალედური მოთხოვნა ასახულია სვეტებში დარგების მიხედვით, სტრიქონებში საქონლისა და მომსახურების ჯგუფების მიხედვით. შუალედური მოხმარების მაჩვენებლები ცხრილში მოტანილია მყიდველის ფასებში დღგ-ს გარეშე.

მეორე კვადრანტში საბოლოო გამოყენების ცხრილები იყოფა ისეთი ელემენტების მიხედვით, როგორიცაა: მოხმარება შინამეურნეობების, შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების და სახელმწიფო დაწესებულებების მიხედვით. აქვეა მოცემული ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება, მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება, საქონლისა და მომსახურების ექსპორტი. საბოლოო მოხმარების მაჩვენებლები აღირიცხება მყიდველთა ფასებში დღგ-ს გამორიცხვის გარეშე, ხოლო ექსპორტი „ფობ" ფასებში.

მესამე კვადრატში ასახულია დამატებული ღირებულების წარმოქმნა ეკონომიკის დარგების მიხედვით.

„გამოყენების" ცხრილები შეიძლება შევადგინოთ როგორც მყიდველის, ისე ძირითად ფასებში. ეს ხდება შემდეგნაირად: „გამოყენების" ცხრილის პირველი და მეორე კვადრანტების თიოთოეული ელემენტების ღირებულება გამოსახული მყიდველის ფასებში იყოფა სამ ნაწილად, ესენია: ღირებულება ძირითად ფასებში, სავაჭრო და სატრანსპორტო დარიცხულები და გადასახადები პროდუქტებზე სუბსიდიების გამოკლებით. ასეთი ოპერაციების შედეგად შესაძლებელია სავაჭრო, სატრანსპორტო დარიცხვებისა და პროდუქტებზე გადასახადებისა და სუბსიდიების დამოუკიდებელი მატრიცების შედგენა, რაც ეკონომიკური ანალიზის ჩატარების კარგი საშუალებაა.

„დანახარჯები-გამოშვების" სიმეტრიული ცხრილები წარმოადგენს „პროდუქტი-პროდუქტი" ტიპის ცხრილებს. სიმეტრიული ცხრილების აგებისას დარგში მოიაზრება ერთგვაროვანი პროდუქტების ერთობლიობა. პირველი კვადრანტის ქვემდებარესა და შემასმენელში გამოიყოფა დარგების ერთგვაროვანი ნომენკლატურა. „დანახარჯები-გამოშვების" სიმეტრიული ცხრილების აგება ორი გზითაა შესაძ-

ლებელი. პირველი, ესაა საწარმოთა სპეციალურად ორგანიზებული გამოკვლევები, რომელიც პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების შესწავლას ეძღვნება და მის საფუძველზე დგება სიმეტრიული ცხრილები, ხოლო მეორე მეთოდის არსი მდგომარეობს რესურსებისა და გამოყენების ცხრილების მათემატიკურ ტრანსფორმაციაში. ამ უკანასკნელი მეთოდით ზემოხსენებული ცხრილების აგებისას ერთ დაშვებასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, ერთგვაროვანი პროდუქტების წარმოებისას დაცულია წარმოების ტექნოლოგიების მდგრადობა. ასეთ პირობებში პროდუქტის წარმოების დანახარჯების სტრუქტურა უცვლელია, მიუხედავად იმისა, სადაა მოცემული პროდუქტი წარმოებული. ახლა პირობით მაგალითზე განვიხილოთ რესურსებისა და გამოყენების ცხრილების კონვერტაცია სიმეტრიულ მატრიცად, იმ პირობით, რომ ადგილი აქვს წარმოების დარგობრივი ტექნოლოგიის მდგრადობის დაშვებას.

მოცემული ჰიპოთეზის თანახმად პროდუქტი Q იწარმოება m სხვადასხვა დარგების მიერ. ამასთან, თითოეული დარგი m თავისი პროდუქციის წარმოებაზე ხარჯავს n პროდუქციის გარკვეულ რაოდენობას. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ n პროდუქციის დანახარჯების ხვედრითი წილი Q პროდუქციის წარმოებაზე უნდა განვსაზღვროთ n სახის პროდუქციის დანახარჯის საშუალოშეწონილი სიდიდე m სახის პროდუქციის წარმოებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული ვაჩვენოთ პირობით მაგალითზე.

ეტაპი № 1

რესურსების ცხრილი **ცხრილი № 17**

პროდუქტი \ დარგი	A	B	C	სულ
A	30	4	0	34
B	15	20	40	75
C	0	0	10	10
სულ	45	24	50	119

საწარმოო გამოყენების ცხრილი **ცხრილი № 18**

პროდუქტი \ დარგი	A	B	C
A	3	7	4
B	16	13	18
C	1	2	7
დამატებული ღირებულება	25	2	21
სულ	45	24	50

ეტაპი № 2

ცხრილი № 19

პროდუქციის წარმოების სტრუქტურის ცხრილი* (S)

დარგი \ პროდუქტი	A	B	C
A	30/34 0,88	15/75 0,20	0/10 0
B	4/34 0,12	20/75 0,27	0/10 0
C	0/34 0	40/75 0,53	10/10 1
	100	100	100

* მოცემული ცხრილი მიღებულია რესურსების ცხრილის ქვემდებარისა და შემასმენელის კონვერტაციით.

ცხრილი № 20

პირდაპირ დანახარჯთა კოეფიციენტები საწარმოო გამოყენების ცხრილიდან (K)

პროდუქტი \ დარგი	A	B	C
A	3/45 0,07	7/24 0,29	4/50 0,08
B	16/45 0,36	13/24 0,54	18/50 0,36
C	1/45 0,02	2/24 0,08	7/50 0,14
დამატებული ღირებულება	25/45 0,55	2/24 0,08	21/50 0,42
სულ	1,00	1,00	1,00

ცხრილი № 21

პირდაპირ დანახარჯთა კოეფიციენტები „დანახარჯები-გამოშვების“ სიმეტრიული ცხრილიდან (A)

პროდუქტი \ დარგი	A	B	C
A	0,07x0,88+0,29x x0,12+0,08x0 0,12	0.07x0,20+0,29x x0,27+0,08x0,53 0,13	0,07x0+0,29x0+ +0,08x1 0,08
B	0,36x0,88+0,54x x0,12+0,36x0 0,37	0,36x0,20+0,54x x0,27+0,36x0,53 0,41	0,36x0+0,54x0+ +0,36x1 0,36
C	0,02x0,88+0,08x x0,12+0,14x0 0,02	0,02x0,20+0,08x x0,27+0,53x0,14 0,10	0,02x0+0,08x0+ +0,14x1 0,14
დამატებული ღირებულება	0,55x0,88+0,08x x0,12+0,42x0 0,49	0,55x0,20+0,08x x0,27+0,42x0,53 0,35	0,55x0+0,08x x0+0,42x1 0,42
სულ	1,00	1,00	1,00

მოცემული გაანგარიშების მათემატიკური ალგორითმი ასეთნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

$$A = KS \quad (14)$$

სადაც A „დანახარჯები-გამოშვების" სიმეტრიული ცხრილის I პროდუქციის პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტების მატრიცაა J პროდუქციის წარმოებაზე.

$K - I$ პროდუქციის პირდაპირი დანახარჯების მატრიცაა J პროდუქციის წარმოებაზე.

S – პროდუქციის წარმოების სტრუქტურის ცხრილია.

როგორც უკვე მოცემული თემის დასაწყისში განვიხილეთ პირდაპირ დანახარჯთა კოეფიციენტები იანგარიება ფორმულით $a = \frac{A_{ij}}{x_j}$, რომელიც ახასიათებს პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე სხვადასხვა სახის პირდაპირი დანახარჯების მოცულობას, მაგრამ არ ასახავს მოცემული სახის პროდუქციაზე გაწეული ირიბი სახის დანახარჯების მოცულობას. განვიხილოთ მაგალითი.

საცხოვრებელი სახლის წარმოებისათვის საჭიროა ბეტონი, სახურავი, ხის მასალა, ელექტრო ენერგია და ა.შ. ბეტონის წარმოებას სჭირდება, ცემენტი და ქვიშა, ბეტონის წარმოების ადგილამდე ტრანსპორტირების ხარჯები და ა.შ. ამრიგად, დანახარჯების თითოეული ელემენტი წარმოადგენს პროდუქციას, რომლის წარმოებაზე იხარჯება რესურსების საკმაოდ დიდი ჩამონათვალი. პროდუქციის გამოყენების ერთ ციკლს წინ უსწრებს მეორე, მეორეს მესამე და ა.შ. ამრიგად, სახეზე გვაქვს საწარმოო პროცესების ურთიერთზემოქმედების გრძელი ჯაჭვი. თუ ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო პირდაპირი და ირიბი დანახარჯების სრული მოცულობის დად-

გენა, მისი განხორციელება შესაძლებელია უკუმატრიცის გამოყენებით. ეკონომიკურ-სტატისტიკურ ლიტერატურაში მას მოიხსენიებენ ვ. ლეონტიევის მატრიცის სახელწოდებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ პროდუქციის გამოშვების ვექტორი გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$x - AX = Y;$$

$$(I - A)X = Y;$$

$$x = (I - A)^{-1} Y$$

სადაც I წარმოადგენს ერთეულ მატრიცას, რომლის დიაგონალური მნიშვნელობა 1-ის ტოლია, ხოლო დანარჩენი მნიშვნელობა 0-ის ტოლი.

$(I - A)^{-1}$ – წარმოადგენს უკუმატრიცას. მოცემული ამოცანის მათემატიკური გადაწყვეტა ასეთნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

$$(I - A)^{-1} = I + A + A^2 + A^3 + \ldots + A^n.$$

სავარჯიშოები

1. რაში გამოიხატება „დანახარჯები-გამოშვების" ცხრილების სისტემების სტატისტიკური და ანალიზური ფუნქციები?

2. რომელი ცხრილები შედის „დანახარჯები-გამოშვების" სისტემის ცხრილებში?

3. რა და რა ნაწილებისგან შედგება „რესურსების" ცხრილი?

4. რას წარმოადგენს „გამოყენების" ცხრილი?

5. ჩამოთვალეთ „დანახარჯი-გამოშვების" ცხრილების სიმეტრიული ცხრილების შედგენის მეთოდები.

მაგალითი.

ქვემოთ მოტანილი რესურსებისა და გამოყენების ცხრილების საფუძველზე ააგეთ:

ა) პროდუქციის წარმოების სტრუქტურის ცხრილი;

ბ) პირდაპირ დანახარჯთა კოეფიციენტები (საწარმოო გამოყენების ცხრილებიდან);

გ) პირდაპირ დანახარჯთა კოეფიციენტები „გამოშვება-დანახარჯების" სიმეტრიული ცხრილებისათვის.

რესურსების ცხრილი

დარგი / პროდუქტი	A	B	C	სულ
A	40	6	0	46
B	10	14	30	54
C	0	0	5	5
სულ	50	20	35	105

საწარმოო გამოყენების ცხრილი

დარგი / პროდუქტი	A	B	C
A	2	9	4
B	6	6	22
C	1	2	2
დამატებული ღირებულება	41	3	7
სულ	50	20	35

ტესტები

1. „დანახარჯები-გამოშვება“ ეს არის:

ა) ერთი წლის მანძილზე შექმნილი საქონლის ღირებულება;

ბ) პროდუქციის წარმოებაზე და გამოყენებაზე გაწეული დანახარჯების ერთდროული აღწერის პროცესი;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

2. „დანახარჯები-გამოშვების“ ცხრილებს:

ა) ბუღალტრული აღრიცხვის ბალანსის ფორმა აქვს;

ბ) ჭადრაკისებური ფორმა აქვს;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

3. „დანახარჯები-გამოშვების“ ცხრილების სისტემა ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) ანალიზურსა და სტატისტიკურს;

ბ) ალბათურსა და მათემატიკურს;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

4. „დანახარჯები-გამოშვების“ საერთო სქემა შედგება:

ა) 2 კვადრანტისაგან;

ბ) 3 კვადრანტისაგან;

გ) 4 კვადრანტისაგან.

5. „რესურსებისა და გამოყენების“ ცხრილები ახასიათებს:

ა) ქვეყნის ეკონომიკაში განხორციელებული პროდუქციის წარმოების პროცესს;

ბ) პროდუქციის წარმოების პროცესსა და იმპორტს;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

6. საქონლისა და მომსახურების გამოყენების ცხრილები შედგება:

ა) დარგების მიხედვით შუალედური მოთხოვნისაგან;

ბ) აგრეთვე მოხმარებისაგან;

გ) აგრეთვე დაგროვებისაგან.

7. საქონლისა და მომსახურების გამოყენების ცხრილები შეიძლება შევადგინოთ:

ა) მხოლოდ მყიდველის ფასებში;

ბ) როგორც მყიდველის ისე ძირითად ფასებში;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

8. „დანახარჯები-გამოშვების" სიმეტრიული ცხრილების აგებისას დარგში მოიაზრება:

ა) ერთგვაროვანი პროდუქტების ერთობლიობა;

ბ) არაერთგვაროვანი პროდუქტების ერთობლიობა;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

9. პირდაპირ დანახარჯთა კოეფიციენტები იანგარიშება ფორმულით:

ა) $a = \frac{A_{ij}}{x_j}$;

ბ) $a = A_{ij} \times x_j$;

გ) არც ერთი ფორმულა არაა სწორი.

10. პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო პირდაპირი და ირიბი დანახარჯების სრული მოცულობის დადგენა შესაძლებელია:

ა) პირდაპირ დანახარჯთა მატრიცის გამოყენებით;

ბ) უკუმატრიცის (ვ. ლეონტიევის მატრიცის) გამოყენებით;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

თემა 9. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის გამოყენება მაკროეკონომიკურ ანალიზში და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეშვეობით ხორციელდება ქვეყნის მაკროეკონომიკური პროცესის ზოგადი დახასიათება შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

1. მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა.

იგი ახასიათებს საანგარიშო პერიოდის (ერთი წლის, ან კვარტლის) განმავლობაში ქვეყნის შიგნით წარმოებული საბოლოო პროდუქტისა და მომსახურების ერთობლივ ღირებულებას. მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი ქვეყნის მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით გამოიყენება ეკონომიკური განვითარების დონის დახასიათებისათვის. სწორედ ამ მაჩვენებლის მიხედვით ხდება ქვეყნების დაყოფა ღარიბ, განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებად.

2. ეკონომიკური ზრდის ტემპები.

ეს მაჩვენებელი იანგარიშება მუდმივ ფასებში გამოსახული მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლების სხვადასხვა პერიოდებში შეფარდებით. სწორედ ამ მაჩვენებლით ფასდება ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის, რეფორმებისა და სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობა, ქვემოთ მოტანილია საქართველოს და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპები 2000-2005 წლებში.

ცხრილი №22

მშპ დინამიკა 1990-208 წლებში (1990 წ. = 100 %)[1]

ქვეყნები	1994	1998	2003	2007	2008
აზერბაიჯანი	47,5	48,9	73,6	162,6	192,8
სომხეთი	49,4	62,0	96,1	156,0	171,6
ბელარუსი	72,9	80,2	103,3	142,5	152,7
საქართველო	27,5	35,5	45,7	65,2	71,1
ყაზახეთი	66,9	61,5	94,5	136,4	143,3
ყირგიზეთი	55,4	62,7	44,2	92,0	98,4
ლატვია	57,6	66,4	91,7	135,9	140,9
ლიტვა	56,1	69,6	89,8	121,8	129,7
მოლდოვა	40,7	35,8	43,1	54,3	58,2
რუსეთი	64,7	57,5	79,4	105,2	112,3
ტაჯიკეთი	43,4	33,9	50,5	129,4	138,5
თურქმენეთი	67,2	55,0	124,1	199,2	218,1
უზბეკეთი	81,8	88,1	107,7	145,8	157,5
უკრაინა	54,7	41,1	54,6	72,2	76,3
ესტონეთი	67,2	86,5	118,0	167,6	172,7

როგორც მოტანილი მაჩვენებლები მეტყველებს ისეთმა სახელმწიფოებმა როგორიცაა: მოლდოვა, უკრაინა, საქართველო და ყირგიზეთი ეკონომიკური გნვითარების მხრივ ცნობილი ანომალიური მოვლენების (სამოქალაქო ომები, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ემბარგო და საომარი მოქმედებები და სხვა მიზეზი) შედეგად ჯერ-ჯეროზით ვერ მიაღწიეს გასული საუკუნის 90-იანი წლების დონეს.

არანაკლებ შთამბეჭდავია ეკონომიკური განვითარების ისეთი განზოგადებული მაჩვენებელი, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით.ყოფილი საბშოთა კავშირის ქვეყნების მიხედვით. ქვემო მოტანილია ისეთი სახის ინფორმაცია 2007 წლის მონაცემებით

[1] მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი; ეროვნული სტატისტიკური სამსახურები.

ცხრილი № 23

მშპ 2007 წ. მონაცემებით მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით[1] ათასი ამერიკული დოლარი

ქვეყნები	2007
აზერბაიჯანი	3,7
სომხეთი	2,3
ბელარუსი	4,6
საქართველო	2,4
ყაზახეთი	6,9
ყირგიზეთი	0,7
ლატვია	12,0
ლიტვა	11,4
მოლდოვა	1,2
რუსეთი	9,1
ტაჯიკეთი	0,6
თურქმენეთი	5,2
უზბეკეთი	0,8
უკრაინა	3,0
ესტონეთი	15,9

მოტანილი მონაცემები მეტყველებს, რომ ეკონომიკური განვითარების ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება ბალტიისპირეთის სახელმწიფოები, რომლებმაც თავიანთი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მოდელად აირჩიეს რესტრუქტურიზაცია და მომსახურების უპირატესი განვითარება[2].

3. ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა.

ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის დასახასიათებლად გამოიყენება მონაცემები ქვეყნის მთლიანი შიდა

[1] მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი; ეროვნული სტატისტიკური სამსახურები

[2] Л. Григорьев, С. Кондратьев, М. Салихов «Трудный выход из трансформаценного кризиса (случай Грузии) ж. Вопросы экономики № 10 м. 2008 г.

პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაზე. თითოეული დარგის ხვედრითი წილისა და დინამიკაში მოცემული მაჩვენებლის ცვლილების დახასიათებით საშუალება გვეძლევა ავსახოთ ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებები.

2007 წლის მონაცემებით ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში (მიმდინარე ფასებით – 17 მლრდ. ლარი) ყველაზე უფრო მაღალი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი ვაჭრობა (13%); სახელმწიფო მმართველობა – 12,8%); სოფლის მეურნეობა და თევზჭერა – (9,3%); დამამუშავებელი მრეწველობა – (8,4%); ტრანსპორტი – (7,6%). 2000 წლის მიხედვით წამყვანი ეკონომიკური საქმიანობის პირველი ხუთეული მთლიან შიდა პროდუქტში შემდეგნაირად გამოიყურებოდა: სოფლის მეურნეობაზე და თევზჭერაზე მოდიოდა – (20%); ვაჭრობაზე – (12,6%); ტრანსპორტზე – (11,7%); ენერგეტიკაზე – (8,5%) და ჯანდაცვაზე – (5,2%).

4. მთლიანი შიდა პროდუქტის მოხმარებაზე, დაგროვებასა და ექსპორტზე გამოყენების სტრუქტურა.

მოცემული სახის ინფორმაცია ხელისუფლების ორგანოებს ეხმარება წარმოების გაფართოების, ცხოვრების დონის ანალიზისა და სხვა სახის წინადადებების მომზადებაში.

5. საერთო მწარმოებლურობა და შრომისნაყოფიერება.

მწარმოებლურობა წარმოადგენს წარმოების მოცულობისა და რესურსების დანახარჯების თანაფარდობას. მწარმოებლურობის მაჩვენებლები შეიძლება გავიანგარიშოთ წარმოების მოცულობის სხვადასხვა შინაარსის (დეფინიციის) მიხედვით. ერთ შემთხვევაში წარმოების მოცულობად შეიძლება განვიხილოთ პროდუქციის (საქონელი, მომსახურება) გამოშვების დეფინიცია. მეორე შემთხვევაში – მთლიანი დამატებული ღირებულება (გამოშვებას გამოკლებული შუალედური მოხმარება). მოცემული დეფინიციების მიხედვით შეიძლება გამოვთვალოთ შრომისნაყოფიერების,

კაპიტალწარმოებლურობის, შრომისა და კაპიტალის ერთობლივი დანახარჯების მწარმოებლურობისა და რიგი სხვა მაჩვენებლები. მოცემული მახასიათებლები მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკური ეფექტურობისა და ეკონომიკური ზრდის ფაქტორების ანალიზისა და პროგნოზული მაჩვენებლების გაანგარიშებისათვის.

6. ეროვნული შემოსავლის განაწილება და გადანაწილება.

მოსახლეობის ცხოვრების დონის დახასიათებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ფარგლებში პირველადი, მეორადი და საბოლოო შემოსავლების მაჩვენებელთა ანალიზს.

7. მოსახლეობის საბოლოო მოხმარება.

მოცემული სფეროს დასახასიათებლად გამოიყენება საბოლოო მოხმარების სასაქონლო სტრუქტურა.

8. საინვესტიციო პროცესი.

საინვესტიციო პროცესის სტატისტიკურად დახასიათებისათვის საჭიროა ვიცოდეთ ინვესტიციების წარმომავლობა, დინამიკა და სტრუქტურა.

9. ოპერაციები, დაკავშირებული ფინანსურ ინტრუმენტებთან.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში მოცემული პროცესების ანალიზისათვის გამოიყენება ფინანსური აქტივების შეძენისა და ფინანსური ვალდებულებების აღების მაჩვენებლები. აგრეთვე ფინანსური კაპიტალური დანახარჯების გადანაწილების მაჩვენებლები ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებს შორის.

10. ეროვნული სიმდიდრე.

მოცემული სფეროს ანალიზით საშუალება გვეძლევა დავახასიათოთ ქვეყნის ყველა აქტივი (ვალდებულებების გამოკლებით), რაც აუცილებელია ეკონომიკური პროცესის

დახასიათებისათვის. აგრეთვე დაგროვების და რესურსების ეფექტურად გამოყენების ანალიზისათვის.

11. ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ოპერაციები.

მოცემული საკითხების ანალიზისათვის აუცილებელია საქონლისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების მახასიათებელი მაჩვენებლები, ინვესტიციების მოძრაობა საზღვარგარეთთან მიმართებაში და ა.შ.

12. დარგთაშორისი კავშირები და პროპორციები.

მოცემული სფეროს ანალიზისათვის გამოიყენება „დანახარჯები-გამოშვების" ცხრილები.

დროის ცალკეული პერიოდების მიხედვით ქვეყნის ეკონომიკაში ჩამოყალიბებული მდგომარეობის დასახასიათებლად გამოიყენება მთლიანი შიდა პროდუქტის ისეთი წარმოებული მაჩვენებლები როგორიცაა:

- მთლიანი შიდა პროდუქტისა და ფულის მასის (აგრეგატი № 2) ზრდის ტემპების თანაფარდობა;
- საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ოპერაციების სალდოსა და მთლიანი შიდა პროდუქტის თანაფარდობა;
- სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან;
- სახელმწიფო აპარატის შენახვისათვის გამოყოფილი სახსრების თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან;
- საშინაო და საგარეო ვალის თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან და სხვა.

ზემოაღნიშნული თანაფარდობის ანალიზი რიგი ქვეყნების მიხედვით გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპები დაბალია, როცა მაღალია ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმარ-

თებაში; აგრეთვე როდესაც მაღალია სახელმწიფო ვალისა და სახელმწიფო დანახარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტთან დამოკიდებულებაში.

ზემოთმოტანილი ეკონომიკური ინდიკატორების საშუალებით შესაძლებელია ქვეყანაში მოვახდინოთ ეკონომიკური წრებრუნვის სტატისტიკური დახასიათება.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მდიდარი ინფორმაციული რესურსების არსებობის პირობებში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაბამისი ეტაპის კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, ქვეყნის სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს საშუალება ექნებათ შეიმუშონ ეკონომიკური ზრდის პოლიტიკა, ეკონომიკის სტაბილიზაციის პოლიტიკა ან სოციალური პოლიტიკა.

დასახელებული ინდიკატორებით შესაძლებელია დავახასიათოთ ჩვენი ქვეყნის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრების შესაბამისობა საერთაშორისო და რიგ სხვა მოთხოვნებთან. ასე მაგალითად, ევროკავშირის მასშტაბით მოქმედი წესების თანახმად, ევროპის სავალუტო კავშირთან დაშვება შესაძლებელია იმ ქვეყნებისათვის, რომელთა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან არ აჭარბებს 3 პროცენტს. დღესაც აქტუალურია კეინსის გლობალური მმართველობისა და ანტიციკლური ღონისძიებების თეორია, რომელთა თანხმადაც მიღწეული უნდა იქნეს ე.წ. "მაგიური ოთკუთხედის ინდიკატორები", რომლებიც გულისხმობს: შესაბამის ეკონომიკურ ზრდას, სრულ დასაქმებას, სტაბილურ ფასებსა და საგარეო ეკონომიკურ თანასწორობას.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უპირველეს ყოვლისა გამოიყენება საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის დახასიათებისა და მის საფუძველზე ეკონომიკური პოლიტიკის

შემუშავებისა და ეკონომიკის რეგულირებისათვის. ეას-ი ასეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო მმართველობითი ფუნქციის შესრულებას ახერხებს ისეთი მდიდარი ინფორმაციული რესურსების საფუძველზე, როგორიცაა: ეროვნული სიმდიდრე, მთლიანი შიდა პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი; მოხმარება, შემოსავლები და ხარჯები; დაგროვება; ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ოპერაციები; სახელმწიფო მართვის შემოსავლები და ხარჯები; საგარეო ეკონომიკური კავშირები; ფასების მახასიათებელი მაჩვენებლები; დასაქმებისა და სამუშაო ძალის გამოყენების მაჩვენებლები. ჩამოთვლილი ინფორმაციის სპეციფიკიდან გამომდინარე ქვეყნის მმართველობითი ორგანოები მოცემულ ინფორმაციას იყენებენ საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკის სფეროში, ფულის მასისა და მისი ბრუნვის რეგულირების საკითხებში; შემოსავლების განაწილების, დასაქმების, საგარეო ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროებში მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილებების მიღებისას.

ეას-ის მონაცემების ერთ-ერთი დაინტერესებული მომხმარებელები არიან მეწარმეები. კონკრეტულ დროში ქვეყანაში ჩამოყალიბებული საერთო მაკროეკონომიკური გარემო მათ საშუალებას აძლევთ მიიღონ გადაწყვეტილება, დააბანდონ დამატებითი ინვესტიციები საკუთარ წარმოებაში და გააფართოვონ წარმოება თუ თავი შეიკავონ ასეთი ქმედებისაგან.

ეას-ის მონაცემთა გამოყენების გარეშე გაუჭირდება მათ ისეთ მომხმარებლებს, როგორიცაა სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებები და უმაღლესი სასწავლებლები. ისინი დაკავებული არიან ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მოდელების შედგენით , ეას-ის ძირითადი აგრეგატებითა და ძირითადი კონცეფციებით, სტუდენტების სწავლებით და ა.შ.

ეას-ის მონაცემთა სისტემატურ მომხმარებლად შეიძ-

ლება განვიხილოთ ისეთი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები, როგორიცაა: გაერო, მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი და ა.შ. საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები რამოდენიმე მიმართულებით იყენებენ ეას–ის მონაცემებს. ასე მაგალითად, ისინი ადგენენ და სარეკომენდაციოდ უგზავნიან თავიანთ წევრ სახელმწიფოებს საერთაშორისო სტატისტიკურ სტანდარტებს ეას–ი სფეროში. ეს უ.ყ. კეთდება იმ მიზნით, რომ სხვადასხვა ქვეყნების მაკროეკონომიკური მაჩვენებლები გაანგარიშებული იქნეს ერთიანი მეთოდოლოგიით, რაც ურთიერთშესადარისს გახდის მათ. გარდა ამისა, ასეთი სახის ინფორმაცია ეხმარება საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებს გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარონ განვითარებად სახელმწიფოებს საკუთარი ვალუტის განმტკიცებაში, ჰუმანიტარული და სხვა სახის დახმარებების აღმოჩენაში და ა.შ.

ეას-ის მონაცემთა მომხმარებლებად შეიძლება განვიხილოთ არასამთავრობო ორგანიაციები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმოამდგენლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები და ა.შ.

სავარჯიშოები

1. დაასახელეთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მახასიათებელი განზოგადებული ეკონომიკური მაჩვენებელი;

2. დაასახელეთ საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის მაჩვენებლები უკანასკნელი წლების მანძილზე. როგორ გამოიყურება ამ მხრივ საქართველო ევროკავშირისა და დსთ-ს წევრ სახელმწიფოებს შორის;

3. როგორია საქართველოს ეკონომიკის ამჟამინდელი სტრუქტურა და როგორი ცვლილება განიცადა მან 2001 წელთან შედარებით;

4. როგორ იანგარიშება ქვეყნის საერთო მწარმოებლურობისა და შრომისნაყოფიერების მაჩვენებლები;

5. რა და რა ძირითადი მაჩვენებლები იანგარიშება მოსახლეობის ცხოვრების დონის დახასიათებისათვის;

6. რა პარამეტრები ახასიათებს ქვეყნის საინვესტიციო გარემოს;

7. ჩამოთვალეთ ეას-ში ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ოპერაციები;

8. დაასახელეთ ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების მახასიათებელი პარამეტრები;

9. განმარტეთ „დანახარჯები-გამოშვების" ცხრილების დანიშნულება;

10. ცალკეულ პერიოდებში ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის კომპლექსურად დახასიათებისათვის ჩამოთვალეთ მშპ-ს წარმოებული მაჩვენებლები.

ტესტები

1. მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი ქვეყნის მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებისას გამოიყენება:

ა) ეკონომიკური განვითარების დონის დახასიათებისათვის;

ბ) ქვეყნის დასაჯგუფებლად ღარიბ, განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებად;

გ) ორივე პოზიციის დასახასიათებლად.

2. მშპ-ს რეალური ზრდისა და მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით საქართველო ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების მიხედვით:

ა) ჩამორჩენილი ქვეყნების ჩამონათვალშია;

ბ) საშუალოდ განვითარებულ ქვეყნებში შედის;

გ) სწრაფად განვითარებულ ქვეყნებს მიეკუთვნება.

3. 2007 წლის შედეგებით ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი:

ა) სახელმწიფო მმართველობა;

ბ) სოფლის მეურნეობა და თევზჭერა;

გ) ვაჭრობა;

დ) დამამუშავებელი მრეწველობა.

4. 2000 წლის მიხედვით მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობაში პირველ ადგილზე იყო:

ა) ვაჭრობა;

ბ) სოფლის მეურნეობა და თევზჭერა;

გ) ტრანსპორტი;

დ) ენერგეტიკა

5. შრომის მწარმოებლურობისა და შრომისნაყოფიერებისა მაჩვენებლების გაანგარიშება ქვეყნის მიხედვით შესაძლებელია:

ა) – წარმოების მოცულობის ერთგვაროვანი შინაარსის (დეფინიციის) მიხედვით;

ბ) – წარმოების მოცულობის სხვადასხვაგვაროვანი შინაარსის (დეფინიციის) მიხედვით;

გ) – ორივე ვარიანტის მიხედვით.

6. მოსახლეობის ცხოვრების დონის დახასიათებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს:

ა) – პირველადი შემოსავლების მაჩვენებლებს;

ბ) – მეორადი შემოსავლების მაჩვენებლებს;

გ) – საბოლოო შემოსავლების მაჩვენებლებს;
დ) – ყველას ერთად.

7. ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ახასიათებს:
ა) – ინვესტიციების წარმომავლობის მაჩვენებლები;
ბ) – ინვესტიციების სტრუქტურა;
გ) – ინვესტიციების დინამიკა;
დ) – ყველა ერთად.

8. ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ ოპერაციებს ახასიათებს:
ა) – ფინანსური აქტივების შეძენის მაჩვენებლები;
ბ) – ფინანსური ვალდებულებების მახასიათებელი მაჩვენებლები;
გ) – ფინანსური კაპიტალური დანახარჯების მაჩვენებლები ეკონომიკის დარგების მიხედვით;
დ) – ყველას ერთად.

9. კეინსის გლობალური მმართველობისა და ანტიციკლური ღონისძიებების "მაგიური ოთკუთხედის" ინდიკატორები მოიცავს:
ა) – დასაქმების, ფინანსური სტაბილურობის, მოსახლეობის სოციალური დაცვის და სტაბილური ინფლაციის მაჩვენებლებს;
ბ) – დასაქმების, ეკონომიკური ზრდის, ფინანსური სტაბილურობისა და ეკოლიგიური უსაფრთხოების მაჩვენებლებს;
გ) – დემოგრაფიული სიტუაციის მახასიათებელ, ეკოლოგიის, სოციალურ და ეკონომიკის სტაბილიზაციის მაჩვენებლებს;
დ) – დასაქმების, ეკონომიკის ზრდის, სტაბილური ფა-

სებისა და საგარეო ეკონომიკური თანასწორობის მაჩვენებლებს.

10. ევროკავშირის წესების თანახმად ევროპის სავალუტო კავშირთან დაშვება შეუძლია იმ ქვეყნებს, რომლებშიც სახელმწიფო ბიუჯეტი დეფიციტის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება არ აჭარბებს:

ა) – 3 პროცენტს;

ბ) – 5 პროცენტს;

გ) – 7 პროცენტს.

თემა 10. ეროვნული სიმდიდრე ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში

10.1 ეროვნული სიმდიდრე, აქტივებისა და პასივების ბალანსი

ეროვნული სიმდიდრე ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მისი ეკონომიკური პოტენციალის შეფასების უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიაა.

ეროვნული სიმდიდრე ერთ-ერთი ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია. მისი გაანგარიშება ევროპელმა ეკონომისტებმა ჯერ კიდევ XVII საუკუნეში დაიწყეს. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ დრომდე არ არსებობდა ეროვნული სიმდიდრის ცნების და, შესაბამისად, მისი გაანგარიშების ერთიანი მეთოდოლოგია, რაც ართულებდა მოცემული მაჩვენებლის მიხედვით ქვეყნების საერთაშორისო შესადარისობას. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ელემენტი შეჰქონდათ მის შემადგენლობაში.

გაეროს 1993 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შედგენის რეკომენდაციებით, ***ეროვნული სიმდიდრე – ეს არის ყველა წინა თაობის შრომის შედეგად შექმნილი და დაგროვებული სარგებლის მომცემი მატერიალური და არამატერიალური აქტივების ერთობლიობა, რომელიც მიეკუთვნება ქვეყანას ან მის რეზიდენტებს და მდებარეობს მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე და მის საზღვრებს გარეთ, აგრეთვე, დაზვერილი და ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართული ბუნებრივი და სხვა რესურსები.***

ამრიგად, ეროვნული სიმდიდრის განმარტებაში ნიშანდობლივია ის, რომ ეს მაჩვენებელი იანგარიშება კონკრეტული მომენტისათვის და იგი ამით განსხვავდება სხვა მაკროე-

კონომიკური მაჩვენებლებისაგან.

ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშების ძირითადი ინფორმაციული წყაროა აქტივებისა და პასივების ბალანსი.

ეკონომიკური აქტივებისა და პასივების ბალანსი წარმოადგენს ეკონომიკური აქტივებისა და პასივების ღირებულების ამსახველ ცხრილს პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის.

ეკონომიკურ აქტივებს წარმოადგენს ობიექტები, რომლებზეც ინსტიტუციური ერთეულები აწესებენ საკუთრების უფლებას და მათი ფლობით ან გამოყენებით გარკვეულ დროში მის მფლობელს შეუძლია მიიღოს ეკონომიკური სარგებელი.

ეკონომიკური აქტივებისაგან მიღებული სარგებელი წარმოადგენს:

• აქტივების გამოყენებას პროდუქციის წარმოებისათვის;

• საკუთრებიდან მიღებულ შემოსავლებს (პროცენტები, დივიდენდები და ა.შ.).

პასივები – ეს ეკონომიკური აქტივების მფლობელის ფინანსური ვალდებულებებია.

ეროვნული სიმდიდრე ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში განიმარტება როგორც ქვეყანაში გარკვეული დროისათვის დაგროვებული არაფინანსური და წმინდა ფინანსური აქტივების ერთობლიობა.

მთლიანად ქვეყნისათვის საკუთარი კაპიტალი, ანუ ეროვნული სიმდიდრე წარმოადგენს ყველა სამეურნეო სუბიექტის არაფინანსური აქტივების ერთობლიობას, რომელიც იმყოფება ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის ფარგლებში და ასევე წმინდა მოთხოვნებს სხვა ქვეყნების მიმართ.

ეროვნული სიმდიდრისა და საკუთარი კაპიტალის წმინდა ღირებულების გაანგარიშება თითოეული სამეურნეო ერ-

თეულისა და ეკონომიკის სექტორისათვის წარმოებს აქტივებისა და პასივების ბალანსში, რომელსაც ასეთი სახე აქვს:

აქტივებისა და პასივების ბალანსი პერიოდის დასაწყისისათვის (ბოლოსათვის)

სქემა № 32

აქტივები (მოთხოვნა)	პასივები (ვალდებულება)
1. არაფინანსური აქტივები	3. ფინანსური ვალდებულებები
2. ფინანსური აქტივები	4. საკუთარი კაპიტალის წმინდა ღირებულება (1+2-3)

იურიდიული ფორმის თვალსაზრისით, ეროვნულ სიმდიდრეში შედის როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო ქონება, რომელიც მიეკუთვნება როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებს.

ეროვნული ***სიმდიდრის*** მნიშვნელოვანი ნაწილია ***ეროვნული ქონება,*** რაც იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ქვეყნისა და მისი რეგიონების ეკონომიკაში საკუთარი კაპიტალის, მატერიალური და არამატერიალური, ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაგროვების შედეგია. ცალკე აღირიცხება ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონელი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ოქროს მარაგი.

ეროვნულ ქონებაში შედის მოსახლეობის პირადი ქონება (საბინაო და არასაწარმოო ნაგებობები, ხანგრძლივი გამოყენების საყოფაცხოვრებო საქონელი და სამომხმარებლო დანიშნულების მარაგები).

10.2. არაფინანსური და ფინანსური აქტივები

ეროვნულ სიმდიდრეში შემავალი აქტივები იყოფა არაფინანსურ და ფინანსურ აქტივებად, რომლებსაც ასეთი სახე აქვს:

აქტივების კლასიფიკაცია, რომელიც ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგიით ჩართულია ეროვნულ სიმდიდრეში

სქემა № 33

I არაფინანსური აქტივები	II ფინანსური აქტივები
1	2
1. წარმოებული აქტივები 1.1. მატერიალური აქტივები 1.1.1. ძირითადი ფონდები 1.1.2. მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგები 1.1.3. ფასეულობები 1.1.4.ცნობისათვის: ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონელი 1.2. არამატერიალური აქტივები (ძირითადი ფონდები) 1.2.1. დანახარჯები სასარგებლო წიაღისეულის დაზვერვისათვის 1.2.2. ეგმ პროგრამული უზრუნველყოფა 1.2.3. ლიტერატურისა და ხელოვნების გასართობი ჟანრის ორიგინალური ნაწარმოებები 1.2.4. სხვა არამატერიალური აქტივები	1. მონეტარული ოქრო 2. ნაღდი ფული და დეპოზიტები 3. ფასიანი ქაღალდები (აქციების გარდა) 4. სესხები 5. აქციები და კაპიტალში მონაწილე სხვა სახეობები 6. სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები 7. დებიტორებისა და კრედიტორების სხვა ანგარიშები 8. პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციები

2. არანარმოებული აქტივები 2.1. მატერიალური აქტივები 2.1.1. მიწა 2.1.2. წიაღისეული 2.1.3. გამოუყვანელი ბიოლოგიური რესურსები 2.1.4. წყლის რესურსები 2.2. არამატერიალური აქტივები 2.2.1. პატენტები, საავტორო უფლებები, ლიცენზიები 2.2.2. ხელშეკრულებები არენდაზე 2.2.3. გუდვილი 2.2.4. სხვა არამატერიალური აქტივები	

არაფინანსური აქტივები – ეს ინსტიტუციური ერთეულების გამგებლობაში არსებული ობიექტებია, რომელთა გამოყენებას და შენახვას დროის გარკვეულ პერიოდში მოაქვს რეალური ეკონომიკური სარგებელი. ასეთი სახის აქტივები იყოფა წარმოებულ და არაწარმოებულ აქტივებად. ***წარმოებული არაფინანსური აქტივები*** იქმნება საწარმოო პროცესების შედეგად და შეიცავს სამ ძირითად ელემენტს. ესენი არიან: ძირითადი ფონდები (ძირითადი კაპიტალი), მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგები და ფასეულობები.

არაფინანსური არანარმოებული აქტივები არ წარმოადგენს საწარმოო პროცესის შედეგს. როგორც აქტივების კლასიფიკაციიდან ჩანს, ისინი იყოფიან ორ ჯგუფად: მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებად.

ფინანსური აქტივების ჩამოთვლილი კლასიფიკაციიდან შევჩერდეთ ***მონეტარულ ოქროზე***. იგი ეკუთვნის ქვეყ-

ნის ხელმძღვანელ ფულად-საკრედიტო დაწესებულებებს და ინახება ფინანსური აქტივების სახით.

1990-2000 წლებში საქართველოს ეროვნული სიმდიდრის მახასიათებელი მაჩვენებლები ქვემოთ მოტანილია ცხრილში.

ცხრილი № 24

ეროვნული სიმდიდრე 1990 და 2000 წლებში[1]

	1990	2000
სულ, მილიარდი აშშ დოლარი	655	388
მათ შორის:		
ეროვნული ქონება	180	105
ბუნებრივი სიმდიდრე	175	168
ადამიანური სიმდიდრე	300	115
მოსახლეობის ერთ სულზე, ათასი აშშ დოლარი	117.3	86.2
მათ შორის:		
ეროვნული ქონება	32.7	23.3
ბუნებრივი სიმდიდრე	31.8	37.3
ადამიანური სიმდიდრე	54.5	25.6

ძირითადი კაპიტალი (ძირითადი ფონდები) ეროვნული სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი წარმოადგენს სახმარ ღირებულებათა ერთობლიობას, რომელიც ეკონომიკაში ფუნქციონირებს ხანგრძლივი პერიოდის (ერთ წელზე მეტი ვადის) განმავლობაში, თანდათანობით ცვდება და არ კარგავს თავის ნატურალურ, ნივთობრივ ფორმას.

ძირითადი ფონდების კლასიფიკაცია ხდება მათი სახეების მიხედვით. ისინი გაერთიანებული არიან შემდეგ ძირითად ჯგუფად:

შენობები;

ნაგებობები;

[1] ი. არჩვაძე, რა ფერისაა მილიარდი? – თბილისი, 2002.

მანქანა-მოწყობილობანი;
სატრანსპორტო საშუალებები;
ინსტრუმენტები;
საწარმოო ინვენტარი;
სამეურნეო ინვენტარი;
მუშა და პროდუქტიული პირუტყვი;
მრავალწლიანი ნარგავები;
მიწაზე კაპდაბანდებანი;
და სხვა ძირითადი ფონდები.

თითოეული დასახელების ძირითადი ფონდების მოცულობას საერთო ღირებულებაში, გამოსახულს პროცენტობით, ეწოდება ***ძირითადი ფონდების სტრუქტურა.*** აქედან გამოიყოფა ***აქტიური*** და ***პასიური*** ნაწილები.

აქტიურია ის ძირითადი ფონდები ***(მანქანა-მოწყობილობები, ინსტრუმენტები, საწარმოო ინვენტარი),*** რომლებიც უშუალოდ აქტიურად მონაწილეობენ ***პროდუქციის შექმნაში.***

პასიურია დანარჩენი (შენობები, ნაგებობები და სხვა) ფონდები.

გარდა ამისა, ძირითადი ფონდების ცალკეული სახეები შეიძლება დაჯგუფდეს ქვესახეებად. მაგალითად, მანქანები და მოწყობილობები:

- ძალოვანი მანქანები და მოწყობილობები;
- მუშა მანქანები და მოწყობილობები;
- საზომი, მარეგულირებელი და ლაბორატორიული ხელსაწყოები და მოწყობილობები.

ძირითადი ფონდების კლასიფიკაცია ხდება აგრეთვე ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, როგორიცაა:

- სამთომოპოვებითი მრეწველობა;
- გადამმუშავებელი მრეწველობა;

- ელექტროენერგეტიკა;
- სოფლის მეურნეობა;
- ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა;
- მშენებლობა და ა.შ.

არსებობს ***ძირითადი ფონდების შეფასების*** 4 მეთოდი. ესენი არიან:

- სრული პირვანდელი ღირებულებით (შეძენისა და დამონტაჟების ღირებულების ჩათვლით);
- სრული აღდგენითი ღირებულებით (მათი ღირებულება კვლავწარმოების თანამედროვე პირობებში);
- სრული პირვანდელი ღირებულებით ცვეთის გამოკლებით;
- სრული აღდგენითი ღირებულებით ცვეთის გარეშე.

ძირითადი ფონდების კვლავწარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ***მაჩვენებელია მათი ბალანსი,*** რომელიც ახასიათებს მათ ღირებულებას წლის დასაწყისისათვის, წლის განმავლობაში შემოსულ და გასულ ძირითად ფონდებს და მათ ღირებულებას წლის ბოლოსათვის.

სტატისტიკა სწავლობს ძირითადი კაპიტალის მდგომარეობას, რისთვისაც ანგარიშობს საშუალო მაჩვენებლებს თვის (კვარტლის, წლის და ა.შ.) მიხედვით.

$$\text{ძირითადი კაპიტალის ვარგისიანობის კოეფიციენტი} = \frac{\text{ცვეთის ღირებულება}}{\text{პირვანდელი ღირებულება}}$$

ძირითადი ფონდების გამოყენების ზოგადი მაჩვენებლებია:

$$\text{ფონდუკუგების კოეფიციენტი} = \frac{\text{გამოშვებული პროდუქცია}}{\text{ძირითადი ფონდების საშუალო წლიური ღირებულება}}$$

$$\text{ფონდშეიარაღების კოეფიციენტი} = \frac{\text{ძირითადი ფონდების ღირებულება}}{\text{მუშაკთა საშუალოსიიბრივი რიცხოვნობა}}$$

სტატისტიკაში ანგარიშობენ საწარმოო სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტს, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად:

$$\frac{\text{წლის მანძილზე გამოშვებული პროდუქცია}}{\text{საშუალო წლიური სიმძლავრე}}$$

საბრუნავი ფონდები (საბრუნავი კაპიტალი) ეროვნული სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილია. ძირითადი ფონდებისაგან განსხვავებით საბრუნავი ფონდები შრომის საგნებია, რომლებიც ერთი საწარმოო ციკლის განმავლობაში მთლიანად მოიხმარებიან წარმოებაში, იცვლიან თავიანთ ნატურალურ-ნივთობრივ ფორმას და ღირებულება მთლიანად გადაიქცევა დამზადებული პროდუქციის თვითღირებულებაში.

მრეწველობის საბრუნავ ფონდებში შედის: ნედლეული, ძირითადი და დამხმარე მასალები, ნაყიდი ნახევარფაბრიკატები, სათბობი, ტარა, ინვენტარი და სხვა მცირეფასიანი სწრაფცვეთადი საგნები, დაუმთავრებელი წარმოება და სხვა.

სოფლის მეურნეობაში საბრუნავი ფონდები ზემოთ ჩამოთვლილი სახეების გარდა, მოიცავს თესლს, ნერგებს, საკვებს, ფურაჟს და სხვ.

საბრუნავი ფონდების სტატისტიკა შეისწავლის მათ მოცულობას, სტრუქტურას, ბრუნვადობას, მასალა-ტევა-

დობას და სხვა მაჩვენებლებს.

საბრუნავი ფონდების მოცულობა განისაზღვრება დროის გარკვეული მომენტისათვის (თვის, კვარტლის ან წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის). გარდა ამისა, ცალკეული პერიოდისათვის განისაზღვრება საშუალო მარაგები. საშუალო მარაგები შეიძლება გავიანგარიშოთ საშუალო არითმეტიკულის გამოყენებით, ხოლო რამდენიმე სამომენტო პერიოდისათვის – ქრონოლოგიური საშუალო არითმეტიკულის გამოყენებით.

საბრუნავი ფონდების გამოყენებას ახასიათებენ ბრუნვადობის კოეფიციენტით.

ბრუნვადობის კოეფიციენტი ($\overline{K}_{\text{ბრ}}$) განისაზღვრება ბრუნვის მაჩვენებლის (P) შეფარდებით საბრუნავი ფონდების საშუალო ნაშთთან ($\overline{Q}$).

$$\overline{K}_{\text{ბრ}} = \frac{P}{\overline{Q}} \quad (15)$$

საბრუნავი ფონდების დატვირთვის მაჩვენებელი ბრუნვადობის კოეფიციენტის შებრუნებულია სიდიდეა და გვიჩვენებს საბრუნავი ფონდების რაოდენობას ბრუნვის მაჩვენებლის ერთ ლარზე.

$$\overline{K}_{\text{დატ}} = \frac{1}{\overline{K}_{\text{ბრ}}} \quad (16)$$

თუ საანგარიშო პერიოდის ხანგრძლივობას კალენდარულ დღეებში გავყოფთ ბრუნვადობის კოეფიციენტზე, მივიღებთ ერთი ბრუნვის საშუალო ხანგრძლივობას, ანუ ბრუნვადობას დღეებში.

$$\overline{D} = \frac{D_{\text{კალ}}}{\overline{K}_{\text{ბრ}}} \quad (17)$$

საბრუნავი ფონდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ***მასალატევადობა***, ანუ შრომის საგნების რაოდენობა, რაც იხარჯება გამოშვებული პროდუქციის ერთეულზე. მისი სინთეზური მაჩვენებელია ***მთლიანი შიდა პროდუქტის მასალატევადობა,*** რაც მიიღება დახარჯული შრომის საგნების (ნედლეულის, მასალის, სათბობის და ა.შ.) ღირებულების შეფარდებით მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებასთან.

ეროვნული სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილია ***ბუნებრივი რესურსები*** (მიწის და წყლის ფონდები, სასარგებლო წიაღისეულის მარაგები, წყლისა და ჰიდროენერგეტიკული რესურსები და ა.შ.).

ბუნებრივი რესურსები ორ ნაწილად იყოფა. ერთი ნაწილი მოზიდულია წარმოების პროცესში და ჩაირთვება ეროვნული სიმდიდრის შემადგენლობაში; მეორე ნაწილი განეკუთვნება პოტენციურ ბუნებრივ რესურსებს.

სტატისტიკა სწავლობს ბუნებრივი რესურსების მოცულობას, შემადგენლობას და სტრუქტურას.

სასარგებლო წიაღისეული შესწავლისა და სამრეწველო გადამუშავებისათვის მომზადების ხარისხის მიხედვით იყოფა 4 ჯგუფად. ესენი არიან:

- დეტალურად დაზვერილი მარაგები;
- მიახლოებით დაზვერილი მარაგები;
- რთული გეოლოგიური აგებულების გამოკვლეული მარაგები;
- პერსპექტიული მარაგები.

იმის გამო, რომ საქართველოში სასარგებლო წიაღისეული საჭირო ფინანსური რესურსების უქონლობის გამო საფუძვლიანად არაა გამოკვლეული, ოფიციალურ სტატისტიკურ ორგანოებს მწირი სტატისტიკური ინფორმაცია გააჩნიათ.

10.3 მოსახლეობის ქონების ელემენტები

მოსახლეობის ქონების სტატისტიკურად შესწავლას ექვემდებარება ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონელი. ერთ წლამდე მოხმარების საქონელი ამ ჯგუფში არ შეიტანება.

ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონელი, რომელიც შინამეურნეობების მიერ გამოიყენება საბოლოო მოხმარებისათვის, აქტივებისა და პასივების ბალანსში აისახება საცნობარო მუხლის სახით.

შინამეურნეობებში დაგროვილი ქონება თავისი დანიშნულების მიხედვით შემდეგნაირად იყოფა:

- ტანსაცმელი;
- საოჯახო მოხმარებისა და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საქონელი;
- დასვენებისა და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებისათვის საჭირო საგნები;
- ტრანსპორტის ინდივიდუალური საშუალებები.

საოჯახო ქონება იყოფა ინდივიდუალური სარგებლობის (ფეხსაცმლის, ტანსაცმლის და ა.შ.) და საზოგადოებრივი სარგებლობის (სატრანსპორტო საშუალებების, ავეჯის და სხვ.) ქონებად.

მოსახლეობის მიერ ქონების შეძენა განისაზღვრება არასასურსათო საქონლის საქონელბრუნვის მოცულობით. საოჯახო ქონების მაჩვენებელში არ შეიტანება ისეთი ობიექტები, რომლებიც გამოიყენება ძირითადი ფონდების სახით (მაგალითად, ავტომანქანები, რომლებსაც იყენებენ სამეწარმეო საქმიანობისათვის).

საცალო სავაჭრო ბრუნვის მოცულობა განისაზღვრება არა მარტო სავაჭრო საწარმოებისაგან მიღებული მონაცემე-

ბით, არამედ ბაზრობებზე გაყიდული საქონლის რეალიზაციის მაჩვენებლის გათვალისწინებითაც.

საოჯახო ქონება მისი ცალკეული ელემენტების სარგებლობის ხანგრძლივობის ვადების და შინამეურნეობების გამოკვლევების მონაცემების გათვალისწინებით მოცემულია ქვემოთმოტანილ ცხრილში

ცხრილი № 25

	სასაქონლო ჯგუფების დასახელება	სარგებლობის გაანგარიშებითი ვადა		
		მინიმალური	საშუალო	მაქსიმალური
1	ბამბეულის ნაწარმი	1	2	3
2	შალეულის ნაწარმი	2	4	6
3	აბრეშუმის ქსოვილები	1	2	4
4	სელის ქსოვილები	2	4	6
5	ტანსაცმელი და თეთრეული	3	4	6
6	ბენვი და ბენვის ნაწარმი	5	9	15
7	თავსაბურავები	2	3	5
8	ტრიკოტაჟის ნაწარმი	3	4	6
9	ტყავის ფეხსაცმელი	2	3	4
10	რეზინის ფეხსაცმელი	2	3	4
11	ავეჯი	5	18	30
12	ხალიჩები და მისი ნაწარმი	5	18	30
13	ლითონის ჭურჭელი	6	12	20
14	ფაიფურისა და მინის ჭურჭელი	5	9	15
15	საათები	3	11	20
16	ელექტრო საქონელი	10	14	40
17	ნაბეჭდი პროდუქცია	10	19	30
18	ველოსიპედები და მოტოციკლები	5	10	15
19	ფიზკულტურისა და სპორტის საქონელი	5	16	30
20	მუსიკალური ინსტრუმენტები	6	10	15
21	სხვა კულტსაქონელი	8	11	15
22	მსუბუქი ავტომანქანები	10	20	30
23	საკერავი მანქანები	2	10	26
24	ტელერადიო საქონელი	6	10	15

ზემოდასახელებული მონაცემები ჯგუფდება ცალკეული სასაქონლო ჯგუფის, გამოყენების ვადებისა და საოჯახო ქონების მაჩვენებლებით.

საოჯახო ქონების დამატებით წყაროდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შინამეურნეობების კვლევების მასალები.

სავარჯიშოები

1. როგორია ეროვნული სიმდიდრის, აქტივების და პასივების ძირითადი დეფინიციები და მაჩვენებელთა სისტემა?

2. როგორი სახე აქვს აქტივებისა და პასივების ბალანსს?

3. რა ელემენტებისაგან შედგება არაფინანსური და ფინანსური აქტივები?

4. რას წარმოადგენს ძირითადი კაპიტალი და როგორია მისი კლასიფიკაცია?

5. როგორი სახე აქვს ძირითადი კაპიტალის ბალანსს?

6. როგორია ძირითადი კაპიტალის მდგომარეობის მაჩვენებლები და შეფასების მეთოდები?

7. როგორ იანგარიშება საბრუნავი ფონდების ბრუნვადობის კოეფიციენტი?

8. როგორია საოჯახო ქონების ელემენტები?

მაგალითები:

მაგალითი 1

საწარმომ შეიძინა დანადგარი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 22800 ლარი, ტრანსპორტირების ღირებულებამ 7500 ლარი, ხოლო მონტაჟის ღირებულებამ 1440 ლარი. რას უდრის მისი პირვანდელი ღირებულება?

ამოხსნა: 22800+7500+1440=31740 ლარი.

ამრიგად, დანადგარის პირვანდელი ღირებულება შეადგენს 31740 ლარს.

მაგალითი 2

განსაზღვრეთ, როგორ შეიცვლება საბრუნავი ფონდების ბრუნვის რიცხვი, თუ ცნობილია, რომ მათი დატვირთვის კოეფიციენტი წინა წელს იყო 0,185, ხოლო მიმდინარე წელს 0,178.

ამოხსნა:

$$K_{\text{დატვ.}} = \frac{1}{K_{\text{ბრ.}}}$$

წინა წლის

$$0{,}185 = \frac{1}{K_{\text{ბრ.}}}$$

$$K_{\text{ბრ.}} = 1 : 0{,}185 = 5{,}41$$

მიმდინარე წლის

$$0{,}178 = \frac{1}{K_{\text{ბრ.}}}$$

$$K_{\text{ბრ.}} = 1 : 0{,}178 = 5{,}62$$

დინამიკაში $\frac{K_{\text{ბრ.1}}}{K_{\text{ბრ.0}}} = \frac{5{,}62}{5{,}41} = 1{,}039$

დასკვნა: მიმდინარე წლის დატვირთვის კოეფიციენტი გაიზარდა 3,9%-ით.

მაგალითი 3

პროდუქციის მოცულობა და ძირითადი ფონდების საშუალო წლიური ღირებულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით: (მლნ. ლარი)

	წინა წელი	მიმდინარე წელი
სასაქონლო პროდუქცია (В)	11650	12800
ძირითადი ფონდების საშუალოწლიური ღირებულება (Ф)	5767	5888

განსაზღვრეთ: ა) ფონდუკუგების დინამიკა; ბ) ძირითად ფონდების გამოყენების ცვლილების შედეგად მიღებული ეკონომია.

ამოხსნა:

ა) $H_{0\ \text{ფონდუკუგება}_0} = \frac{11650}{5767} = 2{,}02$

$H_{1\ \text{ფონდუკუგება}_1} = \frac{12800}{5888} = 2{,}17$

ფონდუკუგების დინამიკა $I_H = \frac{2{,}17}{2{,}02} = 1{,}074$ ან 107,4%

ფონდუკუგება გაიზარდა 7,4%-ით.

ბ) ფონდუკუგების წინა წლის დონეზე შენარჩუნებით მიმდინარე წლის პროდუქციის გამოსაშვებად დაგვჭირდებოდა ძირითადი ფონდების შემდეგი მოცულობა:

$\overline{\Phi}_{\text{პირობითი}} = \frac{B_1}{H_0} = \frac{12800}{2{,}02} = 6337$ მლნ. ლარი.

ძირითადი ფონდების უფრო ეფექტიანად გამოყენების შედეგად იქნა მიღწეული ეკონომია.

5888-6337=-449 მლნ. ლარი.

მაგალითი 4

ცნობილია ყოველი თვის დასაწყისისთვის ფირმის საბრუნავი ფონდების ნაშთის შემდეგი მონაცემები (მლნ. ლარი)

	საბრუნავი საშუალებები	
	სულ	მათ შორის საწარმოო მარაგი
1 იანვარი	4240	2500
1 თებერვალი	4320	2200
1 მარტი	4450	2300
1 აპრილი	4050	1900

I კვარტალში ამონაგები რეალიზაციიდან შეადგენს 9050 ათ. ლარს, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 7860 ათ. ლარს.

განსაზღვრეთ ბრუნვების რიცხვი და ბრუნვის საშუალო ხანგრძლივობა დღეებში მთლიანად საბრუნავი ფონდებისა და საწარმოო მარაგებისთვის I კვარტალში.

1) $$\overline{Q} = \frac{\frac{1}{2}Q_1 + Q_2 + Q_3 + \ldots + \frac{1}{2}Q_n}{n-1}$$

$$\overline{Q} = \frac{\frac{1}{2}4240 + 4320 + 4450 + \frac{1}{2}4050}{4-1} = 4305 \text{ მლნ. ლარი}$$

2) $$K_{\text{ბრ.}} = \frac{P}{\overline{Q}} = \frac{9050}{4305} = 2{,}1 \text{ ბრუნვა}$$

3) ბრუნვის საშუალო ხანგრძლივობა

$$\overline{D} = \frac{D_{\text{კალდღ.}}}{K_{\text{ბრ.}}} = \frac{90}{2{,}1} \approx 43 \text{ დღე}$$

4) $$\overline{\Pi} = \frac{\frac{1}{2}2500 + 2200 + 2300 + \frac{1}{2}1900}{4-1} = 2233 \text{ მლნ ლარი}$$

$$K_{\text{ბრ.}} = \frac{Z}{\overline{\Pi}} = \frac{7860}{2233} = 3{,}5 \text{ ბრუნვა.}$$

ბრუნვის ხანგრძლივობა $\overline{D} = \frac{90}{3{,}5} = 25{,}7$ დღე (მარაგების შენახვის საშუალო ვადა).

მაგალითი 5

განსაზღვრეთ ძირითადი ფონდების ფიზიკური მოცულობის ინდექსი, თუ მიმდინარე წელს საბაზისოსთან შედარებით მათი ღირებულება გაიზარდა 5 %, ხოლო ფასი ამ ძირითად ფონდებზე გაიზარდა 10%-ით.

ამოხსნა:

$$I_{\text{ფ.}} = 1{,}05 : 1{,}1 = 0{,}95454 \quad (95{,}454\%)$$

ამრიგად, ძირითადი ფონდების ფიზიკური მოცულობა შემცირდა 5 %-ით.

მაგალითი 6

მოცემულია შემდეგი პირობითი მონაცემები (მლნ. ლარი): საბაზისო პერიოდში რეალიზებული პროდუქტის მოცულობა – 140, საბრუნავი ფონდების საშუალოწლიური ნაშთი – 35. მიმდინარე პერიოდში რეალიზაციის მოცულობა – 161, ხოლო საბრუნავი ფონდების ბრუნვის რაოდენობა წლის განმავლობაში გაიზარდა 0,5-ით, გამოთვალეთ ბრუნვადობის დაჩქარებიდან მიღებული საბრუნავი ფონდების ეკონომია.

ამოხსნა:

ძირითადი ფონდების ეკონომია =

$$= \frac{161}{4+0,5} - 35\frac{161}{140} = 35,78 - 40,25 = -4,47.$$

დასკვნა: ბრუნვადობის დაჩქარების შედეგად საბრუნავი ფონდების ეკონომია შეადგენს 4,47 მლნ. ლარს.

მაგალითი 7

მოცემულია ფირმის მიმდინარე წლის შემდეგი მონაცემები (ათასი ლარი):

ძირითადი კაპიტალის ღირებულება წლის დასაწყისისთვის	4000
მიმდინარე წელს ძირითადი კაპიტალის შევსება	1200
მათ შორის ახალი ძირითადი კაპიტალი	800
სულ ძირითადი კაპიტალის ექსპლუატაციიდან გასვლა წლის განმავლობაში	200

განსაზღვრეთ ძირითადი კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულება და მისი მოძრაობის მაჩვენებლები (%-ში).

მაგალითი 8

მოცემულია ორი ფირმის კვარტალური მონაცემები საბრუნავი კაპიტალისა და გაყიდვიდან მიღებული ამონაგების მოცულობის შესახებ (მლნ. ლარი).

	ფირმა №1		ფირმა №2	
	გეგმით	ფაქტიურად	გეგმით	ფაქტიურად
საბრუნავი კაპ. გაყიდვიდან მიღებული ამონაგები	480	500	500	540
საბრუნავი კაპიტალის საშუალო ნაშთი	120	100	100	120

განსაზღვრეთ საბრუნავი კაპიტალის გამოყენების მაჩვენებლები გეგმასთან შედარებით ყოველ ფირმაში და დაადგინეთ რომელმა ფირმამ უფრო ეფექტიანად გამოიყენა საბრუნავი კაპიტალი, ამასთან გამოითვალეთ გამოთავისუფლებული (ჩართული) საბრუნავი კაპიტალის თანხა მისი ბრუნვადობის ცვლილების შედეგად.

მაგალითი 9

მოცემულია ორგანიზაციის სამი ფილიალის მონაცემები მე-II კვარტალის მიხედვით:

	ფილიალები		
	1	2	3
ძირითადი ფონდების საშ. ნაშთი (ათ.ლარი)	40	50	60
ერთი ბრუნვის საშუალო ხანგრძლივობა, დღეებში	3,5	6,2	4,6

განსაზღვრეთ:

ა) ბრუნვადობის საშუალო კოეფიციენტი და ერთი ბრუნვის საშუალო სანგრძლივობა დღეებში მთლიანი ორგანიზაციისთვის.

ბ) მე-II კვარტალში I კვ. შედარებით საბრუნავი ფონდების ბრუნვადობის დაჩქარების შედეგად ბრუნვიდან გამოთავისუფლებული საბრუნავი საშუალებები, თუ ცნობილია, რომ მე-II კვარტალში პირველთან შედარებით ბრუნვების რიცხვი მთლიანად ორგანიზაციაში შემცირდა 0,2 (აბსოლუტურ გამოხატულებაში).

მაგალითი 10

წარმოებული პროდუქციის მოცულობა მიმდინარე წელს საბაზისოსთან შედარებით გაიზარდა 9%-ით. ძირითადი ფონდების საშუალოწლიური ღირებულება ამ პერიოდში გაიზარდა 1,15-ჯერ. განსაზღვრეთ, როგორ შეიცვალა ფონდუკუგება.

ტესტები

1. ეროვნული სიმდიდრე ეს არის:

ა) – ერთი წლის მანძილზე შექმნილი საქონლისა და მომსახურების ღირებულება;

ბ) – ყველა წინა თაობის შრომის შედეგად შექმნილი და დაგროვებული სარგებლის მომცემი მატერიალური და არამატერიალური აქტივების ერთობლიობა;

გ) – არც ერთი პასუხი არაა სწორი.

2. ეროვნული სიმდიდრე იანგარიშება:

ა) – საშუალოწლიური პერიოდულობით;

ბ) – კონკრეტული მომენტისათვის;

გ) – საშუალო წლიურად და კონკრეტული მომენტისათვის.

3. ეკონომიკური აქტივები წარმოადგენს:

ა) – არაფინანსურ აქტივებს;

ბ) – ფინანსურ აქტივებს;

გ) არაფინანსურ და ფინანსურ აქტივებს.

4. პასივები წარმოადგენს:

ა) – ფინანსურ აქტივებს;

ბ) – არაფინანსურ აქტივებს;

გ – ფინანსურ ვალდებულებებს.

5. არსებობს ძირითადი ფონდების შეფასების:

ა) – 4 მეთოდი;

ბ) – 5 მეთოდი;

გ) – 6 მეთოდი.

6. ძირითადი კაპიტალის ვარგისიანობის კოეფიციენტი იანგარიშება:

ა) – $\frac{\text{ცვეთის ღირებულება}}{\text{სრული ალდგენითი ღირებულება}}$;

ბ) – $\frac{\text{ცვეთის ღირებულება}}{\text{პირვანდელ ღირებულებასთან}}$;

გ) – არც ერთი პასუხი არაა სწორი.

7. ფონდუკუგების კოეფიციენტი იანგარიშება:

ა) – $\frac{\text{დამატებული ღირებულება}}{\text{ძირითადი ფონდების საშუალო წლიურ ღირებულებასთან}}$;

ბ) – $\frac{\text{გამოშვებული პროდუქცია}}{\text{ძირითადი ფონდების საშუალო წლიურ ღირებულებასთან}}$;

გ) – არც ერთი პასუხი არაა სწორი.

8. ფონდშეიარაღების კოეფიციენტი იანგარიშება:

ა) – $\frac{\text{ძირითადი ფონდების ღირებულება}}{\text{საბრუნავი ფონდების საშ. წლიური ღირებულება}}$;

ბ) – $\frac{\text{ძირითადი ფონდების ღირებულება}}{\text{მუშაკთა საშუალოსიობრივი რიცხოვნობა}}$;

გ) – არც ერთი პასუხი არაა სწორი.

9. საბრუნავი ფონდების ბრუნვადობის კოეფიციენტი იანგარიშება:

ა) – $\frac{\text{ბრუნვის მაჩვენებელი}}{\text{ძირითადი ფონდების საშუალო ნაშთი}}$;

ბ) – $\frac{\text{ბრუნვის მაჩვენებელი}}{\text{საბრუნავი ფონდების საშუალო ნაშთი}}$;

გ) – არც ერთი პასუხი არაა სწორი.

10. მოსახლეობის ქონებაში შეიტანება:

ა) – ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონელი;

ბ) – ერთ წლამდე მოხმარების სამომხმარებლო საქონელი;

გ) – ერთიც და მეორეც.

თემა 11. საგარეო ეკონომიკური კავშირები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საგარეო ეკონომიკური კავშირების მახასიათებელი ანგარიშების აგებას. მისი მეშვეობით შესაძლებელია დავახასიათოთ საგარეო ვაჭრობის ყველა ნაკადი დანარჩენ მსოფლიოსთან მიმართებაში; შემოსავლების გადაცემა და მიღება; აგრეთვე წლის განმავლობაში განხორციელებული მოცემული და სხვა ქვეყნების რეზიდენტებს შორის განხორციელებული საკრედიტო ოპერაციები. ამრიგად, საგარეო ეკონომიკური ოპერაციების აღრიცხვისათვის ეას-ში ფორმალურად გამოიყოფა ***„დანარჩენი მსოფლიოს"*** სექტორი, რომელიც აერთიანებს არარეზიდენტებს, რომლებსაც მოცემული ქვეყნის რეზიდენტებთან აკავშირებთ რაიმე სახის ეკონომიკური ოპერაციები ან სხვა რაიმე სახის ეკონომიკური კავშირები.

„დანარჩენი მსოფლიოს" სექტორს განსხვავებით შიდაეკონომიკის სექტორებისაგან განიხილავენ როგორც ფორმალურ სექტორს, რომელსაც არ გააჩნია განსაზღვრული რესურსები, ამიტომ მის მიხედვით არ ადგენენ ანგარიშთა სრულ ნუსხას, თუმცა მისი მეშვეობით თვალყურს ადევნებენ საგარეო კავშირების რომელი სტრუქტურის მეშვეობით გახდა შესაძლებელი მოცემული ქვეყნის შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსის მიღება.

„დანარჩენი მსოფლიოს" სექტორისათვის ადგენენ შემდეგ ანგარიშებს:

1. საქონლისა და მომსახურების საგარეო ანგარიში;
2. პირველადი შემოსავლებისა და მიმდინარე ტრანსფერების საგარეო ანგარიში;

3. დაგროვების საგარეო ანგარიში, რომელიც თავის მხრივ შედგება:

ა) კაპიტალის ოპერაციების ანგარიში;

ბ) გადაფასების ანგარიში;

გ) აქტივებში სხვა ცვლილებების ანგარიში

დ) ფინანსური ანგარიში.

4. აქტივებისა და ვალდებულებების საგარეო ანგარიში.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ანგარიშების აგების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ „რესურსებისა" და „გამოყენების" კატეგორიების განსაზღვრა ხდება „დანარჩენი მსოფლიოს" ან სხვა ქვეყნების თვალსაწიერით. ამდენად, მოცემული ქვეყნისათვის, შიდაეკონომიკის სექტორებისაგან განსხვავებით, „რესურსების" მუხლები აისახება „გამოყენების" მხარეს, ხოლო „გამოყენების" კატეგორიაში შემავალი მუხლები ასახავს პოულობს „დანარჩენი მსოფლიოს სექტორის „რესურსების" ანგარიშებში.

„დანარჩენი მსოფლიოს" ანგარიშის აგებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის დახასიათებისათვის. კერძოდ, მისი დახმარებით შესაძლებელია განისაზღვროს რა საბაჟო შემოსავლებს ღებულობს ქვეყანა არარეზიდენტებისაგან; როგორი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ააგოს მოცემულმა ქვეყანამ დანარჩენ მსოფლიოსთან ურთიერთობებში. ეას-ის მონაცემები საგარეო ვაჭრობის მიხედვით აუცილებელია ეროვნული პროდუქტის გამოყენების, საგადასახდელო ბალანსის შედგენისას, საინვესტიციო კლიმატის შეფასების, საიმპორტო და საექსპორტო პროდუქციაზე ფასების ინდექსის აგებისათვის და ა.შ.

ეას-ის მიხედვით საგარეო ეკონომიკური საქმიანობის საერთო სურათის დახასიათებისათვის აგებენ კრებსით ანგარიშს. დანარჩენი მსოფლიოს კრებსითი ანგარიში სქემატურად შემდეგნაირად გამოიყენება:

სქემა № 34

გამოყენება	რესურსები
საქონლისა და მომსახურების შეძენა (ექსპორტი)	საქონლისა და მომსახურების გაყიდვა (იმპორტი)
შემოსავლები „დანარჩენი მსოფლიოდან“ მიღებული კაპიტალიდან და დასაქმებიდან, მათ შორის:	შემოსავლები „დანარჩენ მსოფლიოზე“ გადაცემული კაპიტალიდან და დასაქმებიდან, მათ შორის:
არარეზიდენტების მიერ დაქირავებული რეზიდენტი მომუშავეების შრომის ანაზღაურება;	რეზიდენტების მიერ დაქირავებული არარეზიდენტი მომუშავეების შრომის ანაზღაურება;
შემოსავლები სამეწარმეო საქმიანობიდან და კაპიტალიდან;	შემოსავლები სამეწარმეო საქმიანობიდან და კაპიტალიდან;
„დანარჩენი მსოფლიოდან“ მიღებული მიმდინარე ტრანსფერები, მათ შორის:	„დანარჩენ მსოფლიოზე“ გადაცემული მიმდინარე ტრანსფერები, მათ შორის:
გადასახადები პროდუქციაზე;	გადასახადები პროდუქციაზე;
სოცდაზღვევის ფონდებში შენატანები;	სოცდაზღვევის ფონდებში შენატანები;
გაცემები სოციალურ დახმარებებზე, პენსიებზე, სტიპენტიებზე და ა. შ.	გაცემები სოციალურ დახმარებებზე, პენსიებზე, სტიპენდიებზე და ა.შ.;
სხვა მიმდინარე ტრანსფერები	სხვა მიმდინარე ტრანსფერები.
„დანარჩენი მსოფლიოდან“ მიღებული ტრანსფერული აქტივები	„დანარჩენ მსოფლიოზე“ გადაცემული ტრანსფერული აქტივები. კრედიტორული დავალიანების ცვლილება.
დებიტორული დავალიანების ცვლილება	სტატისტიკური ცდომილება
„დანარჩენი მსოფლიოს“ მთლიანი დანახარჯები	„დანარჩენი მსოფლიოს“ მთლიანი ამონაგები

როგორც მოტანილი სქემიდან ჩანს „დანარჩენი მსოფლიოს“ სექტორის ანგარიშები მეტად მრავალფეროვანია.

მასში ასახვას პოულობს საზღვარგარეთ მშენებლობის მომსახურება და უცხოური ინვესტიციები მოცემული ქვეყანაში; საზღვარგარეთ მანქანა დანადგარების იჯარით გადაცემა ერთი წლით და მეტი ვადით და ამ ოპერაციების დაფინანსება; ოპერაციები დაკავშირებული მოცემულ ქვეყანაში არარეზიდენტების ცხოვრებასთან და პირიქით, მოცემული ქვეყნის მოქალაქეების საზღვარგარეთ ცხოვრებასთან.

„დანარჩენი მსოფლიოს" სექტორის საქონლისა და მომსახურების საგარეო ეკონომიკური ანგარიშის სქემა შემდეგნაირად გამოიყურება:

სქემა № 35

გამოყენება	რესურსები
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი, მათ შორის: „ხილული საქონლის", არამატერიაკური მომსახურების არარეზიდენტი-შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლისა და მომსახურების სალდო	საქონლისა და მომსახურების იმპორტი, მათ შორის: „ხილული" საქონლის; მატერიალური მომსახურების; არამატერიალური მომსახურების, რეზიდენტი შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება საზღვარგარეთ
სულ	**სულ**

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების საქონლისა და მომსახურების ანგარიში ახასიათებს საქონლისა და მომსახურების მოძრაობას მოცემულ ქვეყანასა და სხვა ქვეყნებს შორის განხორციელებული მიმდინარე ოპერაციების შედეგად.

მიმდინარე ოპერაციები ეას-ში განიხილება, როგორც საქონლისა და მომსახურების ყიდვა-გაყიდვა, საერთაშორისო პრაქტიკაში დადგენილი პირობით, რომ გარიგებით

გათვალისწინებული გადასახდელი არ უნდა გადავადდეს, აგრეთვე პენსიების, ხელ.ფასების, ალიმენტების და სხვა მსგავსი ოპერაციების გადაგზავნა უნდა განხორციელდეს სასაქონლო უზრუნველყოფის გარეშე.

ზემოაღნიშნული ანგარიშის რესურსების ნაწილში ნაჩვენებია საქონლისა და მომსახურების იმპორტი, რომელიც განიხილება როგორც სხვა ქვეყნების (არარეზიდენტების) მიმდინარე შემოსავლების მიღება, მოცემული ქვეყნისაგან განხორციელებული საქონლისა და მომსახურების იმპორტით.

გამოყენების ნაწილში მოცემულია საქონლისა და მომსახურების ექსპორტი, რომელიც განიხილება, როგორც სხვა ქვეყნების (არარეზიდენტების) მიმდინარე შემოსავალი, მოცემული ქვეყნიდან განხორციელებული საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან.

ანგარიშის მაბალინსებელი მუხლია „საქონლისა და მომსახურების სალდო". დადებითი მაბალანსებელი მუხლის მიღების შემთხვევაში მიღწეულია დადებითი სალდო დანარჩენი მსოფლიოსათვის, ხოლო მაბალანსებელი მუხლის უარყოფითი მნიშვნელობა გულისხმობს მოცემული ქვეყნის ეკონომიკისათვის უარყოფით სალდოს.

საქონლისა და მომსახურების იმპორტისას გამოიყოფა:

- არარეზიდენტების მიერ რეზიდენტებზე მიყიდული საქონელი და მომსახურება;
- არარეზიდენტების მიერ რეზიდენტებზე მიწოდებული საქონელი და მომსახურება სხვა საქონელზე და მომსახურებაზე გაცვლის მიზნით;
- არარეზიდენტების მიერ რეზიდენტებზე უსასყიდლოდ მიწოდებული საქონელი და მომსახურება.

საქონლისა და მომსახურების ექსპორტისას გამოიყოფა:

• რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებზე მიყიდული საქონელი და მომსახურება;

• რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებზე მიწოდებული საქონელი და მომსახურება სხვა საქონელზე და მომსახურებაზე გაცვლის მიზნით;

• რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებზე უსასყიდლოდ მიწოდებული საქონელი და მომსახურება.

„დანარჩენი მსოფლიოს“ სექტორის პირველადი შემოსავლებისა და მიმდინარე ტრანსფერების საგარეო ეკონომიკური ანგარიში ასეთნაირად გამოიყურება:

სქემა № 36

გამოყენება	რესურსები
არარეზიდენტი-დამქირავებლების მიერ მომუშავე-რეზიდენტების შრომის ანაზღაურება „დანარჩენი მსოფლიოსაგან“ მიღებული სუბსიდიები წარმოებასა და იმპორტზე. მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნებისაგან მიღებული საკუთრებიდან შემოსავლები „დანარჩენი მსოფლიოსაგან“ მიღებული მიმდინარე ტრანსფერები **მიმდინარე ოპერაციების სალდო**	საქონლისა და მომსახურების სალდო, დამქირავებელი-რეზიდენტების მიერ მომუშავე-არარეზიდენტების შრომის ანაზღაურება „დანარჩენი მსოფლიოს“ ქვეყნებისადმი გადახდილი წარმოებასა და იმპორტზე გადასახადები „დანარჩენი მსოფლიოს“ ქვეყნებისათვის გადაცემული საკუთრებიდან მიღებული შემოსავლები „დანარჩენ მსოფლიოზე“ გადაცემული მიმდინარე ტრანსფერები
სულ	**სულ**

მოცემული ანგარიშის მაბალანსებელი მუხლი „მიმდინარე ოპერაციების სალდო“, გამოითვლება როგორც „რესურსების“ ჯამობრივ მაჩვენებელში ასახული მოცემული ქვეყნის ეკონომიკისაგან „დანარჩენი მსოფლიოს“ მიერ მიღებული პირველადი შემოსავლებისა და მიმდინარე ტრანსფერების ჯამობრივი მაჩვენებლის და „გამოყენების“ ნაწილში სხვა ქვეყნების მიერ მოცემული ქვეყნისადმი გაწეული დანახარჯების ჯამობრივ მაჩვენებელს შორის სხვაობა.

ახლა მოკლედ განვიხილოთ მოცემული ანგარიშის ***რესურსებისა*** და ***გამოყენების*** მუხლების შინაარსი, როგორც ეას-ის ანგარიშების აგების წესიდან გვახსოვს. ყოველი წინა ანგარიშის მაბალანსებელი მუხლი გადადის შემდეგი ანგარიშის რესურსების პირველ მუხლად. ამდენად, ***„საქონლისა და მომსახურების“*** სალდო გადმოტანილია „დანარჩენი მსოფლიოს“ საქონლისა და მომსახურების ანგარიშიდან.

- ***რეზიდენტების მიერ დაქირავებული მომუშავე არარეზიდენტების შრომის ანაზღაურებაში*** შედის შრომის ანაზღაურება და შრომისათვის გაცემული სხვა დანამატები, აგრეთვე უცხოელი მოქალაქეების სოციალური დაზღვევის ანარიცხები. მოქალაქებისა, რომლებიც მუშაობენ საქართველოს საელჩოებსა და საკონსულოებში საზღვარგარეთ, აგრეთვე მოცემულ ქვეყანაში საგასტროლოდ ჩამოსული უცხოელი მსახიობები და ა.შ.

- ***დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნებისადმი გადახდილი წარმოებასა და იმპორტზე გადასახადები*** მოიცავს მოცემული ქვეყნის საელჩოების და საკონსულოების მიერ სხვა ქვეყნებისადმი გადახდილ მიწის, სატრანსპორტო საშუალებების და ნაგებობების გადასახადებს.

- ***საკუთრებიდან შემოსავლები, გადაცემული დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნებისადმი,*** მოიცავს მუხლებს,

რომლებიც დაკავშირებულია შემოსავლების შემდეგნაირ განაწილებასთან:

– მოცემული ქვეყნის მთავრობის მიერ საზღვარგარეთელი სახელმწიფოების მთავრობებისაგან მიღებულ კრედიტებზე პროცენტების გადახდა;

– იგივე საქართველოს ბანკების მიერ საზღვარგარეთული ბანკებისადმი;

– საქონლის ექსპორტი პროცენტების გადახდის სანაცვლოდ;

– არარეზიდენტების სააქციო კაპიტალში მონაწილეობისათვის გადახდილი დივიდენდები და სხვა შემოსავლები;

– სხვა ქვეყნებში მინის სარგებლობისათვის წმინდა რენტა (სამამულო საელჩოების მიერ გაქირავებული);

– სხვა ქვეყნების კუთვნილებაში არსებული საავტორო უფლებების, პატენტების, სავაჭრო ნიშნებისა და სხვა არამატერიალური აქტივების სარგებლობისათვის გადახდილი გადასახდელი;

– უცხოური კომპანიების რეინვესტირებული შემოსავალი (მოგება, რომელიც გადაეცა ძირითად საწარმო – არარეზიდენტს მისი განყოფილებებისაგან – რეზიდენტებისაგან.

• დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნებზე გადაცემული ***მიმდინარე ტრანსფერები*** მოიცავს:

– მიმდინარე საშემოსავლო გადასახადს და გადასახადს ქონებაზე;

– სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის შენატანს;

– სხვა მიმდინარე ტრანსფერებს (სხვა ქვეყნებისათვის გაწეული ფინანსური მატერიალური დახმარება; უცხოელი სტუდენტების სტიპენდიები და სხვა).

კაპიტალის ოპერაციების საგარეო ეკონომიკურ ანგარიშს შემდეგი სახე აქვს:

სქემა № 37

გამოყენება	რესურსები
მიწის და არამატერიალური აქტივების წმინდა შეძენა მიღებული კრედიტების წმინდა ღირებულება (+) / მიღებული სესხების წმინდა თანხა (-)	მიმდინარე ოპერაციების სალდო კაპიტალური ტრანსფერები, გადაცემული დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნებზე (მიღებული) კაპიტალური ტრანსფერები, გადაცემული დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნებზე (გადაცემული) (–)
სულ	კაპიტალური ტრანსფერების და მიმდინარე ოპერაციების შედეგად გამოწვეული საკუთარი კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილება

მიმდინარე ოპერაციების სალდოს თანხა და კაპიტალური ტრანსფერების სალდო (მიღებულს გამოკლებული გადაცემული) შეესაბამება ანგარიშის „რესურსების“ ნაწილის ბოლოს მოთავსებულ ზემოაღნიშნული მაჩვენებლების ცვლილებას. რაც შეეხება ანგარიშის მარცხენა მხარეს, აქ ასახულია არაფინანსური აქტივების წმინდა შეძენა.

მოცემული ანგარიშის ***მაბალანსებელ მუხლს*** წარმოადგენს წმინდა დაკრედიტება ან წმინდა დავალიანება. წმინდა დაკრედიტება (დადებითი სხვაობა) ასახავს ფინანსური რესურსების სიდიდეს, რომელსაც დანარჩენი მსოფლიო აძლევს მოცემულ ქვეყანას. წმინდა დავალიანება (უარყოფითი სხვაობა) ასახავს ფინანსური რესურსების ჯამობრივ მაჩვენებელს, რომელსაც მოცემული ქვეყანა აძლევს „დანარჩენ მსოფლიოს“.

ახლა გავეცნოთ თუ რა ელემენტებისაგან შედგება „დანარჩენ მსოფლიოზე“ გადაცემული კაპიტალური ტრანსფე-

რები ეს ელემენტებია:

– მოცემული ქვეყნის მიერ უფასოდ გადაცემული საინვესტიციო კაპიტალური ტრანსფერები (მაგალითად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ოფისის მშენებლობისათვის)– კაპიტალზე გადასახადები (მოცემული ქვეყნის რეზიდენტი შინამეურნეობების მიერ გადასახადებისა და ბაჟის სახით სხვა ქვეყნების საგადასახადო ორგანიზაციებისადმი გადახდილი გადასახადები, ასევე ბაჟი მემკვიდრეობაზე, ქონებაზე და ჩუქებაზე);

– ურთიერთშეთანხმების საფუძველზე კრედიტორს (მოცემული ქვეყანა) და მოვალეს (დანარჩენი მსოფლიო) შორის ვალის გაუქმება;

– არარეზიდენტების კაპიტალური ობიექტების ავარიით ან საომარი მოქმედებებით გამოწვეული ზარალისათვის კომპესაციების გადახდა და ა.შ.

– მოცემული ქვეყნის შინამეურნეობებიდან შემოსული მემკვიდრეობა (სიცოცხლის მანძილზე განხორციელებული მსხვილი საჩუქრები ან დერძით მიღებული საჩუქრების ჩათვლით);

– მოცემული ქვეყნის შინამეურნეობებიდან შემოსული ფასეულობები და მიგრანტების ფულადი სახსრები;

– მოცემული ქვეყნის მიერ თავისი ეკონომიკური ტერიტორიის გარეთ სამხედრო მომსახურეებისათვის აგებული საცხოვრისის ღირებულება.

„დანარჩენი მსოფლიოსაგან“ გადაცემული კაპიტალური ტრანსფერები შედგება არარეზიდენტებისაგან რეზიდენტებზე გადაცემული ანალოგიური შემოსულობების ნატურალური ან ფულადი სახით.

როგორც მოტანილი სქემებიდან ჩანს კაპიტალის ოპერაციების ანგარიშში ასახულია საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული აქტივებისა და პასივების ოპერაციები.

„დანარჩენი მსოფლიოს“ შემდეგი ანგარიშია *„აქტივებში სხვა ცვლილებების ანგარიში“*. მოცემულ ანგარიშში ასახვას პოულობს ფასების და სავალუტო კურსის ცვლილებებით გამოწვეული აქტივებისა და პასივების გადაფასება. აგრეთვე აქტივების არაკომპენსირებული დაუფლება, ჩამოწერები და სხვა. მოცემული ანგარიშის სქემა შემდეგნაირად გამოიყურება:

სქემა № 38

ცვლილებები აქტივებში	მაჩვენებლები	ცვლილებები ვალდებულებებში
	საკუთარი კაპიტალის წმინდა ღირებულება არაკომპენსირებული კონფისკაციები, მათ შორის: არაფინანსური მატერიალური აქტივები არაფინანსური არამატერიალური აქტივები სხვა ცვლილებები ფინანსური აქტივებისა და პასივების მოცულობაში ცვლილებები ფინანსური აქტივების სტრუქტურასა და კლასიფიკაციაში ძირითადი კაპიტალის ზრდა ან კლება გამოწვეული აქტივების მოცულობაში სხვა ცვლილებების შედეგად	
	სულ	

მოცემული ანგარიშის მაბალანსებელი მუხლია „ძირითად კაპიტალში ცვლილებები“ რაც თავის მხრივ გამოწვეულია მსოფლიოს სხვა ქვეყნების აქტივების მოცულობაში სხვა ცვლილებების და დანარჩენი მსოფლიოს ვალდებულებებში გამოწვეული ცვლილებებით.

ანგარიშის მარცხენა მხარეს მოცემულია მსოფლიოს

დანარჩენ ქვეყნებში ცვლილებები, ხოლო მარჯვენა მხარეს – ვალდებულებებში გამოწვეული ცვლილებები, მაგალითად, არარეზიდენტების საკუთრებაში მყოფი ისეთი არამატერიალური, არაფინანსური აქტივების მიტაცება, როგორიცაა: პატენტების კონფისკაცია, ელექტრონული გამომთველელი მანქანების პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა.

„დანარჩენი მსოფლიოს“ შემდეგი ანგარიში ესაა „გადაფასების ანგარიში", რომელიც ახასიათებს აქტივების რეალურ ღირებულებას, მათზე ფასების ცვლილებების პირობებში. მოცემული ანგარიშის გადმოცემისას საჭიროაც განვმარტოთ ჰოლდინგური მოგების ცნება. ჰოლდინგური მოგება მოიცავს ფასების ზრდის ხარჯზე აქტივის მფლობელის მოგებას. ამასთან, მის შემადგენლობაში იანგარიშება არა მარტო კაპიტალის (ძირითადი ფონდები, მიწა ან ფინანსური აქტივები), არამედ ყველა საქონლის მარაგებისა და დაუმთავრებელი წარმოების შედეგად მიღებული მოგება. „დანარჩენი მსოფლიოს“ გადაფასების ანგარიშს შემდეგი სახე აქვს:

სქემა № 39

ცვლილებები აქტივებში	მაჩვენებლები	ცვლილებები ვალდებულებებში
	ძირითადი კაპიტალის ზრდა ან კლება გამოწვეული აქტივების მოცულობაში სხვა ცვლილებების შედეგად ნომინალური ჰოლდინგური მოგება/ზარალი, მათ შორის: ნეიტრალური ჰოლდინგური მოგება/ზარალი რეალური ჰოლდინგური მოგება/ზარალი ფინანსური აქტივები ვალდებულებები ძირითად კაპიტალში ჰოლდინგური მოგება/ზარალი შედეგად გამოწვეული ცვლილებები მათ შორის: ნეიტრალური ჰოლდინგური მოგება/ზარალი რეალური ჰოლდინგური მოგება/ზარალი	
	სულ	

მოცემული ანგარიშის მაბალანსებელი მუხლია „ძირითად კაპიტალში ჰოლდინგური მოგების / ზარალის შედეგად გამოწვეული ცვლილებები.

მოცემული ანგარიში შიდაეკონომიკის ანალოგიური ანგარიშისაგან განსხვავებით ითვალისწინებს მხოლოდ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასებას.

„დანარჩენი მსოფლიოს“ სექტორის ***ფინანსური ანგარიში*** ასახავს:

– ქვეყნის შიდა ეკონომიკის სექტორებსა და „დანარჩენ მსოფლიოს“ შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც ყალიბდება ფულადი კაპიტალის დაგროვების შედეგად;

– რეზიდენტებისა და არარეზიდენტების მიერ საკუთარი სახსრებით განხორციელებული ინვესტიციების დაფინანსებას;

– ფინანსურ ოპერაციებს, რომლებიც უკავშირდება ადრე წარმოებულ საქონელზე რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის საკუთრების გადაცემას.

„დანარჩენი მსოფლიოს“ სექტორის ფინანსურ ანგარიშს იგივე სახე აქვს, როგორც შიდა ეკონომიკის ანალოგიურ ანგარიშს და იგი ასეთნაირად გამოიყურება:

სქემა № 40

ცვლილებები აქტივებში	მაჩვენებლები	ცვლილებები ვალდებულებებში
	სახეზე მყოფი ფული და გადაყვანილი დეპოზიტები: ეროვნულ ვალუტაში უცხოურ ვალუტაში წმინდა სავალუტო პოზიცია საერთაშორისო სავალუტო ფონდში სხვა დეპოზიტები: ეროვნულ ვალუტაში უცხოურ ვალუტაში დაზღვევის ტექნიკური რეზერვები აქტუარული რეზერვები წინასწარი გადახდები ვექსილები და მოკლევადიანი ობლიგაციები გრძელვადიანი ობლიგაციები აქციები აქციების მსგავსი სხვა აქციები ფინანსური ოქრო ნასესხობის სპეციალურინ უფლება მოკლევადიანი კრედიტები სხვა მოკლევადიანი კრედიტები საშუალო და გრძელვადიანი კრედიტები ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების წმინდა ცვლილება „დანარჩენი მსოფლიოს" ფინანსური ანგარიშისა და კაპიტალის ანგარიშის მაბალანსებელი მუხლების დაკავშირება	

ანგარიშის მარცხენა მხარეს ასახულია არარეზიდენტების მიერ რეზიდენტებისაგან ფინანსური აქტივების შეძენა.

ანგარიშის მარჯვენა მხარეს ასახულია არარეზიდენტების მიერ ვალდებულებების აღება რეზიდენტების წინაშე.

დანარჩენი მსოფლიოს სექტორის ფინანსური ანგარიშის მაბალანსებელი მუხლია „წმინდა დაკრედიტება (+) ან

წმინდა სესხება (–) ანუ არარეზიდენტების მიერ რეზიდენტებისაგან ფინანსური აქტივების წმინდა შეძენას, მინუს აღებული ვალდებულებები.

„დანარჩენი მსოფლიოს“ სექტორის ბოლო ანგარიშია ***აქტივებისა და ვალდებულებების საგარეო ანგარიში.*** იგი წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსებს საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის. მოცემულ ანგარიშს შემდეგი სახე აქვს:

სქემა № 41

ცვლილებები აქტივებში	მაჩვენებლები	ცვლილებები ვალდებულებებში
	ბალანსი წლის დასაწყისისათვის ფინანსური აქტივები ვალდებულებები საკუთარი კაპიტალი ცვლილებები ბალანსში აქტივებში ცვლილებების საერთო თანხა ფინანსური აქტივები ვალდებულებები ცვლილებები საკუთარ კაპიტალში ბალანსი წლის ბოლოსათვის ფინანსური აქტივები ვალდებულებები საკუთარი კაპიტალი	

აქტივებისა და ვალდებულებების საგარეო ანგარიში ამთავრებს საგარეო ანგარიშებებში ასახულ ოპერაციებს. ამასთან, ერთ მნიშვნელოვან გარემოებას გვინდა მივაქციოთ ყურადღება. „დანარჩენი მსოფლიოს“ ანგარიშები ეკორესპოდენტება შიდა ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორებისათვის და მთლიანად ქვეყნისათვის შედგენილ კონსოლიდირებულ ანგარიშებს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მაჩვენებლების ასახვა ხდება სარკისებურად ანგარიშების სხვადასხვა მხარეს. ასე მაგალითად, შიდა ეკონომიკის კაპიტალის ანგარიშის მაბალანსებელი მუხლი საპირისპირო ნიშნით, ტო-

ლია „დანარჩენი მსოფლიოს“ ანალოგიური მუხლის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გასაგებია თუ რა მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია „დანარჩენი მსოფლიოს“ მოტანილ ანგარიშებს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზისათვის, თუმცა მოცემული ინსტიტუციური სექტორის მიხედვით შესაბამისი ანგარიშების აგება საქართველოში ჯერ-ჯერობით სრულად ვერ ხერხდება.

„დანარჩენი მსოფლიოს“ ანგარიშების აგების ძირითადი ინფორმაციული რესურსია საგადასახდელო ბალანსი.

საგადასახდელო ბალანსი:

- წარმოადგენს ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მდგომარეობისა და მისი განვითარების ანალიზის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს;
- ახასიათებს საგარეო ვაჭრობის განვითარებას და ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების სალდოს;
- მიმდინარე შემოსავლებისა და ტრანსფერების მიღებისა და გაცემის პროცესს;
- უცხოური ინვესტიციების ჩვენს ქვეყანაში დაბანდებისა და ინვესტიციების სხვა ქვეყნებში გადინების მდგომარეობას;
- ახასიათებს საგარეო ვალის დაფარვის მიმდინარეობას;
- წარმოადგენს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის „დანარჩენი მსოფლიოს“ ანგარიშის შედგენის ძირითად წყაროს;
- გამოიყენება საგარეო ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრისას. აგრეთვე შიდა სავალუტო ბაზრისა და სავალუტო კურსის რეგულირებისას.

საგადასახდელო ბალანსი – სტატისტიკური სისტემაა, რომელშიაც ასახვას პოულობს საანგარიშო პერიოდში (თვე, კვარტალი, წელი) მოცემული ქვეყნის ეკონომიკასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის განხორციელებული

ყველა ოპერაცია.

რეზიდენტები ეწოდება ინსტიტუციურ ერთეულებს, რომლებიც მოცემული ქვეყნის ეკონომიკას ასახიერებენ, დანარჩენი ერთეულები – არარეზიდენტებია.

სქემა № 42

საგადასახდელო ბალანსის სქემა გამოსაქვეყნებლად ასეთი ფორმისაა:

ბალანსის მუხლები	1 პერიოდი	.....	პერიოდი
მუხლი 1, სალდო [კრედიტი, პლუსი] [დებეტი, მინუსი]			
მუხლი , სალდო [კრედიტი, პლუსი] [დებეტი, მინუსი]			

საგადასახდელო ბალანსი აიგება ბუღალტრული აღრიცხვის შემდეგი წესის მიხედვით. თითოეული ოპერაცია აისახება ორჯერ – ***ერთი ანგარიშის კრედიტზე და მეორე ანგარიშის დებეტზე.***

ასე მაგალითად, საქართველოში მოქმედმა საწარმომ მოახდინა 200 მლნ. აშშ დოლარის საქონლის ექსპორტი, რისთვისაც მიიღო უცხოური ვალუტა. საგადასახდელო ბალანსში მოცემული ოპერაცია ასეთნაირად აისახება:

სქემა № 43

საქონელი	200
უცხოური ვალუტა	-200
საერთო სალდო	0

იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ეკონომიკური ფასეულობის აუნაზღაურებად გადაცემას, ისმის კითხვა როგორ უნდა გავატაროთ ანგარიშებში ასეთი ოპერაცია ორჯერ? ასეთ შემთხვევაში საგადასახდელო ბალანსში შემოდის განსაკუთრებული მუხლი, რომელსაც ეწოდება „ტრანსფერი".

დავუშვათ, რომ საქართველომ, გერმანიისაგან მიიღო ტრანსფერი 20 მლნ. დოლარის ოდენობით, ჰუმანიტარული

დახმარების სახით. მოცემული ოპერაცია ასეთნაირად გატარდება

სქემა № 44

საქონელი	- 20
ტრანსფერი	20
საერთო სალდო	0

ქვემოთ მოტანილ ცხრილში ასახულია საგადასახდელო ბალანსში კრედიტებში ან დებეტებში ოპერაციების ასახვის წესი

სქემა № 45

ოპერაციები	კრედიტი პლუსი (+)	დებატი მინუსი (–)
ა. საქონელი და მომსახურება		
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	+	
საქონლისა და მომსახურების იმპორტი		–
ბ. შემოსავლები (შრომის ანაზღაურება და შემოსავლები ინვესტიციებიდან)		
შემოსულობები არარებიდენტებისაგან	+	
გადახდები არარებიდენტებზე		–
გ. ტრანსფერები (მიმდინარე და კაპიტალური)		
სახსრების მიღება	+	
სახსრების გადაცემა		–
დ. არაწარმოებითი არაფინანსური აქტივების შეძენა/გაყიდვა		
აქტივების გაყიდვა	+	
აქტივების შეძენა		–
ე. ფინანსურ აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციები		
ვალდებულებების ზრდა არარეზიდენტებთან მიმართებაში	+	
მოთხოვნილებების შემცირება არარეზიდენტებთან მიმართებაში	+	
მოთხოვნილებების ზრდა არარეზიდენტებთან მიმართებაში		–
ვალდებულებების შემცირება არარეზიდენტებთან მიმართებაში		–

საგადასახდელო ბალანსში ოპერაციების რეგისტრაცია ხორციელდება დარიცხვის მეთოდით. მისი არსი მდგომარეობს

შემდეგში. ოპერაციების რეგისტრაცია ხდება ეკონომიკური ფასეულობების არა ფაქტობრივი გადახდის მომენტის მიხედვით, არამედ მათი გაცვლის, გადაცემის, გარდაქმნის, შექმნისა და დაკარგვის მომენტის მიხედვით. დარიცხვის მეთოდის მიხედვით გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

- საქონლის მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციების ბალანსში ასახვის მომენტად ითვლება მათზე საკუთრების უფლების გადაცემა;
- მომსახურების საგადასახდელო ბალანსში ასახვა ხდება მომსახურების შეთავაზების მომენტის მიხედვით;
- დივიდენდების ასახვა ხდება მათი გადახდის მომენტის მიხედვით;
- პროცენტები ირიცხება განუწყვეტლივ;
- შრომის ანაზღაურების ასახვა ბალანსში წარმოებს მაშინ, როდესაც სამუშაოს მიმცემს წარმოეშვება ასეთი ვალდებულება თავისი მომუშავის წინაშე;
- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციების დარეგისტრირება ხდება საკუთრების უფლების გადაცემის მომენტის მიხედვით.

იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახდელო ბალანსი ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მნიშვნელოვანი ინფორმაციული რესურსია, მისი შედგენა ხდება მოცემული ქვეყნის ეროვნულ ვალუტაში. იმ შემთხვევაში თუ ეროვნული ვალუტა განიცდის ძლიერ დევალვაციას უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში, ასეთ შემთხვევაში საგადასახდელო ბალანსს ადგენენ სტაბილურ უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი, ევრო).

საგადასახდელო ბალანსის ფარგლებში განხორციელებული ოპერაციები ეკონომიკური ანალიზის ჩატარების მიზნით იყოფა მიმდინარე ოპერაციებად (ასახვას პოულობს მიმდინარე ოპერაციების ანგარიშში) და კაპიტალურ ოპერაციებად (აისახება კაპიტალისა და ფინანსურ ანგარიშში). მიმ-

დინარე ოპერაციები დაკავშირებულია საქონლის, მომსახურების და შემოსავლების ოპერაციებთან, ხოლო კაპიტალური ოპერაციები დაკავშირებულია საინვესტიციო საქმიანობასთან და წარმოადგენს აქტივებსა და ვალდებულებებს.

მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის სალდო აბსოლუტური სიდიდით ტოლი უნდა იყოს და სალდოს ნიშნის მიხედვით (პლუსი ან მინუსი) საწინააღმდეგო, კაპიტალის ოპერაციების და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციების ანგარიშთან შედარებით.

საგადასახდელო ბალანსის სტანდარტული კომპონენტები ასეთია:

სქემა №46

I მიმდინარე ოპერაციების ანგარიში
ა. საქონელი და მომსახურება
1. საქონელი
2. მომსახურება
ბ. შემოსავლები
1. შრომის ანაზღაურება
2. შემოსავლები ინვესტიციებიდან
გ. მიმდინარე ტრანსფერები
კაპიტალის და ფინანსური ინსტრუმენტების ოპერაციების ანგარიში
ა. კაპიტალის ოპერაციების ანგარიში
1. კაპიტალური ტრანსფერები
2. არამწარმოებლური არაფინანსური აქტივების შეძენა/გაყიდვა
ბ. ფინანსური ანგარიში
1. პირდაპირი ინვესტიციები
1.1. საზღვარგარეთ
1.2. ეკონომიკაში, რომლისთვისაც ინარმოება ანგარიშგება
2. პორთველის ინვესტიციები
2.1. აქტივები
2.2. ვალდებულებები
3. ფინანსური წარმოებულები
3.1. აქტივები
3.2. ვალდებულებები
4. სხვა ინვესტიციები
4.1. აქტივები
4.2. ვალდებულებები
5. სარეზერვო აქტივები

„დანარჩენი მსოფლიოს ანგარიშში“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ფასების საკითხი. აქ მიმდინარე ოპერაციების შეფასება ხდება მიმდინარე საბაზრო ფასებში. ამრიგად, საქონლისა და მომსახურების მოძრაობის, შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილების ოპერაციები აისახება ოპერაციაში მონაწილე მხარეებს შორის შეთანხმებულ ფაქტობრივ ფასებში, ხოლო აქტივებისა და პასივების მარაგები აქტივებისა და პასივების ბალანსის შედგენის მომენტისათვის არსებულ მიმდინარე ფასებში.

საგადასახდელო ბალანსში ექსპორტისა და იმპორტის ოპერაციები ხორციელდება ФОБ ფასებში. მოცემული ფასები გამოიყენება საბაჟო სტატისტიკაში, რომელიც საგადასახდელო ბალანსის შედგენის ძირითადი ინფორმაციული რესურსია. ФОБ ფასებში შედის საქონლის ღირებულება მწარმოებლის ფასებით. აგრეთვე ექსპორტიორი ქვეყნის საზღვრის გადაკვეთის მომენტამდე გაწეული ისეთი სახის მომსახურების ღირებულება, როგორიცაა ტრანსპორტირება. (საჭიროების შემთხვევაში) ტვირთვის შემდგომი ტრანსპორტირების მიზნით განხორციელებული საქონლის სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვის ღირებულება.

СИФ ფასი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მყიდველის ფასი, რომელიც საკუთარი ქვეყნის საზღვარზე მიღებული საქონლისათვის გადახდილი იქნება იმპორტიორის მიერ, საზღვარზე საიმპორტო გადასახდელებისა და სხვა გადასახადების გადახდამდე. СИФ და ФОБ ფასებს შორის სხვაობა წარმოადგენს ექსპორტიორი ქვეყნისა და იმპორტიორი ქვეყნის საზღვრებს შორის სატრანსპორტო დანახარჯებსა და სადაზღვევო მომსახურებას შორის სხვაობას.

საქართველოს საგადასახდელო ბალანსის მონაცემები 2008 წლის მიხედვით მოცემულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში.

საქართველოს საგადასახდელო ბალანსი 2008 წლის მონაცემებით[1] (ათასი აშშ დოლარი)

მიმდინარე ანგარიში	-2915134
ა. საქონელი	-3833225
კრედიტი	2427979
დებეტი	-6261205
ბ. მომსახურება	22685
კრედიტი	1260439
დებეტი	-1237754
გ. შემოსავალი	-165751
კრედიტი	488575
დებეტი	-654326
დ. მიმდინარე ტრანსფერები	1061157
კრედიტი	1142822
დებეტი	-86665
კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში	2963007
კაპიტალის ანგარიში	104790
კრედიტი	104929
დებეტი	-39
ფინანსური ანგარიში	2858217
ა. პირდაპირი ინვესტიციები	1523016
საზღვარგარეთ	-41015
საზღვარგარეთიდან	1564030
ბ. პორტფელის ინვესტიციები	623591
აქტივები	-2324
პასივები	625915
გ. ფინანსური წარმოებულები	7807
აქტივები	11144
პასივები	-3337
დ. სხვა ინვესტიციები	834630
აქტივები	-266531
პასივები	1101161
ე. სარეზერვო აქტივები	-130826
წმინდა შეცდომები და გამოტოვებები	-47873
განსაკუთრებული დაფინანსება	
სულ	1014967

[1] საქართველოს ეროვნული ბანკი. სტატისტიკური წელიწდეული 2009. თბ. 2009, გვ. 264

1. განმარტეთ „დანარჩენი მსოფლიოს“ სექტორის არსი;

2. რა განსხვავებაა „დანარჩენი მსოფლიოს სექტორს“ და შიდა ეკონომიკის სექტორებს შორის?

3. ჩამოთვალეთ „დანარჩენი მსოფლიოს“ სექტორში შემავალი ანგარიშები და ის თავისებურებანი, რითაც ისინი ხასიათდებიან;

4. ჩამოთვალეთ „დანარჩენი მსოფლიოს“ კრებსითი ანგარიშის „რესურსებისა“ და „გამოყენების“ ძირითადი მუხლები;

5. დაასახელეთ „დანარჩენი მსოფლიოს“ საქონლისა და მომსახურების საგარეო ეკონომიკური ანგარიშის „რესურსებისა“ და „გამოყენების“ მუხლები და დაახასიათეთ მოცემული ანგარიშის მაბალანსებელი მუხლი;

6. აღწერეთ „დანარჩენი მსოფლიოს“ პირველადი შემოსავლებისა და მიმდინარე ტრანსფერების საგარეო ეკონომიკური ანგარიშის სტრუქტურა. დაახასიათეთ მოცემული ანგარიშის მაბალანსებელი მუხლი – „მიმდინარე ოპერაციების სალდო“;

7. განმარტეთ „დანარჩენი მსოფლიოს“ კაპიტალის ოპერაციების საგარეო ეკონომიკური ანგარიშის „რესურსებისა“ და „გამოყენების“ მუხლები.

8. დაახასიათეთ მოცემული ანგარიშის მაბალენსებელი მუხლი;

9. დაახასიათეთ „დანარჩენი მსოფლიოს“ აქტივებში სხვა ცვლილებების ანგარიში;

10. განმარტეთ „დანარჩენი მსოფლიოს“ გადაფასების ანგარიში და მისი ძირითადი კომპონენტი ჰოლდინგური მოგება;

11. ჩამოთვალეთ „დანარჩენი მსოფლიოს“ ფინანსური

ანგარიშის მუხლები და მათი გავლენა მაბალანსებელი მუხლის ფორმირებაზე;

12. დაახასიათეთ „დანარჩენი მსოფლიოს“ აქტივებისა და ვალდებულებების საგარეო ანგარიში და მისი კავშირი შიდა ეკონომიკის ანალოგიურ ანგარიშებთან;

13. ჩამოთვალეთ რას წარმოადგენს და რა დანიშნულება აქვს საგადასახდელო ბალანსს;

14. განმარტეთ ეკონომიკური ოპერაციების ორადი აღრიცხვის წესი საგადასახდელო ბალანსში;

15. დაახასიათეთ საგადასახდელო ბალანსში კრედიტებში ან დებეტებში ოპერაციების დადებითი (+) და უარყოფითი (–) ნიშნებით გატარების წესი;

16. განმარტეთ საგადასახდელო ბალანსში ოპერაციების რეგისტრაციის „დარიცხვის მეთოდის“ არსი;

17. ჩამოთვალეთ და განმარტეთ საგადასახდელო ბალანსის ძირითადი ანგარიშები.

18. დაახასიათეთ საქართველოს საგადასახდელო ბალანსი 2008 წლის მონაცემების მიხედვით.

მაგალითი 11.1

მოცემულია ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის მახასიათებელი შემდეგი მონაცემები (მლნ. აშშ დოლარი)

საქონლის ექსპორტი:

ფეროშენადნობები	267
შავი ლითონის ნარჩენები და ჯართი	129
სპილენძის მადნები და კონცეტრანტები	118
ჰუმანიტარული დახმარება	10
მიგრანტების ქონება	70
დანარჩენი	500

საქონლის იმპორტი:

ნავთობი და ნავთობპროდუქტები	762
მსუბუქი ავტომობილები	707
სამკურნალო საშუალებები დაფასოებული	190
ხორბალი და მესლინი	109
სხვა სასურსათო საქონელი	1500
მიგრანტების ქონება	200
ჰუმანიტარული დახმარება	1100
დანარჩენი იმპორტი	1500

დაქირავებული მუშაკების შრომის ანაზღაურება

რეზიდენტების მიერ დაქირავებული არარეზიდენტები	25
მათ შორის სოც. დაზღვევის ანარიცხები	3
არარეზიდენტების მიერ დაქირავებული რეზიდენტები	14
მათ შორის სოც. დაზღვევის ანარიცხები	2

კაპიტალიდან და საკუთრებიდან შემოსავლები

„დანარჩენი მსოფლიოდან" მიღება	350
„დანარჩენი მსოფლიოზე" გადაცემა	35

მომსახურების ბალანსი (სალდო):

ტურიზმი	802
ტრანსპორტი	38
სამშენებლო მომსახურება	401
საბანკო და საფინანსო მომსახურება	50
სხვა სახის მომსახურება	41

ტრანსფერების სალდო

ჰუმანიტალური დახმარება	485
საერთაშორისო ორგანიზაციებში შესატანი საწევრო	3
ტრანსფერები მიგრანტებისათვის	30

გადასახადები პროდუქციაზე

მიღებული „დანარჩენი მსოფლიოსაგან“	15
გადაცემული „დანარჩენი მსოფლიოსათვის“	3
კრედიტორული დავალიანების ცვლილება	306
დებიტორული დავალიანების ცვლილება	406

სოციალური დახმარების გაცემა

„დანარჩენი მსოფლიოსაგან“ მიღება	40
„დანარჩენ მსოფლიოზე“ გადაცემა	4

ქონების უფასოდ გადაცემა

„დანარჩენი მსოფლიოსაგან“ მიღება	32
„დანარჩენ მსოფლიოზე“ გადაცემა	2

მოტანილი მონაცემების მიხედვით შევადგინოთ „დანარჩენი მსოფლიოს“ ნაკრები ანგარიში.

ამოხსნა:

„დანარჩენი მსოფლიოს“ ნაერთ ანგარიშს ასეთი სახე ექნება:

გამოყენება	რესურსები
საქონლისა და მომსახურების შეძენა (ექსპორტი) 267+129+118+10+70+500=1094	საქონლისა და მომსახურების გაყიდვა (იმპორტი) 762+707+190+109+1500+200+1100 +1500+802++38+401+50+41=7400
შემოსავლები „დანარჩენი მსოფლიოდან“ მიღებული კაპიტალიდან და დასაქმებიდან, მათ შორის:	შემოსავლები „დანარჩენ მსოფლიოზე“ გადაცემული კაპიტალიდან და დასაქმებიდან, მათ შორის:
არარეზიდენტების მიერ დაქირავებული რეზიდენტი მომუშავეების შრომის ანაზღაურება 14;	რეზიდენტების მიერ დაქირავებული არარეზიდენტების შრომის ანაზღაურება 25;

შემოსავლები სამეწარმეო საქმიანობიდან და კაპიტალიდან 350; „დანარჩენი მსოფლიოდან" მიღებული მიმდინარე ტრანსფერები, მათ შორის: გადასახადები პროდუქციაზე 15; შენატანები სოც. დაზღვევის ფონდებში 2; გაცემები სოციალურ დახმარებაზე, პენსიებზე, სტიპენდიებზე და ა.შ. 40; სხვა მიმდინარე ტრანსფერები 485; „დანარჩენი მსოფლიოდან" მიღებული ტრანსფერული აქტივები 32; დებიტორული დავალიანების ცვლილება 306.	შემოსავლები სამეწარმეო საქმიანობიდან და კაპიტალიდან 35; „დანარჩენი მსოფლიოზე" გადაცემული მიმდინარე ტრანსფერები, მათ შორის: გადასახადები პროდუქციაზე 3; შენატანები სოც. დაზღვევის ფონდებში 3; გაცემები სოციალურ დახმარებაზე, პენსიებზე, სტიპენდიებზე და ა.შ. 4; სხვა მიმდინარე ტრანსფერები 3+30=33; „დანარჩენ მსოფლიოზე" გადაცემული ტრანსფერული აქტივები 2; კრედიტორული დავალიანების ცვლილება 406; სტატისტიკური ცდომილება 5573.
„დანარჩენი მსოფლიოს" დანახარჯები სულ 2338	„დანარჩენი მსოფლიოს" ამონაგები სულ 2338

მაგალითი 11.2

მოტანილი მონაცემების საფუძველზე განვსაზღვროთ ექსპორტისა და იმპორტის ღირებულება 2007 და 2008 წლებში. მათი დინამიკა და ფიზიკური მოცულობის ინდექსი. თუ ცნობილია, რომ ინფლაცია საანგარიშო პერიოდში შემცირდა 5,5 პროცენტით.

(მლნ. აშშ დოლარი)

	2007	2008
1. ფეროშენადნობები გაყიდული	159	267
2. მსუბუქი ავტომობილები		
გაცემული	70	113
მიღებული	370	707
3. ცხოველური და მცენარეული ზეთები		
გადაცემული	1171	2029
მიღებული	37	60
4. საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები		
გადაცემული	149	104
მიღებული	688	739
5. ქიმიური პროდუქცია		
გადაცემული	118	158
მიღებული	444	553
6. საერთაშორისო გამოფენაზე განხორციელებული		
ყიდვები	30	35
გაყიდვები	25	20
7. საქონლის შემოტანა შემდგომი გადამუშავების მიზნით	60	62
8. ჩამორთმეული საქონლის ღირებულება	4	5

ამოხსნა:

საბაზისო პერიოდი (2007 წ.)

ექსპორტი: 159+70+1171+149+118+25=1692

იმპორტი: 370+37+688+444+30+60+4=1633

საგარეო ვაჭრობის ზრუნვა: 1692+1633=3325

საანგარიშო პერიოდი (2008 წ.)

ექსპორტი: 267+113+2029+104+158+20=2691

იმპორტი: 113+60+739+553+35+62+5=1567

საგარეო ვაჭრობის ბრუნვა: 2691+1567=4258

დინამიკა:

$I_{\text{ექსპ.}}$=2691/1692=1,6-ჯერ

$I_{\text{იმპ.}}$=1567/1633=0,96. ე.ი. შემცირდა 4 პროცენტით

$I_{\text{ფიზ.მოცულობის}}$=4258/0,945/3325=1,4-ჯერ

მაგალითი 11.3

ქვეყნის ეკონომიკაზე მოცემულია შემდეგი მონაცემები (მლნ. ამერიკული დოლარი)

ექსპორტი:

სასმელები და თამბაქო, მიწოდებული ჩვენი ქვეყნის რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებზე	138
სოფლის ასაშენებლად გაწეული სამშენებლო სამუშაოები მოლდოვაში ქართველი მშენებლების მიერ	10
სადაზღვევო კომპანია იმედის მიერ „ბიპის" საქართველოში შემოტანილი ტვირთების დაზღვევა	18
უკრაინელი ტურისტებისათვის საქართველოში გაწეული ტურისტული მომსახურება	12
მოლდოველი ტურისტებისათვის საქართველოში უფასოდ გაწეული მომსახურება	1

იმპორტი:

ნავთობი და ნავთობპროდუქტები შემოტანილი და მიყიდული აზერბაიჯანის ნავთობის კომპანიის მიერ საქართველოს ნავთობის რეალიზატორი კომპანიებისადმი	342
თურქეთის სამხედრო მოსამსახურეების მიერ ქართველი სამხედრო მომსახურეების სწავლება	7
ამერიკის მთავრობის მიერ საქართველოსათვის გადმოცემული ჰუმანიტარული დახმარება	100

მოტანილი მონაცემების საფუძველზე ააგეთ „დანარჩენი მსოფლიოს" საქონლისა და მომსახურების საგარეო ანგარიში და დაახასიათეთ სალდო საქონლისა და მომსახურების მიხედვით.

1. საქონლისა და მომსახურების საგარეო ეკონომიკური ანგარიშის ძირითადი ინფორმაციული წყაროა:

ა) საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის ინფორმაცია;]

ბ) საგადასახდელო ბალანსი;

გ) საბანკო დეკლარაციები;

დ) შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ე) ყველა ერთად.

2. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ანგარიშების აგების თავისებურებაა:

ა) მათში „რესურსების“ და „გამოყენების“ მუხლები შიდა ეკონომიკის ანგარიშების იდენტურია;

ბ) მათში „რესურსებისა“ და „გამოყენების“ მუხლებს შიდა ეკონომიკის მუხლებისაგან განსხვავებით გაცვლილი აქვთ ადგილები;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

3. რომელი ცნებების საფუძველზე ხდება ინსტიტუციური ერთეულების მიკუთვნება ეროვნულ ეკონომიკაზე და „დანარჩენ მსოფლიოზე“?

ა) რეზიდენტები და არარეზიდენტები;

ბ) ეკონომიკური ინტერესის ცენტრი;

გ) ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორია.

4. საქართველოში უცხოელ ტურისტებზე რეზიდენტების მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება აღირიცხება:

ა) საქონლისა და მომსახურების იმპორტში;

ბ) საქონლისა და მომსახურების ექსპორტში;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

5. 15 წლის წინათ საბერძნეთში სამუშაოდ წასული საქართველოს მოქალაქის მიერ მიღებული შემოსავლები უნდა აღირიცხოს:

ა) არარეზიდენტი-დამქირავებლის მიერ მომუშავე-რეზიდენტების შრომის ანაზღაურებაში;

ბ) „დანარჩენი მსოფლიოსაგან" მიღებულ ტრანსფერებში;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

6. კაპიტალის ანგარიშის მაბალანსებელი მუხლია:

ა) წმინდა დაკრედიტება ან წმინდა დავალიანება;

ბ) კაპიტალური ტრანსფერების და მიმდინარე ოპერაციების შედეგად გამოწვეული საკუთარი კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილება;

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

7. „დანარჩენი მსოფლიოს" გადაფასების ანგარიშის მაბალანსირებელი მუხლია:

ა) ძირითად კაპიტალში ჰოლდინგური მოგების ზარალის შედეგად გამოწვეული ცვლილებები;

ბ) ნომინალური ჰოლდინგური მოგება;

გ) რეალური ჰოლდინგური მოგება.

8. „დანარჩენი მსოფლიოს" სექტორის ფინანსური ანგარიშის გაბალანსებელი მუხლია:

ა) „წმინდა დაკრედიტება (+) ან წმინდა სესხება (–);

ბ) არარეზიდენტების მიერ რეზიდენტებისაგან ფინანსური აქტივების შეძენა;

გ) არარეზიდენტების მიერ ვალდებულებების აღება რეზიდენტების წინაშე.

9. რომელი ვარიანტი ითვლება საგადასახდელო ბალანსი ტრანსფერის გატარების სწორ ვარიანტად?

დავუშვათ საქართველომ გერმანიისაგან მიიღო ტრანსფერი 20 მლნ.ამერიკული დოლარის ოდენობით.

ა)

მლნ. დოლარი

საქონელი	20
ტრანსფერი	-20
საერთო სალდო	0

ბ)

მლნ. დოლარი

საქონელი	-20
ტრანსფერი	20
საერთო სალდო	0

10. საქართველოს საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიში ამჟამად:

ა) დეფიციტურია;

ბ) პროფიციტურია;

გ) საქონლის, მომსახურების, შემოსავლებისა და მიმდინარე ტრანსფერების კრედიტისა და დებეტის ჯამობრივი მონაცემები ერთმანეთის ტოლია.

დანართი № 1

ეას-ში გამოყენებული ძირითადი ტერმინები ქართულ და ინგლისურ ენებზე

ტერმინი ქართულ ენაზე	*ტერმინი ინგლისურ ენაზე*
1. მთლიანი შიდა პროდუქტი	1. Gross domestic product
2. მთლიანი ეროვნული შემოსავალი	2. Gross national income
3. მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი	3. Gross national disposable income
4. დამატებული ღირებულება (მთლიანი წმინდა)	4. Value added (gross and net)
5. გამოშვება	5. Output
6. შუალედური მოხმარება	6. Intermediate consumption
7. საბოლოო მოხმარება	7. Final consumption
8. დანახარჯები საბოლოო მოხმარება	8. Final consumption expenditure
9. ფაქტობრივი საბოლოო მოხმარება	9. Actual final consumption
10. მთლიანი დაგროვება	10. Gross capital formation
11. ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება	11. Gross fixed capital Formation
12. მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება	12. Change in inventories
13. ფასეულობათა წმინდა შეძენა	13.Net acquisition of Valuables
14. მოგება	14. Operating surplus
15. გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე	15. Taxes on production And imports
16. გადასახადები პროდუქტებზე	16. Taxes on products
17. წარმოებაზე სხვა გადასახადები	17. Other taxes on Production
18. გადასახადები ქონებასა	18. Taxes on income

და შემოსავლებზე	and wealth
19. სუბსიდიები წარმოებასა და იმპორტზე	19. Subsidies on produ- ction and imports
20. სუბსიდიები პროდუქტებზე	20. Subsidies on products
21. სხვა სუბსიდიები წარმოებაზე	21. Other subsidies on Production
22. დაქირავებული მუშაკების შრომის ანაზღაურება	22. Compensation of employees
23. შერეული შემოსავალი	23. Mixed income
24. შემოსავლები საკუთრებიდან	24. Property income
25. რეინვესტირებადი შემოსავლები პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან	25. Reinvested earnings from direct foreign investments
26. ტრანსფერები	26. Transfers
27. მიმდინარე ტრანსფერები	27. Current transfers
28. კაპიტალური ტრანსფერები	28. Capital transfers
29. პირველადი შემოსავლები	29. Primary income
30. პირველადი შემოსავლების სალდო	30. Balance of prima- ry income
31. სოციალური ტრანსფერები ნატურა ლური სახით	31. Social transfers in kind
32. კორექტირებადი განკარგვადი შემოსავალი	32. Adjusted dispos- able income
33. დანაზოგი	33. Saving
34. წმინდა დაკრედიტება	34. Net lending
35. ფინანსური აქტივების შეძენა	35. Acquisition of Financial assets
36. ფინანსური ვალდებულებების აღება	36. Incurrence of financial liabilities
37. ტრანსფერები ინდივიდუ- ალური არასაბაზრო საქონელზე და მომსახურებაზე	37. Transfers of in- dividual non-market good and services
38. აქტივების მოცულობაში სხვა ცვლილებები	38. Other changes in volume of assets

39. ჰოლდინგური მოგება/ზარალი	39. Holding gains/ Losses
40. არამწარმოებლური აქტივების ეკონო მიკური წარმოშობა	40. Economic appearance of non-produced assets
41. აქტივები	41. Assets
42. ვალდებულება	42. Liabilities
43. კაპიტალის წმინდა ღირებულება	43.Net worth
44. აქტივებისა და პასივების ბალანსი	44. Balance sheet
45. აქტივების წმინდა ღირებულება	45. Net equity worth
46. პირობითი შეფასებები, პირობითი გაანგარიშებები	46. Imputations
47. ეკონომიკური ოპერაცია	47. Transaction
48. ინსტიტუციური ერთეული	48. Institutional unit
49. ინსტიტუციური სექტორი	49. Institutional sector
50. არაფინანსური კორპორაციების სექტორი	50. Non-financial corporations sector
51. ფინანსური კორპორაციების სექტორი	51. financial corporations sector
52. სახელმწიფო მმართველობის სექტორი	52. General government sector
53. შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი	53. Sector of non-profit institutions serving households
54. შინამეურნეობების სექტორი	54. Households sector
55. დანარჩენი მსოფლიო	55. Rest of the world
56. რეზიდენტულობა	56. Residence
57. რეზიდენტები	57. Residents
58. არარეზიდენტები	58. Non-residents
59. ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორია	59. Economic territory of the country
60. მუდმივი ფასები	60. Constant prices
61. მიმდინარე ფასები	61. Current prices
62. ფინანსური	62. Financial

შუამავლობა	Intermediation
63. ფინანსური შუამავლობის ირიბი შესაფასებელი მომსახურება	63. Financial Intermediate services indirectly measured
64. დამხმარე ფინანსური მომსახურება	64. Auxilary financial services
65. ფინანსური აქტივები	65. Financial assets
66. ფინანსური ვალდებულებები	66. Financial Liabilities
67. მონეტარული ოქრო	67. Monetary gold
68. არამონეტარული ოქრო	68. Non-monetary gold
69. სამრეწველო ოქრო	69. Industrial gold
70. აქციები და კაპიტალის სხვა სახეები	70. Shares and other equity
71. წარმოების ანგარიში	71. Production account
72. შემოსავლების წარმოქმნის ანგარიში	72. Generation of income account
73. პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში	73. Allocation of primary income account
74. შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში	74. Secondary distribution of income account
75. განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიში	75.Use of disposable income account
76. შემოსავლის ნატურალურ ფორმაში გადატანის ანგარიში	76. Redistribution of income in kind account
77. კორექტირებადი განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიში	77. Use of adjusted disposable income account
78. კაპიტალის ოპერაციების ანგარიში	78. Capital account
79. ფინანსური ანგარიში	79. Financial account
80. აქტივებში სხვა ცვლილებების ანგარიში	80. Other changes in assets Account

81.საქონლისა და მომსახურების ანგარიში	81. Good and services Account
82. დანარჩენი მსოფლიოს ანგარიში	82. Rest of the world accounts
83. კონსოლიდირებული ანგარიშები	83. Consolidated accounts
84. საგადასახადო ბალანსი	84. Balance of payment
85. საგადასახადო ბალანსის მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის სალდო	85. Balance of current account of balance of payments
86. საბოლოო მოთხოვნა	86. Final demand
87. ფასების ინდექსის დახმარებით დეფლირების მეთოდი	87.Method of deflation by price indexes
88. ორმაგი დეფლირების მეთოდი	88. Double deflation method
89. მუდმივ ფასებში მაჩვენებლების გადაფასების ექსტრაპოლაციის მეთოდი	89. Extrapolation method used for valuation of indicators in constant prices
90. დანახარჯების ელემენტებით გადაფასების მეთოდი	90. Method of revaluation in constant prices by deflation of components of costs
91. მუდმივ ფასებში პირდაპირი გადაფასების მეთოდი	91. Method of direct revaluation in constant prices
92. მშპ-ს დეფლატორი	92. Implicit deflator(of GDP)
93. ლასპეიერსის მეთოდი	93. Laspeyres index
94. პააშეს მეთოდი	94. Paasche index
95. ფიშერის ინდექსი	95. Fisher index
96. თვითდასაქმებულნი	96. Self-employed
97. თვითდასაქმებულები, რომლებიც პროდუქციას აწარმოებენ საკუთარი მოხმარებისათვის	97. Own account self-employed workers
98. მეწარმეები	98. Entrepreneurs
99. ფორმალური ეკონომიკა	99. Formal economy
100.არაფორმალური ეკონომიკა	100. Informal economy

101. ჩრდილოვანი ეკონომიკა	101. Shadow economy
102. ეკონომიკური წარმოება	102. Economic production
103. დიასახლისების აუნაზღაურებადი მომსახურება	103. Non-paid household services
104. მატერიალურ-ნივთობრივი აქტივები	104. Tangible assets
105. არამატერიალური აქტივები	105. Non- tangible assets
106. მწარმოებლური აქტივები	106. Produced assets
107. არამწარმოებლური აქტივები	107. Non- produced assets
108. არაფორმალური ეკონომიკის საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციას საკუთარი გამოყენებისათვის	108. Enterprises of informal economy producing output for own use
109. საზღვარგარეთიდან მიღებული პირველადი შემოსავლების სალდო	109.Balance of primary income received from the rest of the world
110. ეკონომიკის დარგების მიხედვით ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო კლასიფიკაცია	110. International standard industrial classification of all kinds of economic activities
111. პროდუქციის ცენტრალური კლასიფიკაცია	111. Central product classification
112. ძირითადი კაპიტალის მოხმარება	112. Consumption of fixed assets
113. ბუნებრივი რესურსების ამოწურვა	113. Depletion of natural assets
114. უწყვეტი ინვენტარიზაციის მეთოდი	114. Perpertual inventory method
115. ოპერაციების რეგისტრაცია საკასო მეთოდით	115. Method of registration of trans actions on cash basis
116. ოპერაციების რეგისტრაცია დარიცხვის საფუძველზე	116. Method of registration of trans actions on accrual basis
117. ანარიცხები	117. Allowances
118. სოციალური დახმარება	118. Social benefits

119. ნაკადები	119. Flows
120. სესხები	120. Loans
121. საოპერაციო ლიზინგი	121. Operational leasing
122. ფინანსური ლიზინგი	122. Financial leasing
123. შემოსავალი	123. Income
124. ხარჯი	124. Expenditure
125. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი	125. Revenue of the state budget
126. აგრეგატები	126. Aggregates
127. აგრეგირება	127. Aggregation
128. კონსოლიდირება	128. Consolidation
129. სატელიტური ანგარიში	129. Satellite accounts
130. კორპორაციის განაწილებული შემოსავალი	130. Distributed income of corporations
131. სადაზღვევო მოთხოვნა	131. Insurance claims
132. სადაზღვევო პრემიები	132. Insurance premiums
133. იმპორტის შეფასება სიფ ფასებში	133. Valuation of imports at cif prices
134. ექსპორტის შეფასება ფობ ფასებში	134. Valuation of exports at fob prices
135. საბალანსო ღირებულება	135. Book value
136. აქტივების ლიკვიდაცია	136. Scrapping of assets
137. ვალების პატიება	137. Forgiveness of debt
138. ფინანსური ნაკადების ანგარიში	138. Flow of funds accounts
139. სახელმწიფო მმართველობის ორგანოების დანახარჯების კლასიფიკაცია	139. Classification of general government expenditure by functions
140. საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებული დანახარჯები	140. Transfers costs
141. ტრანსფერები ინვესტიციური მიზნებისათვის	141. Investment grants
142. სოციალური დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა	142. Social security schemes
143. ნაღდი ფული და დეპოზიტები	143. Currency and deposits

ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“. თბ. 1999.
2. საქართველოს კანონი „სტატისტიკის შესახებ“ თბ. პარლამენტის უწყებანი 46. 1997.
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბილისი, 2006.
4. ბ. გაბიძაშვილი სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში. თბ., 2008.
5. მარშავა ქ., მინდორაშვილი მ. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის საფუძვლები. თბ., 2008.
6. დ. კბილაძე, საბაზრო-სამეწარმეო სტატისტიკის ფორმირების აქტუალური პრობლემები. თბ. 2008.
7. კბილაძე დ., აბესაძე ნ., მეტრეველი შ., სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2008.
8. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2008 წ. სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2009.
9. ხმალაძე მ. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, გამომცემლობა „მერიდიანი", თბ. 2008.
10. Andrew F. Siegel. Practical Business Statistics, NY, 2004.
11. Enterprise Statistics. Ed. U. Raich and R. Janke. Statistical Essays, v.2, German Statistical Bureau.
12. Fundamental Principles of Activities of Official statistics, UN SC, April 14, 1994.
13. Manual „Planning and Implementation of enterprise Statistical Surveys“, Eurostat, 2000.
14. Procedural manual „Enterprise Structural Statistics“, chapter “General conceptual frameworka“, Eurostat, 1996.
15. EUC Degree „On Enterprise Structural Statistics“, Luxembourg, Eurostat, July 17, 1997.
16. web site: www.geostat.ge

17. http:// www.census.gov
18. http://www.oecd.org/data-oecd
19. Курс социально-экономической статистики: учебник для вузов /под ред.проф. М.Г. Назарова. М: Финстатинформ, 2002.
20. Липпе П. ф.д. Экономическая статистика: стат. очерки. Т.1. Изд-во ФСУ Германии, 1996.
21. Основы национального счетоводства: учеб. / под ред. Ю.Н. Иванова. М.: Инфра – М, 2006.
22. European System of Accounts. Eurostat, 1995.
23. Special Data Dissemination Standard. IMF, 1997.
24. Система национальных счетов, 1993 г. /ООН. 1998.
25. Система национальных счетов: стат. очерки. Т. 5. Изд-во ФСУ Германии, 2000.
26. Статистика предприятий: стат. очерки. Т. 2. Изд-во ФСУ Германии, 1998.
27. Статистика финансов органов государственного управления: стат. очерки. Т. 3. Изд-во ФСУ Германии, 1998.
28. Статистика цен: стат. очерки. Т. 4. Изд-во ФСУ Германии, 1999.
29. Экономическая статистика: учеб. / под ред. Ю.Н. Иванова. М.: инфра-М, 2007.
30. О. Образцова, О. Копейкина, Система Национальных счетов. М. 2008.
31. Kendrick, J.W. The New System of national Accounts. Boston, 1996.
32. Brummerhoff, D. Volkswirtschaftliche Gesamtrechnungen. 8., uberarbeitete und erweiterte Auflage. Munchen, 2007.
33. Ю.Н.Иванов. СНС инструмент макро-экономического анализа. М. финстатинформ. 1996.



გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge